ISSN—0132—6058

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ი/
1988/2

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

123/2

3 . 1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1988, № 3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

3. 1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გიგინეიშვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (*რედაქტორის მოადგილე*), **რ.** კიკნაძე (*რედაქტორის მოადგილე*), გ. მელიქიშვილი (*რედაქტორი*), **ა. რობაქიძე,** ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итонишвили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили,

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
А д р е с р е д а к ц и и: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 30. VII. 88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 11. 88;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ბეჭდვა ნაბეჭდი თაბახი 17.15;
პირ. სალ. გატარება 17. 75; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13. 35;

უე 04526 შეკ. 2692 ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წერილები

გ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 70 წლისთავი 5

ლ. მგალობლიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა ფორმირებისა და განვითარების ისტორიისათვის საბჭოთა საქართველოში 27

მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისი XIX საუკუნის 70—80-იანი წლების მიჯნაზე . . 43

დ. გოგოლაძე, ქართული ფეოდალური სათავადოების არსისა და ისტორიული ადგილის საკითხისათვის 59

გ. გასგიანი, ლეჩხუმისა და რაჭის ტოპონიმიის საკითხისათვის 82

ცნობები და შენიშვნები

ვ. ხვედელიძე, ნეონაროდნიკული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში 100

მ. ქიქოძე, ნატურალური და ფულადი საზღაურის საკითხისათვის ვახტანგ VI-ის დროს 109

ზ. ცინცაძე, იმერეთის გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის 10-იანი წლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა 119

ე. აბაშიძე, ქარლოს ისტორია „მოქცევაი ქართლისაჲ“ 125

ლ. მიქაბაშვილი, ომან ხერხეულიძის შემოქმედების შესწავლის ისტორიიდან . . 136

მ. მეტრიველი, კონფუსიური თემები ლიბანში 141

ე. კვაჭანტირაძე, წყაროების დამოწმების წესი ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“ 151

გ. მანჯგალაძე, სამთავრის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიისათვის 156

ზ. კიკნაძე, თასის სიმბოლო კულტურის მითოსში 167

ზ. ხიჩრაულაძე, ფრანსის ფრაგმენტი ფიას წმ. თევდორეს ეკლესიის საკურთხეველში . 171

დისკუსია და განხილვა

ე. ხოუბარია-ბრილი, თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები 179

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. ჩუბინაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, გარეჯი 188

ლ. ბაასგოვა, ნ. ხალფინი, თავისუფლების განთიადი ქაბულზე 192

რ. კიკნაძე, თინა ენუქიძის ხსოვნას 195

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
გიორგი ფალიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 70 წლისთავისათვის *

1978 წლის 1 ივლისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს 70 წლისთავი შეუსრულდა. იგი სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1917 წლის 1 ივლისს თბილისში დაარსებული ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტიდან, რომლის შექმნის ინიციატორი იყო აკადემიკოსი ნ. მარი — კავკასიური და ახლოაღმოსავლური პრობლემების (ენების, კულტურის, ისტორიის) შემსწავლელი აკადემიური დაწესებულების დაარსების დიდი ენთუზიასტი. ეს ინსტიტუტი შედიოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და ფაქტობრივად მის პირველ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას წარმოადგენდა. დამაარსებლის თვალსაზრისით ინსტიტუტს დიდი ამოცანები უნდა შეესრულებინა — უნდა შეესწავლა კავკასიის ცივილიზაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა მსოფლიო, უფრო კონკრეტულად კი — წინაასიურ ცივილიზაციასთან მჭიდრო კონტაქტში.

18875

მაგრამ ასეთი დიდი მიზნების განსახორციელებლად ინსტიტუტს, რომელსაც ჩვენი ახლანდელი მასშტაბებით ძნელიც კია დაწესებულება ვუწოდოთ — იგი სულ რამდენიმე თანამშრომელს ითვლიდა, — ბევრი არაფერი შესაძლებლობა გააჩნდა. ინსტიტუტის ხელმძღვანელი საერთოდ თბილისიდან შორს, პეტროგრადში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მის მოადგილედ დანიშნა ცნობილი ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი. მის გარდა ინსტიტუტის „ნამდვილ წევრად" ითვლებოდა ერთადერთი მკვლევარი — გიორგი ჩუბინაშვილი.

როგორც ცნობილია, სულ მალე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, თბილისში არსებულ ამ დაწესებულებას ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობა შეუწყდა პეტროგრადის აკადემიასთან და მისი თანამშრომლები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, საკუთარი თავის ანაბარა დარჩნენ. მიუხედავად ამისა, ამ პატარა კოლექტივს ასეთი კონტაქტის აღდგენამდე (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება — 1921 წ.) საქმიანობა არ შეუწყვეტია. იგი მდგომარეობდა ძირითადად ისტორიული ხასიათის მასალის შეგროვებაში (ცირე მასშტაბის ექსპედიციების მეშვეობით. ამისი შესაძლებლობა ინსტიტუტის თანამშრომლებს ნაწილობრივ ახლად დაარსებულ (1918 წ.) თბილისის ქართულ უნივერსიტეტთან ახლო კავშირმა მისცა. მიუხედავად ინსტიტუტის დაარსების ინიციატორის ნ. მარის ერთგვარად სკეპტიკური დამოკიდებულებისა ამ უნი-

* მოხსენება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიის (1988 წ. 17 მაისს).

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიტეტის დაარსებისადმი (რაშიც იგი პეტერბურგში შექმნილი ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური სამეცნიერო კერის მოშლის საფრთხეს ხედავდა), კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის „სამეცნიერო კოლეგია“ მხურვალედ მიესალმა უნივერსიტეტის დაარსებას და ინსტიტუტის ორივე ნამდვილი წევრი — ე. თაყაიშვილი და გ. ჩუბინაშვილი უნივერსიტეტის პროფესორებად იქნენ არჩეული, ამათგან პირველი არქეოლოგიის კათედრის გამგეც გახდა. მათ, ისევე როგორც ინსტიტუტის კიდევ ერთმა თანამშრომელმა — ცნობილმა ხელოვნებათმცოდნე დ. გორდეევმა ამ პერიოდში საკმაოდ შრომატევადი მუშაობა ჩატარდეს ქართული საეკლესიო ნაგებობების და მათში დაცული ინვენტარის შესასწავლად. ქართულ ხელნაწერებზე მუშაობდა ინსტიტუტში მოელენილი, შემდეგში ცნობილი სახლვარგარეთელი ქართველოლოგი რობერტ ბლეიკი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ერთგვარად გაიზარდა ინსტიტუტის თანამშრომელთა ოდენობაც და საქმიანობაც. აქ დაიწყეს მუშაობა, კერძოდ, ცნობილმა მეცნიერებმა ს. კაკაბაძემ (1922 წ.), მ. პოლიევქტოვმა და ლ. მელიქსეთ-ბეგმა (1924 წ.), ი. მარმა (1928 წ.), გ. ფუთურიძემ და ვ. ბარდაველიძემ (1930 წ.) და სხვ. ამ პერიოდშიც უმთავრესი ინსტიტუტის საქმიანობაში იყო სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა ისტორიული ძეგლების გამოსავლენად, ისევე როგორც ეთნოგრაფიული და სხვ. მასალების შესაკრებად. 1923 წლიდან დაიწყო გამოსვლა ინსტიტუტის ორგანომ „Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе“, ხოლო 1928 წლიდან გამოდიოდა მისი მეორე ორგანოც—„Бюллетень Кавказского историко-археологического института в Тифлисе“.

უკვე თავისი არსებობის საწყის ეტაპზე ეს ე. წ. ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი ფუნქციონირებდა როგორც კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. მასში სწარმოებდა მუშაობა ენათმეცნიერულ პრობლემატიკაზე (უკვე 1917 წელს ინსტიტუტის დავალებით ლაზური ტექსტებს კრებდა ჭანეთში ი. ყიფშიძე, მესხეთში ქართული კილოების შესწავლაზე მუშაობდა ს. ლომია), ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებზე (ე. თაყაიშვილი, დ. გორდეევი, ფ. ყიფშიძე და სხვ.), გ. ჩუბინაშვილი ამუშავებდა ანისის გათხრების მასალებს, შემდეგში დაიწყო საკუთრივ ისტორიული თემატიკის დამუშავება (ს. კაკაბაძე და სხვ.), ეთნოგრაფიული მასალის შეკრება და დამუშავება და ა. შ. ასე რომ ინსტიტუტის არსებობის ეს ეტაპი ფაქტობრივად განასახიერებს საერთოდ ქართული აკადემიური ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას ამ ხანაში. სხვათა შორის ასეთი ვითარება გრძელდებოდა დიდხანს შემდეგშიც, როდესაც აღნიშნული ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა ჯერ კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტად (1931 წ.), ხოლო შემდეგ ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად (1936 წ.).

უკვე კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის ფარგლებში საგრძნობი გახდა ძირეული ხასიათის ცვლილებები ინსტიტუტის პროფილსა, შემადგენლობასა და მიზანდასახულობაში. თანდათან ინსტიტუტი ჰკარგავდა საერთოკავკასიურ იერს, როგორადაც იგი ჩაფიქრებული იყო მისი დამაარსებლის, აკად. ნ. მარის მიერ. საერთოკავკასიური ერთობის იდეა ნ. მარის ერთ-ერთი დიდი ხნის საყვარელი იდეა იყო, რის გამოც იგი ხშირად ავადმყოფურად რეაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა „ვიწროეროვნულ“ მისწრაფებებზე (ესეც იყო, სხვათა შორის, ერთ-ერთი მიზეზი მისი გაუმართლებელი, ფაქტობრივად უარყოფითი დამოკიდებულებისა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების მიმართ). მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება სხვა ამოცანებს აყენებდა — წინა პლანზე საკუთრივ ეროვნული ინსტიტუტების შესწავლა გამოდიოდა. ეს ტენდენცია განხორციელდა უკვე 1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით შექმნილ ქართულ უნივერსიტეტში, სადაც მისივე ხელმძღვანელობით შექმნილი საქართველოს ისტორიის კათედრა გახდა ეროვნული ისტორიის შესწავლის მთავარი კერა. მაგრამ 30-იან წლებში გაეროვნულობის პროცესი მძლავრად შეეხო აგრეთვე აკადემიურ მეცნიერებას, კერძოდ ჩვენთვის საინტერესო კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტს, რომელიც საკავშირო აკადემიის ჯერ ამიერკავკასიისა, ხოლო შემდეგ საქართველოს ფილიალის ფარგლებში ფუნქციონირებდა. მასში სულ უფრო და უფრო მეტად მოედინებოდა ახალი, თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში ქართველოლოგიაში მომზადებული კადრები, რომელთა შორის იყვნენ საქართველოს ისტორიის ისეთი გამოჩენილი მკვლევრები, როგორიც იყვნენ ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი. აქვე კონსულტანტად იქნა მოწვეული თვით ივ. ჯავახიშვილი.

ამ ეტაპზეც ინსტიტუტი კომპლექსურ ჰუმანიტარულ დაწესებულებად რჩებოდა. აქ მუშაობდნენ ენათმეცნიერები (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი, კ. დონდუა, ს. ყაფლანი, ვ. ფანჩვიძე და სხვ.), აღმოსავლეთმცოდნეები (ი. მარი, მ. ხუბუა), ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, მ. პოლიევქტოვი, გ. ხაჭაპურიძე, ი. პეტრუშევსკი, გ. ნათაძე და სხვ.), არქეოლოგები (გ. ნიორაძე, ა. ბოლტუნოვა), ხელოვნებათმცოდნეები (შ. ამირანაშვილი და სხვ.), ეთნოგრაფები (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე) და ა. შ. ამ დროისათვის ინსტიტუტის უპირველესი ამოცანა საკუთრივ ქართული ენის, ისტორიის, კულტურის შესწავლა გახდა.

რა თქმა უნდა, ეს ტეხილი ჩვენი ჰუმანიტარული სამეცნიერო დაწესებულების განვითარებაში მნიშვნელოვნად უკავშირდება საერთოდ ჩვენს ქვეყანაში ამ დროს მომხდარ ზოგიერთ არსებით ცვლილებებს. როგორც ცნობილია, სკპ (ბ) კკ-ის 1934 წ. 16 მაისის დადგენილებით აღდგა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლება. 30-იანი წლების შუა ხანებში მრავალი მხრით ჰქმნის მიჯნას ისტორიული მეცნიერების განვითარებაში როგორც საქართველოში, ისე საერთოდ საბჭოთა კავშირში. პარტიამ თავისი დადგენილებებით დაგმო აქამდე ფართოდ გავრცელებული გატაკება სოციალური სქემებით, ყურადღება გაამახვილა ისტორიის ეროვნული, პატრიოტული ასპექტით შესწავლის საჭიროებაზეც. ამიტომაც მკვლევართა ყურადღებია არეული კანონზომიერად მოექცა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გვერდით დამოუკიდებლობისათვის ხალხის გმირული ბრძოლის ისტორია. სწორედ ასეთი მიზანდასახულების მქონე დაწესებულება იყო 1936 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბებული ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი („ენიმკი“), რომელსაც ამ დროიდან ვიდრე გარდაცვალებამდე (1947 წ.) სათავეში ედგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია. ინსტიტუტში მეტად ფართოდ იყო წარმოდგენილი საენათმეცნიერო პრობლემატიკა (იგი ისწავლებოდა ქართველურ ენათა, კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიისა და ტერმინოლოგიის, მახლობელი აღმოსავლეთის ენათა, ზოგადი ენათმეცნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერების განყოფილებებში), მაგრამ სპეციალური ადგილი ეკავა ისტორიულ დარგებსაც (მას ემსახურებოდა ისტორიის განყოფილება, რომლის სათავეში იდგნენ ჯერ ს. ჯანაშია, ხოლო შემდეგ ნ. ბერძენიშვილი, არქეოლოგიის განყოფილება — გამგე გ. ნიორაძე, ეთნოგრაფიის განყოფილება — გამგე გ. ჩიტაია; ისტორიული წყაროების შესწავლას ემსახურებოდა ფილოლოგიის განყოფილება, რომელსაც მკირე ხანს აკ. შანიძე, ხოლო შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი ხელმძღვანელობდა).

„ენიმკის" პერიოდში საკუთრივ ისტორიის დარგში უპირატესი ადგილი ეკავა მუშაობას საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის დარგში, თუმცა შესრულდა ზოგიერთი სამუშაო ქვეყნის XIX ს-ის ისტორიის სფეროშიც. შეისწავლებოდა ქართველთა ეთნოგენეზისისა და განსახლების საკითხები, ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია, რუსეთ-საქართველოს და საქართველო-კავკასიის ურთიერთობის, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის და სხვ. საკითხები. 30-იანი წლების დასასრულს უაღრესად ინტენსიური მუშაობა წარმოებდა საქართველოს ისტორიაში საშუალო საუკუნეების სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოქვეყნდა ქართულ ენაზე პირველად 1943 წელს და რამდენიმე წლის შემდეგ იმდროინდელი უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო პრემია დაიმსახურა (ავტორები: ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, რედაქტორი ს. ჯანაშია).

დიდი ყურადღება დაუთმო თავიდანვე ენიმკის ხელმძღვანელობამ საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების გაშლას. საინტერესოა, რომ ამ საქმის მეურვეობა თავს იდვეს ივ. ჯავახიშვილმა და ს. ჯანაშიამ. მარტო 30-იანი წლების მეორე ნახევარში ჩატარდა მრავალი არქეოლოგიური ექსპედიცია: დაბლაგომში (ნ. ბერძენიშვილი, ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია), ბოლნისში (ივ. ჯავახიშვილი, ლ. მუსხელიშვილი), აღაზნის ველზე — არხილოსკალოში (გ. ნიორაძე), ბაშკიჩეთის რაიონში — სოფ. საფარლუს მახლობლად (გ. ნიორაძე), სამეგრელოში — სოფ. ოდიშში (აღ. კალანდაძე), კოლეგეთის დაბლობზე — ყორღან „ნაოხვამუზე" (ა. იესენი, გ. ნიორაძე), მთის რაჭაში — ღებში (გ. გობეჯიშვილი), ძირულას ხეობაში — სოფ. დიდ განთიადში (გ. ნიორაძე), ჩხოროწყუში (ნ. ხოშტარია), სამშვილდეში (ლ. მუსხელიშვილი). განსაკუთრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა გათხრები ციხეთაში, რომლის ხელმძღვანელად და საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1940 წ.) ეს საქმე ს. ჯანაშიამ ჩაიბარა. საქვეყნოდ ცნობილია რა დიდებული შედეგები მოგვცა ამ გათხრებმა, როგორ გაამდიდრა ჩვენი მეცნიერება არა ნარტო შესანიშნავი მატერიალური კულტურის ძეგლებით, არამედ დიდმნიშვნელოვანი ბერძნულ-არამეული წარწერებითაც.

სისტემატიური და გეგმიანი ხასიათი მიეცა ამ პერიოდში ეთნოგრაფიულ სამუშაოებსაც. მოეწყო ექსპედიციები იმერეთში, რაჭაში, პირველად ხევსურთში, ფშავში, ქიზიყში, პატარა ლიახვის და მეკონის ხეობებში, თიანეთში. ამ დარგშიც დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინა ივ. ჯავახიშვილმა, რომლის ინიციატივით 1935 წელს საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში დაიგზავნენ სპეციალისტები შინამრეწველობისა და ხელოსნობის შესახებ მასალების შესაკრებად. ჩვენ ახლა ვგრძნობთ თუ რა დროული იყო ეს საქმე, როგორ გამოგვეცლებოდა ხელიდან ეს მასალა, რომ იმ დროს არ შეკრებილიყო. დღეს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი ეს მასალა, როგორც ცნობილია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნდება ხუთ ტომად და საყოველთაო ყურადღებას იქცევს. პუბლიკაცია დასასრულს უახლოვდება — უკვე დაისტამბა ოთხი ტომი 7 წიგნად. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ ჯაფარიძეს.

დიდად ნაყოფიერი გამოდგა „ენიმკის" პერიოდი — 30-იანი წლების მეორე ნახევარი და 40-იანი წლების დასაწყისი სამეცნიერო პროდუქციის გამოცემის მხრითაც. 1937—1944 წლებში გამოვიდა „ენიმკის მოამბნი" 14 ტომი. სისტემატიურად გამოდიოდა მეორე ასეთივე პუბლიკაცია — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის". იმავე 1937—1944 წლებში გამოვიდა მისი 23 ნაკვეთი. 1938—1940 წლებში გამოიცა ამავე ინსტიტუტის კიდევ ერთი პერიოდული ორგანოს „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის" 6 ნაკვეთი. დღესაც ჩვენ გვაკვირვებს ასეთი ნაყოფიერი საგამომცემლო საქმიანობა — ცნობილია, რომ ამა თუ იმ თემატიკური კრებულის გამოცემას ხშირად წლები უნდება, ხოლო პერიოდული სამეცნიერო ორგანოები საერთოდ მოგვისპეს...

ენიმკის მოღვაწეობის ამავე წლებში საფუძველი ჩაეყარა არაერთ სერიულ გამოცემას: საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ქართული სამართლის ძეგლები, ქართველი ხალხის ბრძოლა ტაბაურ დამპყრობთა წინააღმდეგ და სხვ. გამოიცა აგრეთვე მონოგრაფიული ნაშრომები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოიცა ეთნოგრაფიის დარგში: ქართული ხალხური ორნამენტი, I. ხევსურული (ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, 1939), სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ცეკვა (ვ. ბარდაველიძე, 1939), დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში (რ. ხარაძე, 1939), კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები (ა. რობაქიძე, 1941), აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები (ვ. ბარდაველიძის რედაქციით, 1938), ნ. ხიზანიშვილის (ურბნელი) ეთნოგრაფიული ნაწერები (გ. ჩიტაიას რედაქციით, 1940), მოცვალებულის კულტი ხევსურეთში (გ. ჩიტაიას რედ., 1940), თ. სახოკიას „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში" (გ. ჩიტაიას რედაქციით, 1940).

მნიშვნელოვანი პროდუქცია გამოქვეყნდა ამ წლებში საკუთრივ ისტორიის დარგშიც. გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" III წიგნი, ს. ჯანაშიას „გ. შარვაშიძე, ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან", ნ. ბერძენიშვილის „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XIV вв.)", ი. ლორთქიფანიძის, შ. ჩხეტიას, პ. გუგუშვილის, ნ. მახარაძის, ალ. ფირცხალაიშვილის, შ. მესხიას, ვ. გაბაშვილის და სხვათა ნაშრომები ინსტიტუტმა გამოსცა საქართველოს ისტორიის არაერთი საყურადღებო წყარო: აბუსერიძე ტბელის, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებები, თამარის მეორე ისტორიოსის, დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორია", ბაგრატ ბატონიშვილის თხზულება, ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება", თამარის ისტორიოსის „ისტორიანი და ზმანი შარავანდედთანნ", ქართლის ცხოვრების ანა დედოფლისეული ნუსხა. გამოიცა" დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან" (ტ. I, ბატონყმური ურთიერთობანი), ეკანის ქვაბთა განგება, გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი, სვანეთის საისტორიო ძეგლები. აღსდგა საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების სერიის გამოცემაც — დაიბეჭდა „გეორგიკის" ერთ-ერთი ტომი, პლანო კარპინის „ისტორია მონღოლებისა",

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკისი გვილიმის „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“, ჰაჯიმეკბიყული ყაჯარის „უკეთესთგან უკეთესი“. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტი აქვეყნებდა ნაშრომებს ხელოვნებათმცოდნეობის დარგშიც — გამოიცა გ. ჩუბინაშვილის, რ. შმერლინგის, ტ. ხერხეულიძის, ლ. მაცულევიჩის, შ. ამირანაშვილის საყურადღებო მონოგრაფიები. ერთი სიტყვით, ინსტიტუტი არა მარტო განაგრძობდა ქართველოლოგიის თითქმის ყველა დარგის მეურვეობის ძველისძველ ტრადიციას, არამედ კიდევ უფრო გააფართოვა ამ მხრივ თავისი მოღვაწეობა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ინსტიტუტის მთელი ეს პუბლიკაციები მათი ავტორების ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფი იყო და არა მაინცდამაინც ინსტიტუტის კედლებში შესრულებული სამუშაოები. ამასთანავე ინსტიტუტი აქვეყნებდა ბევრ ისეთ ნაშრომსაც, რომლის ავტორი საერთოდ არც იყო მისი თანამშრომელი.

ენიმკის პერიოდში დიდად გაიზარდა ინსტიტუტის თანამშრომელთა რიცხვი. ინტენსიურად დაიწყო ნიჭიერი ახალგაზრდობის მოზიდვა ასპირანტურაში. ამ დროს გაიარეს მომზადება შემდეგში ისეთმა გამოჩენილმა სპეციალისტებმა, როგორიც იყვნენ ან არიან ა. რობაქიძე, ლ. ბოჭორიშვილი, ვ. გაბაშვილი, ა. იოსელიანი, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, გ. გობეჯიშვილი, ვ. ლომთათიძე და სხვ. ასპირანტების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ ყველაზე გამოჩენილი სპეციალისტები ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. ნიორაძე, გ. ჩიტაია.

ფორმალურად ახალი ეტაპი ინსტიტუტის ცხოვრებაში დაიწყო 1941 წლის თებერვლიდან, როდესაც დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თვით ენიმკი ორ ინსტიტუტად — ენათმეცნიერებისა და ისტორიის ინსტიტუტებად გაიყო. მაგრამ ფაქტობრივად რამდენიმე წლის მანძილზე ორივე ინსტიტუტი ისევ ერთ დაწესებულებად განაგრძობდა ცხოვრებას, ერთი სამეცნიერო საბჭო ჰქონდა, ორივეს ერთი დირექტორი (ს. ჯანაშია) ჰყავდა... მხოლოდ 1944 წლიდან ამ ორმა ინსტიტუტმა დაიწყო სრულფასოვანი დამოუკიდებელი არსებობა.

სსამეულო ომის წლებში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეფერხდა ამ ინსტიტუტების, კერძოდ ისტორიის ინსტიტუტის საქმიანობაში (ძას 1943 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა). აღარ ჩანს სამეცნიერო პროდუქციის ისეთი უზვი პუბლიკაცია, როგორც ამის წინა პერიოდში, 1943 წლამდე შეჩერდა არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება და სხვა საექსპედიციო სამუშაოები. მხოლოდ 1943 წელს განახლდა მცირე მასშტაბით გათხრები მცხეთაში. ამავე წელს განახლდა ეთნოგრაფიული ექსპედიციებიც.

ინსტიტუტის არაერთი თანამშრომელი გაიწვიეს მოქმედ არმიაში (ალ. კალანდაძე, ა. აფაქიძე, დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია). სამამულო ომის მონაწილენი არიან აგრეთვე შემდეგში ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებად ჩარიცხული ვ. გუჩუა, მ. გეგეშიძე, გ. ხაჭარიაძე, ა. იოსელიანი, გრ. მარგიანი, კ. მელითაური, ბ. სილაგაძე, ა. სოხაძე, ი. ტაბაღუა, კ. ტაბატაძე, ი. უთურაშვილი, ა. ცაბაცშვილი, ი. ჩიქავა, ს. ჩხარტიშვილი.

ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საგაზეთაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობაში. ინსტიტუტი აქვეყნებდა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების ორ სერიას: „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“ და „წითელარმიელების ბიბლიოთეკა“. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერიებში დაიბეჭდა ისეთი ნარკვევები, როგორიცაა „თათართა ბატონობის ხანა საქართველოში“ (ნ. ბერძენიშვილი), „გერმანული ფაშიზმი ქართველი ხალხის უბოროტესი მტერია“ და „ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები“ (ს. ჯანაშია) და სხვ. იკითხებოდა მრავალი ლექცია-მოხსენება საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, ჰოსპიტლებში, ჯარის ნაწილებსა და დაწესებულებებში, სამრეწველო საწარმოებში და სოფლად.

მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა ინსტიტუტში გრძელდებოდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ტრადიციულ პრობლემატიკაზე. მე თვითონ 1941 წლის შემოდგომაზე მოვედი ინსტიტუტში როგორც ასპირანტი და მოწმე ვარ იმისა, როგორი საქმიანი, სამუშაო შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა ომის წლების მანძილზე ამ დაწესებულებაში. თანამშრომლთა შორის აქ ვერ ნახავდით ადამიანს, რომელიც მთელი თავისი არსებით მეცნიერების ერთგული და ენთუზიასტი არ ყოფილიყო, რომელიც არ აკეთებდა მაქსიმუმს ისაა, რისი უნარიც გააჩნდა. ყველა ჩვენგანი ავადმყოფურად რეაგირებდა იმაზე თუ რაიმე გარემოება მას ხელს უშლიდა ინსტიტუტში ყოფნის დროს მუშაობაში. დიდებულად ფუნქციონირებდა ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკაც. არც ის ითქმის, რომ სამუშაო ფართობის მხრივ იმ დროს დაღ სიხალვათეს განვიცდიდით. თვითეულ ოთახში ორავალი თანამშრომელი იჯდა და მაინც ახერხებდა მუშაობას. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ბევრი რამ უარესისაკენ შეიცვალა და დღეს ბევრ ჩვენს თანამშრომელს წარმოუდგენლადაც ეჩვენება ინსტიტუტის კედლებში რაიმე სამუშაოს შესრულება... ერთ-ერთი მიზეზი ამ მხრივ მდგომარეობის გაუარესებისა ალბათ ომის შემდგომ პერიოდში ჩვენი კადრების ძალზე სწრაფ ზრდაში მდგომარეობს, როდესაც ყოველთვის ვერ ხერხდებოდა სათანადო დონისა და ხარისხის სპეციალისტებით ინსტიტუტის დაკომპლექტება. მუშაობის მასშტაბურობის ზრდამ და მომუშავე კოლექტივის გაფართოებამ ახალი პრობლემები წარმოშვა, ახალი საზრუნვი გაჩინა. დღეს ჩვენ უკვე ბევრი რამ არ გვაკმაყოფილებს ჩვენს მუშაობაში, ჩვენს საქმიანობაში. მკვლევართა ჩვენი თაობა, თქმა არ უნდა, ბევრი რამით (მათ შორის პროფესიული მომზადებით და ნაყოფიერებით) ხშირად ჩამორჩება წინამორბედი თაობის მკვლევართ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავის შემდგომ საუხანლო თაობებს ინსტიტუტი უფრო მაღალი მიღწევებით შეხვდება, სულ უფრო და უფრო მეტი ენთუზიასტი-მკვლევრებით დამშვენებული, რომლებიც თავისი განსწავლულობითა და შემოქმედებითი ნაყოფიერებით გაუტოლდებიან ჩვენს სახელოვან წინამორბედებს.

თუ ომის შემდგომ პერიოდს (1945 წლიდან დღემდე) ერთიანად გადავხედავთ, ჩვენი რაოდენობრივი ზრდა ძირთლაც შთამბეჭდავია. თუ 1945 წელს ისტორიის ინსტიტუტში სულ 43 მეცნიერი თანამშრომელი იყო, ახლა მათი რაოდენობა (არქეოლოგიური ცენტრის მუშაკთა ჩათვლით) 400-მდეა. 1964 წლიდან ნინოსტიტუტს სახელი შეეცვალა და ეწოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. 1978 წელს მას გამოეყო (თუმცა ინსტიტუტისავე ფარგლებში ნომინალურად დარჩა) არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. ამ უკანასკნელის გამოკლებით მარტო ინსტიტუტში, რომელიც საკუთრივ ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემატიკას ამუშავებს, მეცნიერ-მუშაკთა შორის ძალიან მაღალია „ცენზიანი“ თანამშრომლების რიცხვი — მასში 75 მეცნ. დოქტორი და 111 მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მუშაობს 11 დოქტორი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

64 კანდიდატი. 1945 წლის 7 სამეცნიერო განყოფილების ნაცვლად (ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიის, ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და ქართული მედიცინის ისტორიის) დღეს ინსტიტუტში 19 ასეთი სამეცნიერო უჯრედია: ძველი ისტორიის, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის, საქართველოს ახალი ისტორიის, საბჭოთა საქართველოს ისტორიის, დიდი სამამულო ომის ისტორიის, საქართველოს სსრ შრომითი კოლექტივების ისტორიის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და სოფლების ისტორიის, საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის, საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის, კავკასიის ხალხთა ისტორიისა, ევროპის ქვეყნების ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ნუსხისა და სამეცნიერო ინფორმაციის, მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის, სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის, სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის, ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ეთნოგრაფიული შესწავლის და, ბოლოს, ანთროპოლოგიის განყოფილებები თუ სექტორები. ამას გარდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი მოიცავს შემდეგ განყოფილებებს: ნეოლითიადრელითონების ხანის არქეოლოგიის, გვიანბრინჯაოა-ადრერკინის ხანის არქეოლოგიის, ანტიკური ხანის არქეოლოგიის, შუასაუკუნეების ხანის არქეოლოგიის, არქეოლოგიის ისტორიის, თეორიისა და ინფორმაციის, დაბლოსა, არქეოლოგიური სამსახურის განყოფილება. ასათ გარდა ფუნქციონირებს აქვე ორი დამოუკიდებელი სექტორი: 1) ძველი ქვის ხანის არქეოლოგიისა და 2) ინტეგრდისციპლინარული კვლევის.

უცილობლად დიდი და სასარგებლო სამუშაო ჩატარდა ინსტიტუტში ომის დამთავრების შემდეგ განვლილი ამ ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ჩვენი საისტორიო მეცნიერების საგანძური გამდიდრდა მისი მუშაკების მიერ შექმნილი ასეულობით მონოგრაფიული ნაშრომით. გამოიცა მრავალი თემატიკური კრებული, გამოქვეყნდა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მრავალი წერილობითი წყარო და მისი თარგმანი უცხო ენებზე. ჩატარდა უდიდესი მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები, რომელთა შედეგად გამოვლინდა ჩვენი წარსულის ამსახველი მრავალი მატერიალური კულტურისა და ეპიგრაფიკული ძეგლი. ასთ მნიშვნელოვანწილად შეავსეს ქვეყნის უძველეს ისტორიაში აქამდე არსებული არაერთი ხარვეზი. დიდძალი ახალი მასალა იქნა მოპოვებული ამ ხნის მანძილზე ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერაც. თავის აქტივში უნდა ჩაიწეროს ინსტიტუტმა აგრეთვე მთელი რიგი განმაზოგადებელი ნაშრომების შექმნაც. მათ შორის უპირველესია, რა თქმა უნდა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“-ს რვატომეული. გამოქვეყნდა საშუალო და უმაღლესი სკოლისათვის განკუთვნილი რამდენიმე სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში. ასეთივე მიზნით გამოიყენება ჩვენს უმაღლეს სკოლაში ინსტიტუტში შექმნილი „საქართველოს არქეოლოგია“, რომლის ახალი, მრავალტომიანი ვარიანტი ამჟამად მზადდება ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, აგრეთვე „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“. ყურადღების ღირსია ეთნოგრაფთა კოლექტივის მიერ მომზადებული წიგნების სერია „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი (მასალები)“ და მრავალი სხვა.

ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მუშაობის აღიარებაა ისიც, რომ მასში შექმნილ ბევრ ნაშრომს მიენიჭა მთავრობის ჯილდო — ლენინური, სსრკ და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები, მრავალი სახელობითი პრემია, რომელსაც ანჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა სამეცნიერო ორგანიზაცია-დაწესებულებები. ლენინური პრემიით აღინიშნა (1957 წ.), გ. მელექიშვილის ნაშრომები „ნაირი-ურარტუ“ და „ურარტული ლურსმული წარწერებით“, სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭათ ბ. კუფტინის „არქეოლოგიურ გთხრებს თრიალეთში“ (1941 წ.) და ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის წიგნს „საქართველოს ისტორია“ (1946 წელს), საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭათ (1982 წელს) „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნისათვის ავტორთა კოლექტივისა და გამოცემის სარედაქციო კოლეგიის 16 წევრს: გ. მელექიშვილს, შ. მესხიას, ვ. გუჩუას, ზ. ანჩაბაძეს, მ. დუმბაძეს, ი. ანთელავას, ა. სურგულაძეს, ი. კაჭარავას, მ. ნათმელაძეს, ა. აფაქიძეს, მ. ლორთქიფანიძეს, გ. ჯამბურიას, მ. გიფრინდაშვილს, ა. კოტლაჯაშვილს, ბ. ლომინაძეს, ნ. სტურუას. 1984 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა გ. პაიჭაძეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომთა ციკლისათვის. 1976 წელს ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავის იუბილის დღეებში, ივ. ჯავახიშვილის პრემიით აღინიშნა გ. მელექიშვილის წიგნი „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი“. აკადემიკოს ს. ჯანაშიას პრემიით აღინიშნა: ს. იაუხჩიშვილის გამოცემა „ქართლის ცხოვრება“, ტ. I (1955 წ. პუბლიკაცია), ა. აფაქიძის „ქალქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, I, 1963 წ., ნ. მახარაძის „დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში“ 1967, ირ. ანთელავას „საქართველოს სახელმწიფო გლეხები XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1962 წ., შ. მესხიას „დიდგორის ბრძოლა“, 1972 წ., ა. სურგულაძის „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, 1974 წ., ნ. ხაზარაძის „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსახები)“, 1984 წ. ნ. ბერძენიშვილის პრემია მიენიჭა 1981 წელს მ. ლორთქიფანიძის რუსულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული ქართული საისტორო ძეგლებისათვის „ბატონე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“. იგივე პრემია მიენიჭა ა. ბაქრაძეს (ნ. ჯავახიშვილთან ერთად) ნაშრომისათვის „ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა“, 1976 წ. საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭათ ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლებს, ამჟამად უკვე მეცნიერებათა დოქტორებს ილია ანთელავას (1978 წ.) და გიული ალპანიას (1980 წელს).

დიდად გიზარდა ინსტიტუტის, როგორც ისტორია-არქეოლოგია-ეთნოგრაფიის დარგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის ავტორიტეტი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში. ამისი მაჩვენებელია თუნდაც ჩვენი მუშაკების აქტიური მონაწილეობა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა და კონფერენცია-სიმპოზიუმებში და, მეორე მხრივ, სსრკ სხვა რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრების სპეციალისტთა ასევითვე აქტივობა ჩვენთან, ინსტიტუტის ინიციატივითა და თაოსნობით მოწყობილ მრავალრიცხოვან სამეცნიერო ფორუმებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ინსტიტუტში ჩატარებული სამუშაოების მასშტაბურობის უპირველესი მაჩვენებელია მისი ბეჭდური პროდუქცია. ომის შემდგომ პერიოდში ერთხანს კიდევ გრძელდებოდა ინსტიტუტის პერიოდული ორგანოების პუბლიკაცია. ასეთი იყო „შრომები“ (ტ. I—VI 1955—1962), „ანალები“, I, 1947, მიმომხილველი“ (I—III, 1949—1955), „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის“ (35 ნაკვეთი: 1937—1963). უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში არსებული პერიოდული გამოცემები „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისთვის“ (9 ტომი) და „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ (23 ნაკვეთი: 1938—1987 წწ.).

ამის პარალელურად დამკვიდრდა თემატიკური კრებულების გამოცემის პრაქტიკა. ისინი ფაქტობრივად ინსტიტუტის ამა თუ იმ განყოფილების პერიოდულ ორგანოებს წარმოადგენენ. ძველი ისტორიის განყოფილებამ გამოაქვეყნა, მაგალითად, რვა ნაკვეთი კრებულისა „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ 16 ნაკვეთი კრებულისა „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები“; საისტორიო გეოგრაფიის განყოფილებამ — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულის“ 5 ნაკვეთი, ახალი ისტორიის განყოფილება აქვეყნებს კრებულს „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ გამოსცა შვიდი კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“, საისტორიო მეცნიერების ისტორიის განყოფილებამ გამოაქვეყნა კრებულები „ქართული ისტორიოგრაფია“ (3 ნაკვეთი), ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებამ — „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები“ (3 ნაკვეთი), შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებამ — „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“ (5 ნაკვეთი), სსრკ ხალხებთან ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ გამოსცა ორი ნაკვეთი კრებულისა „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“. ამავე განყოფილების ინიციატივით გამოქვეყნდა 3 კრებული „Из истории украино-грузинских связей“. ინსტიტუტში კარგა ხანია ფუნქციონირებს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა საბჭო, რომლის ინიციატივითაც ყოველწლიურად ტარდება ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესიები. ამ სესიების მასალებიც ქვეყნდება ცალკე კრებულების სახით. სულ დღეამდე სხვადასხვა სახელწოდებით („საისტორიო კრებული“, საქართველოს ისტორიის საკითხები“, „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“) გამოქვეყნდა ასეთი რვა კრებული. ანალოგიურ კრებულს, სადაც იბეჭდება ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნაშრომები, აქვეყნებს ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრიც. იგი ატარებს სახელწოდებას „არქეოლოგიური ძიებანი“. გამოქვეყნდა უკვე 5 ასეთი კრებული.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი გარდა ზემოთ უკვე დასახელებული სერიალისა „მასალები საქართველოსა და კავკასიის, არქეოლოგიისათვის“ აქვეყნებს არაერთ თემატიკურ კრებულს, ასეთებია, კერძოდ: „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“ (გამოიცა 3 ნაკვეთი), „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“ (გამოქვეყნებულია ხუთი ნაკვეთი), გამოდის დიდი ექსპედიციების კრებულები: „ვანი“ (1972—1986 წწ-ში გამოიცა 8 ტომი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მცხეთა“ (უკვე 7 ტომია დასტამბული), ასევე შვიდი ნაკვეთის სახით არსებობს „კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“, გამოვიდა „თბილისი, ტ. I. არქეოლოგიური ძეგლები“, სამ ტომად არის გამოცემული „დიდი პატიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში“, 1974 წლიდან ყოველწლიურად გამოდის ამა თუ იმ წლის არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული „Полевые археологические исследования“. დაიბეჭდა სამი ტომი წყალტუბოში ჩატარებული საკავშირო სიმპოზიუმების მასალებისა („Материалы Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья“)— ტ. I, 1979; ტ. II, 1981; ტ. III, 1985.

მრავალი თემატიკური კრებული გამოიცა ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის ხაზითაც. ზემოთ უკვე აღნიშნულ 23 ტომიან „მასალებს საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ შეიძლება დავუმატოთ: „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“ (გამოქვეყნდა 6 ნაკვეთი), „მასალები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის“ (8 ნაკვეთი). უკვე ითქვა, რომ უკანასკნელ წლებში დღის სინათლე იხილა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1935 წელს შეკრებილმა დიდმნიშვნელოვანმა ეთნოგრაფიულმა მასალამ. გამოქვეყნდა უკვე ოთხი ტომი ამ სერიისა „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. ოთხი ტომი გამოიცა ასევე უკანასკნელ წლებში „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალებისა“ და ა. შ. არ შეიძლება იქვე არ აღვნიშნოთ, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით ქვეყნდება ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსების ივ. ჯავახიშვილის თორმეტტომეული, გამოქვეყნდა ს. ჯანაშიას „შრომების“ 5 ტომი, ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ ცხრა ტომი, ვ. დონდუას „საისტორიო ძიებანის“ 3 ტომი, შ. მესხიას ნაშრომების სამტომეული და სხვ.

აქ ჩვენ არავითარი საშუალება არა გვაქვს დავასახელოთ ინსტიტუტის მიერ ამ წლების მანძილზე გამოქვეყნებული არაერთი ასეული საყურადღებო მონოგრაფიული ნაშრომი, რომელთა ავტორებიც ინსტიტუტის ესა თუ ის თანამშრომელია. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით იბეჭდება ინსტიტუტის პუბლიკაციათა სრული ნუსხა (შემდგენელი ც. ზუკაკიშვილი), უმნიშვნელოვანესები ამ მონოგრაფიებიდან დასახელებული არიან ინსტიტუტის ისტორიისადმი მიძღვნილ ნარკვევებში ქართულ — (ავტორი — ქ. თოფურიძე და სხვ.) და რუსულ (ავტორი — ო. ყორდანია) ენებზე. ყველაფერი ეს ჩვენ გვიჩსუბუქებს მდგომარეობას და გამოქვეყნებული მონოგრაფიების ჩამოთვლელობა (ზოგიერთს ჩვენ ქვემოთ მაინც დავასახელებთ) მსმენელმა (მკითხველმა) უნდა გვაპატიოს.

თუ 30-იანი წლები ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შუქზე საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის გაჯარების ნიშნით გამოირჩევა (ამ მხრით ძირითადი დამსახურება ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილს მიეძღვით), ხოლო 30-იან წლების დასასრულსა და დიდი სამამულო ომის პერიოდში ეროვნული თავისთავადობის. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის ისტორია მოექცა ყურადღების ცენტრში, ომისშემდგომი ხანისათვის დამახასიათებელია უფრო შეწონასწორებული, უფრო პროპორციული დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის ისტორიის პრობლემატიკისადმი. ამ დრომდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძოდ, ინსტიტუტში ფაქტობრივად არ ისწავლებოდა საქართველოს ახალი და უახლესი (XIX—XX სს-ის) ისტორია. თანდათან, განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში, ინსტიტუტში ჩამოყალიბდა იწყო ამ პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალისტების ჯგუფმა (მ. დუმბაძე, მ. ბერძნიშვილი, ტრ. ხუნდაძე). რაც შეეხება უახლესი პერიოდის — საბჭოთა საქართველოს ისტორიას, მას ინსტიტუტში შესაბამისი ადგილი მხოლოდ 1950 წლიდან დაეთმო, როდესაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია" რეორგანიზებულ იქნა „საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებად" (ხელმძღვანელი — სსრკ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ხაჭაპურიძე, 1957 წლიდან აკად. ი. კაჭარავა) და ინსტიტუტის შემადგენლობაში შეეიდა. ასევიდე დამოუკიდებელი სამეცნიერო განყოფილების სახით „კაპიტალისტური ხანის საქართველოს ისტორიის (ამჟამად — „ახალი ისტორიის" განყოფილება) ინსტიტუტში 1954 წელს გაფორმდა (პირველი ხელმძღვანელი — პრ. რატიანი, 1957 წლიდან — ირ. ანთელავა, ხოლო ამჟამად გრ. მარგიანი). ახლა ორივე ეს განყოფილება თვითეული ორ ათეულზე მეტ თანამშრომელს ითვლის. ამასთანავე საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებას შემდეგში გამოეყო ამავე პერიოდზე მომუშავე ორი სხვა განყოფილება — დიდი სამამულო ომის ისტორიის (ხელმძღვანელი — ნ. სტურუა, ამჟამად — მ. ნათმელაძე) და შრომითი კოლექტივების ისტორიის განყოფილება (ხელმძღვანელი ალ. კოჭლავაშვილი, შემდეგში — ს. ჩხარტიშვილი, ამჟამად — მ. სამსონაძე).

ძალზე ფართოა იმ საკითხების სპექტრი, რომელზედაც მუშაობდნენ საბჭოთა საზოგადოების ისტორიის შემსწავლელი საინსტიტუტო განყოფილებები. შეიძლება მოვიხსენიოთ, პირველ ყოვლისა, გ. ხაჭაპურიძისა და ნ. მახარაძის ნაშრომები, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიისადმი, ი. კაჭარავას მონოგრაფია საბჭოთა საქართველოს აღდგენითი პერიოდის (1921—1925 წწ.) შესახებ. ასევიდე მონოგრაფიები შეიქმნა აღნიშნულ განყოფილებებში ჩვენი უახლესი ისტორიის ზოგიერთი სხვა პერიოდის შესახებაც: „საქართველო სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების პერიოდში" (ი. ჩიქავა), „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945 წწ.)" (ა. იოსელიანი), „საქართველოს სსრ ომისშემდგომ პერიოდში (1945—1953 წწ.)" (ნ. სტურუა) და სხვ. მეორე მხრივ არ დარჩენილა საბჭოთა საქართველოს ისტორიის არც ერთი პრობლემა, რომელზედაც არ ემუშავათ ინსტიტუტის თანამშრომლებს — ესაა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, საზოგადოებრივი კლასებისა და ფენების ისტორია და სხვ. შეიქმნა საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის სამტომეული, საქართველოს სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები ოთხ ტომად, ნაშრომები მიძღვნილი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისადმი, კულტურული მშენებლობის პრობლემატიკაზე და ეროვნული კულტურის ზრდა-განვითარებაზე, ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბება-განვითარებისა და საერთოდ ეროვნულ ურთიერთობათა შესახებ, შეისწავლებოდა სოციალისტური შეჯიბრების ინსტიტუტი მის მრავალმხრივ გამოვლენაში, სახელმწიფოებრივი წყობილებისა და, კერძოდ, საბჭოების როლი და საქმიანობა და ა. შ. დაწერა განმაზოგადებელი, მთელი საბჭოთა პერიოდის მომცველი ნარკვევებიც. ისინი წარმოდგენილია საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ „საქართველოს ისტორიის“ სამტომეულსა და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VII და VIII ტომებში.

ამრიგად, რაოდენობრივი მონაცემები შეთმბეჭდავია და ამ მხრივ საყვედური არ გვექმნის. სულ სხვა ვითარებაა, როდესაც მთელ ამ პროდუქციას მეცნიერული ხარისხის კრიტერიუმით მივუდგებით. სამწუხაროდ, არაერთი სასარგებლო ნაშრომის გვერდით ამ ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით ის, რომელიც 30-იანი წლებიდან მოყოლებულ ვითარებას ასახავს, ვერ აკმაყოფილებს მეცნიერული სასისტორიო ნაშრომისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. ეს არის კრიტიკული, მეცნიერული მიდგომის გარეშე შექმნილი, სქემატური, „ოფიციალური დებულებების“ უბრალო მაილუსტრირებელი თხზულებები, სადაც ციფრების კორიანტელი და გაზეთებიდან გადმოწერილი საღეგრძელოების ტიპის პათეტიკა ფარავს ყველაფერს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი ნაკლოვანებებით სცოდავს საბჭოთა საზოგადოების ისტორიისადმი მიძღვნილი არამარტო ჩვენს ინსტიტუტში შექმნილი პროდუქცია, არამედ იგივე ხარეზები ახასიათებს მის გარეთაც, ჩვენს რესპუბლიკაში და საერთოდ საბჭოთა კავშირში შექმნილ ანალოგიურ ლიტერატურას. საბჭოთა საზოგადოების შესწავლაში საგრძნობი წვლილი შეიტანა ინსტიტუტში კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის დარგში ნიმუშავე მცირერიცხოვანმა კოლექტივმა, რომლის შექმნის ინიციატორი და პირველი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი სპეციალისტი ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის დარგში, განსვენებული მ. გეგეშიძე.

18875

თავისი სიტყვა დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მიერ შეტანილი წვლილის შესახებ ითქვა ჩვენს ინსტიტუტში ამ პრობლემატიკაზე მომუშავე მცირერიცხოვანი კოლექტივის მიერაც. გარდა ა. იოსელიანის ზემოთ უკვე დასახელებული მონოგრაფიისა, სადაც უპირატესად საქართველოს მშრომელთა თავდადებული შრომის შესახებ არის საუბარი ომის წლებში, ჯერ „სამამულო ომის კომისიამ“ და შემდეგ სათანადო განყოფილებამ დიდი შრომა გასწია ამ საკითხებზე დოკუმენტების შესაკრებად, მოამზადა კიდევ დოკუმენტის კრებული, რომელსაც უახლოეს წლებში გამოსცემს რესპუბლიკური გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი კოლექტივის წევრები აგრეთვე სამამულო ომის ფრონტებზე საქართველოდან წარგზავნილი მეომრების და ქართული დივიზიების საბრძოლო გზის შესწავლისადმი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ევროპის ქვეყნებში გაშლილ პარტიზანულ მოძრაობაში ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრთა მონაწილეობის შესწავლისადმი. განსაკუთრებით გულმოდგინეთ შესწავლილი იქნა კუნძულ ტექსელზე (ჰოლანდია) „ქართული ბატალიონის“ აჯანყების ტრაგიკული ეპიზოდი (მ. ქოჩიაშვილი).

ჩვენს საზოგადოებაში არასდროს ყურადღება არ მოკლებია დიდი პოლიტიკური მწვრილის მაქსიმ გორკის მოწოდებას ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შექმნის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად, უნდა ითქვას, ბევრი არაფერი კეთდებოდა ამ მიმართულებით. ამიტომაც მისასალმებელია, რომ ინსტიტუტში 70-იან წლებში შეიქმნა საგანგებო უჯრედი როგორც სამეცნიერო, ისე აგრარული მრეწველობის კოლექტივების შესასწავლად. თავისი არსებობის მანძილზე ამ სამეცნიერო უჯრედმა არაერთი სასარგებლო წამოწყება განახორციელა — დაიწერა ზაპესის, ნრამპესის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის, არა ერთი სხვა სამრეწველო საწარმოს, კოლმე-

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ისტორია. განყოფილებაში მუშავდებოდა შრომითი კოლექტივების ისტორიის შექმნასთან დაკავშირებული მეთოდური საკითხები და დახმარება ეწევა ბევრ ენთუზიასტ-მოხალისეს ინსტიტუტის კედლებს გარეთ, რომლებიც თავიანთი მშობლიური შრომით კოლექტივების ისტორიაზე მუშაობენ.

ერთგვარად ამ კოლექტივის ანალოგიური მიზანი აქვს ინსტიტუტში 10 ოტა ხნის წინ შექმნილ „საქართველოს სსრ ქალაქებისა და სოფლების ისტორიის განყოფილებას". ისევე, როგორც შრომითი კოლექტივების ისტორიის განყოფილების შექმნა ინსტიტუტში შემზადებული იყო მასში ადრეც XIX—XX სს. ეკონომიკური ისტორიის (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება) ინტენსიური შესწავლით, ასევე „ქალაქებისა და სოფლების ისტორიის განყოფილების" შექმნას წინ უსწრებდა ინტენსიური მუშაობა ინსტიტუტში ქალაქ თბილისის ისტორიის შესაქმნელად. ეს ნაშრომი სამ ტომად დაიწერა და პირველ ტომს მალე მიიღებს მრავალრიცხოვანი ხელისმომწერი. რაც შეეხება თვით განყოფილებას, იგი აგრძელებს ამ სამუშაოს და ამჟამად ძირითადად რესპუბლიკის მეორე დიდი ცენტრის — ქალაქ ქუთაისის ისტორიის შექმნით არის დაკავებული. იწერება ზოგი სხვა ქალაქისა და სოფლის ისტორიაც. აქაც ბევრი სამუშაოა ამ საქმის კოორდინაციისათვის: რესპუბლიკის მასშტაბით და მეთოდური დახმარების აღმოსაჩენად იმ მრავალრიცხოვანი ენთუზიასტებისათვის, რომლებიც ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ისტორიის შექმნისადმი ინტერესს იჩენენ და მასში მონაწილეობის მოსურნენი არიან.

მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატარებული განვლილი რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე ინსტიტუტში საქართველოს ახალი ისტორიის დარგში, წამყვანი ადგილი ამ მიმართულებით საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განეზისის პრობლემამ დაიკავა. ინსტიტუტში ორი ფართო მასშტაბის დისკუსიაც მოეწყო ამ პრობლემის ირგვლივ — 1954 და 1966 წლებში. მაშინ როდესაც მკვლევართა ერთი ჯგუფი ცდილობდა ეჩვენებინა კაპიტალისტური წყობის საკმაოდ ინტენსიური განვითარება როგორც ხელოსნობა-მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში უკვე XIX ს. რეფორმამდელ ხანაში, მეორენი (ზ. ანჩაბაძე, მ. დუნდუაძე) ხაზს უსვამდნენ ამ მოვლენების ხვედრითი წონის გაზვიადების საფრთხეს. საერთოდ ამ საკითხზე ინსტიტუტში ბევრი საყურადღებო ნაშრომი შეიქმნა და გამოქვეყნდა. მონოგრაფიულად არის შესწავლილი მატერიალური დოვლათის წარმოების ძირითადი სფეროები და დარგები, საქალაქო ცხოვრება, ძველი წოდებრივი ურთიერთობის რღვევა და ახალი კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, ვაჭრობის გაფართოება და ეროვნული ბაზრის შექმნა და სხვ. თანდათან ახალი წყობიერების ელემენტების მიგნება დაიწყეს უკვე XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში (ი. ანთელავა, ა. როგავა).

ინტენსიური ხასიათი მიიღო ამავე დარგში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლამ. გამოქვეყნდა ნაშრომები თერგდალეულთა, ხალხოსნების და სხვ. მიმდინარეობათა იდეოლოგიისა და საქმიანობის შესახებ. ინტენსიურად შეისწავლებოდა იმდროინდელი საქართველოს ქართული და რუსული პრესა.

ომის შემდგომი ათწლეულებისათვის ინსტიტუტის ისტორიაში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებზე მუშაობის მკვეთრ გაძლიერებასთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს ინტენსიური კვლევა-ძიების გაშლა საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობებისა სხვა ქვეყნებთან (კავკასიის ხალხები, რუსეთი, უკრაინა, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნები).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლას, როგორც ცნობილია, ინსტიტუტში დიდი წარსული აქვს (ნ. ბერძენიშვილი, მ. პოლიევექტოვი, ი. ცინცაძე). ეს პრობლემა აქტიურად მუშავდებოდა ინსტიტუტში აღნიშნულ პერიოდშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ურთიერთობის მასალების საყურადღებო პუბლიკაციები (გ. პაიჭაძე და სხვ.), რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. დროის ერთ მონაკვეთზე, უკრაინელ კოლეგებთან კონტაქტში, ინტენსიური მუშაობა გაიშალა საქართველო-უკრაინის კავშირების შესწავლის მიმართულებით, იმართებოდა გაერთიანებული სესიებიც, რომელთა მასალა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გამოქვეყნდა კიდეც სამ ტომად.

მისასალმებელი გარემოებაა, რომ უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობის საკითხების კვლევაც, გამოქვეყნდა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნი (ზ. ალექსიძე, გ. მაისურაძე, ი. აბდალაძე, გ. მაჭარაძე), თუმცა ამ მხრივ კვლევაძიება უცილობლად მეტ მასშტაბურობას მოითხოვს.

განსვენებული ზ. ანჩაბაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შედარებით ფართო ნასშტაბი მიიღო ინსტიტუტში კავკასიის მთიანეთის ხალხებთან ქართველი ხალხის ურთიერთობის საკითხების კვლევა-ძიებამ. შეიქმნა ნაშრომები საქართველო-ადიღეს, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური, საქართველო-ყაბარდოს, საქართველოს ჩეჩნეთ-ინგუშეთთან ურთიერთობის საკითხებზე. მათში წამყვანი შუა საუკუნეების პერიოდის მოვლენების შესწავლაა, თუმცა გვაქვს საინტერესო ნაშრომები უახლესი პერიოდიდანაც, მაგალითად, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების რევოლუციურ თანამეგობრობაზე (ა. ლეკაევა). უეჭველად სასარგებლო საქმე გაკეთდა ამავე პრობლემატიკაზე მომუშავე კოლექტივის მიერ „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევების“ შექმნით, რომლის ორი წიგნი უკვე გამოქვეყნდა (1969—1978 წწ.).

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში (1960 წ.) მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხების კვლევას უმთავრესი კერაც ჩვენს ინსტიტუტში იმყოფებოდა. განსაკუთრებით დიდი წვლილი ამ საქმეში შეიტანა განსვენებულმა ვ. გაბაშვილმა, რომლის ნაშრომებმა სპპატიო ადგილი დაიკავა ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში. დიდია ამ მხრივ ინსტიტუტის ძველი მუშაკის ვ. ფუთურიძის დამსახურებაც. თვით აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და მასში მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების შექმნის შემდეგაც ჩვენს ინსტიტუტში არ შეწყვეტილა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტის კვლევა, შეიქმნა კერძოდ არაერთი საყურადღებო წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი (რ. კიკნაძე, კ. ტაბატაძე, ბ. სილაგაძე, გ. ალასანია, და სხვ.).

უკანასკნელი ათეული წლების აქტივში უნდა ჩაითვალოს ინსტიტუტმა, უცილობლად, ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ახალი მასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების გამოვლენა და პუბლიკაცია. ამ მხრივ დიდად სასარგებლო მუშაობა ეკოლის აჩქვეშია და წიგნთსაცავებში ჩაატარა ი. ტაბაღუაშ, აგრეთვე ჯ. ვა-თეიშვილმა. ი. ტაბაღუას მრავალი პუბლიკაცია, რომელიც ამ მასალებისადმია მიძღვნილი, მნიშვნელოვანი მონაპოვარია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის. მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივმა კიდევ არაერთი საყურადღებო პუბლიკაცია მოამზადა და, ნაწილობრივ, გამოსცა კიდეც, რომელსაც ახალი მასალა შემოაქვს მიმოქცევაში საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებზე.

ბუნებრივია, საგრძნობ პროგრესს ჰქონდა ადგილი ამავე პერიოდში ინსტიტუტისათვის ადრინდელ ტრადიციული თემატიკის — ქვეყნის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის სფეროში. საყურადღებო ნაშრომები შეიქმნა ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების ისტორიის დარგში (დ. ხახუტაშვილი, ნ. ინაძე), ძველი ქართული რწმენა-წარმოდგენების აღსადგენად მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით (მ. ხიდაშელი), ქართველ ტომებში კლასობრივი საზოგადოებისა და პროტოფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობისა და განვითარების საკითხებზე (გ. მელიქიშვილი, გ. მამულია). შეიქმნა შემაჯამებელი ნაშრომი საქართველოს ძველი ისტორიის დარგში (გ. მელიქიშვილი). წინა პერიოდთან შედარებით უეჭველ სიახლეს წარმოადგენს 1965 წელს ინსტიტუტში ჩატარებული ფართო დისკუსიის შედეგად ძველი საქართველოს, ისევე, როგორც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების, სოციალურ-ეკონომიკური წყობილების შესახებ, მათი ერთათმფლობელური ხასიათის შესახებ, ადრე დამკვიდრებული თვალსაზრისის გადასინჯვა, ამ წყობილების როგორც სტადიალურად ადრეულსობრივისა და ტიპოლოგიურად პროტოფეოდალურად მიჩნევა. ქართველი სპეციალისტები, ამასთანავე, ცდილობდნენ თავისი ეს თვალსაზრისი აქტიურად დაეცვათ ამ საკითხების გარშემო მთელი კავშირის მასშტაბით და საზღვარგარეთის მარქსისტულ მეცნიერებაში მიმდინარე ფართო დისკუსიაში.

ძველი ისტორიის დარგში ინსტიტუტში თანდათან ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა მუშაობა აგრეთვე ცალკეული ახლოაღმოსავლური რეგიონების შესასწავლად — შეიქმნა საყურადღებო ნაშრომები ხეთურ — მცირეაზიული სამყაროსა და ურარტუს ისტორიაში (გრ. გიორგაძე, ედ. მენაბდე, ნ. ხაზარაძე, გ. მელიქიშვილი). მომზადდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აგრეთვე შუამდინარეთის უძველეს ისტორიაში და ეგვიპტოლოგიაში (ჯ. შარაშენიძე, მ. ხვედელიძე). მათი ნაშრომები უკვე იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას ჩვენი კავშირისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში.

უფრო მასშტაბური გახდა კვლევა-ძიება ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის დარგში. წამყვან როლს დიდხანს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პრობლემატიკა ინარჩუნებდა — შეისწავლებოდა ფეოდალური ხანის გლეხობა, ახნაურთა ფენა, ეკლესიის როლი ფეოდალურ ურთიერთობათა სისტემაში, სათავადოების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, ქართული ფეოდალური წყობილების თავისებურებანი კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპული ფეოდალიზმის ფონზე, მიწათმფლობელობისა და ფეოდალური გამოსაღებ-გადასახადების სისტემა, ქალაქები და საქალაქო წყობილება, საქართველოს ცალკეული რეგიონების როლი ფეოდალურ ურთიერთობათა ზრდა-განვითარებაში და სხვ. საყურადღებო ნაშრომები შეიქმნა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების და პოლიტიკური ისტორიის საკვანძო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენების შესახებ. დაიბეჭდა ნაშრომები სასვენდრო ისტორიის, აგრეთვე მთისა და ბარის ურთიერთობის დარგში. ბოლო დროს ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა გავითარების პერიოდიზაციის პრობლემა. მრავალი ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრების არსებობამ განაპირობა ამ საკითხის გარშემო ფართო დისკუსიის ჩატარება 1973 წელს. მისი მასალები გამოქვეყნდა საგანგებო კრებულში „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია“ (1980 წ.).

დიდად ნაყოფიერი იყო ეს წლები საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაშიც. საკმარისია აღინიშნოს; რომ დაიბეჭდა საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი (ახლა მზადდება ამ ნაშრომის ახალი კაპიტალური გამოცემა) და 6 წიგნი სერიისა „ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ“ (თ. ყაუხჩიშვილი), გამოქვეყნდა არაერთი წიგნი, მიძღვნილი ამა თუ იმ ანტიკური ხანის ავტორის ცნობებისადმი საქართველოს შესახებ (ალ. გამყრელიძე, ნ. კეკაყმაძე, ნ. ლომოური, თ. მიქელაძე და სხვ.).

საერთოდ, საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროებს ყურადღება ამ პერიოდში არ მოკლებია. ინსტიტუტთან ერთად ამ დარგში სასარგებლო სამუშაოს ეწეოდა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ჯერ საქართველოს უცხოური წყაროების კომისია (ხელმძღვანელი — აკად. გ. წერეთელი), რომელმაც 1960—1975 წწ-ში 40-ზე მეტი წიგნი გამოსცა, ხოლო შემდეგ საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია (ხელმძღვანელი — აკად. შ. ძიძიგური). ძველ ბერძნულ და რომაულ წყაროებთან ერთად გამოიცა საქართველოს ისტორიის სპარსული, არაბული, თურქული, სომხური და სხვა წყაროები.

უკანასკნელ დროს იგრძნობა სასურველი ტენდენცია ადგილობრივ, ქართული წყაროების შესწავლაზე მუშაობის გაცხოველებისა. საგანგებო კვლევის საგანი გახდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ზოგი თხზულება და მისი ცალკეული ნუსხები, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ფარსადან გორგიჯანიძის და სეხნია ჩხეიძის თხზულებები და სხვ. გამოიცა „ქართლის ცხოვრების სიმფონიის“ ორი ნაკვეთი. მუშაობა წარმოებს XIX ს-ის ეპისტოლარული ძსასაის შესწავლაზე, არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, მეტროლოგიის, პალეოგრაფიის, ისტორიული ტერმინოლოგიის, ტექსტოლოგიის, ქრონოლოგიის საკითხებს. ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ წამოწყებული დიდი სამუშაოს „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ მრავალტომეულის მომზადებაში. პირველი ნაბიჯები გადაიდგა, ცალკეული ენთუზიასტების მეოხებით (მ. ჩხარტიშვილი, გ. ალასანია, მ. დუმბაძე), ისტორიული ტექსტების მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით დამუშავებისათვის და ელექტრო-გამომთვლელ მანქანებში მათი ინფორმაციის ჩასართავად.

ჩვენი ისტორიის ტრადიციული დარგია საისტორიო გეოგრაფიაც. ამ დარგში მუშაობამ დიდი გაქანება მოიპოვა ინსტიტუტში მნიშვნელოვანწილად იმ დიდი ენთუზიაზმის გამო, რომელიც მისდამი გამოიჩინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც იგი სათავეში ედგა ინსტიტუტს (1947—1965 წწ.). ამ წლების მანძილზე მისი ხელმძღვანელობით ეწყობოდა სისტემატიური ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციები, მომზადდა ამ დარგის ენთუზიასტ-მკვლევართა მთელი წყება, რომელთაც შემდეგ ნაყოფიერად განაგრძეს მუშაობა ამ დარგში. დღეისთვის ამ თვალსაზრისით, შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება ითქვას, მთლიანად შესწავლილია საქართველოს ისტორიული პროვინციები: შიდა და ქვემო ქართლი, ჯავახეთი, თორი, ნაწილობრივ, კახეთი, სამცხე, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ხევი, თუშეთი და სხვ. მიგნებულია ასეულობით უძველესი წინაფეოდალური და ფეოდალური ხანის ნამოსახლარი, ეკლესია-მონასტრების, სასახლეების, ციხე-სიმაგრეების ნაშთები. შესწავლილია არაერთი რეგიონისა და ისტორიულად არსებული პოლიტიკური ერთეულის თავგადასავლის ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები. კოლექტივის დიდ მიღწევას წარმოადგენს „საქართველოს ისტორიული ატლასის“ შექმნა, რომელიც 60-ზე მეტ რუკას მოიცავს. მისი გამოქვეყნება ეიდი მნიშვნელობის მოვლენა იქნება როგორც რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის.

უკანასკნელი ათული წლები აღინიშნა აგრეთვე არქეოლოგიური სამუშაოების მასშტაბურობის მკვეთრი ზრდით. ამას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ახალშენებლობაზე სამუშაოების გაშლამ და მისმა საკალდებულო წესით დაფინანსებამ სამუშაოთა მწარმოებელი უწყებების მიერ. იმ მრავალრიცხოვანი ექსპედიციების უბრალო ჩამოთვლაც კი, რომლებიც იკვლევენ ქვისა და ადრელითონების ხანის, ბრინჯაო-ადრეკრკინის ხანის, ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის ძეგლებს, შეეძლებელია ერთ მოხსენებაში (სტატიაში) — მარტო მას დასჭირდებოდა მისთვის განკუთვნილი მთელი მოცულობა. აქ შეიძლება მხოლოდ არქეოლოგიური კვლევის ზოგიერთ შედეგზე შევჩერდეთ და დავასახელოთ ცალკეული მნიშვნელოვანი პუბლიკაციები გარდა ზემოთ უკვე მოხსენიებული არქეოლოგიური პერიოდული გამოცემებისა, თემატიკური კრებულებისა და დიდი ექსპედიციების მრავალტომიანი „შრომებისა“. ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის ძეგლების შესწავლას მიეძღვნა მონოგრაფიები: გ. გრიგოლიასი, ნ. ბერძენიშვილის, მ. ნიორაძის, მ. გაბუნიასი, ზ. წერეთლის, ლ. ნებიერიძის, კ. კალანდაძისა და სხვ. ენეოლით-ადრებრინჯაოს ძეგლებია გამოკვლეული გ. გობეჯიშვილის, ტ. ჩუბინიშვილის და ა. კუშნარიოვას, გ. ფხაკაძის, გ. მირცხულავას, ალ. ორჯონიკიძის მონოგრაფიულ ნაშრომებში. შუა ბრინჯაოს ხანის შესწავლის დარგში მნიშვნელოვანი მოვლენაა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ივრისა და ალაზნის აუზში ამ ეპოქის ნამოსახლარების აღმოჩენა. აქვე გაითხარა ათობით შუაბრინჯაოს ხანის სამარხი. ასევეე მნიშვნელობის მოვლენაა მტკვარ-არაქსის ცნობილი ადრებრინჯაოს კულტურაში ორი ეტაპის — მარტყოფული და ბედენური ეტაპების გამოყოფა, ისევე როგორც შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის გენეტიკური კავშირის მიგნება. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის უარგლებში შეისწავლებოდა ქრონოლოგია-პერიოდიზაციისა და ჩვენი ამ დროის კულტურების ურთიერთობის საკითხები ახლოობელი ქვეყნების არქეოლოგიურ კულტურებთან. ამ ეპოქის კულტურებისადმი მიძღვნილ ნაშრომებიდან შეიძლება დავასახელოთ გ. ლომთათიძის, რ. ამრამიშვილის, ალ. კალანდაძის, ნ. თუშიშვილის, ალ. რამიშვილის, ლ. სახაროვას, კ. ფიცხელაურის, ო. ღამბაშიძის, ლ. წითლანაძის, შ. ჩართოლანის, მ. ბარამიძის, ლ. კობაიძის და სხვათა პუბლიკაციები.

საყოველთაოდ არის ცნობილი ვანში, ბიჭვინთაში და მცხეთაში გამოვლენილი ანტიკური ხანის ბრწყინვალე ძეგლები, რომელთა შესწავლის შედეგებს მიეძღვნა ზემოდასახელებული მრავალტომიანი სერიები. ამას გარდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლების მასალას ეხება ა. აფაქიძის, ო. ლორთქიფანიძის, გ. ლორთქიფანიძის, გ. დუნდუას და სხვ. საყურადღებო მონოგრაფიები. კოლხეთის ანტიკური ხანის არქეოლოგიაში მომუშავე კოლექტივი გულდასმით სწავლობს ბერძნული კოლონიზაციის პროცესს შავიზღვისპირეთში და მისი ინიციატივით პერიოდულად წყალტუბოსა თუ გელათსა და ვანში იკრიბება საკავშირო სიმპოზიუმები ამ პრობლემატიკის განსახილველად. კოლხეთის და ნაწილობრივ იბერიის ანტიკური ხანის კლიტიკის ძეგლებს საყურადღებო ნაშრომები უძღვნა მ. ლორთქიფანიძემ.

შუა საუკუნეების ხანის არქეოლოგიის დაწინაურებაში დიდია განსვენებულ გ. ლომთათიძის ღვაწლი, მის შემდეგ კი ბევრი რამ გაკეთდა ი. გრძელიშვილის, ვ. ჯაფარიძის, ა. ბოხოჩაძის, ვ. ჯაფარიძის, ბ. ჯორბენაძის გ. ცქიტიშვილის, გ. ნასიძის, ნ. უგრელიძის, მ. მიწიშვილის, მ. ჩხატარაშვილის, ნ. ბამაიაშვილის, თ. არჩვაძის, ჯ. ჯღამაიას, ნ. მირიანაშვილის, ჯ. ამირანაშვილის, ო. ტყეშელაშვილის და განსაკუთრებით რ. რამიშვილის მიერ, რომელიც სათავეში უდგას ქონალის დიდ არქეოლოგიურ ექსპედიციას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ ეპოქის მასალების შესასწავლად გამიზნული ექსპედიციები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ (დაღესტანში, მოსკოვის დონის მონასტერში), რომელსაც გ. ღამბაშიძე ხელმძღვანელობს. ამ ეპოქის ნუმიზმატიკური მასალების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ირ. ჯალაღანიას. გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა არის განხილული თ. მიქელაძის გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

არქეოლოგთა კოლექტივი ადრიდანვე დიდ ინტერესს იჩენს თავის კვლევა-ძიებაში სპეციალისტიკველი და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების მიმართ. ამჟამად ამ სიმართულებით ოთხი სხვადასხვა ჯგუფი ეწევა მუშაობას: არქეოლოგიური ტექნოლოგიის ჯგუფი, ფიზიკოსთა ჯგუფი, პალეობიოლოგთა ჯგუფი და ტრასოლოგთა ჯგუფი. ჰყავს ენთუზიასტები აგრეთვე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენების საქმეს.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ამჟამად ხელი მოჰკიდა დიდ სამეშაოს — „საქართველოს არქეოლოგიის“ მრავალტომეულის გამოცემას. უკვე მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა პირველი სამი ტომი, რომელიც საქართველოს ქვის, ენოლით-ადრებრინჯაოსა და შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისადმი მიძღვნილი.

ომის შემდგომ ათწლეულში მასშტაბური გახდა მუშაობა ეთნოგრაფიის დარგშიც. ბევრი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა ძველი, ტრადიციული მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის შესწავლის სფეროში. მათ შორის უნდა დავასახელოთ სახვნელი იარაღებისადმი მიძღვნილი ნაშრომები აკად. გ. ჩიტაიასი, ნ. ბრეგაძის „მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში“ და მისივე „Очерки по агроэтнографии Грузии“, ლ. ბერიაშვილის „ტრასული მიწათმოქმედება მესხეთში“, ჯ. რუხაძის „ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში“, მ. გეგეშიძის „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში“, მევენახეობა-მეღვინეობისადმი მიძღვნილი ნაშრომები ლ. ფრუტიძისა, ლ. გაბუნიასი და ა. ლეკიაშვილის, ნ. თოფურიას „მატერიალური კულტურის ისტორიიდან“, თ. ცაგარეიშვილის „მესაქონლეობა ქვემო ქართლში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. რობაქიძის ნაშრომი „მეფუტკრეობა საქართველოში“, ნ. აბესაძის „მეაბრეშუმეობა საქართველოში“ საგანგებო შესწავლის საგანი იყო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები (ა. რობაქიძის, რ. ხარაძის, ვალ. ითონიშვილის, გ. დავითაშვილის, ა. ქალდანის, გ. გეგეჭკორის ნაშრომები). გამოქვეყნდა ს. ბედოეკაძის „წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში“, მ. გეგეშიძის „ქართული ხალხური ტრანსპორტი“, შეისწავლებოდა ქართული ხალხური ტანსაცმლის სპეციფიკა.

სოციალურ-ურთიერთობათა პრობლემატიკიდან შეისწავლებოდა: ეთნიკური პროცესები, შიდა მიგრაცია, მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა. მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები, ურთიერთდახმარების ფორმები, სტუმარმასპინძლობის ტრადიციები, ნათესაობის სისტემა, საქორწინო წეს-ჩვეულებები, საოჯახო ყოფა, ამანათობა, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა. ამ პრობლემატიკას ეხება მრავალი მონოგრაფია (ვ. ბარდაველიძის, ა. რობაქიძის, რ. ხარაძის, ვალ. ითონიშვილის, ნ. აბესაძის, რ. თოფჩიშვილის, ვახტ. ითონიშვილის, ი. ჭყონიას, მ. ბექაიას, ნ. მაჩაბელის, ლ. მელიქიშვილის, თ. ივერსაშვილის ნ. ჯავახიძის, ს. ბახიას, მ. კანდელაკის, ჟ. ერიოშვილის და სხვ. ნაშრომები).

რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს ვ. ბარდაველიძის ბრწყინვალე ნაშრომების შემდეგ მომდევნო ხანებში შეეხატა მისი მოწაფეების თ. ოჩიაურის, ჯ. რუხაძის, ნ. თოფურიას საინტერესო ჰუბლიკაციები, ნ. ბრეგაძის, ჟ. ერიოშვილის, მ. კანდელაკის, დ. გიორგაძის, ა. ლეკიაშვილის, ი. სურგულაძისა, გ. კოპალეიშვილის, ნ. ამაკელიას, ე. ჩუბინიშვილის და სხვ. საყურადღებო ძიებანი.

ხალხური მედიცინისა და ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას ინსტიტუტში ძველი ტრადიციები აქვს. 40-იან წლებში და 50-იანის დასაწყისში მასში არსებობდა საგანგებო განყოფილებაც, რომლებიც ამ საკითხებს სწავლობენ. პირველს ხელმძღვანელობდა მ. საკაშვილი, ხოლო მეორეს — დ. არაყიშვილი (მის შემდეგ — შ. ასლანიშვილი, აქვე მუშაობდა გრ. ჩხიკვაძე). ამკამად ორივე ამ პრობლემაზე სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში მუშაობენ მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომელთაც ნ. მინდაძე და ნ. მაისურაძე ხელმძღვანელობენ. გამოქვეყნებული პროდუქციიდან შეიძლება დავასახელოთ ნ. მინდაძის „ქართული ხალხური მედიცინა“ (1982 წ.), გრ. ჩხიკვაძის „ქართული ხალხური სიმღერა“, თ. მამალაძის „შრომის სიმღერები კახეთში“ (ორივე — 1960 წ.), ნ. მაისურაძის „აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა“ (1971 წ.), მ. შილაკაძის „ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა“ (1970 წ.) და სხვ.

1961 წლიდან, როდესაც ინსტიტუტში ჩამოყალიბდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება (ხელმძღვანელი — ა. რობაქიძე), მკვეთრად გაძლიერდა მეზობელი კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიის შესწავლა. შეიქმნა სერია „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, რომლის საგანგებო ნაკვეთები მიეძღვნა ვეინახების და ოსების ეთნოგრაფიულ შესწავლას. ამათ გარდა ჩატარებული მუშაობის შედეგები აისახა ცალკეულ მონოგრაფიებში (ვალ. ითონიშვილი, ბ. გამყრელიძე, გ. გეგეკკორი, ლ. მარგოშვილი, ა. შავხელიშვილი, მ. ქანთარია). ეს კოლექტივი ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ამიერკავკასის და, მათ შორის, თვით საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე არაქართული ჯგუფების შესწავლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ქურთები) (თ. ჩიქოვანი, ლ. ფაშაევა, ას. ბახია და სხვ.). ამჟამად განყოფილება ინტენსიურად მუშაობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოგრაფიული პარალელების შესწავლაზე.

ბუტად მცირეიცხოვანი, მაგრამ დიდად ეფექტური და შედეგიანი ჩანს ანთროპოლოგთა კოლექტივი. გარდა მრავალრიცხოვანი კრებულებისა, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე დავასახელეთ, გამოქვეყნდა არაერთი მონოგრაფია, უპირველეს ყოვლისა განყოფილების ხელმძღვანელის მ. აბდუშელიშვილისა. განყოფილების საექსპედიციო მუშაობას მასშტაბურობა ახასიათებს. ანთროპი-სომატოლოგიურად შესწავლილია ქართველების, სომხების, ადიღეველების, ყაბარდოელების, ოსების, აფხაზების, ებრაელების, ბერძნების, აბაზინელების, ჩერქეზების, ასურელების, ეზიდების, ქისტების, აზერბაიჯანელების, ყარაჩაელების, ბალყარელთა, ჩეჩნების, ინგუშების, უდების, ნოღაელების და სხვ. ჯგუფები.

ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს, განათხარი მასალის საფუძველზე, პალეოანთროპოლოგიის დარგში. ხორციელდება დერმატოგლიფიკური და ოდონტოლოგიური ექსპედიციები, რომელთა მიერ გამოკვლეულია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული და არაქართული ყველა ეთნიკური ჯგუფი.

მ. აბდუშელიშვილის მუშაობისა და მაღალი კვალიფიკაციის აღიარებაა ის, რომ იგი წლების მანძილზე სათავეში ედგა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივ ანთროპოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც მუშაობა აწარმოა ინდოეთის არაერთ შტატში, შეისწავლა 46 ჯგუფი და საფუძვლიანი გამოკვლევაც გამოსცა ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტში მიმდინარეობდა ინტენსიური სასესიო მუშაობა. თითქმის ყოველწლიურად ეწყობოდა საინსტიტუტო სესია და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სესია, უკანასკნელ დროს ასევე ყოველწლიურად ტარდებოდა სესიები არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და წყაროთმცოდნეობის დარგში. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, რესპუბლიკურ და ზოგჯერ საკავშირო ხასიათსაც ატარებდნენ — მასში მომხსენებლების სახით მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისა და სსრკ სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები. მაგრამ ინსტიტუტის თაოსნობით ჩატარდა აგრეთვე საკუთრივ არაერთი საკავშირო და საერთაშორისო სესია, კონფერენცია, სიმპოზიუმი თბილისში ან რესპუბლიკის რომელიმე სხვა ქალაქში. 1971 წ. შედგა V საკავშირო სამეცნიერო სესია ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში და საკავშირო ყოველწლიური არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული სესია. 1981 წ. მოეწყო საკავშირო კონფერენცია, სხვა სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტების მონაწილეობით თემაზე, „ინტელიგენცია და რევოლუცია. XX საუკუნე". ოქტომბრის რევოლუციის საკავშირო საორდინაციო საბჭოსთან ერთად ჩატარდა კიდევ რამოდენიმე ასეთი სესია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩაატარა მთელი წყება საკავშირო თემატიკური კონფერენციებისა, რომლებიც არქეოლოგიის ამ თუ იმ პრობლემას მეეძღვნა. 1981 წ. კი სსრკ არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად ჩატარდა თბილისში გამართული V არქეოლოგიური ყრილობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენცია. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილი ოთხი საკავშირო კონფერენციის შესახებ (წყალტუბო, გელა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი — ვანი) ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. 3 გაერთიანებული სესია მოეწ-ყო უკრაინელ სპეციალისტთან ერთად თბილისში, კიევში და ბათუმში. თბილისში შედგა კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხისადმი მიძღვნილი საკავ-შირო კონფერენცია. სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ჩატარდა 1983 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია. სესიები იმართებოდა ჩვენი დიდი მოღვაწეების ხსოვნის ან ჩვენი ქვეყნის ცხოვრე-ბაში მომხდარი დიდი მოვლენების აღსანიშნავად. კერძოდ, სესიები მიეძღვნა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის გ. ნიორაძის, შ. მესხიას, ი. ანთელავას, ვ. ბარდაველიძის, მ. გეგეშიძის, ვ. დონდუას, ს. კაკაბაძის, რ. ხარაძის, ალ. ცალანდაძის და სხვ. ხსოვნას.

თავის მხრივ, ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებ-დნენ — მოხსენებებით გამოდიოდნენ სსრკ სხვა სამეცნიერო ცენტრებსა და საზღვარგარეთ გამართულ საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუ-მებში. დაწყებული ვენაში გამართული ისტორიულ მეცნიერებათა XII კონ-გრესიდან ჩვენი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ დღემდე შემდგარ ყველა ამგვარ კონგრესში (XIII — მოსკოვი, XIV — სან-ფრანცისკო, XV — ბუქა-რესტში, XVI — შტუტგარტი). 1964 წლის მოსკოვის კონგრესიდან დაწყე-ბული ჩვენი სპეციალისტები წარმოდგენილი არიან ანთროპოლოგიურ და ეთნოლოგიურ მეცნიერებათა ყველა კონგრესზე (1968 წ. — ტოკიოსა და კიოტში, 1973 წ. — ჩიკაგოში და ა. შ.) ინსტიტუტის მუშაკებმა მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესებში, დაწ-ყებული 1957 წ. მიუნხენის და 1960 წ. სტოკჰოლმის კონგრესებიდან. ისინი მონაწილეობდნენ ბიზანტიოლოგთა, კლასიკური არქეოლოგიის, სოციოლოგიის, პრეისტორიულ მეცნიერებათა, საზოგადოება „ეირენეს“, ეკონომისტების, ხელოვნებათმცოდნეობის, განმანათლებლობის, ასირიოლოგთა და სხვ. კონგრე-სებსა და კონფერენციებში. საზღვარგარეთის არქივებსა და წიგნსაცავებში სამუშაოდ, ლექცია-მოხსენებების წასაკითხად და სხვ. მივლენებული იყო ინსტიტუტის არაერთი თანამშრომელი.

ინსტიტუტში სტუმრად და სამუშაოდ იყვნენ სპეციალისტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ერთ-ერთმა მათგანმა — უნგრელმა მეცნიერმა ლაიოშ ტარდიმ ინსტიტუტს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დი-სერტაცია თემაზე „უნგრეთ-საქართველოს ისტორიული კავშირები“. ინსტი-ტუტის სამეცნიერო საბჭოში ანიუბდნენ სამეცნიერო ხარისხებს სსრკ და მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობა-სა და ისტორიოგრაფიის დარგებში. დისერტაციები დაიცვეს ასეულობით მეცნიერ მუშაკებმა არა მარტო ინსტიტუტისა და რესპუბლიკის სხვა სამეც-ნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებებიდან, არამედ მოსკო-ვიდან, ლენინგრადიდან, ბაქოდან, ერევნიდან, ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა სამეცნიერო ცენტრიდან. ბევრმა მათგანმა საასპირანტო ანდა მაძი-ებლისათვის საჭირო მომზადება თვით ინსტიტუტისავე კედლებში გაიარა და სადისერტაციო ნაშრომიც აქ მოამზადა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, არც თუ ისე მცირეა ინსტიტუტის წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადებაში არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ კავკასიისათვის საერთოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Л. И. МГАЛОБЛИШВИЛИ

К ИСТОРИИ ФОРМИРОВАНИЯ И РАЗВИТИЯ ТЕХНИЧЕСКИХ НАУК В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Развитие научных и прикладных знаний в Грузии имеет древние традиции[1]. Однако, несмотря на давнюю историю, в дореволюционной Грузии научная и техническая мысль развивалась слабо. Накануне революции здесь было всего несколько научных учреждений. Единственным учебным заведением для подготовки кадров с высшим техническим образованием был Тбилисский политехнический институт, начавший функционировать с 1917 года[2].

Победа Великой Октябрьской социалистической революции и установление Советской власти в Грузии создали самые благоприятные условия для развития науки и подготовки национальных кадров интеллигенции. Первым центром их воспитания и очагом научно-исследовательской работы стал Тбилисский государственный университет, организованный в 1918 году группой выдающихся ученых во главе с крупным историком Грузии И. А. Джавахишвили.

В Тбилисском университете была заложена основа и для подготовки национальных кадров технической интеллигенции. Здесь в 1922 году был открыт политехнический факультет, организаторами которого были передовые деятели науки и техники Грузии Н. И. Мусхелишвили, А. И. Дидебулидзе, Г. А. Цулукидзе, А. М. Размадзе, Г. Н. Николадзе, А. К. Харадзе, В. М. Какабадзе, А. А. Твалчрелидзе, Г. К. Гедеванишвили, Г. М. Мухадзе и др. В 1928 году политехнический факультет объединился с Тбилисским политехническим институтом, в результате чего был создан Грузинский государственный политехнический институт им. В. И. Ленина. После ряда реорганизаций был образован нынешний Грузинский политехнический институт им. В. И. Ленина, превратившийся за годы Советской власти в подлинную кузницу национальных инженерных кадров[3]. Необходимо отметить, что до развертывания работы в высших учебных заведениях значительную роль в решении многих технико-экономических вопросов, разработке грузинской технической терминологии, а также в организации среднего и высшего технического

---

[1] О развитии науки в Грузии см.: Н. И. Мусхелишвили. Наука в Советской Грузии (Тб., 1961); Наука в Советской Грузии (в кн.: Ленин и современная наука, М., 1970); И. Н. Векуа. Наука в Советской Грузии (в кн.: Наука Союза ССР. 1922—1972. М., 1972); Е. К. Харадзе. Наука Советской Грузии (в кн.: Советская наука: итоги и перспективы. 1922—1982. М., 1982); А. Н. Тавхелидзе. Наука и техника Советской Грузии (в кн.: Наука и техника СССР. 1917—1987. Хроника, М., 1987).

[2] Наука в Советской Грузии за 25 лет (на груз. яз.), V, Техника, Тб., 1946, с. 5.

[3] Грузинский политехнический институт им. В. И. Ленина, Тб., 1972, с. 7, 8.

образования в Грузии сыграло Грузинское техническое общество, основанное группой инженеров в 1917 году[4].

Следуя взятому в стране курсу на максимальное приближение науки к производству и удовлетворение потребностей социалистического строительства. Коммунистическая партия и правительство Грузии с первых дней установления Советской власти приступили к осуществлению широкой программы восстановления и развития народного хозяйства молодой республики. Для этого она располагала богатыми энергетическими ресурсами, большими запасами марганца и угля, множеством рудных и нерудных месторождений, строительными материалами и др. Разработка и освоение природных ресурсов Грузии потребовали в первую очередь решения многих научно-технических проблем.

Исходя из нужд и потребностей народного хозяйства, с учетом специфики республики уже за первое десятилетие существования Советской власти в Грузии была создана широкая сеть научно-исследовательских учреждений, подведомственных наркоматам и хозяйственным организациям (институты минерального сырья, сооружений, химии, геологии, геофизики и др.)[5].

С 30-х годов Академия наук СССР приступила к организации своих филиалов в союзных республиках. Тогда же был образован в Тбилиси Закавказский филиал АН СССР с тремя отделениями. Впоследствии Грузинское отделение преобразовывается в Грузинский филиал АН СССР, вскоре превратившийся в крупный научный центр[6].

В годы довоенных пятилеток (1929—1940) развитие советской науки теснейшим образом было связано с осуществлением широкой программы индустриализации страны. Достигнутый в те годы уровень научно-технического потенциала в Грузии, наличие квалифицированных инженерных кадров способствовали осуществлению взятого и в республике курса на социалистическую индустриализацию.

В 1941 году на базе Грузинского филиала АН СССР и ряда научно-исследовательских учреждений, существовавших при Тбилисском университете, была основана Академия наук Грузинской ССР. Первым ее президентом был избран выдающийся советский математик и механик Н. И. Мусхелишвили, который бессменно руководил академией более 30 лет.

В период Великой Отечественной войны, совпавший с первыми годами существования Академии наук, усилия ее научных учреждений, высших учебных заведений и отраслевых институтов, как и научных и учебных организаций всей страны, были направлены на решение вопросов, связанных с удовлетворением потребностей фронта и тыла.

Особенно возросла роль науки в период восстановления и дальнейшего развития народного хозяйства СССР в послевоенные годы.

Широкомасштабные задачи уже первых лет послевоенного периода требовали дальнейшего развертывания работ по освоению

---

[4] Наука в Советской Грузии за 20 лет (на груз. яз.). Тб., 1941, с. 151.

[5] Академия наук СССР и развитие грузинской науки. 1724—1974, Тб., 1974, с. 95—136.

[6] Л. И. Мгалоблишвили, К истории организации и развития науки в Советской Грузии, в журн.: «Вопросы истории, естествознания и техники». М., 1987, № 4, с. 19.

природных ресурсов Грузии, их максимального использования для расширения энергетической базы, развития горнодобывающей, металлургической, химической, машиностроительной и других отраслей промышленности. Новые задачи и масштабы работы вызвали необходимость углубления научно-исследовательских работ в области энергетики, горной науки, металлургии, а в последующие годы и в других направлениях технических наук.

Решению указанных задач значительно способствовала организация в начале 1946 года в составе Академии наук ГССР Отделения технических наук. Первоначально в него входили Сектор энергетики (с 1947 года — Институт энергетики), Бюро антисейсмического строительства (с 1947 года — Институт строительного дела) и созданный в 1945 году Институт металла и горного дела[7]. Позднее из последнего выделились академические институты горного дела, металлургии, прикладной химии и электрохимии, машиноведения и отраслевой Институт строительных материалов[8]. Вопросами подготовки высококвалифицированных кадров интенсивно занимались высшие учебные заведения (политехнический и сельскохозяйственный институты и институт железнодорожного транспорта).

В 50-е годы, явившиеся началом периода научно-технической революции, в стране быстрыми темпами развиваются исследования в области электроники, автоматики и вычислительной техники.

Новые направления в области технических наук в этот период развились и в Грузии. Здесь были организованы отраслевые научно-исследовательские и проектно-конструкторские институты приборостроения, средств автоматизации и автоматизации производственных процессов с экспериментальными базами в Тбилиси, Кутаиси, Гори и Рустави. В системе АН ГССР были созданы Институт электроники, автоматики и телемеханики и Вычислительный центр, а несколько позднее — первый в СССР Институт кибернетики. Кроме того, в эти годы был образован и ряд других отраслевых институтов в области машиностроения и электротехники[9].

Таким образом, к началу 60-х годов в Грузии сеть академических и отраслевых научно-исследовательских учреждений, работающих в области технических наук, значительно выросла, расширилась проблематика научных исследований. Отделение технических наук АН ГССР объединяло уже такие научные направления, как энергетика, строительное и горное дело, машиноведение, электроника, автоматика и телемеханика, прикладная химия и электрохимия, металлургия.

В организации НИИ, формировании научных направлений, в подготовке научных кадров в области технических наук, как и в ряде других областей, большую помощь республике оказала Академия наук СССР и ее институты.

В 60-е годы, характеризующиеся бурным развитием советской науки и техники, в стране осуществляется ряд крупных организационно-структурных мероприятий по усилению координации и совершенствованию системы государственного планирования научно-исследовательских и опытно-конструкторских работ[10].

---

7 ЦА АН ГССР, д. 552, с. 81.

8 ЦА АН ГССР, д. 1724, с. 13, 161; д. 1949, с. 101.

9 ЦА АН ГССР, д. 1610, с. 134—140; д. 2120, с. 318.

10 ЦА АН ГССР, д. 2658, с. 29—313.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В эти годы проводится реорганизация в системе АН СССР и академий наук союзных республик, в результате которой госкомитетам по отраслям промышленности и другим ведомствам был передан и ряд институтов технического профиля АН ГССР[11]. Это привело к неоправданной ликвидации Отделения технических наук, что в свою очередь затормозило развитие фундаментальных исследований в этой области. В середине 60-х годов институты технического направления (кроме Института энергетики) были возвращены в систему АН ГССР[12]. Они вошли в состав созданных в период реорганизации двух новых отделений — Отделения прикладной механики и процессов управления и Отделения химии и химической технологии.

Во второй половине 60-х и начале 70-х годов в стране были осуществлены мероприятия по усилению интеграции науки с производством, одной из эффективных форм которой явилась организация научно-производственных объединений (НПО). Первые научно-производственные объединения в Грузии были созданы в начале 70-х годов, а в настоящее время в республике успешно функционируют 16 таких объединений.

Образовавшийся в стране на рубеже 70—80-х годов механизм торможения социально-экономического развития отрицательно сказался и на сфере науки. Период этот характеризовался отставанием научно-исследовательских работ от потребностей народного хозяйства, отсутствием должной глубины постановки фундаментальных проблем, недостаточной комплексностью исследований, низкой эффективностью научных разработок.

Необходимо подчеркнуть, что в рассматриваемый период грузинской партийной организацией были предприняты эффективные шаги по преодолению в республике механизма торможения, в том числе и по значительному улучшению партийного руководства развитием науки и научно-технического прогресса[13].

В формировании и развитии ряда направлений технических наук значительную роль сыграли фундаментальные исследования всемирно известной грузинской школы математиков и механиков, работы грузинской школы геологов, а также результаты исследований ученых республики в других областях естественных наук. Установившиеся в течение ряда лет тесные связи между указанными отраслями знаний способствовали их взаимному обогащению и развитию.

Ныне в республике имеется широкая сеть академических и отраслевых институтов, научных подразделений высших учебных заведений и промышленных предприятий, которые успешно ведут научно-исследовательские работы во многих областях технических наук.

Развитие научно-исследовательских работ в области энергетики в Грузии тесно связано с ее электрификацией. Исследования в этом направлении начались еще на политехническом факультете Тбилисского университета. Первым научным учреждением, в котором разрабатывались вопросы энергетики, был Закавказский инсти-

---

11 ЦА АН ГССР, д. 2658, с. 33—36.

12 ЦА АН ГССР, д. 2932, с. 121; д. 2991, с. 26, 27.

13 Л. И. Мгалоблишвили. О некоторых важных этапах повышения роли грузинской науки в ускорении научно-технического прогресса (на груз. яз.). Известия АН ГССР, Серия истории, 1986, № 4, с. 17—23.

тут сооружений. В дальнейшем работы в этой области развернулись в системе Академии наук ГССР, Грузинском политехническом институте, ряде отраслевых научных учреждений и проектных организаций республики.

Большая заслуга в зарождении и становлении научных направлений и подготовке национальных кадров в области энергетики принадлежит А. И. Дидебулидзе, который является и автором первых книг по электротехнике, изданных на грузинском языке[14].

Уже в первые десятилетия Советской власти в Грузии были достигнуты значительные успехи в разработке основных проблем горной гидроэнергетики и, в частности, проблем, связанных с сооружением мощных ГЭС в горных условиях (М. А. Мостков, П. Г. Шенгелия и др.)[15].

В результате выполненных научных, проектных и строительных работ к концу 1940 года в республике действовали 8 мощных электростанций и 28 малых гидростанций[16]. Общая выработка электроэнергии в Грузии в 37 раз превышала уровень 1913 года[17].

Значительную роль в строительстве электростанций и сетей высокого напряжения сыграли результаты исследований в области электротехники, позволившие решить ряд сложных научно-технических проблем.

К концу 50-х годов учеными республики были получены первые результаты теоретических исследований по разработке такой важной для республики проблемы, как строительство высотных арочных плотин. В дальнейшем работы в этом направлении приняли широкие масштабы, что позволило грузинским ученым и инженерам в содружестве со специалистами из других республик Советского Союза в сложнейших геологических и сейсмотектонических условиях осуществить проектирование и строительство Ингурской гидроэлектростанции с уникальной арочной плотиной высотой в 271 м (первые два агрегата ГЭС пущены в 1978 году)[18]. В 1980 году мощность всех электростанций республики и вырабатываемая ими электроэнергия по сравнению с 1940 годом выросли более чем в 20 раз[19].

В Грузии выполнены значительные работы и по линии малой энергетики, главным образом в области электрификации сельского хозяйства.

Параллельно с освоением гидроэлектростанций в конце 30-х годов в республике были пущены и первые теплоэлектростанции — Тбилисская и Ткварчельская[20]. Исследования в области теплотехники развивались в основном по двум направлениям: использования местного низкосортного топлива и интенсификации режима работы паровых котлов.

---

14 Наука в Советской Грузии за 25 лет (на груз. яз.), V, техника, Тб., 1946, с. 12.

15 Академия наук СССР и развитие грузинской науки. 1724—1974, Тб., 1974, с. 119.

16 Наука в Советской Грузии за 20 лет (на груз. яз.). Тб., 1941, с. 123.

17 Наука в Советской Грузии за 40 лет (на груз. яз.). Тб., 1961, с. 274.

18 Подробнее см.: Г. И. Чоговадзе, И. М. Мгебришвили, И. Е. Ломов. Ингурская гидроэлектростанция. М., 1987.

19 ЦСУ ГССР. Народное хозяйство Грузинской ССР 1922—1982, Юбилейный статистический ежегодник, Тб., 1982, с, 72.

20 Г. И. Чоговадзе. Строительство гидроэлектростанций в Грузии (на груз. яз.), Тб., 1968, с. 22.

В послевоенные годы работы по технической теплофизике получили широкое развитие. Учеными республики были установлены закономерности интенсификации теплообмена методом двухмерной шероховатости, созданы эффективные тепловые насосы, нашедшие применение на чайных фабриках Грузии (В. И. Гомелаури и др.)[21].

Широкое развитие электрификации в республике обусловило высокие темпы электрификации железнодорожного транспорта. Научно-исследовательские работы, начатые в этой области еще в 50-х годах (в 1932 году впервые в СССР был электрифицирован Сурамский перевал), получили большой размах в послевоенный период, особенно когда в республике был создан крупный центр электровозостроения. Грузинскими учеными разработаны оригинальные методы расчета электротяговой сети, определения их оптимальных параметров, а также ряд других проблем, связанных с повышением эффективности работы систем энергоснабжения и электроподвижного состава (Л. Г. Абелишвили и др.). Характерно, что к 1970 году все 1400 км железнодорожных линий на территории республики были полностью электрифицированы[22].

За годы Советской власти, кроме рассмотренных, в Грузии решены и многие другие важные вопросы, относящиеся к различным отраслям энергетики.

В настоящее время основное внимание производственных, научных, проектных и конструкторских организаций сосредоточено на важнейших проблемах, решение которых будет способствовать дальнейшему развитию топливно-энергетического комплекса, играющего особую роль в обеспечении качественных изменений в экономике республики.

В Советской Грузии были созданы благоприятные условия для развития строительной науки. Исследования в этой области начались еще в Закавказском институте сооружений, а впоследствии получили широкое развитие в Институте строительного дела АН ГССР, Тбилисском научно-исследовательском институте энергетики и гидротехнических сооружений (ТНИСГЭИ), Грузинском политехническом институте и ряде других научных учреждений республики. С самого же начала, исходя из особенностей местных условий, особое внимание ученых было обращено на проблемы сейсмостойкости.

В 1928—1929 годах К. С. Завриев впервые предложил динамическую теорию сейсмостойкости, в корне отличную от господствующей в то время статической теории, разработанной японскими учеными. Эта теория в развитом и модифицированном виде принята в большинстве стран[23].

На основе проведенных теоретических и экспериментальных исследований в 40-х годах ученые разработали индустриальные методы изготовления легких бетонных и железобетонных конструкций.

Развитие строительной индустрии в условиях сейсмичности территории республики потребовали решения новых задач в области строительной механики. Еще в 30-е годы были получены значительные результаты по ряду классических вопросов строительной

---

[21] Грузинская ССР. Хроника основных событий, в кн.: Наука и техника СССР. 1917—1987. Хроника. М., 1987, с. 495.

[22] ЦСУ ГССР. Народное хозяйство Грузинской ССР. 1922—1982, Юбилейный статистический ежегодник. Тб., 1982, с. 136.

[23] Академия наук Грузинской ССР, Тб., 1981, с. 113.

механики: неразрезные балки, фермы, рамы, подпорные стены (Г. М. Мухадзе и др.)[24]. В дальнейшем из исследуемых в этой области проблем наибольшее развитие получили проблемы динамики сооружений, что было обусловлено необходимостью изучения их сейсмостойкости (К. С. Завриев, Ш. Г. Напетваридзе и др.)[25].

В Грузии успешно были решены теоретические вопросы строительной механики оболочек, касающиеся устойчивости, динамики и сейсмостойкости. К концу 40-х годов были завершены исследования по разработке динамической теории расчета оболочек с учетом сейсмических воздействий (О. Д. Окпишвили и др.)[26].

В связи с распространением полносборного строительства, начиная с 50-х годов, ученые республики на каждом этапе развития этого прогрессивного метода разрабатывали оригинальные способы расчета и конструирования зданий и сооружений в условиях повышенной сейсмичности. Эти работы нашли отражение во всесоюзных нормах сейсмостойкого строительства.

В 60-х годах в Грузии началась разработка вопросов строительства арочных плотин. В результате исследований создана комплексная методика их расчета на все виды нагрузок. При этом особое внимание обращено на динамический расчет арочных плотин.

В этот период были разработаны рекомендации по применению предварительно напряженных железобетонных конструкций в сейсмическом строительстве и опять же впервые правильно было объяснено поведение предварительно напряженных конструкций при действии динамической нагрузки (Э. А. Сехниашвили и др.)[27].

Выполнены значительные работы по микрорайонированию большого числа городов и площадок под строительство важных объектов, исследованы физико-химические и физико-механические свойства строительных и конструкционных материалов и др. Результаты этих работ внедрены в практику проектирования и строительства.

Институт строительной механики и сейсмостойкости АН ГССР является головной организацией по разработке проблем сейсмостойкости транспортных и других сетевых сооружений. В 1986 году по линии ЮНЕСКО при Академии наук ГССР создан международный центр сейсмостойкого строительства. Перед учеными республики в качестве перспективной поставлена задача создания единой теории математико-вероятностного сейсмодинамического расчета конструкций, зданий и сооружений и проверка этой теории на основе натурных экспериментов.

После установления Советской власти в Грузии сформировались четко выраженные актуальные для республики научные направления в области машиноведения, учитывающие особенности эксплуатации автомобилей, тракторов и сельскохозяйственных машин в горных условиях.

В формирование и развитие машиноведения как отдельной области науки большой вклад внесли К. М. Амирджиби, Г. К. Гедеванишвили и др. Научно-исследовательские работы по механике мобильных машин и двигателей внутреннего сгорания были начаты

---

24 Наука в Советской Грузии за 40 лет (на груз. яз.). Тб., 1961, с. 247.

25 Там же.

27 Академия наук Грузинской ССР. Тб., 1981, с. 114.

27 Грузинская ССР. Хроника основных событий..., с. 494.

еще в 30-х годах в Грузинском сельскохозяйственном институте. В те же годы в Грузинском политехническом институте проводятся исследования по теории механизмов и машин. Значительные результаты по кинематике, синтезу и динамике четырехзвенных пространственных механизмов были получены уже в 40-х годах, а в дальнейшем работы по изучению многозвенных пространственных стержневых механизмов приняли (широкие масштабы (Д. С. Тавхелидзе и др.)[28].

С развитием в республике сети машиностроительных заводов расширились исследования в области технологии машиностроения (теория резания металлов, теория расчета зубчатых колес и червячных передач и др.).

Грузинскими учеными был изучен механизм разрушения и износа режущего инструмента, разработаны методы расчета прочности и рекомендации по повышению его стойкости (Т. Н. Лоладзе и др.)[29].

В связи со строительством Кутаисского автомобильного завода в 1946 году в Грузинском политехническом институте организовывается специальная кафедра автомобилей, тракторов и автотракторных двигателей. Здесь начались интенсивные исследования по теории автомобилей и автомобильного двигателя.

Работы по ряду направлений машиноведения до начала 60-х годов проводились в основном на соответствующих кафедрах высших учебных заведений Грузии (политехнический и сельскохозяйственный институты, Тбилисский институт инженеров железнодорожного транспорта).

После создания в системе Академии наук ГССР Института машиноведения, исследования в области разработки вопросов теории мобильных машин и тепловых двигателей, усовершенствования и разработки их принципиально новых схем, автоматизации их управления, механики (динамика и колебания) и надежности систем машин и механизмов получили дальнейшее развитие и привели к значительным успехам.

Грузинскими учеными разработана теория расчета и проектирования мобильных машин и их двигателей, предназначенных для эксплуатации в высокогорных условиях. На основе этой теории решены принципиальные вопросы создания горных модификаций автомобилей и тракторов. Разработана также теория автоматического управления мобильными машинами, позволившая создать метод автоматического вождения трактора (Р. Р. Двали, В. В. Махалдиани и др.)[30].

В результате теоретических исследований предложена методика расчета турбокомпрессора, позволяющая установить параметры, обеспечивающие сохранение его номинальной мощности и экономичности при работе в условиях высокогорья[31].

Теоретические разработки грузинских ученых в области вибрационных машин легли в основу создания их новых конструкций, выпускаемых промышленностью Грузии. Развивается новое направ-

---

[28] Грузинская ССР. Хроника основных событий..., с. 496.

[29] Там же, с. 500.

[30] Грузинская ССР. Хроника основных событий..., с. 495.

[31] О. В. Маргвелашвили. Развитие механики машин в Грузинской ССР, в сб.: История науки, Тб., 1984, с. 39.

ление по разработке теории виброзащиты человека-оператора и созданию соответствующих конструкций (М. В. Хвингия и др.).

Разработаны основные принципы инженерных расчетов тяжелонагруженных металлургических машин, необходимых для выбора наиболее рациональных параметров машинных агрегатов (Р. Ш. Адамия и др.). Начаты исследования в области использования роботов для различных технологических линий промышленных предприятий, предусматривается проведение работ по созданию высокоэкономичного адиабатного поршневого двигателя внутреннего сгорания и др.

За первые же годы Советской власти горная промышленность заняла одно из ведущих мест среди отраслей народного хозяйства Грузии, что, как уже отмечалось, было обусловлено наличием на ее территории крупных месторождений полезных ископаемых, значительную часть которых характеризовала большая сложность геологических и горнотехнических условий. Быстрое развитие горной промышленности вызвало необходимость разработки ряда научно-технических проблем, решение которых в силу указанных сложностей требовало оригинальных, нестандартных подходов.

Главными объектами первых исследований были Ткибули-Шаорское каменноугольное и Чиатурское марганцевое месторождения. Принципиально новые схемы разработки месторождений полезных ископаемых Грузии, в том числе и названных, были разработаны Г. А. Цулукидзе, который является основоположником грузинской горной науки. Ему же принадлежит большая заслуга в организации и развитии других областей национальных научных и инженерных кадров[32].

В довоенный период исследования по научным проблемам горного дела проводились в основном в Грузинском политехническом институте, а также в некоторых других учреждениях республики.

Широкое развитие получили эти работы в послевоенный период, когда в системе Академии наук ГССР было основано самостоятельное научное учреждение. С этого времени исследования развернулись по всем основным отраслям горной науки.

В области горной механики в 50-е годы были разработаны теоретические основы совместной работы рудничных турбомашин в сложных вентиляционных сетях, комплексно решены вопросы динамики шахтных вентиляционных систем. Результаты этих исследований приняты в СССР за основу при проектировании шахтных вентиляторов (А. А. Дзидзигури и др.)[33].

Значительные работы выполнены по проблемам физико-технических методов разрушения горных пород и использования энергии взрыва в народном хозяйстве (Э. О. Миндели и др.)[34].

Грузинскими учеными созданы основы подземной разработки марганцевых месторождений и предложены технологические схемы комплексной добычи разновидностей марганцевых руд, нашедшие широкое применение (И. И. Зурабишвили и др.)[35]. В 1960 году добыча товарной марганцевой руды возросла по сравнению с 1940

---

32 А. А. Дзидзигури. Горная наука в Советской Грузии, в сб.: История науки, Тб., 1984, с. 14.

33 Академия наук Грузинской ССР, Тб., 1981, с. 127, 128.

34 Там же, с. 130.

35 Там же, с. 125.

ЭЛИСЕЕВА
ЗАЕЗЖИТОВА

годом более чем в 2 раза, что в значительной степени было обусловлено внедрением прогрессивных методов и осуществлением других инженерно-технических мероприятий на Чиатурском месторождении[36].

Дальнейшее развитие получили исследования в области разработки угольных месторождений в сложных горногеологических условиях. Создание эффективных методов их рациональной эксплуатации с применением современных горных машин и механизированных комплексов во многом способствовали увеличению добычи угля (в 1960 году она в 4,5 раза превысила уровень 1940 года)[37].

Учеными республики разработаны научные основы автоматизации канатных дорог, созданы оригинальные конструкции их приводов и центробежных тормозов, используемые на канатных дорогах Грузии, а также других республик страны (К. М. Барамидзе и др.)[38]. Первая в СССР пассажирская подвесная канатная дорога (ПКД) была пущена в Грузии в 1946 году. Ныне в республике функционируют 105 ПКД общей протяженностью более 140 км.

Важные исследования выполнены и по обогащению полезных ископаемых, горной теплофизике, автоматизации производственных процессов и другим областям горной науки. По ряду ее направлений Институт горной механики АН ГССР является ведущим.

Наличие в Грузии крупного месторождения марганца в первые же годы Советской власти определило основное направление развития металлургии.

Научные исследования по проблемам металлургии, как и по ряду других областей технических наук, были начаты на политехническом факультете Тбилисского университета.

В развитие этой области науки, становление металлургической промышленности в Грузии и подготовку национальных научных и инженерных кадров значительный вклад внес крупный ученый и общественный деятель Г. Н. Николадзе, под руководством которого в 1930 году в Тбилиси был построен опытный завод и разработаны технологические схемы, послужившие основой организации Зестафонского ферросплавного завода (пущен в 1933 году)[39].

В связи с началом развития в республике металлургической и машиностроительной промышленности, уже в 1935 году в Институте химии был создан отдел металлургии, работы которого вскоре завоевали довольно высокий авторитет. Параллельно исследования и подготовка кадров в области металлургии осуществлялись в Грузинском политехническом институте[40].

Ввод в эксплуатацию Руставского металлургического завода (в 1950 году была осуществлена первая плавка стали), расширение производства на Зестафонском ферросплавном заводе, наличие в республике сталечугунолитейных заводов, а также механических заводов с литейным производством и подразделениями термической обработки металлов во многом способствовали развитию научно-исследовательских работ в области металлургии.

---

[36] ЦСУ ГССР. Народное хозяйство Грузинской ССР. 1922—1982. Юбилейный статистический ежегодник. Тб., 1982, с. 73.

[37] А. Л. Гуния. Индустрия Грузинской ССР (на груз. яз.). Тб., 1972, с. 122.

[38] Академия наук Грузинской ССР, Тб., 1981, с. 132.

[39] Краткий очерк истории грузинской советской науки за 25 лет. Тб., 1946, с. 79.

[40] Наука в Советской Грузии за 40 лет (на груз. яз.). Тб., 1961, с. 230.

В настоящее время в республике ведутся интенсивные исследования по изучению и освоению нового металлургического сырья и подготовке его к плавке, разработке новых технологических процессов металлургического передела, созданию новых композиций сталей и металлических материалов, химии и технологии полупроводниковых и высокочистых веществ, порошковой металлургии, коррозии и защите металлов, физической химии металлургических процессов и др.

Работы грузинских ученых-металлургов по изучению низкосортных карбонатных марганцевых руд, начатые еще в 40-х годах, завершились установлением возможности их применения для выплавки марганцевых сплавов[41]. В 1981 году, впервые в истории Зестафонского завода ферросплавов, было переработано 100 тонн указанного сырья.

В 40-х годах были выполнены исследования по получению специальных марок чугуна, изучено влияние неметаллических включений на свойства серого чугуна, разработаны новые технологические схемы для чугунолитейного производства[42]. Дальнейшее развитие работ в этом направлении позволило создать принципиально новую технологию получения высокопрочного чугуна с шаровидным графитом, которая с 1976 года внедрена на Руставском заводе «Центролит» (Ф. Н. Тавадзе и др.).

Еще в Институте металла и горного дела Г. К. Гедеванишвили были начаты работы в области теории прокатки, результаты которых были использованы для разработки вопросов продольной и поперечной прокатки. На основе теории моделирования, построенной на общих закономерностях течения и пластической деформации металлов, в лабораторных условиях были изучены процессы прокатки и механизм образования полостей при прошивке (Г. К. Гедеванишвили, Л. Н. Оклей)[43].

В дальнейшем многие научные разработки ученых были направлены на совершенствование технологических процессов в металлургии, их автоматизацию, повышение качества выпускаемой продукции и др. На Руставском металлургическом заводе впервые в стране было освоено производство прямоугольных труб большого сечения, внедрена высокоэффективная технология инжекционной обработки жидкой стали в ковше инертными газами и др. Создана целая серия новых марок сталей, ряд из которых освоен металлургическими заводами страны.

Грузинскими учеными получены значительные результаты в области исследования термодинамических свойств кислородных соединений редкоземельных металлов (Г. Г. Гвелесиани и др.), впервые выращены монокристаллы бора высокой чистоты, разработана технология получения высокочистого мышьяка для полупроводниковой техники и др. Развилось новое перспективное научно-техническое направление химической металлизации материалов различной природы.

В первые же годы Советской власти в Грузии для успешного становления и подъема химической промышленности необходимо было ускоренно развивать химию, создать и развить такую ее

---

41 Н. И. Мусхелишвили. Наука в Советской Грузии, Тб., 1961, с. 62.

42 Наука в Советской Грузии за 25 лет (на груз. яз.),V, Техника. Тб., 1946, с. 23.

43 Наука в Советской Грузии за 40 лет (на груз. яз.). Тб., 1961, с. 268.

важную отрасль, как химическая технология. Большой вклад в это дело внес выдающийся грузинский ученый-химик П. Г. Меликишвили.

Интенсивное развитие научно-исследовательских работ в области химии и химической технологии началось в Грузии с середины 30-х годов. В эти годы вступили в строй Тбилисский химкомбинат, Рачинский горно-химический комбинат, Каспский цементный завод, Кутаисский литопонный завод, а также ряд других промышленных объектов, успешная работа которых требовала решения многих научных и научно-технических проблем в области химии и химической технологии[44].

Уже во второй половине 30-х, в начале 40-х годов грузинскими учеными были выполнены исследования, позволившие промышленное использование местного сырья. К концу 40-х годов из силикатного сырья и отходов марганцевого производства было получено несколько новых видов цемента, технического стекла, огнеупорной глины, облицовочных керамических материалов и др. (К. С. Кутателадзе, О. П. Мчедлов-Петросян и др.). В последующие годы работы по изучению и применению местного сырья (марганцевых руд, грузинских углей и нефтей, барита, кварца, гажи, известняков и др.) получили дальнейшее развитие, что обусловило создание прочной базы для многих отраслей народного хозяйства республики.

Особенно широкий размах научно-исследовательские работы по многим направлениям химии и химической технологии получили в послевоенные годы, когда были пущены такие значительные объекты, как Руставский азотнотуковый завод — ныне ПО «Азот» (первую продукцию завод выдал в 1956 году), Руставский цементный завод (1957 г.), Тбилисский керамический комбинат (1949 г.), и ряд других крупных предприятий[45].

В Институте химии Академии наук ГССР, других научных учреждениях и высших учебных заведениях республики развернулись широкомасштабные теоретические исследования и работы технологического характера в области неорганической, органической и физической химии, электрохимии, нефтехимии, аналитической и радиационной химии, химии силикатов и термохимии, химической термодинамики и химии высокомолекулярных соединений и др.

Еще во время Великой Отечественной войны на Зестафонском заводе ферросплавов грузинскими учеными и специалистами впервые было организовано промышленное получение металлического марганца электрохимическим методом (руководитель — Р. И. Агладзе). Высококачественные сплавы и специальные стали, выплавленные на основе электролитического марганца, имели важное оборонное значение. Позднее был разработан оригинальный электрохимический метод получения другого ценного химического продукта — перманганата калия, освоенный в 1957 году Руставским азотнотуковым заводом (Р. И. Агладзе и др.). На этом же заводе в 1975 году впервые была внедрена промышленная технология получения электролитического диоксида марганца (ЭДМ) — весьма нужного продукта для

---

44 Г. В. Цицишвили, А. Ш. Авалиани. Химическая промышленность Советской Грузии (на груз. яз.). Журн. «Наука и техника», Тб., 1987, № 11, с. 19.

45 Там же, с. 20,21.

электротехнической промышленности страны (Л. Н. Джапаридзе и др.)[46].

В 50-х годах были начаты исследования в области изучения люминесцентных свойств нефтей Грузии, которые завершились разработкой метода получения эффективного люминофора «Нориол» для люминесцентной дефектоскопии ответственных деталей машин, ныне поставляемого более чем 70 крупным предприятиям страны (Л. Д. Меликадзе и др.)[47].

Начатые в республике еще в 60-х годах интенсивные исследования по всестороннему изучению физико-химических свойств цеолитов — молекулярных сит, завершились разработкой оригинальных методов их получения с использованием доступного природного сырья. Цеолиты нашли применение и в промышленности, и в сельском хозяйстве (Г. В. Цицишвили, Т. Г. Андроникашвили и др.)[48].

Важное теоретическое и практическое значение имеют результаты работ, выполненных в области определения высокотемпературных теплоемкостей твердых неорганических веществ (Н. А. Ландия), квантовой теории процессов переноса и фотопереноса заряда в химических, электрохимических и биохимических системах (Р. Р. Догонадзе), рентгено-структурного анализа, кристаллохимии и спектрохимии координационных соединений (Г. В. Цинцадзе) и др.

В настоящее время в связи с истощением некоторых сырьевых ресурсов республики, усилия ученых-горняков, металлургов и химиков направлены на решение весьма актуальной проблемы — широкого вовлечения в производство низкокачественного сырья, в частности больших запасов низкосортных марганцевых руд Чиатурского месторождения (работы предусмотрены республиканской целевой программой «Марганец»).

Отдельные исследования в области автоматики, касающиеся автоматизации некоторых объектов и технологических процессов, выполнялись в Грузии еще в 30—40-х годах в нескольких промышленных организациях и научных подразделениях республики (С. П. Киркесалишвили, Н. В. Габашвили, А. И. Элиашвили и др.). В 1946 году в Институте энергетики АН ГССР был организован отдел токов высокой частоты и автоматики[49].

Однако научно-исследовательские работы в области теории автоматического управления и разработки систем автоматического управления на базе электронной вычислительной техники широкое развитие получили во второй половине 50-х годов после создания в Грузии сети научных учреждений специального профиля. Несколько позднее начались интенсивные исследования по проблемам кибернетики.

С 70-х годов в Грузии организовывается ряд научно-производственных объединений («Аналитприбор», «Элва», «Автоматпром и др.), в которых развернулись работы по созданию средств вычислительной техники, автоматизированных систем управления и аналитической техники.

Кроме академических и отраслевых научно-исследовательских учреждений, теоретические и экспериментальные исследования в

---

46 Г. В. Цицишвили, А. Ш. Авалиани, указ. раб., с. 20, 21.

47 Грузинская ССР. Хроника основных событий..., с. 493.

48 Грузинская ССР. Хроника основных событий..., с. 502.

49 Наука в Советской Грузии за 40 лет (на груз. яз.). Тб., 1961. с. 319, 320.

указанных выше направлениях интенсивно развиваются в Грузинском политехническом институте им. В. И. Ленина и Тбилисском университете.

Учеными Грузии в области автоматического управления и регулирования и теории оптимального управления и ее приложения, а также теоретической и экспериментальной кибернетики разработаны: методы случайного поиска в стохастических адаптивных системах и решены некоторые многоэкстремальные задачи (В. К. Чичинадзе); методы решения аналитического конструирования оптимальных регуляторов и методы векторной оптимизации в теории управления (М. Е. Салуквадзе); абстрактная вариационная теория и ее применение к оптимальным задачам с запаздываниями (Г. Л. Харатишвили)[50]; специальные психоэвристические программы в целях процедурного управления интеллектуальной деятельностью группы исследователей при решении задач (В. В. Чавчанидзе); принципы построения многопроцессорных высокопроизводительных вычислительных систем и локальных вычислительных сетей с децентрализованным управлением (И. В. Прангишвили)[51]; теоретические основы построения многопараметровой системы и автоматического многопараметрового анализатора с широким применением современных средств вычислительной техники (З. Е. Круташвили) и др.

К научно-техническим достижениям первых лет развития исследований по проблемам автоматического управления и вычислительной техники следует отнести создание в 60-х годах первой в Грузии электронной цифровой вычислительной машины «Делиси», специализированной электронной вычислительной машины (СВМ), предназначенной для обработки полученных с космических и авиационных объектов результатов измерений, внедрение на Руставском металлургическом заводе системы автоматизации и механизации стана «400»[52], автоматической системы управления процессом прокатки труб — на Первоуральском новотрубном заводе, автоматической системы разделения стабильных изотопов — на полупромышленных установках НИИ стабильных изотопов и др.[53].

В начале 70-х годов совместная работа Института проблем управления АН СССР и Института систем управления АН ГССР увенчалась созданием гибридного вычислительного комплекса, внедренного на Московском машиностроительном заводе «Стрела»[54]. Разработанные грузинскими учеными и специалистами системы автоматического управления в последние годы были внедрены на Челябинском металлургическом и Днепропетровском трубопрокатном заводах, а также других ведущих предприятиях страны.

За последние годы разработаны оригинальные оптоэлектронные и другие устройства, предложен новый метод в области голографии (в 1979 году зарегистрировано открытие Ш. Д. Какичашвили), созданы системы речевого общения человека и ЭВМ в диалоговом режиме, высокоэффективные действующие образцы ключе-

---

50 Академия наук Грузинской ССР, Тб., 1981, с. 107.

51 Грузинская ССР. Хроника основных событий..., с. 497, 501.

52 Наука и техника СССР. 1917—1987. Хроника, М., 1987, с. 492, 493.

53 Академия наук Грузинской ССР, Тб., 1981, с. 108, 109.

54 Академия наук СССР и развитие грузинской науки. 1724—1974, Тб., 1974, с. 121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

вых элементов оптических систем для обработки оптической информации в реальном масштабе времени и др.[55].

Грузинскими учеными и специалистами в настоящее время ведутся теоретические и экспериментальные исследования по разработке проблем математического обеспечения вычислительных машин, общей теории оптимального управления и ряда важных научно-технических вопросов, связанных с созданием новых средств вычислительной техники и автоматизированных систем управления.

Такова краткая характеристика формирования и развития основных направлений технических наук в Грузии.

Несмотря на застойные и негативные процессы в стране на рубеже 70—80-х годов, как отмечалось, в республике осуществлялись эффективные мероприятия по повышению темпов развития экономики и уже в начале 80-х годов были достигнуты существенные результаты. Немаловажную роль в этом сыграла активизация работы институтов и других научных подразделений Грузии, вызванная значительным улучшением партийного руководства развитием науки. Вместе с тем, имевшее место в тот период отставание по некоторым важным показателям работы промышленности и других отраслей народного хозяйства во многом было обусловлено медленными темпами внедрения научных и технических новшеств, недостаточной эффективностью научных разработок. Несмотря на позитивные сдвиги, происшедшие в те годы в повышении роли науки в решении народнохозяйственных задач, ряд проблем, связанных с интенсификацией научной деятельности, ускорением процесса внедрения научных достижений, с ростом темпов подготовки высококвалифицированных научных кадров, укреплением материально-технической базы науки все еще оставался нерешенным. Проблемы эти сохранялись и в области технических наук, в значительной степени определяющих научно-технический прогресс.

Стратегия перестройки и ускорения, впервые выдвинутая и обоснованная в докладе Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева на апрельском (1985 г.) Пленуме ЦК КПСС, а затем получившая дальнейшее развитие в решениях XXVII съезда партии и последующих Пленумов ЦК КПСС, потребовала решительного поворота науки к нуждам общественного производства, перестройки организации самой науки.

В настоящее время в Грузии, как и во всей стране, осуществляются мероприятия по перестройке работы и в сфере науки. Академией наук Грузинской ССР разработаны предложения по участию научных учреждений республики в общесоюзных программах развития исследований по важнейшим направлениям фундаментальной науки. Широкое участие ученых и специалистов в решении конкретных социально-экономических задач предусмотрено крупными общереспубликанскими комплексными программами, разработанными по инициативе ЦК КП Грузии («Грузия: наука, техника, качество — 90», целевая комплексная программа по

---

55 А. Н. Тавхелидзе. Наука и техника Советской Грузии (в кн.: Наука и техника в СССР. 1917—1987. Хроника. М., 1987, с. 476, 479).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ликвидации «узких» мест, лимитирующих развитие производства на предприятиях и объединениях Грузии в 1986—1990 годах и др.). В обстановке гласности и демократизма проводится кадровая перестройка в сфере науки, предпринимаются конкретные шаги по улучшению оснащенности научных учреждений вычислительной техникой и другим современным оборудованием, совершенствованию системы подготовки научных кадров и др.

Новый экономический механизм, предоставляющий научно-исследовательским учреждениям, особенно технического направления, широкие возможности строить свои отношения с производством на качественно новой основе, утверждение форм хозрасчетных отношений научных учреждений с предприятиями во многом будут способствовать осуществлению намеченных задач, максимальному использованию большого научно-технического потенциала республики в решении актуальных народнохозяйственных проблем.

Представлена Отделом истории Советской Грузии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისი XIX საუკუნის 70—80-იანი წლების მიჯნაზე

ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობა თავდაპირველად მთელ რიგ დებრკოლებებს წაწყდა; ჩანდა, რომ ის თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. მართალია, ამ ხნის განმავლობაში ბევრი საკითხი განიხილეს საქალაქო საბჭოს სხდომაზე, მრავალი გადაწყვეტილებაც მიიღეს, მაგრამ სინამდვილეში ისინი ვერ განხორციელდა. ამიტომ განგების საქმიანობას ალმაცერად დაეწყეს ცქერა. ცხადი იყო, რომ საზოგადოების ზედა ფენებს არ აკმაყოფილებდა ქალაქის საბჭოს ღონისძიებანი, კიდევ უფრო უკმაყოფილო იყვნენ საქალაქო საბჭოს საქმიანობით საზოგადოების დაბალი ფენები, ქალაქის მწარმოებელი მასა. ქუთაისის საქალაქო საბჭოსთან დაახლოებული პირი ი. პორადაშვილი თავის მემუარებში გადმოგვცემს, რომ ქალაქის გამგეობას პირველი 4 წლის განმავლობაში ბევრი არაფერი გაუკეთებია და ვერც გააკეთებდა, რადგან ეს პერიოდი ძირითადად, ორგანიზაციულ საკითხებს დასჭირდა. ამიტომ ქალაქს პირველ წლებში არაფერი დატყობია. ი. პორადაშვილი ასეთ მდგომარეობას იმით ხსნის, რომ ქალაქს შემოსავლის არავითარი წყარო არ გააჩნდა; ერთადერთი წყარო შემოსავლისა იყო მამულების შეფასებითი გადასახადი, მაგრამ იმ ხანებში ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 20—25 ათას კაცს შეადგენდა, მათი შენობებიც დიდ საფასურს არ წარმოადგენდა და აქედან მიღებული თანხით შეუძლებელი იყო აუცილებელი ხარჯების დაკმაყოფილება[1]. აუცილებელ ხარჯებში იგულისხმებოდა ქალაქის გამგეობის წევრებისა და პოლიციის მოხელეთა ხელფასი, ჯარის მეთაურთა შესანახი ქირა, ქალაქის კეთილმოწყობის ხარჯები (განათლება, ჯანმრთელობა, გათბობა). ბევრი კარგი და სასარგებლო საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი საქალაქო საბჭოს, მაგრამ უსახსრობის გამო იგი რეალურად არ განხორციელებულა. საბჭოს სხდომები სჯა-ბაასს არ გაცილებია[2].

დებულების მიხედვით, საქალაქო თვითმმართველობას მინიჭებული ჰქონდა სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის ზოგიერთი უფლება, მაგრამ ბევრი მათგანის სისრულეში მოყვანა არ ხერხდება, ზოგი მათგანის განხორციელება წლობით ჭიანურდებოდა. უმეტესობა კი განუხორციელებელი რჩებოდა. საგუბერნიო ხელისუფლება დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა საქალაქო საბჭოს, ამიტომაც ამ უკანასკნელის დადგენილებანი არ სრულდებოდა. 1877 წ. ქალაქის საბჭომ გამოიტანა დადგენილება საზოგადოებრივი ბანკის დაარსების შესახებ, რომელიც მას საქალაქო დებულებით ეკუთვნოდა, მაგრამ იგი შეუსრულებელი დარჩა. ასეთი ბედი ეწია

---

1 ი. პორადაშვილი, მოგონებები, (ხელნაწერი), ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, საარქივო მასალების ფონდი, № 559, გვ. 68.

2 ი. პორადაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დადგენილებებსაც. ასეთ ვითარებაში ქალაქის თვითმმართველობაში მოხდა გარკვეული ცვლილება, ქალაქს სათავეში ჩაუდგა გამგეობის ახალი შემადგენლობა, მოხდა ძალების გადაჯგუფება. ქალაქის თავის თანამდებობაზ ნ. აბაშიძის ნაცვლად 1879 წელს მიიღო ლუკა ასათიანმა[3], რომელმაც შეძლო ხახგოძლივი დროის მანძილზე (იგი 13 წელი იყო ქალაქის თავად ქუთაისში) სჯეროდა ეს სპპატიო პოსტი. ლ. ასათიანი, პირველ რიგში, ქალაქის შეძლებული კლასის ინტერესების გამომხატველი იყო და მასაც ამ უკანასკნელიდან ჭონნდა ზურგი გამაგრებული. ის ღონისძიებანი, რომლებსაც საქალაქო საბჭო მისი მეთაურობით ატარებდა ბურჟუაზიულ ურთიერთობის განმტკიცებას უწყობდა ხელს. რამდენადაც ჩვენ ამ შემოხვევაში საქალაქო თვითმმართველობის სოციალური ბაზის ბუნების გარკვევას კი არ ვისახავთ მიზნად, არამედ ქუთაისის საქალაქო ცხოვრების კონკრეტული საკითხი გვაქვს გასარკვევი ამიტომ, მასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ქალაქი ქუთაისი, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის წინა პერიოდში საგუბერნიო მემამულურ და წვრილ-საგვარო-ხელოსნურ ქალაქს წარმოადგენდა, ამ პერიოდიდან იწყებს ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნას. იქმნება და მტკიცდება ბურჟუაზიული ქალაქის საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი, მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ნაშთები და ადგილობრივი ბურჟუაზიის სისუსტე, მაინც გარკვეულად ადვირებდა საქალაქო ცხოვრების ზრდას ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის კვალობაზე. რეფორმამდელი პერიოდის საგუბერნიო-ადმინისტრაციული ქალაქი თანდათან იქცევა ბურჟუაზიული პერიოდის ტიპიურ ქალაქად. ცხადია, ეს პროცესი ხანგრძლივ დროს მოიცავს, როცა ხორციელდება ობიექტური აუცილებლობით გამოწვეული ახალი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მატარებელი ძირითადი გარდაქმნები. ეს ის პერიოდია, როდესაც ქალაქი თავისი შინაარსითა და ფორმით საწარმოო ურთიერთობის შესაბამისად ახალ ცვლილებებს განიცდის. ეს მომენტი რეფორმისშემდგომი პერიოდის ქალაქისათვის არის დამახასიათებელი. ეს ცვლილება სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, მაგრამ ამ თუ იმ ობიექტური პირობების ზეგავლენით იგი ხშირად ჩქარდება, ჩვენს კონკრეტულ მაგალითში, ქუთაისისათვის, ეს პერიოდი 1879 წლიდან იწყება, როდესაც ქალაქის გამგეობას სათავეში ჩაუდგა ლ. ასათიანი.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს ერთ-ერთი ხმოსანი დიმიტრი ნაზარიშვილი ამ საკითხის შესახებ შენიშნავდა, რომ ასათიანმა ჩაიბარა სოფლის ბსგავსი ქალაქი, მაგრამ მან შეძლო ცოტად თუ ბევრად შესაფერისი სახე მიეცა მისთვის[4].

ამ ცნობაში ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია აღნუსხული, იგი ძირითადად გადმოგვცემს იმ აზრს, რომლის დამტკიცებას ჩვენ ვცდილობთ ამ სტატიაში.

70-იანი წლების დამლევიდან ქალაქის ეკონომიკური ცხოვრება კაპიტალისტური წარმოების სფეროში ექცევა, იცვლება მანამდე გაბატონებული საწარმოო ურთიერთობა და იქმნება ეკონომიკურად ახლადფეხადგმული მესაკუთრე გაბატონებული კლასის საწარმოო და ყოფა-ცხოვრებითი საკუთრება.

---

[3] საქ. სსრ ცსა, ფ. 108, ს. 194, ფურ. 4.

[4] ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, დ. ნაზარიშვილის არქივი, საბ. 2176/136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ქუთაისის საქალაქო ცხოვრების ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის ხელშემწყობ პირობებს ეეხებით, უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ქალაქის დაკავშირება ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან, რომელიც 1877 წელს განხორციელდა. როგორც ითქვა, ჩვენ აქ ობიექტური აუცილებლობით გამოწვეულ მოვლენებთან გვაქვს საქმე, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ქალაქის საბჭომ ლ. ასათიანის პერიოდში, ახალი საქალაქო დებულების შესაბამისად ქალაქის საბჭოს გამოატანინა საქალაქო ცხოვრების გარდაქმნისთვის გათვალისწინებული საკალდებულო დადგენილებანი. ეს საკალდებულო დადგენილებანი, რომლებიც ახალი წარმომებითი ურთიერთობით იყო განპირობებული, უცვლიდა ქალაქს თავის შინაგან ბუნებას და გარეგან სახეს, იქცეოდა იგი ბურჟუაზიული ურთიერთობისთვის დამახასიათებელ ქალაქად. ქვემოთ ჩვენ თანმიმდევრობით შევეხებით ამ დადგენილებებს. ქალაქის გამგრობა, უწინარეს ყოველისა, ზრუნავდა, რათა ქალაქს თავისი ეკონომიკური მდგომარეობა გაეძლიერებინა. 70-იანი წლების დასასრულს ქალაქის შემოსავალი ძალზე უმნიშვნელო იყო. ამიტომაც ქალაქის გამგრობა შეეცადა გამოენახა აუცილებელი სახსრები საქალაქო ხარჯების დასაფარავად. როგორც ვიცით, იწყება ქალაქში განლაგებული სარეწაოებისა და მატერიალური ქონების საიჯარო წესით გაცემა. მაგალითად, 1877 წელს იაკობ კოკოჩაშვილმა ქალაქისაგან იჯარით აიღო პირტუყვის სასაკლაო ადგილი, რომლის საბაჟო ქირა 960 მანეთს უდრიდა[5]. ამავე წელს 131 მანეთად იქნა გაცემული ეკლარის ქვის სამტეხლო უბანი[6]. 1878 წელს ქალაქის გამგეობამ იაკობ ბეგაშვილთან დადო ხელშეკრულება მიხელისა და ალეკსანდრეს ხიდებზე მგზავრთა გატარებით შემოსული თანხის (9070 მან) იჯარის წესით გაცემის შესახებ, 1879 წელს ეს ხიდები გაცემულ იქნა მეორე გილდიის ვაჭარ იაკობ კოკოჩაშვილზე. იმავე წელს ნიკოლოზ ბერუჩაშვილმა ქალაქისაგან აიღო პირუტყვის სასაკლაო ეზო 2755 მანეთად[7]. მდ. რიონზე დასაცურებელი ტივებისაგან ბაჟის სახით ქალაქს შემოდიოდა წელიწადში 190 მანეთი და სხვ. ბაჟასადამე, იწყება ქალაქის კუთვნილი ქონებისა და სარეწაოების გაცემა იჯარით და ამ გზით ქალაქის სასარგებლოდ მატერიალური სახსრების დაგროვება. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ შეიცვალა ქალაქის ეკონომიკური ცხოვრება, მისი ხასიათი აღნიშნულ პერიოდში, შევადაროთ ერთმანეთს ქალაქის 70-იანი წლების შემოსავალ-გასავალი 60-იანი წ.წ. საქალაქო შემოსავალ-გასავალს. 1868 წელს ქალაქის შემოსავალი შეადგენდა 37043 მანეთს, მათ შორის უძრავი ქონების დაფასებითი გადასახადი უდრიდა 9836 მან; ბაზრის სასწორებიდან შემოდიოდა 2763 მანეთი, სასაკლაოდან — 1066 მან; ვაჭრობიდან სარგებლის სახით შემოდიოდა 1346 მან. მოხელეებისა და ხელოსნებისაგან 868 მან. მექუდეებიდან — 1950 მან; მეფურნეებისაგან 305 მან. და სხვ. აღნიშნულ წელს ქალაქის გასავალი შეადგენდა 31821 მან. აქედან 1064 მან. იხარჯებოდა პოლიციის ჩინოვნიკების შენახვისთვის, ქალაქის ფარნით განათებისთვის იხარჯებოდა 1459 მან, სამხედრო პირთა სახლის ქირა ჯდებოდა 7015 მანეთი, ქუჩების სისუფთავისათვის — 1718 მან. და სხვ.

---

5 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 131, ფურც. 21.

6 იქვე, ფ. 108, ს. 128, ფურც. 24.

7 საქ. სსრ. ცსია, ფ. 194, ს. 203, ფურც. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ავიღოთ 1883 წელი, როდესაც ქალაქის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში შეადგენდა 99661 მან., ცხადია, ქ. ქუთაისისათვის ეს თანხა ძალზე მცირე იყო, მაგრამ 1868 წლის შემოსავალთან შედარებით იგი სამჯერ არის გაზრდილი. აქ მთავარი ის არის, რომ ქალაქის შემოსავლის ნაწილში ჩნდება ახალი სახსრები ქალაქის საკუთრებისა და საიჯარო სტატიიდან, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებიდან შემოსული სახსრები. ქალაქის საზოგადოებრივი ქონებისა და საიჯარო სტატიიდან შემოსავალი თანხა 13500 მანეთს შეადგენდა, გადასახადი უძრავ ქონებაზე — 31 ათას მანეთს. გადასახადი მრეწველობისათვის — 4813 მანეთს, გადასახადი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებზე — 5268 მანეთს უდრიდა; არაპირდაპირი გადასახადის სახით შემოდიოდა 3768 მან., დამხმარე შემოსავალი შეადგენდა 28 ათას მანეთს; საგანგებო შემოსავალი, მაგალითად ქალაქის ხიდებისაგან (ნიკოლოზისა და მიხეილის) 11316 მან; ბრუნვითი შემოსავალი 844 მანეთს შეადგენდა და სხვ[8].

როგორც ვხედავთ, აქ ბურჟუაზიული საწარმო და სარეწაო მეურნეობიდან შემოსული თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა 60-იანი წლების ამავე სახის შემოსავლის დონეს და ეს მომენტი არის დამახასიათებელი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისათვის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის პროცესში მყოფი ქალაქისათვის. ფეოდალი მეურნეობის გააქტიურებამ დღის წესრიგში დაიყენა ამ პერიოდში საკრედიტო დაწესებულებების დაარსების საკითხი. 70-იან წლებამდე ქალაქის ფინანსური მდგომარეობა ძალზე სუსტი იყო, მას მცირე შემოსავალი ჰქონდა, ეს სახსრები ძირითადად, მამულებზე გაწერილი გადასახადიდან შემოდიოდა, დანარჩენი შემოსავალი ბიუჯეტის 15—20%-ს შეადგენდა, მაგრამ 70-იანი წლების დასასრულიდან შემოსავალი იზრდება, რაც ქალაქის თვითმმართველობის ზრუნვის უმთავრეს საგანს შეადგენდა. როგორც ითქვა, ქალაქის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე საზოგადოებრივი ბანკის დაარსების შესახებ, მაგრამ იგი არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი. 1876 წელს ქუთაისში დაარსდა საადგილმამულო ბანკი, იგი, მართალია, თავადაზნაურობის ინტერესების გამომხატველი იყო, მაგრამ ეს იყო უეჭველი მოწმობა ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობის ზრდა-განვითარებისა. საადგილმამულო ბანკის დაარსებამ არ დააკმაყოფილა ახლადდამავალი კლასის ინტერესები, მომწიფდა საკითხი საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსებისა და იგი 1881 წელს იქნა დაარსებული. მალე ამის შემდეგ, დაისვა საკითხი სახელმწიფო ბანკის გახნის შესახებ, რათა ქალაქს ესარგებლა სახელმწიფო ბანკის დახმარებით, მაგრამ იგი მთავრობამ არ დააკმაყოფილა. საურთიერთო ნდობის ბანკის ოპერაციები, მის წევრთა რიცხვის ზრდის შესაბამისად თანდათან იზრდებოდა, მისი სამოქმედო არე არ განისაზღვრებოდა ქუთაისით, მას ჰქონდა კორესპონდენტური ანგარიშები საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქიდან. მას ჰქონდა ურთიერთობა რუსეთის მთელ რიგ ბანკებთან და ფილიალებთან, როგორიც იყო: ვოლგა-კამისა და აზოვ-დონის კომერციული ბანკები, ვარშავის ბანკი და სხვა, პირველ რიგში მას კავშირი ჰქონდა რუსეთის ურთიერთნდობის ბანკებთან[9], ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკს კავშირი ჰქონდა უცხოეთის ბანკებთანაც.

---

[8] საქ. სსრ ცსია, ფ. 108, ს. 465, ფურც. 16—26.

[9] ი. პ ურ ა დ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებები, ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერი, № 559, გვ. 109.

60-იანი წლების საქალაქო შემოსავალი არა მარტო რაოდენობით განსხვავდებოდა 70-იანი წლების შემოსავლისაგან, არამედ სახეობითი თვისებურებითაც. 70-იანი წლების ბოლოს საგრძნობლად შეიცვალა ის წყაროები, საიდანაც ქალაქს შემოსავალი უნდა მიეღო, წინა პლანზეა წამოწეული ახლად შექმნილი საწარმოებიდან შემოსული სახსრები, რომლებსაც მანამდე ადგილი არ ჰქონია, ასევე სხვაობას ვხედავთ გასავლის ხარჯებში: წინა პლანზეა წამოწეული სახსრების დაბანდება იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს უწყობდა ქალაქის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნას, სახსრების მოხმარებას საქალაქო მეურნეობის მესაკუთრეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ცხადია, მეფის მთავრობის ადგილობრივი ხელისუფლება ასეთ მისწრაფებას ენერგიულად უშლიდა ხელს და ძალიან ხშირად ეს წარმატებითაც მთავრდებოდა, მაგრამ ქალაქის გამგეობის პოზიცია მაინც ზემოხსენებული გარდაქმნისაკენ იყო მიმართული. სულ უმნიშვნელო საკითხის გადასაწყვეტად, საგუბერნიო ხელისუფლების წინააღმდეგობის გამო, ქალაქის მესვეურები იძულებული ხდებოდნენ მეფის თვითმპყრობელობის ცენტრალური ხელისუფლების წინაშეც კი დაეყენებინათ ესა თუ ის საკითხი, საიდანაც უარყოფითი პასუხის მიღება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ზოგჯერ გამონაკლისის სახით, ქალაქის გამგეობის წარმომადგენლებიც აღწევდნენ მიზანს და ეს ქალაქის მესვეურთა დაკენებულ მოთხოვნაზე, ან სხვა სუბიექტური ხასიათის ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. თუ რა დამაკოლებების გადალახვა უხდებათ ქალაქის თვითმართველობას ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ეს ჩანს შემდეგი მაგალითიდან: ორმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული ქუთაისში ზეკომშლექტური პოლიციის მუშაკთა შესახებად ქალაქის სახსრებიდან იხარჯებოდა 6400 მანეთი ყოველწლიურად, საქალაქო მმართველობის შემოღების შემდეგ ეს ხარჯები ამოიღეს ხარჯთაღრიცხვიდან, მაგრამ გუბერნატორმა მალაფუევმა იგი გააპროტესტა და საქალაქო საკრებულომ ხელმეორედ შეიტანა იგი ხარჯთაღრიცხვაში, როგორც სავალდებულო გადასახადი. დანიშნეს თუ არა ლ. ასათიანი ქალაქის თავად მან ისევ ამოიღო ხარჯთაღრიცხვიდან ზემოხსენებული გადასახადი. მაგრამ საქალაქო საკრებულომ იგი კვლავ შეიტანა ხარჯთაღრიცხვაში, მაშინ ლ. ასათიანმა იგი სახელმწიფო სენატში გააპროტესტა, რომელმაც გააუქმა საკრებულოს გადაწყვეტილება, ცნო რომ ქალაქისათვის არ იყო სავალდებულო ეს ხარჯები. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ასათიანმა ახლა მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქალაქის მიერ ამ მიზნით უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ. შესახებ, მიუხედავად საქმის გაჭიანურებისა, ქალაქის თავის დაკენებით მოთხოვნის შედეგად, სენატმა მიიღო გადაწყვეტილება ქალაქისათვის უკვე გადახდილი თანხის (24 ათასი მან.) უკან დაბრუნების შესახებ. ცხადია ამით არ კმაყოფილდება; რაკი მიაღწია გარკვეულ წარმატებას საგუბერნიო ხელისუფლებასთან ბრძოლაში— ქალაქის სასარგებლოდ სოლიდური თანხის უკან დაბრუნების შესახებ, რომელიც იძულებითი წესით გადაუხდევინებიათ ქალაქისათვის სხვადასხვა დროს, ახლა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ სახაზინო პალატა უკანონოდ უკავებდა ქალაქს კუთვნილ სუბსიდიებს მეშჩანთა საზოგადოების საგადასახადო ნარჩენების დასაფარავად და მიაღწია იმას, რომ ეს უკანონოდ დაკავებული თანხა (9000 მან) დაებრუნებია ქალაქისათვის. ამასთან ყოველწლიურად სუბსიდიის გარდა, შეძლო ჯარის შესანახად ერთდროულად მიეღო კავკასიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის ნაკელის მოვალეობის შემსრულებლისაგან 6 ათასი მანეთი; საგუბერნიო ადმინისტრაციის სურვილის წინააღმდეგ შესძინა ქალაქს ე. წ. „სამეფო ადგილები“, რომლის ღირებულება შეადგენდა 10 ათას მანეთს[10]. როგორც ვხედავთ, საგუბერნიო ხელისუფლებას კანონსაწინააღმდეგო ფინანსური ვალდებულებანი დაუკისრებია ქალაქისათვის და საფუძვლიანად შეუუზღუდავს მისი ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ 70-იანი წლების დასასრულს ქალაქის თვითმმართველობა ლ. ასათიანის მეთაურობით ხმას იმაღლებს ამ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და როგორც ვნახეთ მას გარკვეული შედეგი მოჰყვა. ეს შედეგი მარტო ამ მაგალითის მიხედვით ფულად ღირებულებაში რომ გადავიყვანოთ, ის 50 ათასი მანეთი იქნება. რომელსაც ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს თანხა დაახლოებით იმ დროინდელ ქუთაისის საქალაქო ბიუჯეტს უდრის. ამიტომ გასაგებია ქალაქის მესვეურთა დაჟინებითი მოქმედება ქალაქის ფინანსური ბაზის გასაძლიერებლად. რამდენადაც ქუთაისის საქალაქო ცხოვრება ბურჟუაზიულ სახეს ღებულობდა, თანდათან მწვავდებოდა წინააღმდეგობა საქალაქო თვითმმართველობასა და გუბერნიის ადმინისტრაციულ ხელისუფლებას შორის, რომელიც 80-იან წლებში ფინანსურ დავაში გადაიზარდა. ასე მაგალითად, 1882 წლის თებერვალში ქუთაისის გუბერნატორმა გასცა განკარგულება, რომ დიეტრიათ ქალაქისათვის შესაწევარი, რომელიც მას ეძლეოდა მთავრობისაგან (17921 მ). ამ განკარგულების მოტივად მითითებული იყო ის, რომ ქუთაისის საზოგადო შემოსავლისაგან თავის დროზე არ ეძლეოდა სახსრები პოლიციისა და ჯარისკაცების შესანახად. აღნიშნული ფაქტები ნათლად გვიჩვენებს იმ პროცესს, რომელიც დამახასიათებელი იყო ბურჟუაზიული გარდაქმნის გზაზე დამდგარი ქალაქისათვის, თუ როგორ იბრძოდა ახლად აღმავალი კლასი თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში ეკონომიკური სიძლიერის მოპოვებისათვის. მისი ასეთი დაძაბული ურთიერთობა საგუბერნიო ხელისუფლებასთან ააშკარავებს იმას, თუ როგორ ისახებოდა და ყალიბდებოდა ქალაქის ეკონომიკური ცხოვრება ბურჟუაზიულ ყაიდაზე ცარიზმის პოლიტიკური ბატონობის პირობებში.

80-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ქალაქი უკვე დგებოდა ბურჟუაზიულ რელსებზე, ხელოსნებიც იწყებენ ბრძოლას ამქრული კორპორაციების ნაცვლად ხელოსანთა გაერთიანების შემოსაღებად. ხელოსანთა ამქრული კორპორაცია, რომელიც შუა საუკუნეების ქალაქის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ვითარებას შეესაბამებოდა, დამბრკოლებელი შეიქმნა საქალაქო ცხოვრების კაპიტალისტური ზზით განვითარებისათვის. ნიშანდობლივია, რომ ხელოსანთა ეს ბრძოლა ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ემთხვევა. 1883 წელს ქუთაისელმა ხელოსნებმა თხოვნით მიმართეს გუბერნიის სამმართველოს ხელოსანთა გამგებლობის დაარსების შესახებ, რომელიც იმავე წელს იქნა დაკმაყოფილებული[11]. ამგვარად, ქუთაისში შეიქმნა ხელოსანთა გამგებლობა, რომელიც ნათლად გამოხატავდა ქალაქის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად რომ იკაფავდა გზას. ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება, როგორც წესი უწყვეტი აღმავლობით არ ვითარდება, მაგრამ ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალაქის თვითმმართველობის წინადრონინდელ ვითარებას,

---

10 ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, დ. ნაზარიშვილის არქივი, საბ. 136.

11 მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის ხელოსანთა გამგებლობა, მაცნე, 1964., № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

80-იანი წლების დასაწყისს ვადარებთ და აღვნიშნავთ, რომ ამ პერიოდში ქალაქის სამეურნეო ეკონომიკურ ცხოვრებაში გარკვეული გარდაქმნები ხდება. მაგრამ, როგორც ითქვა ამ გზაზე მას ბევრი დაბრკოლება ხვდებოდა. ცხადია, პირველ რიგში მას ადგილობრივი ბურჟუაზიის სისუსტე და საგუბერნიო ხელისუფალთა წინააღმდეგობა უღობავდა გზას, მაგრამ ამ ობიექტურ ხელისშემშლელ პირობებს სუბიექტური პირობებიც ემატებოდა. ქალაქის თვითმმართველობის მესვეურებს არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა ქალაქის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების საერთო სურათის შესახებ, მათ არ იცოდნენ თუ რა მასშტაბის გარდაქმნები უნდა დაწყებულიყო, არ იცოდნენ რით დაეწყოთ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მათ არ ჰქონდათ ზუსტი ცნობა ქუთაისში მოქმედი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების შესახებ.

70-იანი წლების მეორე ნახევრამდე ქალაქის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების გენიალური შემოწმება ქუთაისში არ ჩატარებულა და ამიტომ ქალაქის საბჭოს უჭირდა მატერიალური სახსრების გამოსანახავი წყაროებიც ძებნა; აღწერის გარეშე თვითმმართველობას არ შეეძლო კონკრეტული ღონისძიებების ჩატარება, ძნელი იყო თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული სისტემის პირობებში ქალაქის მოთხოვნილებათა მიზანშეწონილობის დასაბუთება და მით უფრო მათი დაკმაყოფილება. ეს საკითხი ორგანიზაციული თვალსაზრისითაც მოუწესრიგებელი იყო. ქალაქი არ გააჩნდა ზრდა-განვითარებისა და გაფართოების დამტკიცებული გეგმა, ქალაქში არ იყო ჩატარებული მოსახლეობის აღწერა, რომელსაც ვერ ცვლიდა მანამდე ჩატარებული კამერალური აღწერები. 1877 წელს ჩატარდა ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო საწარმოების გენერალური შემოწმება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის ეკონომიკური პოტენციის განსაზღვრისათვის; ამ დროიდან 1885 წლამდე ანალოგიური აღწერები რამდენჯერმე იქნა ჩატარებული. განსაკუთრებული სამზადისით ჩატარდა ქალაქის ერთდღიანი აღწერა 1885 წელს[12]. ამ აღწერებმა ერთგვარი სინათლე შეიტანა ქალაქის გამგეობის საქმიანობაში, ამიერიდან მათ მიერ მიღებული დადგენილებანი ქალაქის ბურჟუაზიული გარდაქმნის კონკრეტული მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდა და მათ შესრულებასაც შედარებით ნაკლები დაბრკოლება ეღობებოდა წინ. საერთოდ კი ქალაქის თვითმმართველობას მუდამ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა საგუბერნიო ხელისუფლებისაგან, მიუხედავად მათი საერთო ინტერესებისა. ასეთი ურთიერთობა ააშკარავებს იმას, თუ როგორ ყალიბდებოდა ქალაქის ეკონომიკური სახე ბურჟუაზიულ ყაიდაზე. ცარიზმის პოლიტიკური ბატონობის პირობებში, 80-იანი წლების დასაწყისიდან.

ქუთაისის საქალაქო გამგეობის ახალ შემადგენლობამდე 1879 წლის იანვარში გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ს. მესხის წერილი: „როგორი ქალაქის თავი გვჭირდება ახლა“. ე. ი. მოვლენათა მსვლელობამ ახალი მოთხოვნები წაუყენა ქალაქის თავს, ს. მესხი გრძნობდა, რომ ქალაქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური ზრდა-განვითარება რთული ამოცანების წინაშე აყენებდა ქალაქის თავს. იგი საამისოდ მომზადებული უნდა ყოფილიყო. ე. ი. იგრძნობოდა, რომ ქალაქის ცხოვრებაში თვისებრივად ახალი პერიოდი იწყებოდა. უწინარეს ყოვლისა ქალაქის თავი უნდა ყოფილიყო პრაქტიკული, გამოცდილი,

---

12 ამ აღწერის შესახებ იხ. ქუთაისის ცენტრ. არქივი, 108, ს. 177, ფ. 7—9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის მცოდნე, მას საქმე ექნებოდა მთავრობასთან და ყველას წინაშე უნდა დაეცვა ქალაქის ინტერესები. აღნიშნული წერილიდან გამოსჩვივის ქალაქის ცხოვრებაში მოახლოებული გარდაქმნების საჭიროება.

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნა ბურჟუაზიული ურთიერთობის საფუძველზე წინამორბედი წარმოების წესის განვითარების კანონზომიერ მოვლენად ითვლება, მაგრამ ეს პროცესი თავისთავად არ განხორციელდება. ეს კანონზომიერება გულისხმობს საქალაქო გამგეობის მოქმედებას ქალაქის მეურნეობის გარდასაქმნელად. ე. ი. როცა ჩვენ ვამბობთ ამ გარდაქმნის აუცილებლობაზე, იგულისხმება, რომ ქალაქის თვითმმართველობა მოქმედებს თავისი ეკონომიკური ბაზის გასაძლიერებლად. მასზე იყო დამოკიდებული ამ პროცესის დაჩქარება, ან შენელება. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მეფის თვითმპყრობელობის ადგილობრივი მოხელეების წინააღმდეგობის შედეგად ქალაქის გამგეობა ძალიან ხშირად ვერ აღწევდა სასურველ შედეგს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალაქის გამგეობის მიერ მიღებული დადგენილებანი მაინც ახდენდა გარკვეულ გავლენას საეკონომო ცხოვრებაზე. ცხადია, ამ გავლენით გამოწვეული შედეგი ყოველთვის არ შეიძლებოდა ერთნაირი ყოფილიყო. ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება სუსტი ყოფილიყო, სხვა შემთხვევაში კი — ძლიერი. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ აღნიშნულ პერიოდში საქალაქო საბჭოს მიერ მიღებული იქნა დადგენილებანი, რომლებმაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყვეს ქალაქის გარდაქმნა ბურჟუაზიულ ყაიდაზე. საქალაქო მმართველობა თავის ძალაუფლებას საქალაქო დადგენილებით ახორციელებდა, მაგრამ ქალაქის მესვეურები გრძნობდნენ, რა ახალი დადგენილებების მნიშვნელობას ქალაქის სამეურნეო ცხოვრების გარდამტეხ ეტაპზე, მათთვის სავალდებულო ხასიათი მიუციათ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქალაქო საბჭოს მესვეურთა აზრით, სწორედ ამ სავალდებულო დადგენილებების გატარებას უნდა მოჰყოლოდა ქალაქის ზემოხსენებული გარდაქმნა, რომელსაც ქალაქის ახალი მმართველობა ისახავდა მიზნად. თვით ამ დადგენილებების სავალდებულო ხასიათი იმას უნდა მიუთითებდეს, რომ მოცემული დადგენილება ერთადერთი აუცილებელი სამუშაოები იყო, რომლითაც უნდა განმტკიცებულიყო ბურჟუაზიული კლასის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები და ეს სავალდებულო დადგენილებანი სისტემატურ ხასიათს ღებულობს 70-იანი წლების მიწურულიდან. მართალია, ძალიან ხშირად ისინი ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ ქალაქის გარდაქმნის ტენდენცია მაინც იკვლევდა გზას. ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად იმდენად აბრკოლებდა აღნიშნულ პროცესს, რომ ქალაქის მესვეურთა საქმიანობა არავითარ შედეგს არ იძლეოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ქალაქის საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობა ასეთ დადგენილებებს მხარს არ უჭერდა. ამიტომაც ქალაქის გამგეობა დასახული მიზნის მისაღწევად თავის დადგენილებას სავალდებულო ხასიათს აძლევდა და ასეთი სანქცია გარკვეულად ხელს უწყობდა მის რეალიზაციას. ყოველშემთხვევაში ქალაქის გამგეობა არ თმობდა თავის პოზიციებს და მიღებული დადგენილება აღრე თუ გვიან გარკვეული სახით მაინც ხორციელდებოდა, ეს კი საქალაქო ცხოვრების გარდაქმნას ხელს უწყობდა. მართალია, ამ დადგენილებების უმრავლესობა ძირითადად საქალაქო მმართველობის დებულებიდან გამომდინარეობდა, მაგრამ თითოეული მათგანის დღის წესრიგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყენება და სავალდებულო გზით მათი განხორციელება იმის მომასწავებელი იყო, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ამისათვის რეალური ნიადაგი არსებობდა და ეს მნიშვნელოვან მომენტად უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ქალაქის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის შესახებ ვაყენებთ საკითხს: საქალაქო თვითმმართველობის დებულება, რომელიც 1870 წელს იქნა მიღებული, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ქალაქების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა და პასუხობდა. იქ ამ დებულების ცალკეული მუხლების განხორციელებას შედარებით ნაკლები დაბრკოლებები ელობებოდა წინ, განსაკრა რაიონებში კი მდგომარეობა უფრო რთული იყო. აქ ყოველი მუხლის განხორციელება გაუთავებელი ბრძოლით ხდებოდა. მისი სისრულეში მოყვანა საქალაქო, საბჭოსა და მისი გამგეობის ბრძოლისუნარიანობაზე იყო დამოკიდებული. ე. ი. ერთი იყო მოქმედი საქალაქო დებულების შეკვეცილი მუხლები, ხოლო მეორე იყო თვით ამ დებულების ცალკეული მუხლებს გამოუყენებლობა განსაკრა ცხარის ქალაქებისათვის. ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს ქალაქები ხანგრძლივი ბრძოლით იპოვებდნენ ამ უფლებებს.

შეეეხოთ ამ დადგენილებებს:

საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისთანავე ქალაქის გამგეობის მმართველობაში, პოლიციის მმართველობაში გადავიდა მეშჩანთა წოდების საქმეები, მაგრამ რადგანაც საქალაქო გამგეობა ქონებრივ პრინციპზე იყო აღმოცენებული და არა წოდებრივზე, მოითხოვეს ქალაქის გამგეობის საქმეებიდან მეშჩანთა საქმეების ამოღება[13]. 1879 წელს ქალაქის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება არ ეწარმოებია მეშჩანთა საქმე და ამის შესახებ ეცნობებინა სახაზინო პალატისა და ადგილობრივი ხაზინასათვის. ეს გადაწყვეტილება ეცნობა საგუბერნო მმართველობას[14]. მაშასადამე, წოდებრივ პრინციპზე აღმოცენებული ორგანოს ჩამოცილება საქალაქო მმართველობის გამგეობისაგან, რომელიც ქონებრივ პრინციპზე იყო დამოკიდებული, იმის მომასწავებელი იყო, რომ ქალაქი საქალაქო საბჭოს დადგენილების შესაბამისად ბურჟუაზიული განვითარების გზით მიდიოდა.

საქალაქო თვითმმართველობამ გამოითხოვა ნებართვა, რათა ქალაქის ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ქუჩების გასაყვანად დაიწყო კერძო მფლობელთა უძრავი ქონების ჩამორთმევა, დაწესებული საფასურის გადახდით, ნაგრამ თუ კერძო მფლობელები ფასებზე არ იქნებოდნენ თანახმად, ქალაქის ინტერესებისათვის იძულებითი წესით ჩაებარებინა კერძო მფლობელებისაგან ხსენებული უძრავი ქონება[15]. ამ სახით ქალაქის გამგეობის ხელში გადავიდა, ანუ გასხვისებული იქნა, კერძო მფლობელთა უძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი.

70-იანი წლების ბოლოს ქალაქის თვითმმართველობასთან შეიქმნა სპეციალური ორგანო — სავაჭრო პოლიცია, რომელიც წარმოადგენდა საკონტროლო ორგანიზაციას ვაჭრობის წარმოების შინაგანაწესის დასაცავად. სავაჭრო პოლიცია მოქმედებდა საქალაქო საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც 19 პუნქტს მოიცავდა [16]. მას უნდა მოეცვა ქალაქის ყვე-

---

13 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 269, ფურც. 5.

14 იქვე, ფურც. 12.

15 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 340, ფურც. 23.

16 იქვე, ს. 260, ფურც. 264—172.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა სავაჭრო ობიექტი ქუჩებში და სახლებში. არსებულ დუქნებში, ბაზრებში, ყაფაღნში, საერთოდ ყველა სახოგადოებრივ ადგილებში, მას ევალებოდა სასწორებისა და საწონების ვარგისიანობის შემოწმება, რამდენადაც სავაჭრო პოლიცია ქალაქის სავაჭრო დწესებულებებს მეთვალყურეობდა, ცხადი ხდებოდა, რომ ამ ორგანოს ძალზე დიდი ფუნქცია ეკისრებოდა წვრილი სავაჭრო ობიექტების ბურჟუაზიული წყობის სავაჭრო სისტემის ჩარჩოებში მოსათავსებლად. ძნელი იყო აქ რადიკალური გარდაქმნის მოხდენა, მაგრამ სავაჭრო საქმიანობის წარმართვა გარკვეული პირობრეულებით და მისთვის სისტემატური ბრძოლა მაინც უცვლიდა სახეს მის ტრადიციულ ფორმას და ჩვენს წინაშე წარმოსდგებოდა უკვე ბურჟუაზიული წარმოების წესის დამახასიათებელი კომერციული სისტემა და ეს პროცესი 70-იანი წლების დასასრულიდან უკვე ნათლად შეიმჩნეოდა.

1880 წელს საქალაქო საბჭომ შექმნა სავაჭრო დეპუტაცია, რომლის მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებია ქალაქის სალაროსათვის, თუ რამდენად სწრაფად შედიოდა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებიდან ქალაქის კუთვნილი გადასახადი. ქალაქში აიკრძალა ვაჭრობა სავაჭრო წესდებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარეშე. სავაჭრო დეპუტაციას ჰქონდა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა მის უფლებამოვალეობას და საქმიანობას, ეს ინსტრუქცია (24 პუნქტს შეიცავდა) საქალაქო საბჭომ 1880 წლის 18 ოქტომბერს დაამტკიცა სახელმძღვანელოდ[17]. სავაჭრო დეპუტაცია ყოველწლიურად ატარებდა სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების შემოწმებას, პერიოდულად ტარდებოდა გენერალური შემოწმებაც. პირველი გენერალური შემოწმება, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებისა, როგორც ითქვა 1877 წელს ჩატარდა. ამ საქმიანობაში ქალაქის სავაჭრო დეპუტაციასთან ერთად მონაწილეობდნენ სახაზინო პალატის წარმომადგენლები[18].

თვითმმართველობასთან იქმნება აუქციონერი კამერა, რომელიც კვირაში ორჯერ აწარმოებდა ქალაქის მცხოვრებთა მოძრავი ქონების საჯარო გაყიდვას. აუქციონისტი მოვალე იყო აეღო დაწესებული თანხა საჯარო ვაჭრობიდან[19]. 1883 წლის 31 მარტიდან ძალაში შევიდა ახალი დამატებითი გადასახადი უძრავ შამულებზე, მოისპო ის უპირატესობა, რომლითაც სარგებლობდნენ მდიდარი სახლთმფლობელები[20]. ქალაქის 80-იანი წლების გარდაქმნების მნიშვნელოვანი ნაწილი ქუთაისის კომუნალურ მეურნეობას ეხებოდა, ბევრი მათგანი არ განხორციელებულა, მაგრამ მთავარი მათი დღის წესრიგში დასმა და ქალაქის საბჭოს ბრძოლა მის სისრულეში მოსაყვანად არის მაჩვენებელი იმისა, რომ ქალაქი ამ პერიოდში ბურჟუაზიული გარდაქმნის გზაზე იმყოფებოდა.

ქუთაისის საქალაქო მეურნეობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბედით იმთავითვე დაინტერესებული ნ. ნიკოლაძე. მან ყველაზე ადრე განსაზღვრა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის გვერდით ავლა ქალაქს საგრძნობლად დააქვეითებდა, ამიტომ იგი ცდილობდა თავისი პრაქტიკული საქმიანობით გამოესწორებინა ეს ხარვეზი. უწინარეს ყოვლისა, ნ. ნიკოლაძე

---

17 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 260, ფურც. 173—198.

18 იქვე, ფ. 108, ს. 264, ფურც. 110, გაზ. „შრომა“, 1881 წ., 23 დეკემბერი.

19 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 260, ფურც. 122.

20 გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის განვითარების ხელისშემწყობ პირობების შექმნისაკენ იღებდა გეზს. ჩვენთვის საინტერესო წლებში ნ. ნიკოლაძე ქუთაისის საქალაქო საბჭოს რწმუნებული იყო და იგი უშუალოდ მონაწილეობდა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქალაქის ბურჟუაზიულ გარდაქმნას. 1882 წელს მან პეტერბურგში მიაღწია თანხმობას, რათა ტყიბულის რკინიგზის ხაზი სადგურ სვირის ნაცვლად ამიერკავკასიის რკინიგზას ქუთაისში შეერთებინა, რასაც ქალაქის მრეწველობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამავე პერიოდიდან იწყება ქუთაისში წყალსადენის, ელექტროსადგურის, ტრამვაის ხაზის და კანალიზაციის მშენებლობა. ქალაქის თვითმმართველობამ თავდაპირველად წყალსადენის გაყვანას მოჰკიდა ხელი. ამდროიდან მოყოლებული რამდენიმეჯერ იქნა შედგენილი წყალსადენის პროექტები (ტექნიკოსი ძოწენიძე, ინგ. გრიაზნოვი, ინგ. შულცი), ტარდებოდა მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ მათი განხორციელება არ ხერხდებოდა, მოგვიანებით დადებული იქნა შეთანხმება ინგ. ა. მიხაილოვთან, რომელიც კიდეც შეუდგა საქმეს, შეაგროვა აქციებით 90 ათასი მანეთი, მაგრამ იგი სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი. მიხაილოვმა დააზარალა, როგორც ქალაქი, ისე აქციზების მყიდველებიც. შემდეგ კონცესიური პირობა იქნა დადებული წყალსადენის გაყვანას ბაქოელ ამხანაგებთან ინგ. კანცელსა და ი. დადიანთან. ქალაქის გამგეობა ძალზე დაიმედებული იყო ამ გარიგებით, მეტადრე ნავთის მრეწველ ინენერი ი. დადიანს იმედი ჰქონდა (იგი ცნობილი მრეწველი იყო ამიერკავკასიაში), მაგრამ აქაც განმეორდა ინგ. მიხაილოვის ისტორია. თუმცა საკითხი მაინც არ იხსნებოდა დღის წესრიგიდან. ქალაქის გამგეობამ ახლა პეტერბურგის ერთ-ერთ საავჭრო საკომისიო საქციო საზოგადოებისაგან მიიღო წინადადება ქალაქში წყალსადენის, ტრამვაის ხაზის გაყვანისა და ელექტროგანთების მოწყობის შესახებ. გამგეობა დაიმედებული იყო იმით, რომ ახლა ეს საკითხი მაინც გადაიჭრებაო დადებითად. სალე ინგ. მინკოვსკი ჩამოვიდა ქუთაისში, დაათვალიერა ქალაქი, შეკრიბა საჭირო ცნობები და სასწრაფოდ წარუდგინა ქალაქის გამგეობას. ნაჩქარევად შედგენილი ხარჯთაღრიცხვა წყალსადენსა და ტრამვაის ხაზის გაყვანასა და ქალაქის ელექტროდენით განათების შესახებ, რაც დაახლოებით 1,5 მილ. მან. ჯდებოდა (წყალსადენი — 600 ათასი მან, ელექტროსადგური რიონზე — 600 ათასი მან, ტრამვაი — 300 ათასი მან.), ქალაქის საბჭო და გამგეობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას და მიღებულ იქნა დადგენილება მთავრობისაგან 2 მილ. 275 ათასი მანეთის საობლიგაციო 5%-იანი სესხის ნებართვის შესახებ. ეს სესხი 3 მილიონამდე გაზარდეს. ინენერი მინკოვსკი მალე გაბრუნდა პეტერბურგს. ხოლო აქ ქალაქის თვითმმართველობაში დაიწყეს დავა იმის შესახებ, მიენდოთ თუ არა ეს დიდი საქმე პეტერბურგელი ფირმისათვის. ამ საკითხზე საქალაქო საბჭოში აზრთა სხვადასხვაობა იყო, მდგომარეობას ართულებდა თანხის სოლიდური რაოდენობაც, ამიტომ გამგეობა იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ პროექტის მიღებაზე[20]. მალე ამის შემდეგ, გამგეობამ მიიღო ორი წინადადება: ერთი ბელგიელი გენერალური საზოგადოებისაგან, მეორე კი — ფოთის ქალაქის თავის ნ. ნიკოლაძისაგან. ხმის დიდი უმრავლესობით გადაწყდა შეეკრთა პირობა ნ. ნიკოლაძესთან, ზემოხსენებული სამი მილიონი მანეთის სესხის საფუძველზე. იგი ითვალისწინებდა ქალაქის წყალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადენის, ტრამვაის ხაზის, კანალიზაციის და ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკური და ფინანსური პროექტების შედგენასა და დამტკიცებას[21].

ნ. ნიკოლაძე, როგორც ითქვა, დაინტერესებული იყო ქალაქის სამრეწველო განვითარების საკითხით, რაც ცნობილი იყო საქალაქო საბჭოს წევრებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით დაცულია ნ. ნიკოლაძის პირადი წერილები, რომლებსაც ის უგზავნის ქუთაისის ქალაქის თავს დ. ლორთქიფანიძეს და საბჭოს ხმოსანს დ. ნაზარიშვილს. ამ წერილებიდან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს შესთავაზეს დაეკავებია ქუთაისის ქალაქის თავის პოსტი, მაგრამ მან უარი განაცხადა. იგი წერს: „მთელი სულით და გულით მსურს ვემსახურო ქუთაისს და ვფიქრობ, რომ უკეთესად მოვემსახურები მას არა როგორც ქალაქის თავის როლში, არამედ რწმენებულად. ამ როლში უფრო თავისუფალი და ძლიერი ვიქნები, ვიდრე ქალაქის თავის თანამდებობაზე, სადაც მეორე ხარისხოვანი საკითხების მთელი მასა გამიმრავლებს მოწინააღმდეგეებს და საზრუნავს გამიჩენს... აირჩიეთ ქალაქის თავად ვინც გსურთ, ვისაც ენდობით, მე კი თქვენთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვიმუშავებ და გპირდებით, რომ ქუთაისს გადავაქცევ მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქად რუსეთის ქალაქებს შორის“[22], ხოლო ქალაქის თავს დ. ლორთქიფანიძეს სწერს: „მე ხელს მოვკიდებ მხოლოდ ერთი ან ორი საწარმოს განხორციელებას, რომლებიც გააუმჯობესებენ ქუთაისის ეკონომიკურ მდგომარეობას და შექმნიან მისგან მთელი ამერიკაკავკასიის მსხვილ საწარმოო ცენტრს“... „ამასთან ერთად მე შეძლებო შემომეშვებინა და განმეხორციელებინა ქუთაისის სასარგებლოდ მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის ელექტროენერგიად გარდაქმნის გეგმა, არა მარტო ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის გასანათებლად, არამედ მათ შორის მდებარე ადგილების, ყველა ფაბრიკის, სამიმოსვლო გზების და მთელი ჩვენი გუბერნიის ქიმიური და ლითონის ქარხნების მექანიზმების მოძრაობაში მოსაყვანად“[23].

აი, ასეთი აზრის იყო ნ. ნიკოლაძე და ყველაფერი ეს ცნობილი იყო ქუთაისის თვითმმართველობისათვის. ამიტომ მიანიჭეს უპირატესობა ნიკოლაძის წინადადებას ქალაქის საბჭოს წევრებმა.

ნ. ნიკოლაძე ვალდებულებას კისრულობდა ერთი წლის ვადაში წარედგინა აღნიშნული სამუშაოთა პროექტები და ხარჯთაღრიცხვა, მას უნდა მოეწვია სპეციალისტები და ქუთაისის ირგვლივ უნდა ჩაეტარებინა ჰიდრო-გეოლოგიური გამოკვლევები[24]. ნ. ნიკოლაძემ ეს პროექტები წარადგინა სამინისტროში, პეტერბურგში — დასამტკიცებლად[25]. მაგრამ იგი იქ წინააღმდეგობას წააწყდა. და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულება ქუთაისის წყალსადენის, ტრამვაის ხაზის, ელექტროსადგურისა და კანალიზაციის შესახებ არ დაამტკიცა, პროექტები თვითონ ქალქმა შეადგინოსო, ასეთი პასუხი მიიღო სამინისტროში[26]. 1914 წლის 2 ივლისს ქალაქის თავს ი. ჩიქოვანს მიენდო ხსენებული საესკიზო პროექტებისა და ხარჯთა-

21 გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. № 10.

22 ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, დ. ნაზარიშვილი არქივი, საბუთი № 2176/30.

23 იქვე, საბ. № 2176/245.

24 გაზ. „იმერეთი“, 1914 წ. № 10.

25 იქვე, 1914 წ. № 50.

26 იქვე, 1914 წ. № 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლრიცხვის შედგენა[27]. ჩანდა, რომ ქალაქის ეკონომიკური ცხოვრებისათვის ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი გადამწყვეტ სტადიაში იმყოფებოდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ იფეთქა პირველმა მსოფლიო ომმა და ეს საკითხი კარგა ხნით დღის წესრიგიდან მოიხსნა.

წყალსადენის, ტრამვაის ხაზის, ელექტროსადგურის და კანალიზაციის მშენებლობა, ძირითადად, ბურჟუაზიული ქალაქური ყოფის კომპონენტებია. მაგრამ ქ. ქუთაისის სინამდვილეში ისინი დღის წესრიგში 80-იანი წლების დასაწყისში დგებიან. მართალია, მათი სისრულეში მოყვანა დაბრკოლდა საქმიო დროით, მაგრამ ეს საკითხი არსს არ ცვლის. მთავარია ის, რომ უკვე 80-იანი წლების დასაწყისში ობიექტური აუცილებლობით იქმნება მათზე რეალური მოთხოვნილება, მაგრამ იმ დროისათვის დამახასიათებელმა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა ხელი შეუშალა მათი განხორციელების საქმეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად ვთვლით მათი განხორციელების საწყის ეტაპად 80-იანი წლების დასაწყისი მივიჩნიოთ და ისინი ნომინალურად ბურჟუაზიული განვითარების გზაზე დამდგარი ქალაქის ყოფა-ცხოვრებას დაუკავშიროთ.

საქალაქო საბჭო ღებულობდა ქალაქის მოსახლეობისათვის საკალდებულო დადგენილებებს, ქალაქის ცალკეულ უბნებში, ქუჩებში, მოედანზე, საზოგადოებრივ ობიექტებზე შინაგანაწესის, უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარული წესების დაცვის შესახებ. განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევდა ქალაქში მანამდე არსებული ჩამორჩენილი სანტექნიკური მდგომარეობა (საბუთების მიხედვით— „азиатская система“). საქალაქო საბჭო აღნიშნული დროიდან იძლეოდა განკარგულებას, ადგენდა ინსტრუქციებს ქალაქის კომუნალური მეურნეობის შესახებ. საქალაქო თვითმმართველობის შემოღებამდე მთელ წლის განმავლობაში პირუტყვის დაკვლა ხდებოდა თვით ქალაქში იქ, სადაც ხორცის დუქნები იყო ჯაჭვის ხიდთან. ამ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით ქალაქის საბჭომ შეიძინა მოხერხებული ადგილი „წყალთაშუა“[28]. 1881 წელს შედგენილ იქნა ქალაქის სანიტარული წესდება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქში სანიტარული წესრიგის დასამყარებლად[29].

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარ ცვლილებებთან ერთად იცვლება ქალაქის გარეგნული იერსახე, მისი განაშენიანება, ხდება ეროვნული ტრადიციული ხუროთმოძღვრული ფორმების თავისებური შერწყმა ახალ კლასიკურ სამშენებლო არქიტექტურასთან, რაც ქუთაისს აძლევდა დამახასიათებელ კოლორიტულ სახეს. მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სამშენებლო ტექნიკაში. ყალიბდება სამშენებლო რეგლამენტაცია, მშენებლობის საქმიანობა ექცევა სამშენებლო კანონმდებლობის სფეროში, მშენებლობაში ბოლო მოეკო მანამდე გამეფებულ ქაოსს და თვითნებობას[30]. ხის სამშენებლო მასალა უმეტესად იცვლება ქვით. ამ მხრივაც ქუთაისი სხვა ქალაქებთან შედარებით განსაკუთრებულ ადგილს ინარჩუნებს. საქალაქო თვითმმართველობის შემოღებამდე ქალაქის მშენებლობას საგუბერნიო სამმართველოს სამშენებლო განყოფილება განაგებდა. ეს იყო სამშენებლო ორგანო, რომელიც ადგილებზე ახორციელებდა სამშენებლო კანონმდებლობას. საგუბერნიო

27 გაზ. „იმერეთი“, 1914 წ., № 94.

28 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 260, ფურც. 2, 14, 19.

29 გაზ. „ შრომა“, 1881 წ. 21 ოქტომბერი.

30 ვ. ბ ე რ ი ძ ე, XIX საუკუნის თბილისის ისტორიიდან, ჟურნ. „ცისკარი“, 1958, № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოს სამშენებლო განყოფილება უკვე 50-იანი წლებიდან კრძალავდა საგუბერნიო ქალაქში ზოგ ადგილზე ხის სახლების მშენებლობას, მაგრამ ეს იყო იძულებითი ზომა, რომლის განხორციელება ძალზე ძნელი იყო. ხის საცხოვრებელ სახლებს რუსეთის ბევრმა საგუბერნიო ქალქმაც ვერ დააღწია თავი (მათ შორის პეტერბურგმაც) და ცხადია ქუთაისი, რომელსაც ახლომახლო მოეპოვებოდა ხის სამშენებლო მასალა ამ მდგომარეობას ვერ დააღწევდა თავს. ქალაქის გამგეობამ გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და ჩათვალა მიზანშეწონილად ნაწილობრივ განეხორციელებინა ქალაქში ხის სახლების მშენებლობა. კერძოდ, 1879 წლის 31 ივლისს საქალაქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ხის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის აკრძალვის შესახებ[31]. ნებადართული იქნა ხის სახლების მშენებლობა ქუჩების იმ მონაკვეთებში, რომლებიც ქალაქის განაპირა ტერიტორიაზე გადიოდა[32]. რაც შეეხება შენობების სახურავს აქ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა: ჯერ კიდევ ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა (60-იანი წლების დასასრულს) გამოითხოვა ნებართვა, რათა აკრძალულიყო საგუბერნიო ქალაქში ყავრის გამოყენება. სახურავად. ეს საკითხი განიხილა საგზაო-ტექნიკურმა კომიტეტმა და პრაქტიკული მოსაზრებით ყავრით სახლების გადახურვა აიკრძალა, მაგრამ მისი გამოყენების ნება დართეს იმ მფლობელებს, რომელთა უძრავი ქონებიდან ქალაქს 10 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ[33]. 1879 წელს ქალაქის გამგეობამ უკვე არსებული ხის სახლების მფლობელებს ქალაქის განაპირა უბნებში ნება დართო სახლების ყავრით გადახურვისა.

ქალაქის იერსახეს, მის კოლორიტს განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საზოგადოებრივ და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობანი, მოსახლეობის განაშენიანების ხეოროთმოძღვრული კომპლექსები, ქუჩების ქსელი. ეს უკანასკნელი 70-იან წლებამდე ადრინდელი განაშენიანების ტენდენციას ინარჩუნებდა. ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ბ. გლინესაროვი 1853 წელს წერდა: „თქმა იმისა, თუ რამდენი ქუჩაა ქუთაისში, ძნელია, ვინაიდან მათ არ აქვთ სახელწოდებანი და ისინიც ისევ ერთმანეთში გადახლართული, რომ ძნელია, სად მთავრდება ერთი ქუჩა და სად იწყება მეორე[34]. მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ქალაქში 144-მდე ქუჩა და შესახვევი იყო ფიქსირებული, მათ აბსოლიტურ უმრავლესობას სახელწოდებანი არ გააჩნდათ, ამიტომ ისინი თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ. ასეთი მდგომარეობა მოუთმენელი იყო გუბერნის უმთავრესი ქალაქისათვის, რომლის მოსახლეობა რეფორმის შემდგომ ხანაში სწრაფად იზრდებოდა. 80-იანი წლების დასაწყისში საგანგებოდ შექმნილმა განმკარგულებელმა კომიტეტმა განიხილა ქალაქის გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქალაქის უსახელო ქუჩებისა და შესახვევებისათვის სახელწოდებების მიკუთვნების შესახებ. სულ 1884 წელს დფიქსირებული იქნა 144 ქუჩა და შესახვევი, მათ შორის 38 ატარებდა სახელწოდებას. განმკარგულებელმა კომიტეტმა 106 ქუჩას ახალი სახელწოდება მიაკუთვნა[35].

---

31 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 158, ს. 260, ფურც. 75—76.

32 იქვე, ფურც. 76.

33 იქვე, ფურც. 74.

34 „Кавказский календарь“, 1853.

35 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 900, ფურც. 168—174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩების გარდა 1885 წელს სახელწოდებანი მიაკუთვნეს შესახვევებს, მოედნებს, ბაღებს, აღმართებს, დაღმართებს, გასასვლელებს. თანდათან ყალიბდება ბურჟუაზიული ქალაქისათვის დამახასიათებელი საწარმოო, სახელმწიფო, სავაჭრო, საანგარიშო-საფინანსო, ადმინისტრაციული ობიექტები და შესაბამისი განყოფილებები.

80-იან წლებამდე ქალაქის ფარგლებში, რომლებშიც არ იყო გაყვანილი ქუჩები, იწყება მოქალაქეთა მიერ განაშენიანება უწესრიგოდ, მაგრამ შემდგში, როდესაც ქალაქის გამგეობას გეგმური სახე მიეცა საქალაქო საბჭოს მოთხოვა ასეთ უბნებში სწორი ქუჩების გაყვანა, რაც იწვევდა კერძო მფლობელთა მიწების გასხვისების მოგვარებას. ქალაქის საბჭო კერძო მფლობელებს უძრავ, გასხვისებულ ქონებაში უხდიდა გარკვეული რაოდენობის თანხას, მაგრამ მესაკუთრეებმა უარი განაცხადეს ასეთ პირობაზე, მაშინ ქალაქის საბჭომ წესის თანახმად გამოითხოვა ნებართვა იძულებითი წესით მიწების ჩამორთმევის შესახებ, კერძოდ, საკითხი ეხებოდა ბალახვნის უბანში, ე. წ. „წყალთაშუას" მიდამოებში კერძო მფლობელთა მიწების გასხვისებას[36]. ადგილი „წყალთაშუა" მოთავსებული იყო ბალახვნის უბანში მდ. რიონისა და კერძო მფლობელთა (თუმანიშვილის, კოკოჩაშვილების და მარჯანიშვილების) წისქვილის არხს შორის. რომელშიც ქალაქის საბჭოს წინადადებით პროექტდებოდა 4 პარალელური და 4 განივი ქუჩები — პეტერბურგის „ვასილის კუნძულის" მსგავსად"[37].

„წყალთაშუას" უბანში ქუჩების დაპროექტება პეტერბურგის „ვასილის კუნძულის" მსგავსად, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ქალაქის ბურჟუაზიულ გარდაქმნის სიმბოლურ გამოხატულებად, 80-იანი წლების დასაწყისში.

ამგვარად, 70-იან წლებამდე „წყალთაშუას" ტერიტორია მოქალაქეთა მიერ უწესრიგოდ იქნა დასახლებული. მაგრამ შემდგში ქუჩების დაგეგმარების დროს მათ უარი განაცხადეს ნებაყოფლობით დაეთმოთ კარმიდამოს ნაწილი, მოითხოვეს მასში ზღაპრული ანაზღაურება, ამან, ცხადია გაამწვავა მათი ურთიერთობა საქალაქო საბჭოსთან და ხელი შეუშალა „წყალთაშუას" ტერიტორიაზე ხსენებული პროექტის განხორციელებას. 70-იანი წლების ბოლოს ქალაქის საბჭომ მიიღო საგალდებული დადგენილება სატრანსპორტო მეურნეობის წარმოების შესახებ, იქმნებოდა მეეტლეთა სამეურნეო-სარეწაო ორგანიზაცია, რომელშიც მსურველებს შეეძლოთ შესულიყვნენ თანახმად დამტკიცებული წესდებისა.

სამეურნეო-ეკონომიკური ხასიათის ძვრებთან ერთად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა კულტურის სფეროშიც, რომელიც არსებითად შეესატყვისებოდა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპს 70-იან წლების დასასრულს და 80-იანი წლების დასაწყისში. კულტურის დარგში ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ, ძირითადი მოვლენების აღნიშვნით, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ისინი არსებითად არიან მაჩვენებელი კულტურის დარგში მომხდარი სიახლეებისა. უწინარეს ყოვლისა სახალხო განათლების დარგში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით 1880 წ. გაიხსნა ქართული გიმნაზია,

36 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 108, ს. 340, ფურც. 19.
37 იქვე, ს. 309, ფურც. 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი კერა გახდა დასავლეთ საქართველოში. ამ გიმნაზიამ რეკოლუციამდელ პერიოდში დიდი როლი შეასრულა ეროვნული კადრების აღზრდის საქმეში.

1879-80 წლებში ქალაქის გამგეობამ ააგო თეატრის შენობა და 1885 წელს კ. მესხის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პროფესიული თეატრი, სადაც გამოდიოდნენ ქართული სცენის თვალსაჩინო ოსტატები.

1881—1883 წლებში ქუთაისში გამოდიოდა პირველი ქართული გაზეთი „ᲬᲠᲝᲛᲐ“ ლიბერალურ-ხალხოსანთა პერიოდული ორგანო, რომელთა გარშემო შემოკრებილი იყვნენ ქართული მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ამგვარად, XIX ს. 70-იანი წლების დასასრული და 80-იანი წლების დასაწყისი ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც იწყება მისი გარდაქმნა რეფორმამდელი წვრილი მემამულური სავაჭრო-სახელოსნო ქალაქიდან ბურჟუაზიულ ქალაქად. იცვლება მისი წინანდელი სოციალურ-ეკონომიკური მხარე და გარეგნული იერსახე.

М. В. НИКОЛЕЙШВИЛИ

КУТАИСИ НА РУБЕЖЕ 70—80-Х ГОДОВ XIX ВЕКА

Резюме

В труде на конкретном материале показано, как изменялось социально-экономическое положение Кутаиси в пореформенный период, как он превратился из ремесленно-торгового в типично буржуазный город. Автор знакомит читателей с состоянием экономического базиса и с теми обязательными постановлениями, которые проводились для преобразования экономической и культурной жизни города и его облика.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერგმიშა გოგოლაძე

ქართული ფეოდალური სათავადოების არსისა და ისტორიული ადგილის საკითხისათვის

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში არსებულ სათავადო-სენიორიათა სისტემის მეცნიერული შესწავლა და დახასიათება მოცემულია ნ. ბერძენიშვილის შრომებში, რომელიც დღეს თითქმის საყოველთაოდ მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნ. ბერძენიშვილის შემდეგ ცალკეული სათავადოები, მათი წარმოშობა და განვითარება, სათავადოთა სისტემის დაშლა და მასთან დაკავშირებული რიგი საკითხები შეისწავლეს და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს დ. გვრიტიშვილმა, ო. სოსელიამ, ვ. გაბაშვილმა, მ. დუმბაძემ, ზ. ანჩაბაძემ, გ. ჯამბურიამ, მ. ქიქოძემ, გ. აკოფაშვილმა, შ. ხანთაძემ, ნ. ასათიანმა, დ. გოგოლაძემ და სხვებმა, რომლებიც ძირითადად ნ. ბერძენიშვილის კონცეფციას ეყრდნობიან.

ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია სათავადოების საკითხში ასეთია:

სათავადოები მსხვილ ფეოდალთა სამამულო და სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციაა, ბატონყმობის ეპოქის საფეოდალო-სენიორიებია საერთო-საგვარეულო კორპორაციული საკუთრებით, რომელშიც შედის მკვიდრი, ნაწყალობევი და მინტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მთელი საქართველო — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი — თანდათან ასეთი სათავადოებით მოიფინა“[1].

სათავადოები გენეტიკურად დიდებული აზნაურების (დიდებულების) სამფლობელოსაგან წარმოიშვა, ხოლო თავადები — აზნაურობის საერთო მასისაგან დიდებულთა გამოყოფის და მათი ცალკე თავადთა წოდებად ჩამოყალიბების შედეგად. ეს მოხდა საქართველოში ბატონყმობის გამარჯვების შემდეგ — XIV—XV საუკუნეებში.

სათავადოები წარმოიშვა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების, ხოლო დიდად განვითარდა მისი პოლიტიკური დაშლის შედეგად, რაც საგარეო ფაქტორმა (ძირითადად მონღოლების შემოსევამ) გამოიწვია. „XIII—XV საუკუნეთა ქთელს სიგრძეზე ერთი მეორის გვერდით თანდათან ყალიბდებიან ქართული სამეფო-სამთავროები“[2], რასაც პარალელურად მოჰყვა სათავადოების გაჩენა. სათავადოები ესაა ქვეყნის არა საზოგადოებრივი წინსვლის, არამედ რეგრესის შედეგი, ქვეყნის ცენტრალური პოლიტიკური ხელისუფლების დასუსტებისა და ეკონომიკური დაცემის, ტომობრივ-კუთხურობის წინ წამოწევის შედეგი. რეგრესისა და რეაქციის ნიადაგზე, სახელდობრ, ერთიანი ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შედეგად, „ფრთაგაშლილი თემობრივობის“ და ტომობრივ-კუთხურობის მიხედვით XV—XVI საუკუნეებში საბოლოოდ წარმოიშვა სამეფო-სამთავროები — „საქართველოები“: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამეგრელოს, გურიის, სამცხე-საათაბაგოს და სხვა სამთავროები, ხოლო ადრე დაწყებული ამ პროცესის ერთდროულად და პარალელურად, ნ. ბერძენიშვილის კონცეფციით, ხდება „სენიორიების მეორე გამოცემა“ — ანუ სათავადოების წარმოშობა. რეგრესის, ქვეყნის დაჩახლობისა და რეაქციის ნიადაგზე სათავადოების წარმოშობა, ანუ საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში სენიორიების „მეორე გამოცემა“, მოხდა ისტორიულად „განსხვავებულ პირობებში“, სახელდობრ, უმთავრესად ბატონყმობის ბატონობის პირობებში, რამაც ახალ სენიორიებს (სათავადოებს), მებატონეთა გაღრმავებული იმუნიტეტითა და განვითარებული ვასალიტეტით, მახინჯი ფორმა და რეაქციული შინაარსი მისცა, რომ ასეთი სათავადო-სენიორიები ეს იყო წყლული საქართველოს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ სხეულზე, ეს იყო რეგრესი, რის ნიადაგზეც მივიღეთ ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური და სოციალური სტაგნაცია (საქართველოს პოლიტიკური დაშლილობისა და ბატონყმობის გახანგრძლივებით) XIX საუკუნემდე[3].

ასეთია სათავადოების საკითხში ნ. ბერძენიშვილის კონცეფციის ძირითადი არსი.

ამასთან, ცხადია, შეუძლებელია ნ. ბერძენიშვილს წინასწარ, უკლებლივ, სათავადოს ყველა იმ საკითხზე გაეცა პასუხი, რაც მის დროს მკვლევრებს არ დაუსვამთ. მის შემდეგ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ადგილი აქვს სათავადოს სხვაგვარ შეფასებას საერთოდ, ან მისი ცალკეული მხარეების

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1948 წ., გვ. 302, ს. ჯანაშიას რედაქციით.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, გვ. 136.

[3] ვრცლად ამის შესახებ იხ. დ. გოგოლაძე, სათავადოების საკითხი ნ. ბერძენიშვილის შრომებში, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, „მეცნიერება“, 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსვაგვარად გააზრებას: სათავადოს არსის, მისი ძირითადი ნიშნის, მისი ისტორიული ადგილის და ა. შ. ანტომ წინამდებარე ნაშრომის მიზანია ნათელვყოთ ჩვენი შეხედულება სათავადოების რიგ არსებით საკითხზე, რომელიც ბოლო დროს სავამეთო საგნად არის ქცეული.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი. სათავადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე, შინაგან ორგანიზაციაზე, მათ პოლიტიკურ როლზე ქვეყნის ცხოვრებაში და მრავალ სხვა საკითხზე უურაცხელი წყაროები არსებობს, მათ შორის პირველ რიგში აუთენტური დოკუმენტაცია — გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი. მათი დემონსტრირება აქ შეუძლებელია და, ვფიქრობთ, აუცილებელ საჭიროებასაც არ შეადგენს, რადგან სპეციალისტებისათვის ისინი საყოველთაოდ ცნობილია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულია მკვლევართა სპეციალურ ნაშრომებში. აქ ჩვენს ამოცანას შეადგენს დავახასიათოთ სათავადოს ძირითადი ნიშნები და მისი განსხვავება ერთიანობის ხანის დიდებულის მამულისაგან, ანალიზი გავუკეთოთ სათავადო-სენიორიათა სისტემას, როგორც ისტორიულ მოვლენას, და როგორც პრაქტიკულ, ასევე, ძირითადად თეორიულ ჭრილში წარმოვაჩინოთ მისი არსი და ისტორიული ადგილი ფეოდალური საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ცხადია, მთელი ეს ანალიზი და პრაქტიკულ-თეორიულ ჭრილში გააზრება დაყრდნობილია სათავადოებზე არსებულ მთელ დოკუმენტაციაზე, ასევე, გათვალისწინებულია მთელი არსებული სპეციალური ლიტერატურა.

I. სათავადოს ძირითადი ნიშნები და მისი განსხვავება ერთიანობის ხანის დიდებულის მამულისაგან *

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს თავადის სოციალური წინამორბედი გენეტიკურად ძირითადად იყო დიდებული (დიდებული აზნაური) და „მთავარი“, ხოლო სათავადოს წინამორბედი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი, ძირითადად, — დიდებულის და მთავრის ფეოდალური მამული.

დიდებულს თავის „მკვიდრ“ (პატრიმონიალურ, ნასყიდ, ნამზითვ) მამულთან ერთად ჰქონდა აგრეთვე მეფეების მიერ სამხედრო თუ სხვა სამსახურის პირობით მიცემული ყმა-მამული (ფეოდი, ანუ ქართული „საკარგავი“), ასევე, საგამგეო-სამოხელეოდ მიცემული სამფლობელოები (საერისთავოები, ქალაქები, ციხეები), თანამდებობანი სამეფო კარზეც, ვასალი აზნაურები. XIII—XV საუკუნეების მანძილზე ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შედეგად დიდებულებმა, აშკარაა, სამკვიდროდ მიიტაცეს საგამგეოდ მიცემული სამეფო სამფლობელოების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთან უფრო განმკვიდრეს სამოხელეო თანმდებობანიც. ამის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერებული დიდებული აზნაურები გამოიყენენ აზნაურთა საერთო წოდებას, რასაც ისინი საუკუნეების განმავლობაში ესწრაფოდნენ, და XIV—XV საუკუნეებში ცალკე თ ა ვ ა დ თ ა წოდების სახით ჩამოყალიბდნენ.

თავადების ნაწილი იყო ძველი დიდებულები—ერისთავთ-ერისთავები, ერისთავები, სამეფო ცენტრალური ხელისუფლის დიდმოხელენი. თავადთა ნაწი-

* ტექნიკური მიზეზის გამო (სტატიის მოცულობის განსაზღვრულობა) ჩვენ აქ ვრცლად ვერ ვეხებით სათავადოების წარმოშობას და მათ ორგანიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კი და, შესაბამისად, ახალი სათავადო სახლები, ცხადია, გაჩნდა რიგი ძლიერი აზნაურების ბაზაზე, რომელთა სახლის უფროსები ადრე დიდებულნი არ ყოფილან.

დიდებულების თავადებად გადაქცევის შედეგად მათი ვასალი აზნაურები სათავადო აზნაურებად იქცნენ.

სათავადოში არსებობდა ყმა-მამულის მფლობელობა-საკუთრების ორი ფორმა: 1. საერთო და 2. სათავისთავო, ანუ „სახასო“, იგივე „საუფლისწულო“. ამასთან, სათავადო-სამფლობელოებში შერეული ტიპის ფეოდალური საკუთრება არსებობდა: თავადის, სამეფო და ეკლესიის ყმა-მამული.

სათავადოების წარმოშობა საქართველოში ძირითადად დასრულდა XV საუკუნეში, ხოლო განსაკუთრებით მომრავლდა ისინი XVI საუკუნეში. მთელი ქვეყანა ფეოდალური იმუნიტეტის მქონე დიდი და პატარა ნახევრად პოლიტიკური სპატარონო-სათავადოებით იყო მოფენილი. ამ დროს ქართლში დიდ და ძლიერ სათავადოებს წარმოადგენდნენ: საამილახვრო, საციციანო, საბარათიანო, სამუხრანბატონო, ქსნისა და არაგვის ერისთავთა სათავადოები და სხვ. იმერეთში — საბაბაშიძეო, რაჭის ყოფილი საერისთავო, საწერეთლო, წულუკიძის და სხვ. სამკეხე-საათაბაგოს სამთავრო XVI საუკუნეში ოდდაორი მსხვილი ფეოდალური „სახლისაგან“ (სენიორიისაგან) შედგებოდა[4].

საქართველოში თვიანთი სიდიდით ქართლის და იმერეთის სათავადოები გამოირჩეოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში აქაც ჩნდებოდნენ მრავალი შედარებით პატარა სათავადოები, როგორც ბუნებრივი წარმოშობის, ისე დიდი სათავადო სახლებისა და მათი ყმა-მამულის გაყოფის შედეგად (მაგალითისათვის, საბარათაშვილო 9 ცალკე სათავადოდ დაიყო).

შედარებით მცირე სიდიდის სათავადოები იყო კახეთის სამეფოში. ამასთან, ჩანს, კახეთის სათავადოები ადრეულ ხანაში უვასალიტეტო ან მეტად შეზღუდული, სუსტი ვასალიტეტით იყო წარმოდგენილი, რაც, როგორც ჩანს, განპირობა გარკვეულმა ისტორიულმა გარემოებებმა: 1. კახეთის დიდი ნაწილი ისტორიულად სამეფო დომენი იყო და შედეგად აქ დომინირებდა სამეფო აზნაურობა, 2. ერთიანობის ხანაში კახეთის დიდებულებსაც უნდა ჰყოლოდათ ვასალი აზნაურები (ამის ერთი მოწმობა შესაძლოა იყოს დავით ალმაშენებლის ბრძანება არიშიანისადმი), მაგრამ, ჩანს, აქ ვასალიტეტი ისე არ ყოფილა განვითარებული, როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში (ქართლში, მესხეთში, დასავლეთ საქართველოში).

ჩანს, კახეთის ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბების დროსაც (XV ს.) აქ არ იყო დიდებულთა მძლავრი ფენა განვითარებული ვასალიტეტით, რამაც ხელი შეუწყო სამეფო ხელისუფლებას კახეთში, რთული შინაკასობრივი ბრძოლის პირობებში, გაეტარებინა რადიკალური ადმინისტრაციული და სასახელდრო რეფორმები XV ს-ის მეორე ნახევარში[5].

კახეთის სამეფოში გატარებული რეფორმები XV საუკუნეში, რომლის შესახებ მხოლოდ ვახუშტი გვაწვდის ცნობას[6], ბურუსითაა მოსილი და დაკავ-

---

4 საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 272.

5 ვრცლად ამის შესახებ იხ. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, სახელმწიფოებრივი რეფორმების საკითხისათვის XV საუკუნის კახეთის სამეფოში, კრებ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976.

6 „ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 567—568, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებულია, უეჭველად, სამეფო ცენტრალური ხელისუფლების მწვავე შინაკლასობრივ ბრძოლასთან კახეთის დიდებულთა ფენის წინააღმდეგ, რომლის მიზეზები დღემდე ნათლად არაა ცნობილი.

XV საუკუნეში სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმები, — საერისთავოების გაუქმება, ქვეყნის სამოურავოებად და სადროშოებად დაყოფა, — საქართველოს სხვა სამეფოებშიც ტარდა, მაგრამ კახეთში მან აშკარად რადიკალური და მწვავე ხასიათი მიიღო. ერთიანობის ხანის კახეთის შვიდი დიდი საერისთავო (პანკისის, შტორის, ხორნაბუჯის, კვეტერის, მაჯის, ვეჯინის, რუსთავის)[7] გაუქმეს და მთელი ქვეყანა გაცილებით მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად, 40-მდე სამოურავოდ დაყვეს, რომელთა სათავეში მოურავები (ძირითადად თავადები) დასვეს, ხოლო ერისთავები, ვახუშტის ცნობის საფუძველზე, შესაძლოა, ფიზიკურად თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გაანადგურეს. მცირე ტერიტორიის მმართველ მოურავებს სამეფო ცენტრალური ხელისუფლებისადმი ურჩობის ძალა აღარ შესწევდათ.

სამხედრო რეფორმით კი სადროშოების (4) სარდლობა კახეთში სამეფო ხელისუფლებამ თავადებს კი არ ჩააბარა, როგორც ეს ქართლში და იმერეთში გაკეთეს, არამედ ეპისკოპოსებს მისცეს, „რათა არა განიმკდრონ მთავართა"[8] (თავადებმა — დ. გ.). ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო და, ამასთან, საეკლესიო ყმების კეთილდღეობა მეფის სიძლიერე-მფარველობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ეპისკოპოსი სარდლები მეფის ძლიერი ხელისუფლების გაცილებით ერთგულნი იყვნენ, ვიდრე საერო დიდმოხელე ფეოდალები.

აღნიშნულ რეფორმებს უნდა გამოეწვია კახეთში მსხვილი ფეოდალური საგვარეულოების დასუსტება და შედარებით ისედაც სუსტი ვასალიტეტის მოშლა, რამაც, ჩანს, განაპირობა კახეთის სათავადოების მცირე მასშტაბურობა და კარგა ხანს მათი უვასალიტეტო სუსტი ფეოდალური ორგანიზაცია. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კახეთის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეს, განსაკუთრებით მთელი XVI საუკუნის მანძილზე.

დროთა განმავლობაში კახეთშიც ძლიერდებოდა ესა თუ ის სათავადო სახლი, რიგ უვასალიტეტო საბატონო-სათავადოებში აქაც თანდათან ფეხს იკიდებდა ვასალიტეტი, ხოლო გვიან ხანაში, XVII ს-ის დასასრულსა და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, კახეთში, აქა-იქ, შედარებით მსხვილ საბატონოებში (ჩოლოყაშვილების, ანდრონიკაშვილების, მაყაშვილების...) სათავადო აზნაურების ვასალურ-სენიორული დამოკიდებულების არსებობა უკვე ფაქტია[9]. მაგრამ კახეთში სათავადო-სენიორიათა სისტემას მისთვის დამახასიათებელი სათავადოების შედარებით მცირე მასშტაბურობა და ვასალიტეტის სისუსტის სპეციფიკურობა ბოლომდე შერჩა.

საქართველოში ძირითადად არსებობდა ორი ტიპის სათავადო: 1. ვასალიტეტის მქონე სათავადო-სენიორია და 2. უვასალიტეტო სათავადო. უვასალიტეტო ტიპის სათავადოები უმთავრესად არსებობდნენ კახეთში. უვასა-

---

[7] „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 498; IV, გვ. 561.

[8] „ქართლის ცხოვრება", IV, გვ. 568.

[9] ვრცლად ამის შესახებ იხ. გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, სათავადოთა საკითხისათვის, კრებ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", I, 1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტეტო სათავადოებში სათავადო აზნაურობის სამოხელეო და სხვა ფუნქციებს, შესაძლოა, მ ს ა ხ ურ ე ბ ი ასრულებდნენ.

სათავადოების უმრავლესობა კი საქართველოში ვასალიტეტის მქონე საბატონო-სენიორიები იყო.

თავადთა წოდებაში საქართველოში გამოირჩეოდნენ დიდებული თავადები, რომელნიც დიდი სათავადოების მფლობელი სახლების უფროსები იყვნენ (ამილახვარი, ბარათაშვილი (ორბელიშვილი), მუხრან-ბატონი, ციციშვილი. არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, აბაშიძე, რაჭის ერისთავი, წერეთელი, წულუკიძე და სხვ.). ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ ქართული სამეფოების პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

თუ ჩვენ გადავხედავთ სათავადოს წარმოშობისა და მისი აღნაგობის სურათს, შეიძლება განვსაზღვროთ მისი ძირითადი ნიშნები. სათავადოს ეს ძირითადი ნიშნებია:

1. მსხვილ ფეოდალთა სასმულო სოციალური ორგანიზაცია. სათავადო სახლის მიერ საგვარეულო ფეოდალურ-ბატონყმური საკუთრების (ყმა-მამულის), როგორც მამაპაპეული მკვიდრი მამულის, ისე ნაწყალობევის კორპორაციული ფლობა; 2. ისე როგორც, საერთოდ, ფეოდალური მამულის, სათავადოს ძირითადი ყმა-მამულის მეტ-ნაკლებად კომპაქტურად არსებობა ამა თუ იმ კუთხეში (ტერიტორიიაზე); 3. თავადისათვის ბოძებული, ნაწყალობევი, ყმა-მამულის მემკვიდრეობითი ფლობა სამხედრო და სხვა სამსახურის პირობით; 4. სათავადო სახლისთვის ბოძებული თანამდებობის — სამეფო კარზე არსებული თუ საქვეყნო-გამრიგე სახელოს, — როგორც წესი, მემკვიდრეობით ფლობა; 5. წოდებრიობა. თავადობა წოდებაა და იგი ვრცელდება სათავადო სახლის ყველა წევრზე და გადადის მემკვიდრეობით; 6. ბატონყმობა — სათავადოს სოციალური ბაზა; 7. განვითარებული ვასალიტეტი — ვასალი აზნაურების მფლობელობა; 8. ფართო იმუნიტეტი — სასამართლო და სავადასახადო შეუვალობა; 9. სალაშქრო ვალდებულება. თავადის მიერ სათავადო საფლობელოდან გამოსული ლაშქრის მეთაურობა.

როგორც ვხედავთ, სათავადო-სენიორია მთელი რიგი ძირითადი ნიშნების კომპლექსია, ერთობლიობაა, ამ ძირითადი ნიშნების ერთობლიობა ქმნის სათავადოს — ქართველ ფეოდალთა სამასულო-სოციალურ ორგანიზაციას. აქედან რომელიმე ნიშნის განმსაზღვრელად აღება მართებული არ იქნება.

სათავადოს მთელი რიგი ძირითადი ნიშნები აქვს აგრეთვე ერთიანობის ხანის დ ი დ ებ ულ ი მამულსაც: ფეოდალური საგვარეულოს მიერ ყმა-მამულის კორპორაციული საკუთრება და მისი მემკვიდრეობითი ფლობა. ვასალიტეტი, იმუნიტეტი, დიდი თანამდებობები სამეფო კარზე და ასევე საქვეყნო-გამრიგე სახელოები და სხვ., მაგრამ მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც, რომელსაც შემდეგ შევეხებით.

ბოლო პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ გამოითქვა ახალი შეხედულება სათავადოს განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნის შესახებ. ამ შეხედულებით სათავადოს განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი არის თავადის „მემკვიდრეობითი მამული“ ანუ სათავადოს ყმა-მამულის მფლობელობის მემკვიდრეობითობა, „მკვიდრი მამულის თავადის სამუდამო მფლობელობაში გადასვლა და მისი განსხვისების უფლება“, რითაც იგი განსხვავდება ერთიანობის ხანის

დიდებულის სამამულო სისტემისაგან, რომ თავადის მამული „უპირობო საკუთრება“ იყო, ხოლო დიდებულის კი — „პირობითი“-ო[9] ?.

ჩემი აზრით ეს შეხედულება მართებული ვერაა.

I. ერთიანობის ხანაცა და გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალური ყმა-მამული ორი სახისა იყო: 1. ნაწყალობევი, რომელიც, მიუხედავად მემკვიდრეობითობისა, იურიდიულად პირობითი საკუთრება იყო; 2. პატრიმონიალური მამაპაპეული, ნამზითვი და განსაკუთრებით „ნასყიდი“ საკუთრება, რომელიც მტკიცე მემკვიდრეობითი საკუთრება იყო. ფეოდალური საკუთრების ორივე ფორმა ჰქონდათ ადრე დიდებულებსა და ყველა საუწყვრ. სახის ვასალ აზნაურებს, ხოლო გვიან — თავადებსა და ყველა კატეგორიის აზნაურებს.

ერთიანობის ხანაში დიდებულებსაც ისევე სამუდამოდ, „ხელშეუვალად“, „მკვიდრად და სამამულოდ“, „ჩვენსა (მეფის — დ. გ.) ერთგულად სამსახურსა შინა“ — ეწყალობებოდათ მეფეებისაგან ყმა-მამული, როგორც გვიან ხანაში — თავადებს.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სათავადოების ეპოქაში გაცილებით გაიზარდა საკუთრების სამამულო ფორმის მასშტაბი (ფართობი) — თავადებმა და მისმა წინამორბედმა დიდებულებმა, აშკარაა, „დაისაკუთრეს მეფეებისაგან“ სამოხელეოდ მიცემული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც გვიან შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად შემცირდა სამეფო-სახელმწიფო საქონებელი (ყმა-მამული). სათავადოების ეპოქაში სახელმწიფო ყმა-მამული შემცირდა აგრეთვე მეფეების მიერ თავადებისადმი სამეფო ყმა-მამულის ახალი წყალობების შედეგად. ამასთან, ამ პერიოდში უფრო მტკიცე გახდა სამამულო მემკვიდრეობითი საკუთრება.

ერთიანობის ხანაში, სამეფო ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების პერიოდში, ფეოდალური მფლობელობის პირობითობის პრინციპი ძლიერი იყო, შემდეგში საქართველოს სამეფო-ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქვეყნის პოლიტიკური დაშლის ხანაში მფლობელობის პირობითობის პრინციპი, მართალია, დასუსტდა და შედარებით განმტკიცდა და გაფართოდა სამამულო საკუთრების კერძო-უფლებრივი საწყისი, მაგრამ ფეოდალური მფლობელობა-საკუთრების პ ი რ ო ბ ი თ ო ბ ი ს პრინციპი კვლავ განაგრძობდა არსებობას.

ახასიათებს რა XV საუკუნის ფეოდალური საქართველოს (სათავადოების ეპოქის) მეფე-თავადების სიუზერენ-ვასალურ ურთიერთობას, ნ. ბერძენიშვილი წერს: „ფეოდალის ყმობისა და „ერთგულად მსახურების“ საფუძველი „მამულია“, რომელიც ებოძება „სამკვიდრო-სამამულოდ“ ჩვეულებრივი წესით ან კიდევ „თარხნად და ჯელშეუვალად“.

ასეთი „მკვიდრი მამულით“ „მსახურებს“ ყმა პატრონს. ე რ თ გ უ ლ ე ბ ი თ ს ა მ ს ა ხ ი ს ი ერ ი ბ ა „მ ა მ უ ლ ი ს მ ი ღ ე ბ ა-ქ ო ნ ე ბ ი ს ა“.

„ყმა მოვალეა მწყალობელი პატრონის მიმართ „ერთგულება-სამსახურსა შიგან“ დარჩეს.

---

[9] ? ადრე ასეთი შეხედულება გამოთქვა დ. გ ვ ი ტ ი შ ვ ი ლ მ ა ნაშრომში — „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1955., გვ. 255; ვრცლად ამ შეხედულების შესახებ იხ. გ. ჯ ა მ ბ ურ ი ა, „სათავადოთა საკითხისათვის“, კრებული „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, I, 1970.

5. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1988, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცოდების შემთხვევაში პატრონს უფლება აქვს „წაართვას“ ორგულ ყმას „სამკუიდროდ“ და „სამამულოდ“ ნაწყალობევი“, მაგრამ „დაუნშავებელად წართმა... აროდეს ყოფილიყო“[10].

ასე რომ, „სათავადო“, „მკვიდრად“ და „ჭელშეუფალად“ ნაწყალობევი ყმა-მამული, უპირობო საკუთრება როდი იყო. თავადს „სათავადოსათვის“ საღალშერო (სამხედრო) ვალდებულება აწვა, რაც პირობითობას გულისხმობა. სათავადო ფეოდალური საკუთრებაა უპირველეს ყოვლისა სიუზერენის წინაშე სამხედრო სამსახურის პირობით. სათავადოც რომ იურიდიულად პ ი რ ო ბ ი თ ი ფეოდალური საკუთრებაა, გვიდასტურებს რიგი ფაქტიური გარემოებანი:

1. უამრავი აუთენტური დოკუმენტაცია იმისა, რომ მეფეები თავადებს ყმა-მამულს უწყალობებენ ერთგული სამსახურის პირობით, ფორმულით: „გქონდეს ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა“ და „თუ თქუენ ჩუენი ერთგული იყოთ, ეს წყალობა არ მოგიშალოთ“-ო. 2. მრავალი ასეთივე დოკუმენტაცია იმის შესახებ, რომ მეფე ღალატისა და შეცოდების შემთხვევაში ორგულ ყმებს, თავადებს, ართმევს ნაწყალობევ „მკვიდრ“ ყმა-მამულს და სხვა ფეოდალს უბოძებს. 3. ასევე უამრავი დოკუმენტაცია იმის შესახებ, რომ მეფეები თავადებს ძველ და ძველისძველ ნაწყალობევი „მკვიდრი“ ყმა-მამულს, მათ შორის ნასყიდი საკუთრების, მფლობელობის განახლების საბუთებს აძლევენ, უმტკიცებენ და საამისოდ, ხშირად, დიდძალ გასამრჯელო-საჩუქარსაც იღებენ. არის შემთხვევაც, როდესაც თავადის ძველისძველ ნაბოძებ „სამკვიდრო“ მამულს მეფე მისსავე მფლობელ-მესაკუთრე თავადს მიჰყიდის. ფრიად მნიშვნელოვანია ამ მხრივ ქართლის მეფეების — ბაგრატის და კონსტანტინეს წყალობის სიგელი ჯავახეშვილისადმი 1468 წელს. ბაგრატ და კონსტანტინე მეფეები სიგელში წერენ: „ძველნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან სამკვიდროდ მათთვის ბოძებული, და ახლადეე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათივე მკვიდრი მამული, მათივე ალალითა საქონლითა ჩათვე მიჰპყიდეთ და დაუმტკიცეთ სომხითს ქვეშე... და სოფელი რატევანი“[11].

როგორც ვხედავთ, თავადი ამ თავის „ს ა მ კ ვ ი დ რ ო“ მამულს ს ყ ი დ ვ ი თ ი ბ ბ ა ბ ი ს მეფისაგან. ცხადია, თავადი ასე იმიტომ იქცევა, რომ მან იცის, სათავადო „სამკვიდრო“ მამული, მიუხედავად მემკვიდრეობითობისა, მაინც პირობითი საკუთრებაა — ერთგული სამსახურის პირობით (ასე რომ არ იყოს, რატომ იყიდდა), ნასყიდი ფეოდალური საკუთრება კი გაცილებით მტკიცეა.

დამოლოს, იმასაც აღვნიშნავთ, რომ ფეოდალურ საქართველოში ბოლომდე დარჩა ბეითალმანის ფეოდალური პრინციპი, რითაც ვასალი-თავადის ბეითალმანი მამული მეფე-სიუზერენს მიჰქონდა.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება აშკარად მეტყველებს, რომ ფეოდალური საკუთრების ტრადიციული პ ი რ ო ბ ი თ ო ბ ი ს პრინციპი სათავადოებზეც ვრცელდებოდა. ასე რომ, მართალია, სათავადო მემკვიდრეობითი სამამულო სისტემაა, თავადს შეუძლია ნაწყალობევი ყმა-მამულის გასხვისება (გაყიდვა, გამზითვება...), მაგრამ ამ მემკვიდრეობითობისა და მიწათმფლობელობის პირობითი იურიდიული პრინციპი „ერთგულად მსახურებისა“ კვლავ

---

[10] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, გვ. 130.

[11] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს: მეფე უფლებას იტოვებს ნაწყალობევი ყმა-მამულის ჩამორთმევისა, თუ ყმა-ვასალი თავადი მისი ურჩი და ორგული გახდება.

სათავადოს, როგორც „მკვიდრი“ და „უპირობო“ საკუთრების დასამტკიცებლად, ხშირად აღნიშნავენ, რომ თავადს უფლება აქვს „მკვიდრად“ და „ხელმეუბალად“ ნაწყალობევი სათავადო ყმა-მამულის გაყიდვის, გამზითვების და ა. შ. საამისოდ წყალობის და ნასყიდობის სიბუთებთან ერთად იმოწმებენ ვახტანგის სამართალსაც (მუხლი 162): „თუ კაცმან სოფელი ან გლეხ თავადისაგან ან აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს, ელმწიფესაც უნდა დაკითხვა. მაგრამ უკითხავადაც სყიდულა და არც ელმწიფე გამოჰკიდებია“[12].

აქ აქცენტს აკეთებენ მოტანილი მუხლის მეორე ნაწილზე და ასკვნიან, რომ თავადებს შეეძლოთ ხელმწიფის „უკითხავადაც“ გაეყიდათ თავისი ყმა-მამულიო, რაც სათავადო ყმა-მამულის უპირობო საკუთრებას მოწმობსო. სამართლის 162-ე მუხლის ასეთი ინტერპრეტაცია მართებული ვერაა.

ჯერ ერთი, პირველი ნაწილი 162-ე მუხლისა: თავადის და აზნაურის ყმა-მამულის გაყიდვა-სყიდვისას საჭიროა ხელმწიფის ნებართვაც, — იერიდიულად ფეოდალური საკუთრების იერარქიულ პირობითობაზე მიუთითებს და, მეორეც, რაც მთავარია, მკვლევრები ყურადღებას არ აქცევენ და სრულად არ მოჰყავთ აღნიშნული მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ თავადის და აზნაურის ყმა-მამული „უკითხავადაც სყიდულა და არც ელმწიფე გამოჰკიდებია, ამიტომ რომ, ვინც უნდა იყიდოს, ელმწიფის კოდის პური, ბეგარა, საბალახე, რაც რამ ფერი საელმწიფო, ლაშქარ-ნადირობა, — არცერთი დააკლდება, ყველა უნდა ქნას, თუ ელმწიფემ არ გაათარხნა“[13].

ნათელია, სამართლით თავადის და აზნაურის მიერ ყმა-მამულის ხელმწიფის უნებართვოდ გაყიდვაც მეფეს არ აშინებს, რადგან სულერთია, თავადის მიერ გაყიდული ყმა-მამული მყიდველი ფეოდალის ხელშიც ყველა სახელმწიფო გადასახადს ძველებურად გადაიხდის, ასევე სალაშქრო მოვალეობასაც შეასრულებს და ამის გამო სახელმწიფოს არაფერი დააკლდებაო.

ეი, როგორ ეზედაეთ, ვახტანგის სამართლის აღნიშნული მუხლიც არ უარყოფს სათავადო ყმა-მამულის საკუთრებაზე ფეოდალური პირობითობის იერიდიულ ნორმას სიუზერენის მიმართ „ერთგული სამსახურისა“.

ყველა ზემოთქმულის გარდა, სათავადო საკუთრების ფეოდალურ პირობითობაზე მიუთითებს ქართველ ფეოდალთა ფორმულაც „დაუნაშავებლად წართმა...

ოდეს ყოფილიყო“[14]. აქედან გამოდის, რომ თავადის დანაშაულის შემთხვევაში, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი საქართველოში სიუზერენ-ვასალებს შორის თითქმის განუწყვეტელი შინაკლასობრივი ბრძოლის ვითარებაში, მამულის „წართმა“ მეფის მიერ ნორმალურად ითვლებოდა. ასეც იყო: დანაშაულისას (აჯანყება, ღალატი, ლაშქარში გამოუსვლელობა...) თავადს ყმა-მამულს ან მის ნაწილს მეფე „ნასისხლად“ ართმევდა, რაც, ცხადია, სათავადო საკუთრების იგივე პირობითობას ნიშნავს. აღნიშნული ფორმულა მთელი

12 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 521, ი. დოლიძის გამოცემა.

13 იქვე.

14 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალიზმის მანძილზე არსებობდა საქართველოში და ეს ბუნებრივი ნორმალური ფორმულა იყო.

ჩვენი აზრით, ფორმულა „დაუნაშავებლად წართმა... არ ოდეს ყოფილიყო“, ასევე, ზევდგინძე-ამილახორთა საპუთში (XV ს.) მოცემული მეფე-სიუზერენის ფორმულა: „არაშეგიცოდებია არა, არას წაგართოო“[15] — ეს იყო ვასალ-სიუზერენთა მიერ შემუშავებული კომპრომისული ფორმულა ფეოდალურ საქართველოში და იგი ფუნქციონირებდა მისი სახელმწიფოებრივი არსებობის მთელ მანძილზე.

აღნიშნული ფორმულა კომპრომისული იყო, რადგან, როგორც ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, მეფის (სიუზერენის) იდეალი იყო, ჰქონოდა უფლება საჭიროების შემთხვევაში ვასალისათვის დაუნაშავებლადაც ჩამოერთმია ნაწყალობები „ჯელი“ და „მამული“, ან მისი ნაწილი, რათა შეხედულებისამებრ განეგო იგი (აღერიცხა სახელმწიფო ქონებად, ანდა მიეცა უფრო ერთგულ, ჭკვიან და დამსახურებულ მოხელე-მოლაშქრისათვის — დ. გ.), ხოლო ვასალი-ფეოდალის იდეალი იყო „დანაშაულობა-შეცოდების“ შემთხვევაშიც არ ჰქონოდა მეფეს უფლება ჩამოერთმია მისთვის ყმა-მამული[16].

სხვა ამბავია ის, თუ ფეოდალური საკუთრების პირობითობის იურიდიული პრინციპი, განსაკუთრებით კი დანაშაულისას „მამულის“ (და „ჯელის“) ჩამორთმევა, როგორ ტარდებოდა პრაქტიკაში ფეოდალურ საქართველოში. ეს დამოკიდებული იყო ცენტრალური ხელისუფლების და ვასალ-ფეოდალთა სიძლიერე-სისუსტეზე. საქართველოს მონარქიის ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ეპოქაში (XII ს) ფეოდალური საკუთრების პირობითობის პრინციპი პრაქტიკაში, შინაკალსობრივი ბრძოლის ვითარებაში, სათანადოდ ტარდებოდა.

ფეოდალური მფლობელობის პირობითობის ფორმულის რეალიზაციის დონე ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე-სისუსტესთან დაკავშირებით საქართველოში ზნირად იცვლებოდა მთელი ფეოდალიზმის მანძილზე — ადრეფეოდალურ, განვითარებული ფეოდალიზმის და გვიან შუასაუკუნეებში. ჩვენი აზრით, ფეოდალური მფლობელობა-საკუთრების პირობითობის ფორმულამ საქართველოში მაქსიმალურ სიძლიერეს მიაღწია დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, როცა მან სამოწამებლობელო სისტემაში. ე. წ. „სამკედრო მამულები“ შექმნა[17], ხოლო მაქსიმალურ სისუსტეს — სათავადოების ეპოქაში, მაგრამ პირობითობის ეს პრინციპი სამართლის ნორმიდან არც ამ ეპოქაში მოხსნილა.

სათავადოების ეპოქაშიც ვასალ-ფეოდალებს, თავადებს, სათავადო ყმა-მამულის მფლობელობისათვის ძირითადად ეკისრათ სამხედრო-სალაშქრო ვალდებულების შესრულება. აღნიშნულ ხანაში თავადების მემკვიდრეობითი მფლობელობა განმტკიცდა, კერძოუფლებრივი სამამულო სისტემის მასშტაბი გაფართოვდა, მაგრამ საკუთრების ფეოდალური იერარქიული პირობითობა კვლავ დარჩა — ძირითადად სალაშქრო ვალდებულების შესრულების პირობა. როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ლაშქარში ყველა თავადი და აზნაური იყო ვალდებული გამოსულიყო[18].

---

15 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 1799.

16 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

17 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 93.

18 „ქართლის ცხოვრება“, IV, გვ. 31.

ქართველ ფეოდალთა ყმა-მამულის საკუთრების პირობითობის ბოლომდე არსებობა გვიანშუასაუკუნეებშიც, — სალაშქრო სამსახურის ვალდებულების საფუძველზე, — განაპირობა ფეოდალური საქართველოს განსაკუთრებულმა საგარეო ურთიერთობამ, განუწყვეტელმა ომიანობამ ქვეყნის დასაცავად, რის გამო ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებას გამორიცხული ჰქონდა შესაძლებლობა იურიდიულად ხელი აეღო ვასალისათვის „მკვიდრად“ ნაწყალობევი ყმა-მამულის პირობითი მფლობელობის პრინციპზე.

საქართველოში ფეოდალური საკუთრების პირობითობის პრინციპი ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი არსებობის მთელ მანძილზე მოქმედებდა.

საერთოდ, ფეოდალთა საკუთრების პირობითობის პრინციპი ფეოდალურ ქვეყნებში დიდხანს გაგრძელდა. მაგალითად, რუსეთში ფეოდალური საკუთრების პრინციპი სამხედრო სამსახურის შესრულების პირობით, და საერთოდ, ფეოდალური საკუთრების პირობითობა გაუქმდა მხოლოდ XVIII ს-ის II ნახევარში, 1762 და 1785 წლების კანონებით, რომლის ძალითაც დაკანონდა ფეოდალის სრული საკუთრება მიწაზე, ამიერიდან რუს თავადაზნაურს შეეძლო არ ემსახურა, მათ შორის არმიაში, თავის ყმა-მამულში მჯდარიყო და მისი სამეფონეო საქმეები განეგო.

II. მხოლოდ „თავადის მემკვიდრეობითი მამული“, ყმა-მამულზე თავადის საკუთრების განმტკიცება, „მკვიდრი მამულის თავადის სამუდამო მფლობელობაში გადასვლა და მისი გასხვისების უფლება“ — სათავადოს განმსაზღვრელი ნიშანი არ არის. ამას აშკარად ადასტურებს საქართველოს ისტორიის გვიანფეოდალური პერიოდი. სახელდობრ, XIX ს-ის პირველ ნახევარში, 1827 წლის კანონით რუსეთის თავადაზნაურობასთან ქართველი თავადებისა და აზნაურების უფლებრივი გათანაბრების შედეგად ქართველი თავადების სამამულო მემკვიდრეობითი საკუთრება გაცილებით განმტკიცდა და იურიდიულადაც უკვე უპირობო გახდა — რუსეთში არსებული უპირობო ფეოდალური საკუთრების მსგავსად. რაც იქ 1762 და 1785 წლების ბრძანებულებებით შეიქმნა. მაგრამ 1827 წ. კანონის საფუძველზე ქართველი თავადის „მემკვიდრეობითი მამულის“ უპირობო ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევამ ქართული სათავადო-სენიორია როდი განამტკიცა. პირიქით, XIX ს-ის I ნახევარში, მიუხედავად თავადების სამამულო საკუთრების გაცილებით განმტკიცებისა XV—XVIII საუკუნეებთან შედარებით და იურიდიულად უპირობო ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევისა, ქართული სათავადო-სენიორიათა სისტემა მოიშალა და მოისპო. იგი სოციალურ სათავადო მფლობელობის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სოციალურ-ფეოდალური ორგანიზაციის მოწლის შედეგად: ვასალიტეტის (სათავადო აზნაურობის დამოკიდებულების), მემკვიდრეობითი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სამხედრო თანამდებობებისა და, ასევე, ფეოდალური იმუნიტეტის (საგადასახადო, სამოსამართლო) მოსპობის შედეგად. სათავადო XIX ს-ის ბატონყმურ ხანაში მოიშალა აგრეთვე მისი შინასანმულო ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის — ყმა-მამულის საერთო-საგვარეულო მფლობელობის, — სათავადოს და მისი სიძლიერის ამ ერთ-ერთი ნიშნისა და საფუძველის დაშლისა და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლებად კერძო-ინდივიდუალური სამპატრონო მფლობელობის მასობრივად განვითარების შედეგადაც[19].

სათავადო ფეოდალური ორგანიზაციაა, მფლობელობისა და უფლებრივი სტატუსის კომპლექსია. რაც შეეხება ამ კომპლექსის ერთ-ერთ ნიშნს, „მემკვიდრეობით მამულს" (თუნდაც უპირობო), ივი სათავადო-სენიორიის განმსაზღვრელი ნიშანი არ არის, რადგან, როგორც აღინიშნა, XIX ს-ის I ნახევარში რუსეთის ნთავრობამ თავდებს თავიანთ ყმა-მამულზე საკუთრება გაცალებით განუტკიცა — რუსი თავადაზნაურობის ფეოდალური საკუთრების მსგავსად უპირობო გაუზადა, მაგრამ თანამდებობიის მემკვიდრეობითობა, ვასალიტეტი და იმუნიტეტი მოუსპო, რითაც სათავადოთა სისტემა მოიშალა და გაქრა.

როგორც აღინშნა, სათავადო გენეტიკურ კავშირშია დიდებულის ყმა-მამულთან. ამიტომ სათავადოს რიგი ძირითადი ნიშნები მის წინამორბედ დიდებულის სამფლობელოსაც გააჩნდა: „მემკვიდრეობითი მამული", ვასალიტეტი, იმუნიტეტი, თანამდებობანი საქვეყნო-გამრიგე და სამეფო კარზე, ყმა-მამულის საერთო-საგვარეულო კორპორაციული მფლობელობა.

ამიტომ სათავადოს განმასხვავებელი ძირითადი და განმასაზღვრელი ნიშანი „მემკვიდრეობითი მამული", ცხადია, არ არის. ასეთი „მემკვიდრეობითი მამული" რიგი შეუფალობით დიდებულსაც გააჩნდა. სათავადოს საკუთრების მსგავსი ფორმები აღრეც არსებობდა, ერთიანობის ხანაში, — დიდებული ყმა-მამული: მემკვიდრეობითი, საერთო, საკუთარი (სათავისთავო). ამიტომ დიდებულის სამამულო სისტემისა და სათავადოს განასხვავებლად მხოლოდ ფეოდალური საკუთრების ნეტ-ნაკლები სიმტკიცე განმასაზღვრელი არაა.

ამ მხრივ არსებითი ცვლილება ქართველ ფეოდალთა საკუთრების იერიდიულ სტატუსში მოხდა XIX ს-ის I ნახევარში. 1827 წლის კანონით რუსეთის თავადაზნაურობასთან ქართველი თავადაზნაურობის უფლებრივი გათანაბრების შედეგად ქართველ თავადს რუსი თავადაზნაურის მსგავსად, უფლება ჰქონდა არ ემსახურა, არა მარტო სამოქალაქო, არამედ სამხედრო სამსახურშიც, თავის ყმა-მამულში მჯდარიყო და ემართა იგი. აი ამას ნშნავდა სრული უპირობო ფეოდალური საკუთრება, რაც აღრე ქართველ დიდებულებს არ გააჩნდათ, ხოლო შემდგომ, XV—XVIII ს-ში, — არც ქართველ თავადებს.

მაშასადამე, მარტო „მემკვიდრეობითი მამული და მისი განსხვისების უფლება" არაა საკმარისი და განმსაზღვრელი ნიშანი სათავადო- სენიორიის არსებობისათვის. თუ სხვა ძირითად კომპლექსურ ნიშნებს — ადმინისტრაციულს, ვასალიტეტს, იმუნიტეტს, სახელოების მემკვიდრეობით ფლობას ჩამოვაცლებთ სათავადო-სენიორიას, როგორც ეს მოხდა XIX ს-ის I ნახევარში, მაშინ სათავადო-სენიორია გაქრება და დარჩება მხოლოდ თავადის უბრალო სამპატრონო ყმა-მამული ზემოაღნიშნული ნიშნების (პრეროგატივების) გარეშე. მართალია, ამიერიდან (XIX ს-ის I ნახევარში) ქართველ ფეოდალს ძველი სახელწოდება „თავადი" შერჩა, მაგრამ იგი ძველ შინაარსს გამოცლილი იყო. მისი ახალი შინაარსი კი რუსი თავადაზნაურის მსგავსი უბრალო მემამულე-„პომეშჩიკი" იყო[20] და არა ძველი თავადი-სენიორი.

[19] ვრცლად ამის შესახებ იხ. დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971.

[20] ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები", II, გვ. 266—267, 431.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. „სათავადოს“ შესახებ გამოთქმული ახალი შეხედულებით, სათავადოსათვის „მნიშვნელობა დაჰკარგა მოხელეობის ძველმა წესმა“ და „ფეოდალის სიძლიერეს ახლა განსაზღვრავდა არა მაინცდამაინც თანამდებობა, არამედ პირველ რიგში იმ მამულის სიდიდე, რომელსაც „სამამულოდ“ და „მკვიდრად ფლობდა“ და რომ, მიუხედავად იმისა, რომ თავადები უარს როდი ამბობდნენ თანამდებობებზე, „მოხელეობა არ იყო გადამწყვეტი თავადისა და სათავადოს ცხოვრებაში“, რომ „სათავადოსათვის... ძირითადს და გადამწყვეტს თავისი სათავადო — „საკუთარი“ „დომენი“, „სამემკვიდრეო“ ყმა-მამული წარმოადგენდა“[21].

ჩემი აზრით ესეც ვერაა მართებული.

სათავადოს ერთ-ერთი არსებითი ნიშანია (თუ გადამწყვეტი არა) სათავადო სახლის უფროსის და სახლისშვილების მიერ სახელოების ფლობა, განსაკუთრებით მასობრივი თანამდებობის — მოურავობისა, რომელიც სათავადოების ეპოქაში ქვეყნის „ადმინისტრაციული წყობილების დედაბოძი იყო“ (ნ. ბერძენიშვილი). ასე რომ, სათავადოები, როგორც წესი, დიდი თუ მცირე ფეოდალური სახელოების მფლობელნი იყვნენ და, საერთოდ, სათავადოსენიორიები პოლიტიკური პრეროგატივების გარეშე წარმოუდგენელია, რასაც მას უპირველეს ყოვლისა სახელოები აძლევდნენ. ამიტომ იყო ფეოდალური მემკვიდრეობითი თანამდებობები სათავადოს ერთ-ერთი არსებითი ნიშანი.

დიდი სათავადოების მოთავე თავადებს, დიდ სათავადოებს, როგორც წესი, დიდი სახელოებიც ჰქონდათ (საერეშოს სარდლების, ეპისკოპოსების, დიდი სამოურავოების, სახლთუხუცესის...). თავადები (მთავრებთან ერთად) — ესენი იყვნენ ბატონყმობისა და საქართველოს პოლიტიკური დაშლის ეპოქის დიდი თანამდებობების მქონე „ახლადშობილი ხელწიფეები“ (ნ. ბერძენიშვილი).

თანამდებობას, „საჯელს“ („ჯელს“), ისე როგორც დიდებულისთვის, ამჟამადაც თავადისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სათავადო სახლის სიძლიერისათვის, რადგან თანამდებობა იყო სოციალური გავლენისა და შემოსავლის წყარო (ნიშანდობლივია — თავადი ჯავახიშვილი მიისწრაფის დიდი თანამდებობის მქონე თბილისის მოურავ ახნაურ საკაძეს დაუმოყვრდეს).

განსხვავება მ ხ ო ლ ო დ იმაში იყო, რომ სახელო-თანამდებობას თუ გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დიდებულის ტ ი ტ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს (აქ, ცხადია, იგულისხმება დიდებულისათვის შესაფერი დიდი თანამდებობა — ერისთავის, ერისთავთ-ერისთავის, ვაზირის, სახლთუხუცესის, კათალიკოს-ეპისკოპოსის და სხვ. — რომლის უმისოდ იგი ამ ტიტულს ჰკარგავდა), — ამჟამად თანამდებობას (საერთოდ დიდსა თუ მცირეს) მნიშვნელობა არ ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ თავადთა წ ო დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ამ წოდების შენარჩუნებისათვის. თავადის სახლის შვილი, მცირე თანამდებობის თუ საერთოდ თანამდებობის უქონლობის შემთხვევაშიც, წოდებრივად მაინც თავადი იყო.

სახელო, თანამდებობა, სწორედ რომ არსებითი ფაქტორი იყო ფეოდალიზმის დროს, ვასალურ-სენიორული ურთიერთობისას. მოხელეობის საფუძველზე იქმნებოდა ფეოდალური დაწესებულებები და მიწისმფლობელობის ფორმები. ფეოდალურ საქართველოში სწორედ მოხელეობის საფუძველზე შეიქმნა რიგი სოციალურ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ინსტიტუტები გა-

21 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 12—14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონებული კლასისა — საერისთავოები, სამოურავოები, სადროშოები, დადებულთა სამფლობელოები, ასევე — სათავადოებიც. სათავადოთა სამამულო-ადმინისტრაციული სისტემა სწორედ სამოხელეო საფუძველზე წარმოიქმნა და განვითარდა. საერთოდ, ფეოდალიზმის მთელი სამამულო სისტემა, პირობითი თუ მემკვიდრეობითი საკუთრება სამოხელეო სტრუქტურის საფუძველზე წარმოიშვა. ქართველი ფეოდალი მსხვილი მიწათმფლობელი და ძლიერი გახდა (დიდებული, თავადი) პირველ რიგში სწორედ მოხელეობის, სამხედრო-სამოქალაქო მოხელეობის საფუძველზე (ერისთავი-სარდალი, ვაზირი, ციხისთავი, მოურავი, სახლთუხუცესი, მდივანბეგი, ხევისთავი და სხვ.).

ასე რომ, მ ო ხ ე ლ ე ო ბ ი ს პრინციპი ვასალურ-სენიორალური ურთიერთობის პერიოდში საფუძვლად ედო ფეოდალურ მიწათმფლობელობას და ფეოდალური სახლების სოციალურ-პოლიტიკურ სიძლიერეს.

ახალი შეხედულებით, თავადის „სიძლიერეს ახლა განსაზღვრავდა არა მაინცდამაინც თანამდებობა, არამედ პირველ რიგში... მამულის სიდიდე"-ო. აქ უზუსტობაა. თავადი ძლიერი და დიდი ყმა-მამულის მფლობელი გახდა სწორედ სამოხელეო თანამდებობის ფლობის შედეგად. თავადები ვაჭართა ფენას კი არ ეკუთვნოდნენ, მხოლოდ ფულით, სყიდვით, რომ შეეძინათ ვეებერთელა ყმა-მამული. დიდ და ძლიერ თავადებს, როგორც წესი, დიდი სახელოები ეჭირათ, რომელნიც ფულადი და პროდუქტადი შემოსავლის (ჯამაგირის) წყაროს წარმოადგენდნენ.

როგორც დიდებულს, ასევე სათავადო მიწათმფლობელობის წარმოქმნას და შემდეგშიც მათ სიძლიერეს საპოხელეო სამსახური ედო საფუძვლად.

სათავადო-სენიორიის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი არის სათავადო ყმა-მამულის მფლობელი თავადის პოლიტიკური პროგრამტივები. — სახელისუფლო ფუნქციები. თავადებს, როგორც წესი, დიდი თუ მცირე ხელისუფლება გააჩნიათ, როგორც თავის სათავადო, ისე სამეფო-სახელმწიფო ყმა-მამულ ტერიტორიაზე. უმთავრესად ისინი არიან ჯარის სარდლები და ადმინისტრაციული სამფლობელოების მოურავები. ცხადია, მათ გააჩნიათ რიგი სხვა თანამდებობანიც.

თუ თავდს, სათავადო სახლებს, მეთაურობას, უფროსობას — პოლიტიკურ, სამხედრო ან ადმინისტრაციულ ხელისუფლებას — ჩაჰოვართმევთ, მაშინ თავადი-სენიორი როგორც სოციალურ-პოლიტიკური კატეგორია (ინსტიტუტი) გაქრება, ასევე სათავადო, როგორც პოლიტიკური პროგრამტივებით აღჭურვილი სენიორია, გაქრება და იგი სხვა სახეს მიიღებს. სახელდობრ, თავადი სენიორალურ და სახელისუფლო პროგრამტივებს მოკლებულ უბრალო მემამულე-მემატონედ გადაიქცევა, ხოლო „თავადის" ცნება დაკარგავს სოციალურ-პოლიტიკური ხელისუფლების ძველ სენიორალურ შინაარსს.

ასე რომ, თავადის თანამდებობა („ჯელი"), და ისიც მემკვიდრეობითი, ეს არის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანი სათავადოს დანარჩენ ძირითად ნიშნებს შორის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სათავადოს მაინც რიგი ძირითადი ნიშნები ჰქონდა და სათავადო-სენიორია ამ ძირითადი ნიშნების კომპლექსია.

IV. დიდებულის და თავადის, როგორც ფეოდალის, სოციალური არსი ძირითადად ერთი და იგივეა — ორივე ფართო პროგრამტივებით (სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური) აღჭურვილი ფეოდალია. მათ მთელი რიგი ძირითადი ნიშნები საერთო აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდობრ, დ ი დ ე ბ უ ლ ს გაიჩნია:

1. ყმა-მამული: ა) ძველი პატრიმონიალური მამაპაპეული მემკვიდრეობითი მტკიცე საკუთრება და ბ) სამსახურის საფუძველზე ბოძებული პირობითი მემკვიდრეობითი ფეოდალური საკუთრება, 2. საერთო-საგვარეულო კორპორაციული ფეოდალური საკუთრება; 3. თანამდებობა: ა) საქვეყნო გამრიგე — ერისთავობა, ერისთავ-ერისთავობა (საგამგეო სამფლობელო-სამერისთავო ტერიტორია, სასარგლო და ადმინისტრაციული); ბ) ცენტრალური (სამეფო კარზე) — ვაზირი, სახლთუხუცესი და სხვ. 4. ვასალი აზნაურები.

თ ა ვ ა დ ს აქვს:

1. ყმა-მამული: ა) ძველი პატრიმონიალური მამაპაპეული მემკვიდრეობითი მტკიცე საკუთრება და ბ) სამსახურის საფუძველზე ბოძებული პირობითი მემკვიდრეობითი ფეოდალური საკუთრება; 2. საერთო-საგვარეულო კორპორაციული ფეოდალური საკუთრება; 3. თანამდებობა: ა) საქვეყნო-გამრიგე — მოურავობა (საგამგეო სამოურავო ტერიტორია). სარდლობა და სხვ; ბ) ცენტრალური (სამეფო კარზე) — სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, ეშიკალასბაში, მინბაში, მოლარეთუხუცესი და სხვ. 4. ვასალი აზნაურები.

კითხვა ისმის: მაშ რაი განსხვავდება თავადი და სათავადო დიდებულისა და მისი სამფლობელო-მამულისაგან?

1. ძირითადი და უპირველესი განსხვავება დიდებულსა და თავადს შორის იყო წ ო დ ე ბ რ ი ო ბ ა შ ი. დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა მემკვიდრეობითი წოდება არ ყოფილა, იგი მხოლოდ პირადი ტიტული იყო და დამოკიდებული იყო დიდი თანამდებობის ფლობასთან. თ ა ვ ა დ ო ბ ა კი მემკვიდრეობითი წ ო დ ე ბ ა იყო და იგი დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ი არ იყო დ ი დ ი თ ა ნ ა მ დ ებ ო ბ ი ს ფ ლ ო ბ ა ს თ ა ნ. ამიტომ თავადის სახლის წევრები ყველა თავადად ან თავადიშვილად იწოდებოდა. თავადის წოდება მემკვიდრეობით გადადიოდა. თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მიერ გამოცემული რაიმე ოფიციალური აქტი თავადთა ცალკე წოდებად გაფორმების შესახებ არ გვაქვს. საამისო სპეციალური ედიქტი არ გამოუციათ, მაგრამ თავადობის წოდებრიობა ფაქტად იქცა და ბოლოს მან ქვეყნის საკანონმდებლო სამართალში აღიარებაც პოვა (ვახტანგის სამართალი).

დიდებულობა (დიდებული) კი მემკვიდრეობითი არ იყო და ამ ტიტულის გადაცემა მამიდან შვილზე დამოკიდებული იყო დიდი სახელოს (თანამდებობის) მემკვიდრეობით გადაცემაზე, ან შვილის მიერ რაიმე სხვა დიდი თანამდებობის მიღებაზე. დიდებული, ვთქვათ, ერისთავი, ამ სახელოს დაკარგვის შემთხვევაში ის უკვე დიდებული აღარ იყო, იყო ჩვეულებრივი აზნაური. თავადი კი, მაღალი თუ დაბალი თანამდებობის დაკარგვის შემთხვევაშიც წოდებრივად მაინც თავადად რჩებოდა. დიდებულებს უკლებლივ ყველას მაღალი თანამდებობა ეჭირა, თავადებს კი ეკავთ როგორც მაღალი, ისე საშუალო და დაბალი ფეოდალური თანამდებობაც.

ერთიანობის ხანაში აზნაური თუ უაზნო, რომელიც სახელმწიფოში მაღალ თანამდებობას მიიღებდა, ერთბაშად დიდებული ხდებოდა, მაშინ როცა სათავადოების ეპოქაში აზნაური მაღალი თანამდებობის მიღებით თავადი მაშინვე ვერ გახდებოდა (დიდი თანამდებობის მქონე აზნაური საკაძე, თბილისის მოურავი (!), — ამის შესანიშნავი მაგალითია), ანდა, შესაძლოა, თავადი საერთოდ ვერც გამხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულები დიდი თანამდებობის პირები იყვნენ — ერისთავები, ერისთავთ-ერისთავები, ვაზირები, კათალიკოს-ეპისკოპოსები და ა. შ. მათ დიდი სახელოები ეჭირათ, სამეფოს დიდმოხელენი იყვნენ და ამის გამო იყვნენ დიდებულები.

მიუხედავად ამისა, ადრეფეოდალურ და ერთიანობის ხანაშიც დიდებულები ცალკე წოდებად ვერ ჩამოყალიბდნენ*. მართალია, ცალკეული დიდებული ოჯახები ამა თუ იმ მაღალ თანამდებობას საუკუნეზე მეტსაც ფლობდნენ თავიანთ გვარში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა დიდებულთა ფენის ცალკე წოდებად გაფორმებას. ერთიანობისა და ძლიერების ხანაში ამას ეწინააღმდეგებოდა სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც პრიორიტეტს ფეოდალის თუ უაზნოს პირად დამსახურებას აძლევდა და ამიტომ დიდებულთა ფენის წოდებად გაფორმება ანუ იურიდიულად დიდებულობის მემკვიდრეობითობად გადაქცევა არ მომხდარა. მართალია, დიდებულთა სისხლი მეტი ღირდა ვიდრე აზნაურისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდებულები აზნაურთა წოდებაში შედიოდნენ, რადგან სისხლის ფასის სხვაობა სხვა, ერთიდაიგივე სოციალურ წოდებებშიც იყო: გლეხობაში — მსახურის და არა მსახური გლეხის, თავადობაში — 1-ელი, მე-2 და მე3 კატეგორიის თავადების.

როგორც „დიდებული თავადი“ შემდეგში წ ო დ ებ რ ი ვ ა დ თავადთა წოდებას განეკუთვნებოდა, ასევე „დიდებული აზნაური“ ადრე წ ო დ ებ რ ი ვ ა დ აზნაურთა წოდებას (აზნაურობას) განეკუთვნებოდა.

დიდებულის წოდების მინიჭება არ ხდებოდა, რადგან დიდებულობა წოდება არ იყო. გვიან ხანაში კი თავადის წოდების ბოძება ხდებოდა, რადგან თავადობა წოდება იყო.

დიდებულები დიდმოხელენი იყვნენ „გვარიან აზნაურთა“ წრიდან, ხოლო ზოგი უაზნოთა წრიდან აღზევებული“[22]. „დიდებულება წოდებრივი ცნება არ ყოფილა“, რადგან დიდებულის შვილები, ამბები ან ნათესავები „დიდებულადკი არ ითვლებოდა. არამედ მხოლოდ ის პირადად იყო „დიდებული“[23]. „დიდებული“ ზოგჯერ შესაძლებელია „არა აზნაურთაგანიც“, ე. ი. უაზნო, ყოფილიყო[24] (აფრიდონი, ყუბასარი...), რომელთაც დიდებულად გახდომისთანავე, ჩანს, აზნაურობა ებოძებოდა. მაგრამ, როგორც წესი, დიდებულები დიდაზნაურები იყვნენ. დიდებულები აზნაურთა წოდების მაღალ წრეს შეადგენდნენ.

დიდებულება-დიდების ანუ დიდი თანამდებობის მიცემა-წყალობა და, ასევე, წართმევა, მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული[25]. ეს თანამდებობა და ამდენად, ეს „დიდებულება“ მათთვის მემკვიდრეობითი არ იყო და

---

* შეად. ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს სოციალური წყობა XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 65—87; მ ი ს ი ვ ე, უძველეს ქართულ სამართლთა შესახებ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1984., №—4, გვ. 165—166.

22 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მე-2, ნაკვეთი მე-2, 1929, გვ. 164.

23 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მე-2, ნაკვეთი 1-ელი, 1929, გვ. 44.

24 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, გვ. 107.

25 საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1958., გვ. 186.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამატომაც არ იყო „დიდებული“ სოციალური წოდება. იგი დიდმოხელის პირადი ტიტული იყო.

ფეოდალური საზოგადოება წოდებრივია, სოციალური წოდება და წოდებრიობა კი მემკვიდრეობითობას ნიშნავს. დიდებულები საუკუნეები იბრძოდნენ ცალკე ფეოდალთა წოდებად ჩამოყალიბებისათვის, რასაც მათ მიაღწიეს საქართველოს პოლიტიკური დაშლისა და ბატონყმობის ეპოქაში, XV წიან საქართველოს პოლიტიკური დაშლისა და ბატონყმობის ეპოქაში, XV-ს-ში, მაგრამ არა დიდებულთა წოდების,არამედ თავადთა ცალკე ფეოდალურ წოდებად გაფორმების სახით.

მაშასადამე, დიდებული აზნაურისათვის „დიდებულება“ კი არ იყო მისი წოდება, რომელიც მემკვიდრეობითი არ იყო, არამედ მისი წოდება იყო აზნაურობა, რომელიც მემკვიდრეობითი იყო.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, დიდებულსა და თავადს შორის არსებითი განსხვავება წოდებრიობა იყო.

2. ამჟამად კითხვა ისმის: რით განსხვავდება სათავადო დიდებულის საფლობელო ყმა-მამულისაგან.

სათავადოსა და დიდებულის სამფლობელო მამულს შორის არსებითი განსხვავება არის სოციალურ ბაზისში. მაგრამ აქ საჭიროებს დიფერენცირება. სახელდობრ.

ა) ადრეფეოდალურ და, საერთოდ, წინაბატონყმური ფეოდალური პერიოდის დიდებულის ყმა-მამულისაგან სათავადო პრინციპულად განსხვავდება თავისი სოციალური ბაზისით. აღნიშნული პერიოდის დიდებულის სოციალური ბაზაა პატრონყმობა — მიწაზე ჯერ კიდევ მოუმაგრებელი, თავისუფალ ყმა-მწარმოებელი მიწისმოქმედი მოსახლეობა. სათავადოს სოციალური ბაზისი კი ბატონყმობაა — მიწაზე მიმაგრებული ყმაგლეხობა.

ბ) ერთიანობის ხანის და, მაშასადამე, ბატონყმობის პერიოდის დიდებულის სოციალური ბაზა-კი, ისე როგორც შემდგომში სათავადოს სოციალური ბაზა, ერთია. — ბატონყმობაა.

მაშინ როცა სათავადოს ყმა-მამული ბატონყმური ხანის დიდებულის ყმა-მამულისაგან არსებითად თითქმის არ განსხვავდება და სოციალური ბაზა საერთო აქვთ (ბატონყმობა), ადრეფეოდალური და, საერთოდ წინაბატონყმური პერიოდის დიდებულთა ყმა-მამულისაგან იგი პრინციპულად განსხვავდება თავისი სოციალური ბაზისით — ბატონყმობით, მიწისმოქმედთა ფენის მიწაზე მიმაგრებით.

ამრიგად, თავადი და სათავადო ადრეფეოდალური დიდებულისა და მისი ყმა-მამულისაგან ძირითადად განსხვავდება წოდებრიობით და სოციალური ბაზისით (ბატონყმობით), ხოლო ბატონყმობის ეპოქის დიდებულისა და მისი ყმა-მამულისაგან, — ძირითადად მხოლოდ წოდებრიობით.

გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი ნიშნებისა, სათავადო დიდებულის სამამულო სისტემისაგან განსხვავდება აგრეთვე ფეოდალური საკუთრებისა და საჯელობის ფლობის უფრო განშტეცებით, კერძოუფლებრივი სამამულო სისტემის უფრო გაფართოებით, იმუნიტეტისა და ვასალიტეტის უფრო გაღრმავებითა და განვითარებით.

ზემოაღნიშნული განმასხვავებელი ნიშნების ერთობლიობამ და პერიოგატივებმა, XIV—XV საუკუნეებში, საქართველოს სამეფო ცენტრალური ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლების დასუსტების, ქვეყნის პოლიტიკური დაშლისა და ბატონყმობის ეპოქაში, წარმოშვა ქართული სათავადო-სენიორიები.

II. სათავადოს ისტორიული ადგილი

დაბოლოს უნდა განვიხილოთ სათავადოს ისტორიული ადგილი.

დღეს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მიღებულია, რომ სათავადოები რეგრესული მოვლენა იყო.

ბოლო დროს სათავადოს არსისა და მისი ისტორიული ადგილის შესახებ გამოითქვა ახალი, საპირისპირო, შეხედულება[26].

ამ ახალი შეხედულებით „სათავადო“ პირველ რიგში საკუთრების გარკვეული ფორმაა წინამავალ ფორმებთან შედარებით. „სათავადო“ მამულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია საერთო-საგვარეულო მემკვიდრეობითი მფლობელობა (იგი შედგება საერთო, საუფლისწულო და სათავისთავო საკუთრების ფორმებისაგან). „სათავადო“ საკუთრება გენეტიკურად უკავშირდება წინამავალ პრიტოფეოდალურ ანუ წინაფეოდალურ ფორმებს და მათი განვითარების შედეგია. სახელდობრ, „სათავადოს“ სამამულო საკუთრება წარმოიშვა პატრიმონიუმის (ძველი მემკვიდრეობითი მფლობელობის) და ნაწყალობევი ფეოდის სინთეზის შედეგად და, რომ, „სათავადოს“ საკუთრების ფორმა ჩამოყალიბებულია უკვე XIII ს-ის დასაწყისისათვის.

მაშასადამე, რახან „სათავადო“ საკუთრება წინამავალი საკუთრების ფორმების განვითარების შედეგია, „სათავადო“ ანომალია, არაკანონზომიერი კი არ არის, რეგრესი კი არ არის, არამედ პროგრესია, ფეოდალური საკუთრების „მაღალი სტადიალური საფეხური“ და პროგრესული ფორმაა, ლენი და ბენეფიციუმი შეიცვალა მემკვიდრეობითი ფეოდალური მამულით, უფრო მტკიცე ფეოდალური საკუთრებით.

დაბოლოს, ახალი შეხედულებით, რადგან „სათავადო“-სენიორია გვიანშუასაუკუნეების საქართველოში პროგრესია, გადასასინჯია „სათავადოს“ როლის, მისი ისტორიული ადგილის ნეგატიური შეფასება „ქართველების“, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გადარჩენის საქმეში — მასთან შედარებით დაბლა მდგომ „აღმოსავლური ფეოდალიზმის“, კონკრეტულად „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოტევისაგან. რახან „ქართველობა“ აღმოსავლური ფეოდალიზმისაგან გადაარჩინა „ქართულმა სამამულო სისტემამ“, ქართულმა მიწისმფლობელობამ, აშკარაა, რომ ამ საქმეში დიდი პროგრესული როლი შეასრულა „სათავადო“-სენიორიათა სისტემამ, რადგან „სამამულო მიწათმფლობელობა“, „XV—XVIII საუკუნეთა მიწისმფლობელობა და „სათავადო“ რეალურად ერთი და იგივეა“.

როგორც ვხედავთ, ახალი შეხედულების მიზანია ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული „სათავადო“-სენიორიების არსისა და ისტორიული ადგილის შეფასების თეორიულ ჭრილში ახლებურად გააზრება და კონცეფციური გადაფასება[27].

---

[26] ვრცლად ამ ახალი შეხედულების შესახებ იხ. ილია ანთელავა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980., გვ. 19—48.

[27] აღსანიშნავია, რომ „სათავადოებზე“ ამ შეხედულების ძირითადი ნაწილი ახალი არ არის. ადრე ასევე კონცეფცია ჭქონდათ ჯერ ს. კაკაბიძეს, შემდეგ გ. ხოსიტაიშვილს. ილ. ანთელავას ნაშრომში მოცემული ცდა აღნიშნული კონცეფციის უფრო სრულყოფისა და დასაბუთებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული შეხედულება სათავადოს არსისა და მისი ისტორიული ადგილის შესახებ, ჩვენი აზრით, სწორი არაა. იგი სწორი არ არის შემდეგ გარემოებათა გამო.

1. სათავადოს ძირითადი ნიშანი მემკვიდრეობითი საკუთრება არ არის. იგი მისი ერთ-ერთი ნიშანია მხოლოდ. სათავადო-სენიორია, როგორც ეს ვრცლად დადასტურდა, არა მარტო ფეოდალური საკუთრების ფორმაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იგი ფეოდალთა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციაა. სათავადო-სენიორიის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი საკუთრების მემკვიდრეობითი ფორმა კი არაა, — რადგან ამა თუ იმ სიდიდით პატრიმონიალური თუ სხვა სახის მემკვიდრეობითი საკუთრება ფეოდალთა უმეტესობას ფეოდალიზმის ყველა ეპოქაში გაეჩნდა, — არამედ, როგორც დადასტურდა, ამ ფეოდალური ორგანიზაციის განმასხვავებელი და დამახასიათებელია მისი რიგი ძირითადი ნიშნების კომპლექსი, ერთობლიობა.

სათავადოს მემკვიდრეობითი საკუთრება შედგება როგორც პატრიმონიალურ-მამაპაპეული, ისე ნაწყალობევი და მინათვისებ-მინატაცები ყმა-მამულისაგან. ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისაგან სამმართველოდ მიღებული მიწაწყლის, ნგნებათ მისი ნაწილის ნიტაცება-მითვისება პროგრამატიკებით მოსილ ფეოდალ-სენიორის მიერ პროგრესი სრულიადაც არ ყოფილა, პირიქით, იგი რეგრესი იყო. ასეთი გზით სახელმწიფო საქონებელის შემცირება და მის ხარჯზე მსხვილი კერძო მემპატონე-სენიორთა სამფლობელოების გაფართოვება, ცენტრალური ხელისუფლების საჯაროუფლებრივი საწყისის დასუსტება და მის ხარჯზე მათი კერძოუფლებრივი საწყისის გაძლიერება — რეგრესი იყო.

ამასთან, ბატონყმობისა და ქვეყნის პოლიტიკურად დაშლის შედეგად ფეოდალ-სენიორის — ქართველი თავადის საკუთრება, მართალია, განმტკიცდა და გაფართოდა, მაგრამ ეს მოხდა როგორც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების, ისე ბიწაზე უშუალო მწარმოებელთა საკუთრების ანულირების შედეგადაც, რაც, ცხადია, პროგრესი სრულიადაც არ ყოფილა. წინაბატონყმური პერიოდის ლენი და ბენეფიციუმი მიწაზე უშუალო მწარმოებელთა საკუთრების ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ალოდალურ უფლებებს გულისხმობს, მაშინ როცა ბატონყმურ სათავადო-სენიორიაში მიწისმოქმედთა ალოდალური საკუთრების უფლებები ანულირებულია და მთელი სამფლობელო მიწაწყლის მესაკუთრე მემპატონე-ფეოდალია. საკუთრების ასეთი, ბატონყმური, ფორმა საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით პროგრესი არაა.

ბატონყმურ ეპოქაში პროგრესია არა მსხვილ ფეოდალ-სენიორთა კორპორაციული საგვარეულო საკუთრება და მისი სიმტკიცე, არამედ კერძო მეშამულური ინდივიდუალური საკუთრება და, რაც მთავარია, პროგრესია უშუალო მწარმოებელ ყმა-გლეხთა კერძო საკუთრების დამყარება მიწაზე და მათი პირადი უფლებრივი განთავისუფლება ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, რასაც საბოლოოდ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მოსპობა მოსდევდა.

სათავადოს სამამულო მფლობელობა ერთიანობის ხანის დიდებულის სამამულო მფლობელობასთან შედარებით სრულიადაც არ ყოფილა პროგრესული (მათ შორის დიდი და პრინციპული განსხვავება არც ყოფილა). კერძო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეოდალთა სამამულო სისტემის გაფართოების, იმუნიტეტის და ვასალიტეტის გაძლიერებასთან ერთად, სათავადოთა სისტემა ეს იყო მსხვილი ფეოდალური სახლთის ჯგუფობრივი, საგვარეულო-კორპორაციული ფეოდალური საკუთრება, რაც პროგრესი სრულიადაც არ ყოფილა. ერთიანობის ხანის (XII—XIII სს) საქართველოს დიდებულთა და აზნაურთა სამამულო მფლობელობის შემდეგ პროგრესული ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმა იქნებოდა არა სენიორალური საგვარეულო-კორპორაციული ფეოდალური საკუთრების გაფართოება, არამედ ფეოდალური საკუთრების ინდივიდუალიზაცია ვასალიტეტის გარეშე — კერძო ინდივიდუალური მემამულური მიწისმფლობელობა.

რაც შეეხება ფეოდალთა ბენეფიციალურ და ლენურ საკუთრებას, ჯერ ერთი, „მკვიდრ მამულთან“ ერთად, ასეთი საკუთრების ფორმა, განსაკუთრებით ლენური, სათავადოების ეპოქაშიც არსებობდა — აზნაურული საკუთრების სახით. მეორეც, რაც მთავარია, ბენეფიციალურ-ლენური საკუთრებისა და ერთიანობის ხანის დიდებულის სამამულო სისტემის და მისთვის დამახასიათებელი ვასალიტეტის შემდეგ პროგრესული ფორმაა არა მსხვილ ფეოდალთა კვლავ საგვარეულო-კორპორაციული სათავადო-სენიორალური საკუთრება, — არა-მედ უვასალიტეტო კერძო-მემამულური, ინდივიდუალური საკუთრება, საიდანაც უფრო ადვილი იყო მწარმოებელი მოსახლეობის, ყმაგლეხობის, ბერეუაზიულ საკუთრებაზე გადასვლის შესაძლებლობა.

2. სათავადო არის ფეოდალთა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია. ერთიანობის ხანის სამამულო სისტემასთან შედარებით მათ გააჩნიათ განვითარებული, ფართო იმუნიტეტი — საგადასახადო, ადმინისტრაციული, სამოსამართლო. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ სავადასახადო იმუნიტეტზე, საკმარისია აღინიშნოს, რომ XVIII ს-ის ბოლოს დასაღეთ საქართველოში სათავადო-სამამართო ყმა-გლეხობის 9/10-დი სახელმწიფო გადასახადებს არ იხდიდა; სამაგიეროდ მემამონეები მათ დამატებით ბეგრავდა თავიანთ სასარგებლოდ. ეს გარემოება, ცხადია, ფეოდალურ სახელმწიფოს ძლიერ ასუსტებდა.

3. სათავადოთა სისტემას ჰქონდა განვითარებული ვასალიტეტი, რომელიც ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას ასუსტებდა. თავადთა მფლობელობაში დროთა ვითარებაში სხვადასხვა გზით მოექცა ძველი სამეფო აზნაურების ნაწილი და მათსა და მეფეს შორის თავადი ჩადგა.

4. მსხვილი სათავადო-სენიორიები ფეოდალური ორგანიზაცია მიმართულია სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ მიდრეკილება აქვთ პოლიტიკური განკერძოებულობისა და მწარმოებელ მოსახლეობაზე სრული განუკითხავი ბატონობისაკენ. რიგი მსხვილი სათავადოები სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად — სამთავროებად (ბატარა სახელმწიფოებად) გახდომისაკენ მიისწრაფიან (ქსნის, არაგვის, რაჭის სათავადოები...).

5. გვიან შუა საუკუნეებში, ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, წარმოშობილი ამ ახალი სოციალურ-პოლიტიკური უჯრედების, სათავადო-სენიორიების, სოციალური ბაზა არის არანორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობა — ბატონყმობა.

ბატონყმობა ფეოდალიზმის განვითარების ბოლო საფეხურია, ფეოდალიზმის შიდასტადიალური განვითარების უკანასკნელი და თანაც არანორმალური საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობა. ბატონყმობა უშუალო მწარმო-

ებელთა მიწაზე მიმაგრებაა. იგი ხელს უშლის საწარმოო ძალების განვითარებას, თავისუფალი გლეხური მეურნეობისა და მეწარმეობის გაჩენას. ამდენად, ბატონყმობა სრულიადაც არაა პროგრესი, იგი რეგრესია. ამა თუ იმ საზოგადოების ყველა მომდევნო შიდასტადიალური საფეხური პროგრესი როდია. ასეთი რეგრესია, მაგალითად, ფეოდალიზმის ეპოქაში ბატონყმობა.

აი, ასეთ რეგრესულ, არანორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობის, ბატონყმობის სოციალურ ბაზაზე აღმოცენდა საქართველოში ახალი ტიპის ფეოდალური სენიორიები, „სათავადოები".

6. XI—XII საუკუნეებში ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის სენიორიების (უმთავრესად სამთავროების) მოსპობისა და საქართველოს გაერთიანების შემდეგ, სენიორიების კვლავ წარმოშობა („მეორე გამოცემა") სათავადოების სახით მოხდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა, ხოლო შემდგომ ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პარალელურად. სათავადოთა სისტემამ კი, როგორც აღინიშნა, თავის მხრივ ხელი შეუწყო საქართველოს საბოლოო პოლიტიკურ დაშლას. ერთიანი ეროვნული ქვეყნის პოლიტიკური დაშლა კი არასდროს პროგრესი არ ყოფილა, იგი ქვეყნის დაქცევას ნიშნავდა.

7. საგარეო ფაქტორის შედეგად ქვეყნის პოლიტიკურმა დაშლამ საქართველოში ბატონყმობას, ამ ისედაც არანორმალურ, რეგრესულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, სხვაგვარი სახე მისცა. სახელდობრ, ბატონყმობის სოციალურ ბაზაზე აღმოცენდა რეაქციული სათავადო-სენიორიები, რითიც თანდათან მთელი საქართველო მოიფინა. XII საუკუნის ერთიანი ცენტრალიზებული საქართველოს შემდეგ, როცა ქვეყანა ბურჟუაზიული განვითარების გზას უნდა დადგომოდა, სახელმწიფოს პოლიტიკური დაშლა და სამთავრო-სათავადო სენიორიათა სისტემა არაკანონზომიერი მოვლენა (ანომალია) და რეგრესი იყო. X—XII საუკუნეებში ფეოდალურ სამთავრო-სენიორიების მოსპობისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ კანონზომიერი ვითარება იქნებოდა ქვეყანა არ დაშლილიყო და ბატონყმური ურთიერთობა საქართველოში სათავადო-სენიორიების გარეშე არსებულიყო, როგორც ეს იყო ევროპის რიგ ცენტრალიზებულ ფეოდალურ ქვეყნებში და ქვეყანა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გზაზე დამდგარიყო.

8. სათავადო თავის მხრივ ძლიერ აკონსერვებდა ბატონყმობას, რადგან, ჯერ ერთი, ძლიერი ფეოდალური ორგანიზაცია თავისი საპოლიციო აპარატით უფრო ახერხებდა უშუალო მწარმოებელთა დათრგუნვასა და უფლებრივი დამოკიდებულების შენარჩუნებას. მეორეც, სათავადო-სენიორიის საერთო. საგვარეული კორპორაციული საკუთრების დროს ყმაგლეხის ყმობიდან განთავისუფლებისათვის მთელი სათავადოს წევრების თანხმობა იყო საჭირო (იხ. ვახტანგის სასართალი), მაშინ როდესაც ინდივიდუალური საბატონო მფლობელობის დროს საამისო უფლება ერთი მებატონის კომპეტენციას შეადგენდა. სათავადო-სენიორია ინდივიდუალურ საბატონო მფლობელობასთან შედარებით გაცილებით უშლიდა ხელს საკუთრების ინდივიდუალიზაციას, ასევე, მწარმოებლის ყმობიდან განთავისუფლებას და მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრების დამყარებას.

9. გარდა ყველა ზემოაღნიშნულისა, სათავადოებს განუწყვეტელი შეღწევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. ერთმანეთზე ხშირი მიხდომა-თარეშით მწარმოებელი მოსახლეობა ნადგურდებოდა და ქვეყანა იქცეოდა. მსგავლ ფეოდალ-თავადთა შინაკლასობრივი ბრძოლის ფაქტები და ეპიზოდები უაპრავია და მათი მოტანა ძალიან შორს წაგვიყვანდა. საკმარისია მივუთითოთ ამ მხრივ ქსნის, არაგვის, საამილახოროს, რაჭის სათავადოების შინაკლასობრივ ბრძოლებზე XVII—XVIII საუკუნეებში, რამაც ქვეყანა გაანარცხა. ისედაც დასუსტებული სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლება უფრო სუსტდებოდა. ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ურთიერთშორის ბრძოლით მსვლელ სათავადო-სენიორიები, ისე როგორც სამთავრობი, ქვეყნის ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებას საუკუნეების მანძილზე სიცოცხლეს უმწარებდნენ.

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა და რეგრესმა გამოიწვია მრავალსაუკუნოვანი სოციალური და პოლიტიკური სტაგნაცია საქართველოში XIX საუკუნემდე.

რაც შეეხება **საქართველოს გადარჩენას**, „**ქართველობის**“ **გადარჩენას**, ეს სათავადოების სამამულო სისტემის დამსახურება აბსოლუტურად არაა! „ქართველობა“ და საქართველო გადაარჩინა კი გვიანი შუა საუკუნეების თავადურ-ბატონყმურმა რეგრესულმა სამამულო სისტემამ, არამედ **ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ** თავისი კერისა და საშობლოსათვის, თავისი მშობლიური ენის, რწმენის, სამეურნეო და სულიერი კულტურის დასაცავად. ქართველი ხალხის უმრავლესობა იბრძოდა არა სათავადოთა ბატონყმური სამამულო სისტემის შენარჩუნებისათვის, არამედ თავისი მაღალგანვითარებული ბინადარი სამეურნეო და სულიერი კულტურის დასაცავად აზიელი მომთაბარე ველურებისაგან, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში ნომადურ-მეჯოგური მეურნეობის დანერგვა სურდათ: „**ბახტრიონს სხეულან თათრები სიტყვას ამბობენ ძნელსაო, ახმეტას ჩავეჩრით ვენახსა შიგ ჩავასახლებთ ელსაო**“. ბახტრიონის გმირული ეპოპეის ეს ნათელი ოქმულება ნომად-მომთაბარეთა მიზნებს რომ გამოხატავს, მარტო XVII საუკუნის საქართველოს როდი ეხებოდა. იგი მთელი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დროსა და პერიოდზე ვრცელდებოდა.

მიუხედავად რეაქციული სათავადო-სენიორთა სისტემის არსებობისა, ქართველმა ხალხმა თავისი გმირული ბრძოლით გადაარჩინა საშობლო და თავისი კულტურა.

ამასთან, როდესაც ჩვენ ქართველობის გადამრჩენ „**ქართულ სამამულო სისტემაზე**“ ვლაპარაკობთ, ამ **ცნებაში** მარტო ქართველ ფეოდალთა მიწისმფლობელობის ფორმები და სხვა საადგილმამულო ფეოდალური ორგანიზაცია როდი იგულისხმება.

ქართულ სამამულო სისტემაში იგულისხმება ასევე **საგლეხო მეურნეობა**, „**საგლეხო მამული**“, **კიდევ მეტი, ქართველი ხალხის მიერ შექმნილი მთელი საშეურნეო კულტურა** — მაღალგანვითარებული მიწათმოქმედება სარწყავი არხების რთული სისტემით, ქართველი მწარმოებელი კლასის მიწისმფლობელობის მაღალი კულტურული ფორმა — „ნასყიდი“ მიწის საკუთრება, მევენახეობა-მებაღეობა და საერთოდ ქართველი ხალხის მაღალგანვითარებული მატერიალური კულტურის ბინადარი ცხოვრება, რომელსაც უპირისპირდებოდა ბომხდური გადამთიელების ნომადურ-მეჯოგური მეურნეობა, მომთაბარე ბარბაროსების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალი კულტურა, დაბალი საყოფაცხოვრებო ნორმები (არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების და ათასი ჯურის გადამთიელების).

ბუნებრივია, მთელი პროგრესული ქართველი ხალხი ამას კარგად ხედავდა და იგი სამკვდრო-სასიცოცხლო, თავგანწირული გმირული ბრძოლით იცავდა თავის მაღალგანვითარებულ მრავალ ათასწლოვან ბინადარ მატერიალურ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სულიერ კულტურას და არა რეაქციულ სათავადო-სენიორიათა ბატონყმურ სისტემას.

Д. А. ГОГОЛАДЗЕ

К ВОПРОСУ О СУЩНОСТИ И ИСТОРИЧЕСКОМ МЕСТЕ ГРУЗИНСКИХ САТАВАДО-СЕНЬОРИЙ

Резюме

В труде на основе изучения первоисточников дана попытка обобщающего анализа сущности грузинской феодальной сатавадо-сеньории и ее исторического места в XIV—XVIII вв.

Вопреки некоторым исследователям, по-новому освещен ряд вопросов грузинской феодальной сатавадо-сеньории, в особенности, ее характерные черты, которыми она отличалась от вельможеской вотчины («дидебулис мамули») эпохи единения Грузии (XII—XIII вв.) или была схожа с ней.

Вопреки некоторым грузинским исследователям, по-новому также осмыслен вопрос исторического места грузинской сатавадо-сеньории, а именно, как регресс, способствовавший политическому раздробленню страны и ослаблению ее мощи в поздние века (XV—XVIII), что привело к потере ее политической независимости.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერონტი გასპიანი

ლეჩხუმისა და რაჭის ტოპონიმიკის საკითხისათვის

როგორც ცნობილია, ტოპონიმიკაში აისახება მისი შემოქმედი ხალხის ენა, აგრეთვე სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ზოგიერთი მხარე. ამდენად ტოპონიმიკა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მისი შემოქმედი ხალხის წარსულზე, მეურნეობის ხასიათზე, საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, გარე სამყაროსადმი დამოკიდებულებაზე და ა. შ. ამიტომ მის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის გასაშუქებლად.

ლეჩხუმისა და რაჭის ისტორისა და ტოპონიმიკის კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაუყარა ი. ჯავახიშვილმა. მის შემდგომ შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანეს ე. თაყაიშვილმა, ს. კაკაბაძემ, გ. ბოჭორაძემ, შ. ბურჯანაძემ, გ. ჩიტაიამ, ს. მაკალათიამ, ა. კიკვიძემ, გ. მელიქიშვილმა, ო. სოსელიამ, გ. გობეჯიშვილმა, ნ. რეხვიაშვილმა, მ. რეხვიაშვილმა, ლ. ფრუიძემ და სხვ.

ლეჩხუმისა და რაჭის ტოპონიმიკის შესწავლაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ენათმეცნიერებს მ. ალავიძეს, მ. ჩიქოვანს, ნ. მარს, ი. ყიფშიძეს, ვ. თოფურიას, მ. ქალდანს, შ. ძიძიგურს, ალ. ღლონტს და სხვ.

ენათმეცნიერ მკვლევართა აზრით, ლეჩხუმის და რაჭის ტომონიმიკა სხვადასხვა წარმოშობისაა: მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო (საკუთრივ) ქართულია, ნაწილი სვანურ-ზანური.

დიდი ხანია ენათმეცნიერ-მკვლევრებს აინტერესებთ, ლეჩხუმური ენა ზანურ-სვანურის მსგავს ქართველურ (სატომო) ენას წარმოადგენს თუ ქართულის კილოკავს.

მიხეილ ჩიქოვანის აზრით, ლეჩხუმური ქართული ენის ცალკე დიალექტური ერთეულია. ის აღნიშნავს, რომ ამასთან მას შეხვედრის წერტილები აქვს ზანურთან და სვანურთან. მისი აზრით, ლეჩხუმურ დიალექტში ორი თავისებური ერთეული გამოიყოფა, ესაა ქვემო და ზემო ლეჩხუმური, რომელიც თავის მხრივ, კოლხურ და სვანურ ფენას შეიცავენ[1].

მ. ალავიძე ლეჩხუმურს ქართული ენის კილოდ მიიჩნევს და დასძენს, რომ სვანურმა და ზანურმა ენებმა მას ღრმა კვალი დაუჩნიეს[2].

შ. ძიძიგურის აზრით, ლეჩხუმური ქართული ენის დიალექტია, რომელსაც, ქვემო იმერეთის შემდეგ, ყველაზე მეტი მსგავსება ქვემო რაჭულთან აქვს[3].

---

1 მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები, IX, 1939; მ ი ს ი ვ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თ. პედ. ინსტიტუტის შრომები, I, 1941; მ ი ს ი ვ ე, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით. თ. პედ. ინსტ. შრომები. ტ. VII, 1949.

2 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრომები, XVIII, 1958.

3 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. თოფურია წერდა: „ლეჩხუმური მკაცრი დიალექტოლოგიური დაყოფით დამოუკიდებელ კილოდ არ ჩაითვლება, იგი უფრო იმერულის კილოკავი“[4]. მეცნიერების აზრით, ლეჩხუმურს თავისებურებაც ახასიათებს, მაგრამ ეს მომიჯნავე ხალხის კილოთა და ენათა გავლენით აიხსნება“[5].

ალ. ღლონტი მხარს უჭერს შ. ძიძიგურის და ვ. თოფურიას თვალსაზრისს და წერს: „ლეჩხუმური მასალების ახლო გაცნობა უეჭველად იძლევა ამ უკანასკნელი მოსაზრების საფუძველს, მით უმეტეს, თუ მის სტრუქტურულ ნორმებს იმერულს ან რაჭულს შეეუპირისპირებთ“[6].

წარმოადგენდა თუ არა ლეჩხუმური მეგრულ-ჭანურ-სვანურის მსგავსად ტომობრივ ენას?

ამას უკავშირდება ტოპონიმი „ლეჩხუმის“ საკითხიც.

ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, მოცემულ კუთხეს ლეჩხუმი ეწოდა ხომლის მთის მიხედვით, ე. ი. ეს სახელწოდება მეცნიერმა ხომლის მთის სახესხვაობად მიიჩნია[7].

ი. ყიფშიძე ტოპონიმ ლეჩხუმს, მეგრულ „ჩხომს“ (თევზს) უკავშირებს და დასძენს, რომ „ლეჩხუმი სთევზე ადგილს ეწოდება“[8].

ივ. ჯავახიშვილი და გ. ჩიტაია ლეჩხუმს სვანურ სახელწოდად მიიჩნევენ, თუმცა ამის დამამტკიცებელ არგუმენტს არ ასახელებენ[9].

ი. ორბელს „ლეჩხუმი“ სატომო სახელწოდებად მიიჩნია[10].

ნ. მარის აზრით, ლეჩხუმი სოხუმის პირვანდელ სახელწოდებას „ცხომ-ცხუმს“ უკავშირდება. სახელწოდება „ცხუ“ ნ. მარს მიაჩნდა „სკუ“ ეთნონიმის (სატომო სახელის) მეორე ნაირსახეობად. ის სარწმუნოდ მიიჩნევს ი. ორბელის მოსაზრებას და დასძენს, რომ ლეჩხუმს მკვიდრი ხალხი („ტომი“) თევზის („ჩხომის“) ტოტემის მატარებელი სკვითები უნდა ყოფილიყვნენ, ნ. მარი „ჩხომ-ცხუმს“, აგრეთვე „ლანჩხუთს“ და მდინარე „ცხუმურს“ ერთი ფუძიდან წარმოქმნილ სახელწოდებებად მიიჩნევს[14].

პ. ინგოროყვა იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „ლეჩხუმი“ მომდინარეობს თევზის მეგრული სახელწოდება — „ჩხუმისგან“. მისი აზრით, „ჩხომს“ (მეგრულ სახელწოდებას) უკავშირდება, აგრეთვე სოხუმის პირვანდელი სახელი „ცხუმი“[12].

ს. ყაუხჩიშვილს და ს. ჯანაშიას მიაჩნიათ, რომ ლეჩხუმი მეგრულ-სვანური სახელწოდებაა, რომლის ძირი „ჩხუმი“ („ჩხომი“ — თევზი) მეგრულია, ხოლო „ლე“ თავსართი — სვანური. ისინი დასძენენ, რომ მოცემულ

---

[4] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 482.

[5] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, იქვე.

[6] ალ. ღ ლ ო ნ ტ ი, ლეჩხუმური ტოპონიმია და ლექსიკა, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 39.

[7] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 748.

[8] И К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, 1914.

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 422; გ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, საქ. სახ. მუზეუმის „მოამბე“ XII, 1944, გვ. 267.

[10] И. А. О р б е л и, Город близнецов... и племя, ЖМНП, 1908, გვ. 32—33.

[11] Н. Я. М а р р, Термин скиф, Избранные работы, V, 1935, М.-Л გვ. 32—33.

[12] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 147. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II, თბ., 1934, გვ. 96; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდებას უკავშირდება „სკვიმია“, (სკვიმნია) რომელიც „ჩხუმ-ცხუმის“ ბიზანტიური მიახლოებითი გადმოცემაა[13].

მ. ალავიძე არ ეთანხმება ლეჩხუმის სახელწოდების „ჩხუმ — ჩხომთან“, ე. ი. მეგრულთან დაკავშირებას. მისი მტკიცებით, „ლეჩხუმი“, რომ ზანურ „ჩხომ“ ძირს ემყარებოდეს, მაშინ ის მეგრულსავე „ო“ საწარმოებელ პრეფიქსს დაირთავდა და გვექნებოდა არა ლეჩხუმი, არამედ „ოჩხომური“ (სათევზაო). ამ მოსაზრების საბუთად იგი ასახელებს ლეჩხუმის ისეთ ტოპონიმებს, როგორიცაა: ონტოფი, ონკეში, ოყურეში, ოფიტარა, ოღრაბეჩე, ოყალეთი და სხვ. რომლებიც მეგრული ენის კანონზომიერებას ექვემდებარებიან და შესაძლებელია ისინი მეგრულის გავლენით წარმოიშვნენ.

მ. ალავიძის დასკვნით, რამდენადაც „ლე“ პრეფიქსიანი ზანური ფუძის ტოპონიმები დასახლებულ რეგიონში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის, ამდენად ლეჩხუმი არ შეიძლება „ჩხომს“ დავუკავშიროთ და ზანურ სახელწოდებად მივიჩნიოთ. ეს მით უფრო, — წერს მეცნიერი, — რომ თვით სამეგრელოში „ჩხომ“ ძირისგან წარმოქმნილ სოფელს „ოჩხომური“ ეწოდება, ასევე მდინარეს „ოჩხომური“ (გურიაში). ამ მოსაზრების დამადასტურებლად მ. ალავიძე აღნიშნავს იმასაც, რომ მეგრული ენის კანონზომიერების გზით „ჩხომ“ (თევზი) ჯერ მდინარეს („ოჩხომური“) უნდა შერქმეოდა, ხოლო შემდეგ სოფელს ე. ი. ლეჩხუმს, რაც არ მოხდა.

მ. ალავიძე დასძენს, მართალია, „ლე“ პრეფიქსი სვანურ-ზანური გეოგრაფიული სახელების საერთო მაწარმოებელია, მაგრამ „ცხუმ — ცხვიმ“ რცხილის სვანური სახელწოდებაა (ქართული რცხილის სვანური ვარიანტია), ამიტომ დასაკვნის, რომ ლეჩხუმი „ლეჩხუმ-ლეცხვიმ“ სვანური სახელისაგან უნდა იყოს წარმოშობილი, რაც სვანურად რცხილნარს-სარცხილეს ნიშნავს[14].

„ლეჩხუმი“ სვანურ სახელწოდებად მიიჩნია მ. ქალდანმა, რომელმაც ამ მხარის ტოპონიმიკის სრულყოფილი მეცნიერული ანალიზი წარმოადგინა[15].

გ. მელქიშვილს მიაჩნია, რომ როგორც „ლეჩხუმი“, ავრეთვე ძველი ქართული (პენოხური) ქალაქის სახელი — „ცხუმი“ სვანური წარმოშობისაა. მისი განსჯით, „ლაზებს ემოჩჩილებოდა, როგორც ჩანს, კიდევ ერთი სვანური გაერთიანება „სყუმეა“, რომლის სახელი სვანური ლე — პრეფიქსით შემორჩა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მთიან ოლქს — ლეჩხუმს“[16].

ვფიქრობთ, ლეჩხუმის სახელწოდების წარმომავლობაზე ბოლომდე თანამიმდევრული და სწორი დასკვნა მ. ქალდანმა და მ. ალავიძემ მოგვცეს. მათ მოსაზრებას ლეჩხუმის სვანურ წარმომავლობაზე მხარს უჭერს არა მხოლოდ ის, რომ ეს სახელი სვანური ფუძისა („ცხუმ — ცხვიმ“) და „ლე“ პრეფიქსისაგან შედგება, არამედ ლეჩხუმის მიწა-წყლის სახელწოდებათა მნიშვნელოვანი ნაწილის სვანურობაც. ამასთანავე, ლეჩხუმის სახელწოდება რომ „ცხუმ“ (რცხილა) სახელისაგანაა ნაწარმოები, ამას უნდა ადასტურებდეს სვანეთში და სვანთა ნასახლარ ტერიტორიაზე გავრცელებული მსგავსი სახელწოდებების არსებობაც. მაგალითად, ცხუმელური (სოფელი ლენტეხის რაიონ-

---

13 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, 1934, გვ. 96.

14 მ. ალავიძე, რას ნიშნავს „ლეჩხუმი“, ჟურ. „სოფლის ცხოვრება“, 1972, 6 ივლისი.

15 მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა — იმ (II-ში სუფიქსის საკითხისათვის, კრებული ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963.

16 გ. მელქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში), ცხუმარი (თემი, მესტიის რაიონში), სხუმარი (ნასახლარი) ყარაჩაიში და სხვ.

ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებები, ისევე როგორც ლეჩხუმი და ცხუმი (სოხუმის ყოფილი სახელი), როგორც ეს ზოგიერთ ენათმეცნიერს მიაჩნია, ცხუმის (რცხილის) სახელიდან უნდა იყოს წარმოშობილი და რცხილნარ ადგილს უნდა ნიშნავდეს.

ამასთან, ლეჩხუმის სატომო სახელწოდებად წარმოდგენა (როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი იძლევა) არასწორი უნდა იყოს. ეს ტოპონიმი გარკვეულ გეოგრაფიულ-ტერიტორიულ ერთეულს უნდა გამოხატავდეს (როგორც ლენტეხი, რაჭა, არგვეთი და სხვ). და არა ცალკე ტომს.

ცნობილია, რომ მოცემულ რეგიონში ლეჩხუმი — სვანური სახელწოდება გამონაკლისს არ შეადგენს, პირიქით ის მხოლოდ ერთი რგოლია ამ მხარის სვანური სახელწოდებების ფართო ჯაჭვისა.

დადგენილია, რომ ლეჩხუმის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ტოპონიმები საკუთრივ ქართული წარმოშობისაა. ამასთან ლეჩხუმის მრავალ სოფელს და ადგილს სვანური სახელი აქვს. მ. ალავიძის აზრით, ამ სახელწოდებათა სვანური ეტიმოლოგიები ასეთია: ლ ა რ ჩ ვ ა ლ ი (სამეწყერე ადგილი), ლ ა ნ ჩ — ვალი (ჩვალ — მეწყერი) ეწოდება მესტიის ერთ-ერთ სოფელს, რომლის ერთი ნაწილი ოდესღაც მეწყერს წაუღეკია. ლ ა ჭ ე — პ ი ტ ა (ლაჭებიდა — ლაჭბიდა) — მოსამწყვდევი ადგილი. ლ ა ბ ე ჭ ი ნ ა (ლაბეჭ) — ქვიანი ადგილი. ლ ა ხ ე ფ ა (ლახკა — ლახეკ) — დახრამულ, ჩამოფხეკილ ფერდობიანი მიდამო. ლ ა ც ო რ ი ა (ლაცარა — ლიცვრე) — დასატოვებელი, დასარჩენი ადგილი. ლ ა ძ გ ვ ერ ი ა (ძგვერ) — ბორცვნარ — გორაკიანი ადგილი. ლ ე შ კ ე დ ა (ლეშგედ) — ადგილი, რომელსაც მზე იშვიათად დაჰყურებს. ლ უ ხ ვ ა ნ ო (უხვან) — კლდიან — მთიან ადგილს ეწოდება. დ ე ხ ვ ი რ (ლუხვირ) — დანგრეულ-დარღვეული ადგილი. აღნიშნულ სოფელს უწინ ჩვალბეჩი ერქვა. (ჩვალ — მეწყერი, ბეჩ — ბაჩ — ქვა). ამრიგად, ჩვალბეჩი დახრამულ ქვიან — მეწყერიან ადგილს ნიშნავს. ც ა გ ე რ (ცაგ) — ეკლნარს, ეკლით დაფარულ ადგილს ეწოდება. ჩ ხ უ ტ ე ლ (ჩხეტ — კინჭი) — კინჭნარი ადგილი. უ ც ხ ე ერ (უცხ-იცხ) მსხლიანი მიდამო. გ ო ლ ა ი ა (გოლა) — ფერდობი. ზ ა გ ა ლ ე თ ი (ზაგარ) — სერი, ქედი ან უღელტეხილი. ნ ა კ ა რ ე შ ი (ნაკ-ნაკარ) — ვაკობი და სხვ[17].

ლეჩხუმის ტოპონიმიკაში მრავლად გვხვდება „ლა", „ლე" პრეფიქსიანი სახელწოდებები. მკვლევრები ვ. თოფურია, მ. ჩიქოვანი, შ. ძიძიგური და მ. ალავიძე მიუთითებენ, რომ მოცემული პრეფიქსიანი ტოპონიმები ლეჩხუმის მიწა-წყალზე ზანურ-სვანური წარმოშობისაა, თუმცა კონკრეტული მსჯელობისას მ. ალავიძეს ასეთი პრეფიქსიანი სახელწოდებები სვანური წარმოშობისად მიაჩნია მკვლევრის მსჯელობით, ლეჩხუმის ტოპონიმები, მაგალითად, ლ ა ტ ა ფ ი (ლა-ტაფ-ი) სვანურია და მთის ფერდობის განიზე გამავალ გზას ეწოდება. ლ ა გ უ ბ ა (ლა-გუბია) სვანურად წყლის დასაგუბებელ ადგილს ნიშნავს. ლ ა რ ც ი ა (ლა-რცი, ლა-ლცი) წყლიანი ან სარწყავი ადგილი. ლ ა ტ ხ რ ი ა (ლა-ტხორი) ტალახიან მიდამოს ეწოდება. ლ ე ნ ხ ე რ ა (ლე-ხერა, ლე-ჯერა) წიწვნარი ტყეა. ლ ე ყ ა ვ რ ი (ლე-ყავრი, ლე-ყარე) სა-

---

17 მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისი, პედ. ინსტ. შრომები, XVIII, გვ. 148—150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავრე ტყეა. ლ ე დ ე შ ტ ო (ლე-დეშტე) დათვების საბინადრო ადგილ ეწოდება და ა. შ.

მ. ალავიძე სვანურ წარმოშობისად მიიჩნევს, ავრეთვე ლეჩხუმის სხვა ტოპონიმებს, რომლებიც **„ლა“**, **„ლე“** პრეფიქსით არიან ნაწარმოები, მაგალითად, ლანქორ, ლაჯანა, ლასხანა, ლაჭყეპა, ლესინდი, ლეშვენა, ლეკუნდროუშა, ლექვენა, ლებენა, ლეფშირი, ლეფური, ლეხიდარი და სხვ[18] მთავარი ისაა, რომ აქ ჩამოთვლილ ტოპონიმებს სვანური შინაარსი და ახსნა აქვთ.

თავის უახლეს გამოკვლევაში მ. ალავიძე პირდაპირ და გადაჭრით წერს, რომ ზანური ძირეული ფუძის მქონე **ლა-ლე** პრეფიქსიანი ტოპონიმები ლეჩხუმის ტოპონიმიკაში ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის[19].

მ. ქალდანმა აღნიშნა, რომ ლეჩხუმში გავრცელებულ **„ლა“** და **„ლე“** პრეფიქსიანი სახელწოდებები შეიცავენ ისეთ მორფოლოგიურ ელემენტს, წარმოქმნის აფიქსებს და ძირებს, რომლებიც მხოლოდ სვანური ენის მეშეობით ხდება გასაგები და, ამდენად, მათი სვანური წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამის დამამტკიცებელ მაგალითებად მკვლევარი ასახელებს ლეჩხუმის ტერიტორიაზე გავრცელებულ **ლ ა** — ა (ლა), **ლე** — ა (ე) („ლ ე—) პრეფიქსიან ტოპონიმებს: ლაილაში, ლასურიაში, ლაბადაში, ლაღუმელაში, ლაჯუბაში, ლახმიაში, ლახვეტიაში, ლაყოიდაში, ლატკაში, ლავალიაში, ლამარეში, ლაჭამეში, ლაყვამიში, ლაშკარეში, ლახარუში, ლეშკაში, ლეკენტაში, ლებალიაში, ლებარეში, ლემეში და სხვ[20].

მ. ქალდანი აღნიშნავს, რომ ლეჩხუმის ტოპონიმების მ. ალავიძისეული და მ. ჩიქოვანისეული ახსნა ყოველთვის ზუსტი არ არის, რადგან ისინი **ლა** — **ა**, **ლ ე-ა**, **ლე-ე** აფიქსების მეორე შემადგენელი კომპონენტის **ა** და **ე** ხმოვნების ფუნქციას ზუსტად ვერ არკვევენ. მ. ალავიძე საერთოდ არ გამოყოფს ამ ხმოვნებს ძირებისაგან, ხოლო მ. ჩიქოვანი მათ ბრუნვის **შ** ფორმანტს მიაკუთვნებს[21].

მ. ქალდანი დაასკვნის რომ 1. „**ლ ა**“ — და „**ლ ე**“ — პრეფიქსებთან ერთად, სვანურში მომავლის მიმღეობის წარმოებაში მონაწილეობენ **ა** და **ე** სუფიქსებიც; 2. ნათესაობითი ბრუნვის — **იშ** სუფიქსის ხმოვანი ელემენტი, ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში, როგორც წესი, დაკარგულია და 3. რომ — **აშ** სუფიქსი, როგორც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, გარდა სვანურისა, არც ერთ ქართველურ ენაში არ მოგვეპოვება[22].

როგორც ვხედავთ, „**ლ ე**“ — პრეფიქსითაა ნაწარმოები თვით ლეჩხუმის სახელწოდება. მოცემულ პრეფიქსიან სახელთა შორის მ. ჩიქოვანი ეხება სოფლებს ღვირიშსა და ცხუკუშერს შორის არსებულ ტოპონიმ ლეშვანას (ნასოფლარის სახელს) და აღნიშნავს, რომ სვანები თავის ქვეყანას „ლეშვანს“ ან „ლემშუნიერას“ უწოდებენ. რომლის საფუძველზე დაასკვნის, რომ ლეჩხუმის ტერიტორიაზე ცხენისწყლისა და რიონს შუა გამყოფზე „ლეშვანა“ ერთი პატარა კუნძული უნდა ყოფილიყო „ჩხუმართა“ შორის ძლიერ შორეულ წარსულში. მაგრამ მისივე აზრით, სვანური ენობრივი კოლექტივი ამ ადგილს

---

18 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმის ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისი, ბეჭ. ინსტ. შრომები, XVIII, გვ. 151.

19 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმი, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1972, 6 ივლისი.

20 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

21 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, იქვე, გვ. 71.

22 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკრა (მხოლოდ ერთეულები შემორჩნენ), ხოლო გეოგრაფიული სახელი შეკვეცილი ფორმით დარჩა[23].

მ. ჩიქოვანი ლეჩხუმის მოსახლეთა შორის სვანურ ჩამომავლად მხოლოდ სვანიძეს მიიჩნევს, ხოლო ცხენისწყლის ზემო წელში მოსახლე სვანებს — ლეჩხუმის („პატარა კუნძულ“) ლეშვენადან გავრცელებულად თვლის[24].

ვფიქრობთ, „ლეშვენა“ ტოპონიმის არსებობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ლეჩხუმში სვანები მხოლოდ ამ ადგილზე ცხოვრობდნენ. მაგალითად, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს „ზანნ“, „ზანაითი“ და „საზანნი“ სამეგრელოში რამდენიმე ადგილს ეწოდება, კერძოდ, სოფლებს დიდი და პატარა ზანნა, მდინარე ზანნა, ავრეთვე იმერეთის — ზემო და ქვემო საზანო და სხვ[25]. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წინათ ზანნები სამეგრელოსა და იმერეთის მხოლოდ იმ ადგილებზე სახლობდნენ, სადაც ეს ტოპონიმები შემორჩა. პირიქით, დადგენილია, რომ ძველად მოცემულ ტერიტორიებზე მთლიანად ზანები ცხოვრობდნენ. ასევე იყო ლეჩხუმშიც, სადაც „ლეშვენად“ წოდებული ადგილის გარდა მთელი ლეჩხუმის მიწა-წყალი უმთავრესად სვანებით იყო დასახლებული.

რაც შეეხება მტკიცებას, თითქოს ლეჩხუმის მოსახლეთა შორის მხოლოდ სვანიძეები არიან ნასვანარები, კიდევ უფრო დაუჯერებელია, სადავო არ არის, რომ სვანიძე — სვანი ეთნონიმიდან წარმოდგება, მსგავსად მეგრელიშვილის, კახეთელიძის, იმერლიშვილის, ქართველიშვილის და სხვ., მაგრამ აღნიშნულ გვარს სვანური ფორმა დაკარგული აქვს, მაშინ, როდესაც ლეჩხუმში მრავალი სვანური გვარი დარჩა სახეშეცვლილად (ამაზე ქვემოთ).

როგორც ზემოთაც ითქვა, ლეჩხუმის მიწა-წყალზე განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით — **ი**შ (||**შ**) სუფიქსიან სახელწოდებებს. ამ სახელწოდებათა წარმოშობაზე კი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. რაკი ამგვარი სახელწოდებები უფრო ხშირად სამეგრელოსა და სვანეთში გვხვდება, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ისინი ზანურ-სვანური წარმოშობისაა.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ — **ი**შ, — **ე**შ-სუფიქსიანი სახელწოდებები ზანური წარმოშობისაა, მაგალითად: ტვიში, ვანეეიში, ნაკურალეში, ქორენეში, ღვირიში და სხვ. მეცნიერის აზრით, ლეჩხუმის „საგეოგრაფიო სახელების შესწავლა უეჭველს ჰყოფს, რომ მთელი ეს მიწა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს ტომებს ეკუთვნოდა“[26].

გ. ნიტაიას აზრით, მართალია, ლეჩხუმის ტოპონიმია სხვადასხვა ეთნიკურ ფენას (იგულისხმება ზანურ-სვანური) შეიცავს, მაგრამ **ეშ**-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები (მაგალითად ღვირიში, ტვიში, ზოგიში, ლაილაში, ოყურეშე, ნაკურალეში და სხვ.) ზანური წარმოშობისაა[27].

გ. ჩიქოვანი ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელებს სამ ჯგუფად ყოფს: საკუთრივ ქართულ, მეგრულ-ჭანური და სვანურ. მისი აზრით, „მეგრულ-ჭანური წარმოების სახელები ძლიერ მკვიდრად არის შესული ლეჩხუმის ტოპონიმი-

---

23 გ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტ. შრომები, II, 1949, გვ. 240.

24 გ. ჩიქოვანი, იქვე.

25 ს. ჯანაშია, შრომები, III, 1959, გვ. 13.

26 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 421.

27 გ. ნიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII—B, 1944, გვ. 267.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაში"[28]. ამის სანუთად კი „ო" თავსართიან და „ი̆ш" (||ш) სუფიქსიან სახელ-წოდებებს ასახელებს.

მ. ალავიძის აზრით, ლეჩხუმის სოფლების, მთა-ტყე-გორაკების, მდინარე-ღელე-წყაროების, ყანა-ვენახის და სხვათა „ი̆ш" (||„ш") სუფიქსიანი სახელ-წოდებები ზანურ-სვანურია. მას ამის საფუძვლად მიაჩნია სამეგრელოსა და სვანეთში მსგავსი ტიპის სახელწოდებების გავრცელება, მაგალითად, სამეგრ-ელოში: ჩხენაში, ცაიში, ოდიში, ბულაში, ნანჯიში, ჯიხაიში, კულაში, წყავა-ში, ფურაში, მოხაში, ჭაკდეაში, ნოღობაში, კუხეში, წყოუში, ჩხოუში და სხვ., სვანეთში: ხაიშ, მაცხვარიშ, ტვეიშ, სპარდიშ, სგურიშ, ყარიშ, ცალდაშ, ნო-დაშ, ბარქაშ, ვიჩნაშ, ზარდლაშ, ქურაშ, კიჩხულდაშ, ხერხვაშ, ლაღრავაშ, დურაშ, მცხეთაშ, ბადალაშ, მოგრეშ, ხაჩეშ, ბულეშ, უკვლეშ, ჩიხრეშ, კალა-მუშ, მუაშ, მარგვეშ და სხვ[29].

მ. ალავიძე ეხება მსგავს სახელწოდებებს იმერეთსა და რაჭაში და დას-ძენს, რომ „ბევრი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ ზანურის საშუალებით შეიძლება, ანდა მათ, ცხადია, ზანური დამახასიათებე-ლი ნიშნები აქვთ"[30].

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ზანურ-სვანური საერთო ტოპონიმების („ი̆ш" — „ეш" სუფიქსიანი, „ლეш" პრეფიქსიანი და სხვ.) ზანურისადმი მიკუთ-ვნებას, როგორც ჩანს, საფუძვლად უდევს სვანური ენის „ნარეკვობის თეორია", რომლის მიხედვით სვანური ენა: ჭანურ-მეგრული, ძველი ქართული და ადიღ-ეურ (ჩერქეზულ) — აფხაზურისაგან შედგება, ანდა სვანური, როგორც ნა-რევი ენა („აგრეგატ") იმერეთს: ზანურს, ძველ ქართულს, ადიღეურს და სხვ[31].

რაკი სვანური ენა „ნარევ ენად — აგრეგატად" გამოცხადდა და მასში თითქოს „საკუთარი (სვანური) არაფერი „ინახა", ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ ზანურ-სვანური ენებისადმი დამახასიათებელი საერთო მოვლენა — ზანურს მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია ლეჩხუმის „ი̆ш" (||ш) სუფიქსიანი სახელწოდებებიც ზანურ წარმოშობისად იქნა მიჩნეული. ამ მოსაზრების მაგალითია ლეჩხუმურზე ა. ჩიქობავას მსჯელობაც: „იმერული კილოს ქვემო-იმერული თქმაცა და ლეჩხუმურიც სავსეა მეგრელიზმებით როგორც ლექსიკასა, ისე მორფოლოგია-სინტაქსში"[32].

აღსანიშნავია, რომ ა. ჩიქობავამ ლეჩხუმის ტოპონიმიკაში (საერთოდ ლეჩ-ხუმურში) სვანური ვერსად დაინახა.

---

28 მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება... გვ. 238.

29 მ. ალავიძე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტ., შრომები, XVIII, 1958, გვ. 152.

30 იქვე, გვ. 153.

31 Н. Я. Марр, К дате эмиграции месхов из Армении в Сванетию, ИАН, 1916; Месхиа, Из поездок в Сванию, из «Христ. Востока», т. II, вып. I; Месхиа, где сохранилось сванское склонение? ИАН, 1911 № 17, VI серия; Месхиа, Тубал-Кайнский вклад в сванском, ИАН, 1912, № 18, VI серия; ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, ტფ., 1931; ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, 1959, გვ. 61—116; ა. ჩიქობავა, ქართველური ენები, მათი ისტორიუ-ლი შედგენილობა და დამახასიათებელი ძველი ნიშან-თვისებები, იბერიულ-კავკასიური ენათ-მეცნიერება, II, თბ., 1948, გვ. 272—273.

32 ა. ჩიქობავა, ჭანური გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმური ტოპონიმიკის კვლევაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს მ. ალავიძემ, მ. ჩიქოვანმა და შ. ძიძიგურმა, რომელთაც როგორც ლეჩხუმურში, აგრეთვე ლეჩხუმის ტოპონიმიკაში სვანურის გავლენა და კვალი კარგად დაინახეს, მაგრამ ლეჩხუმის ტოპონიმიკისათვის ესოდენ დამახასიათებული — „ი“ სუფიქსიანი სახელწოდებების ღრმა და თანამიმდევრული ახსნა მ. ქალდანმა მოგვცა.

მ. ქალდანი სვამს საკითხს — რატომ მიაჩნიათ „ი“ (||„ش“) სუფიქსიანი ლეჩხუმური გეოგრაფიული სახელები მაინცდამაინც ზანურ წარმოშობისად?

მკვლევრის განსჯით, ამ კითხვაზე სრულ პასუხს ვერ იძლევა ზოგადი მტკიცება, რომ „ი“ ფორმატი, ვითარცა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, თითქოს „ზანური ენის კუთვნილებას წარმოადგენს“. მ. ქალდანი აღნიშნავს: „ი“ (||„ش“) სუფიქსიანი სახელები რომ მხოლოდ ზანური წარმონაქმნი იყოს, მაშინ მათი გავრცელება ზანურის გავრცელების არეალს დაემთხვეოდა.

მისივე მსჯელობით, თუ „ი“ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ლეჩხუმის ტერიტორიაზე ზანების ოდინდელი ბინადრობის მაჩვენებელია, რატომ ანალოგიური მდგომარეობა არ გვაქვს ზანების ოდინდელ გავრცელების სხვა ადგილებზე, კერძოდ, ქვემო იმერეთის და გურიის ტერიტორიებზე[33].

მ. ქალდანის აზრით „ი“ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომ საკუთრივ ზანური წარმონაქმნი და კუთვნილება იყოს, მაშინ ისინი ყველაზე ჭარბად იქნებოდნენ გავრცელებული სამეგრელოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ისინი უწინაც სახლობდნენ და ახლაც. სინამდვილეში, აღნიშნავს, მ. ქალდანი, ეს ასე არ არის[34]. ამას მოწმობს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი[35].

აღნიშნულ ცნობარებზე და, საერთოდ, ზანური ტოპონიმების გავრცელებაზე დაკვირვების საფუძველზე მ. ქალდანმა შენიშნა, რომ გურიისა (ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის) და საკუთრივ, სამხრეთ სამეგრელოს (გეგეჭკორის, აბაშის და ჩხოროწყუს რაიონების) მიწა-წყალზე — „ი“ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, როგორც წესი, თითქმის არ გვხვდება, ხობის და ცხაკაიას რაიონებში იშვიათად, ხოლო წალენჯიხის რაიონში — მხოლოდ ოთხი, ზუგდიდის კი — ექვსი, ე. ი. მთელი სამეგრელოს რვა რაიონის ტერიტორიაზე — „ი“ სუფიქსის შემცველი 12 სოფლის სახელი მოგვეპოვება, იმაზე ერთით ნაკლები, რამდენიც ცალკე ცაგერის რაიონში.

ამრიგად, ზანურ წარმოშობისად მიჩნეული — „ი“ სუფიქსიანი სახელების ძირითადი მასა გავრცელებულია არა იმ ტერიტორიაზე, სადაც ზანები სახლობდნენ ისტორიულად და სახლობენ დღეს, არამედ ლეჩხუმის და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სვანეთის მიწა-წყალზე.

მ. ქალდანმა დაადგინა, რომ „ი“ (||„ش“) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები საქართველოში არსად ისე ფართოდ არაა გავრცელებული, როგორც სვანეთში (კერძოდ 400-ზე მეტი), მაგალითად, მარტო მესტიის რაიონში „ი“ (||ش)-სუფიქსიანი 23 სოფელი გვხვდება, ესენია: ტვებიში, ჰადიში, მაცხვარიში, სპარდიში, სგურიში; ქეთრაში, კალაში, ზაარდლაში, ცალდაში, ჭოლაში, კიჩხელდაში, ვიჩნაში, იენაში, ნოდაში, ბარჯაში, ჩაკაში, ხერხვაში, ბოგრეში, ყაბეში, ყა-

33 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 420.

34 მ. ქალდანი, იქვე, გვ. 68—69.

35 იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი, 1930, 1949 და 1961 წლების გამოცემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშ, ბარშ და სხვ. ასევე ლენტეხის რაიონში 14 სოფელი: მარგვინ, დურაშ, ლაღარვაშ, წანაშ, სასაშ, მაზაშ, მახაშ, ლამფალაშ, ყორულდაშ, ბელეშ, ყვედრეშ, ხაჩეშ, ყარიშ და სხვ[36].

„იშ“ (||„**შ**“)-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებების სიმრავლის მხრივ მ. ქალდანმა თითქმის ანალოგიური სურათი შენიშნა ლეჩხუმში (ცაგერის რაიონში), სადაც — **„იშ“** სუფიქსით დაბოლოებული 13 სოფელი გვხვდება: ტვიში, ქორენიში, ზოგიში, ღვირიში, ვანჭეიში, ლასურიაში, მახაში, კენაში, ლაილაში, ოყურეში, ნაკურალეში და სურმეში[37].

როგორც ვხედებით, **„იშ“** (|| **შ**)-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები პირველ რიგში, დამახასიათებელია სვანეთისა და ლეჩხუმისათვის, ხოლო ნაწილობრივ მათი მოსაზღვრე რაჭა, იმერეთი, სამეგრელოსათვის. საქართველოს სსრ დამინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, მარტო მესტიის რაიონში ორჯერ მეტი — **იშ** (|| **შ**)-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება, ვიდრე სამეგრელოს რვა რაიონში ერთად.

ამასთანავე, როგორც მ. ქალდანმა დაამტკიცა, სვანეთის, აგრეთვე ლეჩხუმის — **„იშ“**-სუფიქსიანი სახელები შეიცავენ ბევრ ისეთ მორფოლოგიურ ელემენტს, წარმოქმნის აფიქსებსა და ძირებს, რომლებიც მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით ხდება გასაგები. მაგალითად, ლეჩხუმის სოფლების სახელწოდებები: ლაილაში, ლასურიაში, ლაბადაში, ლაღუმელაში, ლაჯებაში, ლატკიაში, ლავალიაში, ლამარეში, ლაქამეში, ლაყვამეში, ლაშკარეში, ლახარეში, ლეშკაში, ლეკენტაში, ლებალიაში და სხვა ნაწარმოებია მომავლის მიმღეობის სვანური **„ლა“-ა** (|| **„ლა“**), **„ლე“-„არ“** (|| **„ლე“-ე** აფიქსით, ხოლო სხვები: ნაკარეში, კარვალეში, ხამარეში, გუმარეში, ღობარეში, ლებარეში, ვანდარეში, ლოკარეში, ფაცხარეში კუკუმარეში, ჩოხარეში, ლამარეში, ქუხარეში, ცანაკურალეში და სხვა ნაწარმოებია მრავლობითი რიცხვის — **„არ“** (||**„ალ“**) სუფიქსით. მეცნიერი დასძენს, რომ ანალოგიური წყაროების სახელები ამჟამადაც ფართოდაა გავრცელებული სვანეთში, მაგალითად: ძოღვარეში, ძოღვარიში, სუფარეში, ლეკვდარეში, ბოგარეში, დაბარეში, ყვედრეშ, ჩიხრეში და სხვ[38].

ამასთან, ლეჩხუმის (სხვა მსგავსი) ტოპონიმები: ლახამეილაში, წუდილაში, მერულაში, კორულდაში, კახელიდაში, გოლიდაში, ლარაციდაში და სხვა შეიცავენ კანონებით სვანურ ფორმანტს — **ილ-ილდ-იდ** სუფიქსს[39].

ლეჩხუმის ტოპონიმები: კინიშერი, ხოჩაშერი, დაბაშერი, ცხუკუშერი და სხვა მსგავსიც უდავოდ სვანური ენის წარმონაქმნია, რადგანაც ისინი მომდინარეობენ გვარების, საკუთარი სახელების ან სვანურისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნისაგან. მაგალითად: ასეთებია: ვიჩნაშერ, მიქელშერ, დუდიშერ, ოთარშერ, მეტოშერ, გიოშერ, ეზიაიშერ, მაზიშერ და სხვ. სხვათა შორის, სვანეთში დღესაც ასე აღინიშნება გვარის შიგნითა განშტოებები (სამოები).

მ. ქალდანმა ცხადყო, აგრეთვე, რომ ლეჩხუმსა და სვანეთში ხშირად ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელწოდებები გვხვდება, მაგალითად:

---

36 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა **ი**შ (||**შ**) სუფიქსის საკითხისათვის, კრებ. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963, გვ. 69—70.

37 იქვე.

38 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

39 იქვე, გვ. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმში	სვანეთში
1. ბარჯაში (სახნავი)	ბარჯაში (სახნავი)
2. ლაყოიდაში (სახნავი)	ლაყვეიდაში (სახნავი, წყარო)
3. მახაში (სოფელი)	მახაში (სოფელი)
4. მუაში (სახნავი)	მუაში (აგარაკი)
5. გოლიდაში (ადგილი)	გოლდაში (მთა)
6. უთილაში (სახნავი)	ეითილაში (ადგილი)
7. ხაელდეში (ადგილი)	ხალდეშ (სოფელი)
8. ხარაში (ღელე)	ხარაშ (ღელე)
9. და ა. შ.[40].	

მ. ქალდანის აზრით, ლეჩხუმის — „ეშ“ (|| „შ“) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებები, ისევე, როგორც სვანეთის, ერთი და იგივე ფონეტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. სვანეთისა და ლეჩხუმის ტოპონიმიკაში თითქმის არ მოგვეპოვება ისეთი შემთხვევა, როდესაც ხმოვანფუძიან სახელთან „ეშ“ სუფიქსის ნათესაობით ბრუნვისეული ი დაკარგული არ იყოს, ხოლო ეს „ი“ მეგრულში ყოველთვის შენარჩუნებულია, მაგალითად, სვანურში: ლაშხრაშ, ბოგრეშ, ყამუშ და სხვ., ლეჩხუმში: ლაილაში, ნაკურალეში, სურმუში და სხვ., მეგრულში: ჯიხაიში, ცაიში, ონჭეიში და სხვ[41].

ამასთანავე, მ. ქალდანისავე აზრით, ლეჩხუმის და სვანეთის გეოგრაფიული სახელწოდებები, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე ლექსიკური და მორფოლოგიური შედგენილობისაა, ამიტომაა, რომ ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც საკუთრივ ქართული წარმოშობის არაა, ძირითადად მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით იხსნება.

როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე ისეთი ავტორიტეტული და სახელმოხვეჭილი მკვლევრები, როგორებიც არიან ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ა. ჩიქობავა, მ. ჩიქოვანი და სხვები, ლეჩხუმის ტოპონიმიკაში ფართოდ გავრცელებულ — „ეშ“ (|| „შ“)-სუფიქსიან სახელწოდებებს ზანურ წარმოშობისად მიიჩნევდნენ. მაგრამ სვანური ენის ღრმა მეცნიერულმა შესწავლამ მრავალ საკითხს მოჰფინა ნათელი, მათ შორის ლეჩხუმურ ტოპონიმიკასაც. შემთხვევითი როდია, რომ არაერთმა მეცნიერმა დაუჭირა მხარი — „ეშ“ სუფიქსიანი ლეჩხუმის ტოპონიმიკის სვანურისადმი კუთვნილებას.

გ. მელიქიშვილი წერს: „ცალკეული სვანური სახელწოდებების არსებობა დასავლეთ საქართველოს არა მარტო მთიან, არამედ ბარის ზოლში აღრეც იყო ცნობილი. ახალი გამოკვლევებით ისიც ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში (სვანეთთან ერთად ლეჩხუმისა და ბარის რიგ სხვა რაიონებში) ფართოდ გავრცელებული — „ეშ“ (|| „შ“)-სუფიქსიანი ტოპონიმიკაც არა ზანური. როგორც აქამდე მიიჩნდათ, არამედ საკუთრივ სვანური წარმოშობის უნდა იყოს“[42].

ენათმეცნიერის ალ. ღლონტის დასკვნით, მ. ქალდანმა საკმარისი დამა-

---

40 მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა... გვ. 73.

41 იქვე, გვ. 74.

42 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერჯერობით დაასაბუთა, რომ „ი“ (|| „შ“)-სუფიქსიანი ლეჩხუმის გეოგრაფიული სახელების შემოქმედია ირა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა“[43].

როგორც გამოირკვა, ლეჩხუმის ტოპონიმიკაში სვანური წარმოშობის მხოლოდ „ი“ (|| „შ“)-სუფიქსიანი სახელწოდებები როდია. ამ მხრივ არანაკლებ მაშტაბურია, „ლა“-ა (|| „ლა“, „ლე“-ა (|| ლე)-პრეფიქსიანი სახელწოდებების გავრცელება. სპეციალისტ-მკვლევართა უმრავლესობა ადასტურებს, რომ ლეჩხუმის „ლა“-ა, „ლე“-პრეფიქსიანი ტოპონიმების ფუძისეული მასალა და ლექსიკაც სვანური. მაგალითად: ლაგუბა სახნავი (ლაილაშში) ნიშნავს დასაგუბებელ (საგუბარ) ადგილს, ლაქეპიტა (სოფელი) ეწოდება მოსამწყდეულ ადგილს; ლაბეკინა (სოფელი) — ქვიანი ადგილი; ლარდახა (მთა ლუხვანოში) — სამყოფი ადგილი; ლარცია (წყაროო სოფელ აჭარაში), აგრეთვე, ლარციდა (წყაროო და სახნავი ცხუკუშერში) — წყლიანი, საწყლე ადგილი; ლასარა (წყაროო ცხუკუშერში) — მორაკაკე, მოჩუხჩუხე წყლიანი ადგილი; ლაურცხა (სახნავი ლუხვანოში) — სამსხლე ადგილი; ლაძგვერია (სოფელი) — ბორცვიანი, უსწორმასწორო ადგილი; ლაკორია (სოფელი) — დასატოვებელი ადგილი; ლაქეკვანა (ეკლესია ნაყურალეშში) — სამზერი, თვალსაჩინო ადგილი; ლაქეკეპი (სოფლის კუთხე ოყურეშში) — წუმპიან-წყლიანი ადგილი; ლაჯანა (სოფელი) დასაჩაგრი, დასაჯაბნი ადგილი; ლარჩვალი (სოფელი) — მეწყერიანი ადგილი ლატაფი (სახნავი აღვში, ქორენიშში) — ფერდობიანი ადგილი; ლანდაბარი (სახნავი ლაკორიაშში) — ნაყანარი ადგილი; ლებენა (სახნავი საირმეში) — დასაბმელი ადგილი; ლეთოთანა (სახნავი ლაილაშში) — თეთრუანი, თეთრი ადგილი; ლეიფანა (სოფლის უბანი ოყურეშში) — საიფნე, იფნარი ადგილი; ლეფურა (სახნავი ლაკორიაშე) — საფურე ადგილი; ლეშვენა (კლდე, ღელე ღვარიშში) სასვანო; ლეშკედა (სოფელი) — ჩრდილნარი ადგილი; ლეწბა (სახნავი ლაკორიაში) — დაკიდებული ადგილი; ლედეშტო (ვენახი, სახნავი და ტყე, ცხუკუშერში) — დათვის საბინადრო ადგილი; ლენწყი (ცხუკუშერში) — ერთგვარი ბალახის სახელია; ლეხიდარი (ღელე ცხუკუშერში) — სახიდე ადგილი და სხვ*.

ლეჩხუმის ტოპონიმებს ხშირად სვანურისათვის დამახასიათებელი — „ერ“ (|| „ელ“) სუფიქსი აწარმოებს, მაგალითად: ცაგერი, ცაიდერი, ცხუკუშერი, უცხერი, უცხანდერი, ისუნდერი, იუნდერი, წენდერი, თეკეთნერი, ბადერი, კაცხუნდერი, წულანდერი, ჩაიდერი, დაბაშერი, კაიშერი, კინიშერი, წილამიერი, თაკვერი და სხვ. ამავე სუფიქსით და კანონზომიერებით ხასიათდება სვანეთის მრავალი ტოპონიმი, მაგალითად: ლადერერ, ღეშტერ, ფხუტერ, ლაშხრერ, მაზერ, დავბერ, ლეწფერ, ცალერ, ქაკუნდერ და სხვ[44].

აღნიშნულ, საერთო კანონზომიერებასთან ერთად, მ. ქალდანის, აზრით, ლეჩხუმისა და სვანეთის ტოპონიმიკას ახასიათებს მრავალი ისეთი თავისებურებანი, კერძოდ, ლექსიკური შინაარსი, რომელთა ახსნა მხოლოდ სვანური ენის საშუალებით შეიძლება, მაგალითად, ლეჩხუმის: ბაბინაკორ (სახნავი ლაილაშში) — ბაბის ნასახლარი; ბარჯაში (სახნავი ორბელში) — ბეჭის; გუ-

43 ალ. ღონტი, ლეჩხუმური ტოპონიმია და ლექსიკა, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 44.

* მაგალითები ამოღებული გვაქვს მ. ჩიქოვანისა და მ. ალავიძის ტოპონიმიკური ლექსიკონებიდან.

44 მ. ქალდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულაში (საკულტო ადგილი) — გუდუსი (ეს სახელი სვანურისათვის დამახასიათებელი კნინობითი ფორმითაა მოცემული); ოფერცი (სახნავი ლაილაშში) — ფერცვალებადი ადგილი, იფრალი — იფარის მსგავსად; კვანჩხოული (წყაროო ორხვში) — კვანჩხ წყლის საწყაო ჭურჭელია; კარვალეში (სახნავი ლაცორიაში) — კარავის დასადგმელი ადგილი; კიცხუნდერი (სახნავი და ტყე ლაილაშში და ლაჯანაში) — ბელტნარი ადგილი; ლავალიაში (ტყე და სახნავი ღვირიშში) — ვალში მიცემული ან მისაცემი ადგილი; ლამარეში (სახნავი ღვირიშში) — სამამაკაცე; ლამუხურაში (სახნავი ლახეფაში) — კუთხის, კუთხე ადგილი (მუხერი-ბუხერ სვანურად და მეგრულადაც კუთხეს ნიშნავს); ლატაფი (სახნავი აღვში) — ფერდობი (ამავე მნიშვნელობისაა: ლატფიაში და ლატაფიგვერდი — სახნავი ლაილაში და ქორენიში); ლაყოიდაში (სახნავი ლახეფაში) — ნელთბილი წყლიანი ადგილი; ლაშკოდია (ღელე ოყურეშში) — სარეცხი ადგილი; ლახამეელაში (სახნავები ცხუკუშერეში და ღვირიშში) — საღორე (ამავე მნიშვნელობისაა ლახამიდაში — ვენახი ორბელში); ლახეფა (სოფელი) საკმეჩი, საკბენი ადგილი; ლებენა (სახნავი საირმეში) — დასაბმელი ადგილი (ამავე ძირიდანაა ნაწარმოები ლებენალე — ტყის სახელწოდება ყვედრეშში); ლედეშტო (ვენახი და სახნავი ცხუკუშერში) — სადათვე ადგილი; ლეთოთანა (სახნავი ლაილაშში) — თეთრი ქათქათა ადგილი; ლეიფანა, ლეიფანის ღელე (უბანი და ღელე ოყურეშში) — იფნარი ადგილი; ლმეშში (სახნავი ლაცორიაშში) — თოვლიანი, საათოვე ადგილი; ლენჭყვი (საძოვარი ცხუკუშერში) — სარეველა ბალახიანი ადგილი; ლეყაერი (სახნავი ორბელში) — საყაერე; ლეწენა (სახნავი ლაცორიაშში) — დაკიდებული; ლურეცენალი (წყაროო ლაილაშში) წყლიანი, მორწყული ადგილი; ლუხვანმო (სოფელი) — სალკლდიანი ადგილი; მეკერხნალი (სახნავი ქორენიში) — დაკიდებული; ნაკარეში (სახნავი ლაილაშში) — ვაკაზე. ამავე შინაარსისაა ნაკაში (ღელე ლასურიაში); სურმეში (სოფელი) — დიდთოვლიანი ადგილი; უცხერი (სოფელი) — მსხლიანი ადგილი (იგივე ძირისგანაა ნაწარმოები ნაკურალეშის და ცხუკუშერის ტოპონიმები: უცხანდერი, უცხერი-ციხე და სხვ.); ქვეყაკა (სახნავი ორბელში) — ქვემოკაკე; ქორენიში (სოფელი) — სახლიანი ადგილი; შკედი — (სახნავი ლაცორიაში) — ადგილი, რომელსაც მზე იშვიათად ეფინება (ამავე ძირისგანაა ნაწარმოები შკედიში — სოფლის, სახნავის და ტყის სახელები); ჩხუტელი (სოფელი) — კენჭნარი ადგილი (ამავე ძირისაგან შედგება ჩხუტელაში წყაროო ლაილაშში); ცაგერი (სოფელი — ეკლნარი ადგილი (ანალოგიური სახელწოდებებია ცაგერა და ცაგულეში); ცხაკუ (სახნავი ოყურეშში) — საქორე; ცხუკუშერი (სოფელი) — ტყიანი ადგილი; ძეღერი (მთა, ტყე), რომელიც ზღვა ძირისაგანაა ნაწარმოები; წუდილაში (წყაროო საირმეში) — პატარა დებეტის წყაროო; ჭანჭახი (სახნავი ლასურიაშში) — უაღრესად ცივი; ხამარეში — (სახნავი, ლუხვანმოში) — საღორე ადგილი; ჯიხერი (სახნავი ორბელში) — მუხნარი და სხვ.

ლეჩხუმის მიწა-წყლის სახელწოდებათა სვანური წარმომავლობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია არა მარტო აღნიშნული და მსგავსი ტოპონიმებია საყოველთაო გავრცელება, არამედ მისი ადრინდელი და ამჟამინდელი მოსახლეობის უმრავლესობის გვარჩამომავლობაც. უეჭველია, რომ ლეჩხუმის მრავალ მკვიდრს სვანურისათვის დამახასიათებელი გვარი აქვს; მაგალითად: ასათიანი, ახვლედიანი, აბრალიანი, ბახსოლიანი, ბენდელიანი, ბურჯალიანი, გასვიანი, გვიშიანი, გვირგვინიანი, გურგუჩიანი, გელუანი (გელოვანი), გვიდანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გბბიანი, გორდეზიანი, გოლეთიანი, დავითულიანი, დაშნიანი, დეგდარიანი, ვონნიანი (ონნანი), ისიანი, თუთისანი, კოპალიანი, ლაშყეპანი, ლაკვეხელიანი, ლიპარტელიანი, ლარცულიანი, ლეთოდიანი, მეშველიანი, მუყბანიანი, მაღრიანი, მუშკუდიანი, რატიანი, ტვილდიანი, ფურელიანი, ქელბაქიანი, ქვარიანი, ღოდელიანი, ჩაჩხიანი, ჩარკვიანი, ჩიქოვანი (ჩიქვანი), ჩხეტიანი, ცხვედიანი, ჭაბუკიანი, ხვადაგიანი, ხეცურიანი, ხერგიანი და სხვ*.

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლეჩხუმის ტოპონიმიკას ხშირად სვანური გვარისათვის დამახასიათებელი (ჩამომავლობისა თუ საკუთრების აღმნიშვნელი) ი-ან სუფიქსიანი სახელები აქვს, მაგალითად: არგუანი (სახნავი), გოგიჩიანი (სახნავი), ელევანისეული (სახნავი), ბელარიანი (სახნავი), ბილუანი (სახნავი), გასვიანიახო (სახნავი), ჩხეტიანისოული (სახნავი), საავალიანო (ღელე), საკოპალიანო (სოფლის ნაწილი), ჩიქვანისოული (სახნავი) და სხვ.

მკვლევართა მ. ალავიძის, მ. ჩიქოვანის, ვ. თოფურიას, შ. ძიძიგურის და სხვათა მტკიცებით, ლეჩხუმური ლექსიკა და მეტყველება დღესაც მრავლად შეიცავს სვანურს.

მკვლევართა აზრით, ლეჩხუმური ტოპონიმიკა და ლექსიკა შეიცავს აგრეთვე ზანურსაც. ტოპონიმიკაში ასეთად მიჩნეულია „ო“-ე (|| „ო“) აფიქსიანი გეოგრაფიული სახელწოდებები. აღსანიშნავია, რომ ეს აფიქსები ქართულ „ხა“-ე (|| „ხა“ და სვანურ „ლა“-ა (|| „ლა“-ა ე აფიქსებს შეესატყვისება, მაგრამ როგორც ეს ი. ჯავახიშვილმა, მ. ჩიქოვანმა, მ. ალავიძემ, მ. ქალდანმა და სხვებმა დაადგინეს, ამგვარი ზანური წარმოების სახელწოდებები ლეჩხუმში მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, მაგალითად: ოღრაბუჩე, ოსუნელი, ოფიტარა, ოყალეთი, ონტოფი, ოფიჩხეთი, ონჭეიში, ოფურეში და სხვა[45].

შესაძლებელია ლეჩხუმის ტოპონიმიკაზე ზანურის გავლენა ამ მაგალითებით არ ამოიწურება, მაგრამ როგორც ეს ენათმეცნიერმა მ. ქალდანმა დაადგინა ფაქტი ის არის, რომ ჩამოთვლილი სახელწოდებების აბსოლუტური უმრავლესობა ლეჩხუმის სამხრეთ ნაწილშია მოქცეული, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ოდესღაც იმერეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ზანები გარკვეულ გავლენას ახდენდნენ მოსახლეობე ლეჩხუმის ტოპონიმიკაზე და ლექსიკაზე (შესაძლო გავლენა შეიმჩნევა სვანურზეც და პირიქით სვანურის-ზანურზე).

სავარაუდოა, რომ ლეჩხუმის ტოპონიმიკაზე და ლექსიკაზე ზანურის გავლენა ნაწილობრივ გვაინდელია, კერძოდ იმ დროის, როდესაც ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს შეუერთდა (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში). ამის მაგალითია, თუნდაც ლეჩხუმური ტოპონიმი-დოღოურაში (ტყის და სახნავის სახელწოდება). მ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ეს ტოპონიმი შემდეგნაირად წარმოიშვა, ლეჩხუმში დადიანის (ყოფილი ჩიქვანის) საზაფხულო რეზიდენციას თავს დასხმია დადიშქელიანის რაზმი. ეს ამბავი სასწრაფოდ შეუტყობინებიათ რუხეში მყოფი დადიანისათვის, რომელსაც ცხის მცველობისათვის შეუთვლია, რომ ცოცხალი თავით მტრისთვის ცხე არ

---

* ჩამოთვლილ გვარებს ენათმეცნიერები სვნურ ჩამომავლობისად მიიჩნევენ, მაგალითად, იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიგანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1914, გვ. 166 და სხვ.

45 იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, 1, გვ. 421; მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 238; მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ქუთაისის პედ. ინსტ, შრომები, XVIII, 1958, გვ. 154; მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა — ეშ (||შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტფ., III, 1963, გვ. 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეთმო, რაც კიდევაც შეუსრულებიათ. გადმოცემით, დადიშქელიანს ციხე მხოლოდ მაშინ დაუპყრია, როდესაც მის რაზმს დადიანის მცველები დაუხოცავს. ამის გამო ამ ნაომარ ადგილს დოღური-აში (მეგრულად მანდ მოკვდით) შეერქვა[46].

ეჭვსგარეშეა, რომ ზანურის გავლენა შეიმჩნევა ლეჩხუმურ ლექსიკასა და მეტყველებაზე, მაგრამ საგულისხმოა, რომ ეს გავლენა უპირატესად გარედან ზემოქმედების შედეგია.

ყველაფერი ეს, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლეჩხუმის მიწა-წყალი ძველად სვანებს ეკავთ, მაგრამ დროთა ვითარებაში ლეჩხუმის მოსახლეობამ სვანური დაივიწყა, ასე ვთქვათ ქართველიზაცია განიცადა.

ამასთან, საარწმუნოდ მიგვაჩნია ვარაუდი, რომ შორეულ წარსულში ლეჩხუმში (აგრეთვე მთელ კოლხეთში) „ფუძე ენა“ ანუ საერთო ქართული მოქმედებდა, მაგრამ დროთა ვითარებაში „ფუძე ენა“ დაიშალა — მას ჯერ სვანური; ხოლო შემდეგ ზანურიც გამოეყო.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, დასავლეთ საქართველოს (კოლხეთისა და ლაზიკის სამეფოების) ძირითად მოსახლეობას სვანო-კოლხები წარმოდგენდნენ. მაგალითად, ლეონტი მროველის ცნობით, პირველი ქართველი მეფე ფარნავაზის დროს, ერისთავი ქუჯი განაგებდა ქვეყანას ეგრის წყალსა და რიონს შუა ზღვიდან მთამდე, რომელიც მოიცავდა ეგრისსა და სვანეთს.

ჩანს, კოლხეთისა და ეგრისის სამეფოებში ლეჩხუმი თავდაპირველად სვანურ ენაზე მოსაუბრე ხალხს ეკავა. დროთა ვითარებაში ძლიერდება იბერიის სამეფო, რომლის პოლიტიკური ჰეგემონობა ბოლოს და ბოლოს ზანებსა და სვანებზეც გავრცელდა. ისინი, ასე ვთქვათ, გაქართების გზას დაადგნენ.

სპეციალისტების მტკიცებით, დასავლეთ საქართველოში ქართველიზაცია განსაკუთრებით ქრისტიანობისა და ქართული დამწერლობის შემოღების შემდეგ ძლიერდება. ნ. ბერძენიშვილისა და დ. მუსხელიშვილის აზრით, ქრისტიანობისა და ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ქართველიზაცია ყოველისმომცველი ხდება[47].

იბერიის კულტურულმა და პოლიტიკურმა ძლევამოსილებამ ქართული ენის პოზიციები და გავრცელებაც გააძლიერა. ქართულენოვანმა ქრისტიანულმა მღვდელმსახურებამ და ქართული დამწერლობის მძლავრმა ნაკადმა შუასაუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრო. ბუნებრივია, ამის შედეგია რაჭა-ლეჩხუმის საბოლოო ქართველიზაციაც.

ჩანს, ეს პროცესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, როდესაც საქართველოს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო ჩამოყალიბდა და ლეჩხუმი (თაკვერად წოდებული) სვანეთის საერისთაოს საბოლოოდ გამოეყო ადმინისტრაციულად. ამიერიდან ლეჩხუმში სვანური ენა შევიწროვდა და ცოცხალ მეტყველებაში თანდათანობით დავიწყებას მიეცა. ე. თაყაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ლეჩხუმელი სვანები გაიმერელდნენ“[48].

---

46 მ. ჩიქოვანი, დასახ. ლექსიკონი.

47 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, თბ., გვ. 249; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 228.

48 ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ, პარიზი, 1937, გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, სვანურის ძველი კვალი ლეჩხუმის მიწა-წყალს დღემდე შემორჩა. ამასთანავე ქართიზაციის პროცესმა ტოპონიმიკაშიც ღრმად გაიდგა ფესვი. ამისი შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ ლეჩხუმის ტოპონიმს ზოგჯერ სვანური ძირი აქვს, მაგრამ მაწარმოებელი ან განმსაზღვრელი ქართული ერთვის. მაგალითად, ზედა ლეყომილ (სახნავი ალასანში) — აქ ლეყომოლ (ანუ „ლეყა მოლ“) ნიშნავს აღმოსავლეთით მდებარე მდელოს, რომელსაც მსაზღვრელად ზედა აქვს დართული; ლატფიჟვერები (სახნავი — ლატფი („ლა-ტაფ“) ეწოდება ფერდობ, დამრეც ადგილს, რომელსაც — ჟვერდი დამატება; ლეიფანის ღელე (ოყურეშში) — ლეიფანე ნიშნავს. იფნარ ადგილს, რომელსაც ღელე დაერთო; ლეხიდრისთავი (სოფელი) — ლეხიდარი ნიშნავს სახიდე ადგილს, რომელსაც — თავი დაემატა; ნაკაშიღელე (ლასურიაშში) — ნაკ (ნაკაში) ეწოდება ვაკეს (ვაკობს), რომელსაც ღელე დაერთო; უცხერიციხე (ციხესიმაგრის ნანგრევები) — უცხერი ნიშნავს მსხლიან (მსხალნარ) ადგილს, რომელსაც ციხე დაერთო; ქვენაკა (ორბელში) — ნაკ (ნაკა) ნიშნავს ვაკობს; ქვედალუხვანო (სოფელი) — უხვან (ლუხვან-ლუხვინ) ნიშნავს საფუძველს, კედელს, რომელსაც ქვედა დაერთო, ცხაკეწყვერი (სახნავი ოყურეშში) — ცხაკე ქორის სვანური სახელია, რომელსაც წვერი დაემატა; ხმარეში ქვაბი (ლახეფაში) — ხამარეში ნიშნავს ღორების, რომელსაც ქვაბი დაემატა და ა. შ.

ეს მაგალითებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ლეჩხუმის სვანურმა ტოპონიკამ ქართიზაცია განიცადა, რის გამო ზოგიერთმა სვანურმა ტოპონიმმა სახე იცვალა.

ენათმეცნიერები რაჭულში სამ კილოკავს გამოყოფენ, ზემორაჭულს, ქვემორაჭულსა და მთარაჭულს[49].

როგორც ცნობილია, ისტორიულ რაჭას შეხვედრის წერტილები ჰქონდა ქართლთან და იმერეთთან, სვანეთთან, სამეგრელოსთან, აგრეთვე, ოსეთთან. ამიტომ რაჭულ დიალექტიკაში მეზობელი ენების გავლენაც იგრძნობა.

სპეციალისტების აზრით, თანამედროვე რაჭული ქართული ენის განშტოებაა, რომელსაც განსაკუთრებული სიახლოვე იმერულთან და ლეჩხუმურთან აქვს.

უდავოა, რომ რაჭის თანამედროვე ტოპონიმიკა (აგრეთვე ლექსიკა) ქართულია (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სპეციალისტის შეხედულებით, რაჭა ოდესღაც ზანებით და სვანებით იყო დასახლებული). მის მიწა-წყალს სვანურისა და ზანურის გავლენა სუსტად შემორჩა, რაც იმით აიხსნება, რომ ლეჩხუმთან შედარებით რაჭის ქართიზაცია უფრო ადრე მოხდა.

ენათმეცნიერთა განსჯით, თანამედროვე რაჭის სოფლების, სახნავ-სათიბების, ვენახების, ბაღების, მინდვრების, მთების, ღელე-წყაროების, ტყეების და სხვათა სახელწოდებები, როგორც წესი, ქართულია, მით უფრო ქვემო და შუა რაჭისა, სადაც დღეს სპეციალისტები ოროლა ზანურ და სვანურ ტოპონიმს თუ ამჩნევენ.

---

[49] ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 500—501; შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემო რაჭაში სვანური წარმოშობის ტოპონიმები ჩანს: კაჩაეთი (სოფელი), კონჩხა (სახნავი ღვიარაში), ლენჭყი (სახნავი და წყარო ბარეულში), მუეური (კლდე კორტში) და სხვ. აქვე ვხვდებით რამოდენიმე ზანურ ტოპონიმსაც.

ტოპონიმების მხრივ, ქვემო რაჭასთან შედარებით, განსხვავებული სურათია მთა რაჭაში, ანუ რაჭის „მთიულეთში", სადაც სვანურის კვალი არა მხოლოდ ტოპონიმიკაში შემორჩა, არამედ ნავებობებში, ლექსიკაში და სხვა[50].

ირკვევა, რომ მთა რაჭა XV საუკუნემდე სვანეთის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ შემდეგ რაჭის საერისთავოს შეუერთდა[51]. ამის წყალობით მთა რაჭაში სვანურენოვანი მოსახლეობა თანდათანობით შემცირდა და გაქრა, რის შედეგიც უნდა იყოს აგრეთვე სოფლების: ბრილის, თეკრეშოს, შოდას, ჩეოშოს, ბუბასა და სხვათა გაუკაცრიელებაც.

მიუხედავად ყველაფრისა, მთა რაჭაში სვანურის კვალი დღემდე შემორჩა.

რაჭის, და კერძოდ, მთა რაჭის გეოგრაფიული რომენკლატურიდან სოფლების სვანური სახელწოდებებია: ბოყვა, ლაგვანთა (შეადარეთ მდ. კოდორის ხეობის ლაგვანთას, სადაც დღემდე შემორჩა სასაფლაოების ნაშთები), მაეიეთი, ნაკიეთი, წედისი, ჭვებარი, ღები და სხვა*.

ამასთან სვანური ტოპონიმებია: ბერალ (სათიბ ღებში), ბინული (სახნავი ჟამიერეთში). ბუბა (სოფელი, აგრეთვე მთა გლოლაში), გუგუშერები** (საძოვარი ურავში), გვიმბრალა (სახნავი ონში), ზუგსუჟანები (სათიბი სხარალში), კაპარალი (სახნავი სევაში, სინათლეში და უყეშში), ლათქიშორა (მდინარე რიონის შენაკადი ღებში), ლაილათი სოფელ წედისის უბანი, ლალაათი (ტყე ფსორში), ლაშხიაქედი (სახნავი ბაჯიხევში), ლენჭყი (სახნავი, საძოვარი და წყარო ბარში), ლუხუნგადაღმა, ლუხუნნიგვერი, ლუხუნნისთვი (სახნავ-საძოვრები აბანოში და ურავში), მაჩხფარი (მთა ღებში), მეკენჩხალები (სათიბი სევაში), მერღვევი (ტყე ქრისტეში), მეშვანი (ღელე უწერაში), მუეური (კლდე კორტში). ნახოშარა (სათიბი ბარში და გლოლაში), ნახოშვეი*** (სახნავი ნიგავზეევში), ნახუელარი (სახნავი ბაჯიხევში), რიენჩიპირი (სახნავი მიიდანში), რიენ (მდინარე რიონი), სალატიფარი (სათიბი ღებში), ყიარიშო (საძოვარი და სახნავი ჭიორაში). ჩრდილნაკიეთი (სახნავ-საძოვარი ნაკიეთში), ცხოში (მთა მაეიეთში), ცხომოელა (წყარო ზნაკვაში). წედისი (სათიბი წოლაში), წიხვარგა (მთა ღებში), ჭანჭახი მდინარე რიონის შენაკადი (გლოლაში), ჭაღნა-

---

50 ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930, გვ. 9—14; ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 50, შ. ძიძიგური, ძველნი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 182.

51 სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 31—34; ს. კაკაბაძე, სვანები XV საუკუნეში, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, 1914, გვ. 131.

* ბოყვა-ბეყვ ეწოდება გამოფუფუროებულ, ჩაღრმავებულ, ქვაბულ ადგილს, აგრეთვე არყის ხის ქერქისაგან გაკეთებულ ჭურჭელს. ლაგვანთა — ლაგან (ლიგანი) ეწოდება სატრარლ-საგოდებელ ადგილს. მაეიეთი — მიეიეთი ეწოდება მზიან ადგილს. ნაკიეთი — ნაკი ეწოდება ვაკის ადგილს, ტრიალ მინდორს. წედისი — წედი (წგდ) ეწოდება პატარა დებტის წყაროს. ჭეებარი — ჭეებრა — ჭეეება ეკუთნის ეკობნარი ადგილი. ღები — ღები ეწოდება გობს, ჩაღრმავებულ ადგილს.

** აღნიშნული საკუთარი სახელი წარმოებულია ორმაგი მრავლობითობის ნიშნით — სვანური ერ და ქართული — ებ-ით.

*** ნახოშარი, ნახოშვეი და მისთანანი წარმოებულია ხოშა ძირისაგან, რაც ასაკით უფროსს ნიშნავს, ე. ი. საუფროსო ან ნაუფროსალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთი სოფელი ნაკიეთის უბანი, ჰუთხარო (მწვერვალი ურავში), შხროლი (სამოვარი ჭიორაში) და სხვა*.

რაჭაში დღემდე მოაღწია ბევრმა ისეთმა ტოპონიმმა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მის სვანურ წარმოშობაზე, მაგალითად: ბლუანი (სამოვარი პიპილეთში), გელოანთსეული (სამოვარი ურავში), გოგრიჭიანნატეხი (მთა ღებში), ლაშხიაქედი (სახნავი ბაჯიხევში), მუშუანი (ღელე უწერაში), სვანური (სახნავი და ტყე უყეშში და ჩორჯოში), სვანების წყალი (წყარო და მთა სადმელში), სასვანო (მთა ღებში), სასვანო (ბილიკი და ტყე ლიხეთში), ჩარკვიანიახო (სათიბი ზღვარეთში) და სხვ. რაჭის გარკვეულ მაწა-წყლის ოდინდელ სვანურობაზე მეტყველებს მისი მოსახლეობის ნაწილის გვარჰამმავლობაც, მაგალითად, აკალიანი, ახვლედიანი, გაბისიანი, გელბახიანი, გელოვანი, გველებიანი, გველესიანი, გიორგობიანი, გოგრიჭიანი, გორდეზიანი, გოლუბიანი, დაშნიანი, დვითულიანი, დათუსანი, ზურაბიანი, მუსელიანი, მახალდიანი, სამარგულიანი, სვანიძე, სვანი, სვანიშვილი, რატიანი, ცხვედიანი, ყიფიანი, ჩაჩხიანი და სხვ.

რაჭის ისტორიული წარსულის დადგენაში გვეხმარება მისი ნაგებობების არქიტექტურული სტრუქტურაც. ეს ნაგებობები უმთავრესად იმერულ-ქართული სტილისაა, მაგრამ ზოგან განსხვავებული, სვანური სტილიც შეინიშნება, მაგალითად მთა რაჭაში. იქაური საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობანი დანარჩენი რაჭულისაგან იმდენად განსხვავებული და თავისებურია, რომ მას ვახუშტი ბატონიშვილიც ცალკე გამოჰყოფს. თუ ამ ნაგებობათა ვახუშტისეულ დახასიათებას დავაკვირდებით, თვალში მოგვხვდება რაჭულ-სვანურ-ლეხუმურ ნაგებობათა იდენტურობა და მათი გენეტიკური ერთიანობა.

მართალია, მთა რაჭის სოფლები: ბრილი, თეკარეშო, შოდა, ჩუეში, ბუბა და სხვა, რომლებიც ისტორიულ სვანეთში შედიოდა, გაუკაცრიელდა, მაგრამ, ზოგიერთმა მათგანმა გვიანობამდე მოაღწია. ამ მხრივ საინტერესოა ღები, სადაც ჩვენი საუკუნის დამდეგამდე 50 დურეოანი სახლი და რამდენიმე ციხეკოშკის ნაშთი შემორჩა. მოცემული ნაგებობანი თავის წყობით, ფორმით, მოცულობით და სხვა თითქმის არაფრით განსხვავდება სვანურისაგან. ამ ნაგებობათა ტიპობრივ-გენეტიკურ ერთიანობას ადასტურებს ტალიიდან რ. თაბაგაშვილის მიერ ჩამოტანილი ვიტორიო სელას მიერ XIX საუკუნეებში გადაღებული ღების ფოტოსურათიც, აგრეთვე მოგზაური დიუბუას მიერ გადაღებული ღების ფოტოსურათიც, რომლებშიც კარგად ჩანს სვანური ტიპის დურეოანი სახლები და კოშკები**.

მთა რაჭაში სვანური კვალი შეიმჩნევა აგრეთვე მეტყველებაში, ზნე-ჩვეულებებში, სიმღერებში და სხვ.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ რაჭის ნაწილიც ოდესღაც სვანებს ეკავათ.

---

* მაგალითები ამოღებულია ლ. ფრუიძის ზემო რაჭისა და მთა რაჭის ტოპონიმიკური ლექსიკონიდან (ხელნაწერი) და მ. ალავიძის ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონიდან.

** იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 41.

Г. А. ГАСРИАНИ

К ВОПРОСУ О ТОПОНИМИКЕ РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

Известно, что в топонимике отражается язык, особенности быта, жизни того или иного народа.

Значительная часть названий сел, ущелий, рек, источников, гор, лесов, сенокосных и др. угодий Лечхуми и Верхней Рачи сванского происхождения. Часть населения Лечхуми и Рачи до настоящего времени сохранила свою сванскую родословную, что по нашему, мнению также является свидетельством того, что древними обитателями этих районов были сваноязычные племена.

Несомненно также наличие в топонимике Лечхуми и Рачи занских (чанских) элементов, являющихся результатом непосредственного соседства.

С течением времени население Лечхуми и Рачи, а вместе с ним топонимика региона подверглись картлизации, в результате чего некоторые топонимы заменены общекартвельскими (грузинскими) топонимами.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. სტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ხვედელიძე

ნეონაროდნიკული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში

ნეონაროდნიკულ მოძრაობას საქართველოში დღემდე სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. კერძოდ, არ არის ნაჩვენები მემკვიდრეობითობა ნაროდნიკობასა და ნეონაროდნიკობას შორის, საერთოდ, ცალკეულ ნეონაროდნიკულ ფრაქციებსა და ჯგუფებს შორის, არ არის გახსნილი მათი კავშირი სრულიად რუსეთისა და საზღვარგარეთულ ცენტრებთან, არ არის გაშუქებული მათი ურთიერთდამოკიდებულება ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან და სხვ. ფართოდ გავრცელდა აზრი იმის შესახებ, თითქოს სოციალისტ-რევოლუციონერების ორგანიზაცია საქართველოში 1904 წელს ჩამოყალიბდა[1].

შესაბამისი ფაქტობრივი მასალების გამოკვლევამ საშუალება მოგვცა ამ თუ იმ ზომით შეგვეესო ეს ხარვეზები.

„ნაროდნაია ვოლიას“ განადგურების შემდეგ რევოლუციური ნაროდნიკობა სასტიკ იდეურ კრიზისს განიცდდა.

რევოლუციური მოძრაობის დაცემამ რევოლუციონერ-ნაროდნიკობის მერყეობა გამოიწვია, ხოლო ინტელიგენციის ნაწილი ლიბერალების გავლენის ქვეშ მოექცა.

ნაროდნიკულ და ნაროდოვოლურ იდეოლოგიას უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა რევოლუციური მოძრაობის მოთხოვნები. ერთი მხრივ, პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ზრდა მის წინ თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვის ამოცანას აყენებდა. ამიტომ რევოლუციის დამხმარე ძალის უბრალო როლი მას უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა.

მეორე მხრივ, კლასობრივი დიფერენციაცია გლეხებში, თემის დაშლა, კაპიტალიზმის შეჭრა სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში, რასაც რევოლუციური ნაროდნიკობის ბევრი წარმომადგენელი უკვე ხედავდა სულ უფრო მეტად აბათილებდა ნაროდნიკულ დებულებას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გლეხთა გადამწყვეტი როლის შესახებ.

მთელი სისრულით დადგა საკითხი ნაროდნიკული დოქტრინის კარდინალური გადასინჯვის შესახებ. XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ნეონაროდნიკებმა შეცვალეს ნაროდნიკობის რიგი იდეოლოგიური დებულებებისა.

---

[1] Г. Джангвеладзе, Банкротство антипролетарских партий в Грузии, Тб., 1981; И. И. Мирцхулава, Аграрно-крестьянский вопрос в Грузии в 1900—1921 гг., Тб., 1978 и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ყოვლისა, მათ უარი თქვეს ერთ-ერთ ძირითად პრინციპზე და აღიარეს კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. ნეონაროდნიკობა მკვეთრად და გადაჭრით გამოვიდა ლეგალური ნაროდნიკობის წინააღმდეგ, ამ საკითხში ის სოლიდარობას უცხადებდა მარქსისტებს: ნეონაროდნიკობა მტკიცედ იდგა აგრეთვე იმ აზრზე, რომ მხოლოდ რევოლუციური გზით შეიძლებოდა არსებული წყობილების შეცვლა.

ნაროდნიკობისაგან განსხვავებით, ნეონაროდნიკობა პროლეტარიატს მშრომელ ინტელიგენციასთან ერთად, რევოლუციის წამყვან ძალად თვლიდა, ხოლო ზოგიერთი ნეონაროდნიკი პროლეტარიატის ჰეგემონობასაც კი აღიარებდა.

ნაროდნიკებისაგან განსხვავებით, ნეონაროდნიკები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკურ ფორმებს რევოლუციური ბრძოლის გადამწყვეტ ფორმებად თვლიდნენ.

პროგრამული მითითებების ცვლილების შესაბამისად ნეონაროდნიკებმა 90-იან წლებში ტაქტიკაც შეცვალეს. მათ რევოლუციური მოღვაწეობა გადაიტანეს მხოლოდ მუშათა კლასში, ხოლო „სისტემატური მოქმედება გლეხობაში“ მომავლისათვის შემოინახეს[2].

ინდივიდუალური ტერორისადმი ფრთხილი, ხოლო ზოგიერთი ნეონაროდნიკულ ჯგუფში უარყოფითი დამოკიდებულება, ამსხვრევდა კიდევ ერთ ზღუდეს ნეონაროდნიკებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის.

ყოველივე ეს ქმნიდა სოციალ-დემოკრატებისა და ნეონაროდნიკების შეთანხმებული მუშაობის წინაპირობას.

ერთ-ერთი ნეონაროდნიკული წრე საქართველოში იყო მუშათა წრე ნ. ერმოლაევისა და ფ. გუზენკოს ხელმძღვანელობით. თვით წრე წარმოადგენდა სრულიად რუსეთის ნეონაროდნიკული ხასიათის ორგანიზაციის „მუშათა საქმის კავშირი“-ის ნაწილს. წრეში შედიოდნენ თბილისის რამდენიმე საწარმოს მუშები. ჟანდარმების აზრით, ეს ჯგუფი უფრო სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა, ვიდრე პეტერბურგის ტოჩისკის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი[3]. წრე ფუნქციონირებდა 1887 წლის გაზაფხულიდან 1888 წლის ზაფხულამდე.

დაახლოებით 1888 წელს ოდესაში ჩამოყალიბდა არალეგალური ჯგუფი რ. ლევიაშის ხელმძღვანელობით. ამ ნეონაროდნიკულ წრეში შედიოდა რაზდენიმე ქართველი სტუდენტი, კერძოდ, ლ. ფურცელაძე, რომელიც შემდეგ სოციალ-დემოკრატების პოზიციაზე გადავიდა. 1892 წელს წრე პოლიციამ დაარბია.

1891 წლის გაზაფხულზე მეტეხის ციხიდან გაუშვეს ლ. დალი და ნ. ერმოლაევი. იმავე წელს ისინი მოეწყვნენ სამუშაოდ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში. უფრო ადრე 1890 წელს საქართველოში ჩამოვიდა ი. სტაროსელსკი, რომელიც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მოეწყო სამუშაოდ ფილოქსერის წინააღმდეგ ბებრძოლ რაზმში და დამკვიდრდა სურამში. მათ ირგვლივ დაიწყეს დაჯგუფება საქართველოში გადმოსახლებულმა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა პირებმა.

90-იანი წლების შუა ხანებში ფილოქსერის რაზმში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში და ქ. თბილისის გამგეობაში, სადაც მეთვალყურეობის

[2] Наши задачи, London, 1900, გვ. 44.

[3] Обзор важнейших дознаний за 1888 год., გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარეობდა ინტელიგენციასა და მუშებს შორის. წრის საქმიანობა მდგომარეობდა ზეპირ აგიტაციაში და წიგნთა თვითგანათლებაში.

90-იანი წლების შუა ხანებში ნეონაროდნიკების მოღვაწეობა უფრო გამოცოცხლდა, რაც დაკავშირებულია 1895 წლის მაისში ცნობილი ჰებლიკისტისა და ლიტერატორის, ყოფილი ნაროდოვოლეცის ი. სვედენცოვის ჩამოსვლასთან თბილისში.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ი. სვედენცოვმა დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ გაზეთებში. მალე გ. ლასხიშვილთან ერთად ის ხდება გაზეთი „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი წამყვანი მიმოხილველი. ის ხან ქართველად, ხან პირდაპირ იწყებს ნეონაროდნიკული აზრებისა და შეხედულებების პოპულარიზაციას.

ი. სვედენცოვის ნაცნობთა წრე გამოამჟღავნა ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, სადაც ის „განსაკუთრებულ საიდუმლო მეთვალყურეობაში იმყოფებოდა. მის ირგვლივ ჯგუფდება ო. კაიდანოვა, ა. ალექსანდროვსკი, ა. კალიუქნი, ა. აგაჯანოვი, გ. ლასხიშვილი, ა. კრიტსკაია და სხვ.

ი. სვედენცოვის პოზიცია ეკლექტიკურია. სოციალური გარდაქმნების ამოცანები შეიცავენ როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, ისე სოციალისტურ ელემენტებს.

90-იანი წლების შუა ხანებში ნაროდნიკული განწყობა საქართველოს მუშათა კლასში კვლავ საკმაოდ ძლიერი იყო. ამას თვალნათლივ ადასტურებს ჰექტოგრაფირებული პროკლამაციები, რომლებიც თბილისში 1896 წლის მარტსა და მაისში გავრცელდა[6].

1897—1898 წლებში თბილისში ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტმა ნიკოლოზ ლუზინმა შექმნა ტერორისტული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ: ნ. ნიკოლაევი, ნ. გოროშენკო, კ. გალუმოვი, გ. გალუმოვი და ა. ლობანოვი. ჯგუფი მიზნად ისახავდა ჩაედინა „რიგი პოლიტიკური მკვლელობისა და ემზადებოდა ტფილისში აფეთქებების მოსაწყობად“[7].

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველომ ვერ შეძლო ჯგუფის მიმართულების განსაზღვრა. ჩვენი ისტორიკოსების შრომებიც არ შეხებია მის მოღვაწეობას. რიგი საბუთებისა უფლებას გვაძლევს, ვამტკიცოთ ნ. ლუზინის წრის მოღვაწეობის ნეონაროდნიკული ხასიათი. აგიტაციისათვის ნ. ლუზინი „თავისი ძმისაგან, ი. ლუზინისაგან, შოულობდა სოციალურ-რევოლუციურ ბროშურებს, რომლებსაც აძლევდა მათ წასაკითხად და გადასაწერად... უნერგავდა აზრს, რომ პოლიტიკური მკვლელობა, მავნებელად მიჩნეული პირის მოსპობის მიზნით, ცოდვას და დანაშაულს არ წარმოადგენს“[8].

1898 წლიდან დაწყებული საქართველოს სხვადასხვა ნეონაროდნიკულ მიმართულებებს შორის განხეთქილება შეიმჩნევა გ. ლასხიშვილი მკვეთრად გაემიჯნა ი. სვედენცოვს მთელ რიგ საკითხებში.

ეკრძო საკითხი ბაქოს ნავთის გატანაზე სარკინიგზო ტარიფის გაზრდის შესახებ იქცა კატალიზატორად იდეურ-საორგანიზაციო განხეთქილებისა რუ-

---

[6] См.: ЦГИА ГССР, ф. 17, оп. I, ед. хр. 3695, л. 3 об., გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია, თბ., 1928, გვ. 121-122.

[7] ЦГИА ГССР, ф. 153, оп. 2, ед. хр. 256, л. 26 об.

[8] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთის ორიენტაციისა (ი. სვედენცოვი) და ნაციონალური მიმართულების (გ. ლასხიშვილი) ნეონაროდნიკებს შორის.

1898 წელს ი. სვედენცოვის გარშემო წარმოიქმნა ნეონაროდნიკების ჯგუფი, მომავალში სოციალისტ-რევოლუციონერები: ა. კრიტსკაია, ა. ალექსანდროფსკი, ო. კაიდანოვა, რ. დანილევიჩი, ა. კალიუჟნი, ა. კალიუჟნი, ცოლ-ქმარი ფ. და ე. ბეკეები და მათი ვაჟი ლ. ბეკი, ცოლ-ქმარი ვ. და მ. ცვეტნიცკები, ო. კამინსკაია, ვ. მაიკოვი, ცოლ-ქმარი ა. და ვ. კუზმინები და მათი ვაჟი ვ. კუზმინი და სხვ.

იმავე, 1898 წელს თბილისში ჩამოვიდა მეთვალყურეობაში მყოფი ლ. ლოიკო „სოციალისტ-რევოლუციონერთა სამხრეთ პარტიის“ ხარკოვის კომიტეტის წევრი, რომელმაც ჩამოსვლისთანავე კონტაქტი დაამყარა ი. სვედენცოვთან და მისი დახმარებით მოეწყო სამუშაოდ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“.

ჯგუფის მოქმედება ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა. მისი წევრების ძალა ძირითადად მიმართული იყო იქითკენ, რომ შეექმნათ კავშირები რკინიგზის მოსამსახურეთა შორის. ამაში მათ ეხმარებოდა ის გარემოება, რომ ბევრი ყოფილი ნაროდოვოლეცი და რეპრესირებული ნეონაროდნიკი სასჯელის მოხდის შემდეგ სამუშაოდ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მოეწყო. ამ დროს რკინიგზაზე დიდ როლს ასრულებდა ლ. დალი, ი. ბოგაჩოვი, ი. სტაროსელსკი, ნ. ერმოლაევი და რ. დანილევიჩი. თუ პირველი ოთხი ამ დროისათვის უკვე გადავიდა ან გადადიოდა სოციალ-დემოკრატების პოზიციაზე, რ. დანილევიჩი ნეონაროდნიკად დარჩა, ხოლო შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის აქტიური წევრი გახდა.

ამ დროს ზემოთ ჩამოთვლილ რევოლუციურ მოღვაწეებთან მჭიდრო კავშირში იყვნენ ბ. კორსაკი, ვ. პეროვი, ე. ნიკოლსკაია, გ. ლასხიშვილი, კ. მესხი, ლ. ზლემენზონი და მ. ყიფიანი. ბოლო სამი სოციალისტ-რევოლუციონერი გახდა[9].

ნეონაროდნიკები დაჯგუფდნენ აგრეთვე ქალაქის გამგეობაში, სადაც მათ მფარველობდა ყოფილი ნაროდოველეცი ა. არგუტინსკი-დოლგორუკოვი, მასთან ერთად გადმოსახლებულებს ეხმარებოდა იქვე მოშუშავე ს. ჭრელაშვილი.

ამ დროს ქ. გორში ჟანდარმერიის სამმართველოს მიერ შემჩნეულ იქნა ნეონაროდნიკების მოძრაობის გამოცოცხლება: რ. ფანცხავა, ი. ბარამოვა, ლ. ტადევოსიანცი, ი. რამიშვილი და ს. ლაშაური, გორის მასწავლებელთა ნოროდოვოლეცელთა წრის ყოფილი წევრი და სხვები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ გ. ჩერნიავსკაია-ბახანოვსკაიასთან და სხვ.

თბილისში ი. სვედენცოვის ნეონაროდნიკული ჯგუფი ამყარებს კავშირს ექიმ ა. ბატილოვთან ო. კაიდანოვის მეშვეობით.

1899 წლის მარტში თბილისში ჩამოვიდა სარატოვის წრის „სოციალისტ-რევოლუციონერთა ჩრდილოეთის კავშირის“ საქმის გამო სარატოვიდან გადმოსახლებული ს. ბარიკოვი, რომელსაც ჰქონდა სარეკომენდაციო ბარათები ნ. ჩერნოვასაგან (სოციალისტ-რევოლუციონერთა ლიდერის ვ. ჩერნოვის დისგან) ი. სვედენცოვთან და ი. ჯაბადართან. ცოტა ხნით ადრე თბილისში სარატოვიდან ჩამოვიდა საიდუმლო მეთვალყურეობაში მყოფი ა. დიეეეა.

---

[9] ЦГИА ГССР, ф. 153, оп. 2, ед. хр. 198, л.л. 17—20 об.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბარიკოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ი. სვედენცოვის ნეონაროდნიკული ჯგუფის მოღვაწეობა აქტიურდება. ი. სვედენცოვის დახმარებით ს. ბარიკოვი. ბეჭდავს „ნოვოე ობოზრენიეში", სადაც ნეონაროდნიკული შეხედულებების პოპულარიზაციას ეწევა.

ს. ბარიკოვსა და ნ. ჩერნოვას მიმოწერიდან, რომელიც ქ. ეკატერინოსლავის ყანდამჩერიამ ჩაიგდო ხელში, ჩანს, რომ ი. სვედენცოვის თბილისის ნეონაროდნიკულ წრესა და „სოციალისტ-რევოლუციონერთა „ჩრდილოეთის კავშირს" შორის და აგრეთვე „სოციალისტ-რევოლუციონერთა სამხრეთის პარტიას" შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი[10].

თვით ს. ბარიკოვი ეწყობა სამუშაოდ ამერიკაკავასიის რკინიგზის სამმართველოს კომერციულ განყოფილებაში. მისი ჩამოსვლისას ნეონაროდნიკების ჯგუფი შეევსო რიგი ახალი წევრებით: ნ. ხუდადოვი (თავის დროზე სანკტ-პეტერბურგის „ეპერიოდელთა" წრის წევრი იყო, ხოლო 80-იან წლებში ნაროდოვოლცებთან თანამშრომლობდა), დ. მუროვი, ი. გერასა (ძველი ნაროდნიკი), მამა და შვილი კესენიხები და მიხაილოვი (გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის" თანამშრომელი).

ს. ბარიკოვს, ი. სვედენცოვსა და ა. ალექსანდროვსკიზე აგენტურული მეთვალყურეობით გამოირკვა, „რომ ეს პირები ეწევიან მუდმივ ურთიერთობას მეთვალყურეობაში მყოფ ოლგა კაიდანოვასთან, რუდოლფ დანილოვიჩთან, ალექსანდრე მეთოდეს ძე კალიუჟნთან და მის ვაჟ ალექსანდრესთან, აგრეთვე თვალს ექმან შატილოვთან"[11].

ა. შატილოვი, ისკრის მიმართულების სოციალ-დემოკრატი, 1900 წელს გაემგზავრა ქ. ბაკოში, სადაც აქტიური წევრი გახდა ბაკოს სოციალ-დემოკრატიული წრის, რომელშიც შედიოდნენ ვ. კეცხოველი, ა. ენუქიძე და სხვ.

ზემოთ დასახელებული თბილისის ნეონაროდნიკული წრის კრებები იმართებოდა ხან ო. კაიდანოვას მიერ შექმნილ სახალხო ბიბლიოთეკაში, რომელშაც აგრეთვე სოციალ-დემოკრატებიც ესწრებოდნენ, ხან კი ი. სვედენცოვისა და ა. კალიუჟნის ბინებში.

ს. ბარიკოვი გ. ლასხიშვილთან, და ა. აგაჯანოვთან ურთიერთობას ინარჩუნებდა.

წრის დარბევის შემდეგ ს. ბარიკოვი გაემგზავრა მოსკოვს, საიდანაც „სოციალისტ-რევოლუციონერთა ჩრდილოეთის კავშირის" ხელმძღვანელების მიერ გაგზავნილ იქნა სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანოში, გაზეთ „რევოლუციონნაია როსიაში" სამუშაოდ.

რუსული ორიენტაციის ქართველი ნეონაროდნიკები 1898 წელს, ეროვნული ფრთისაგან გამოყოფის შემდეგ, პრაქტიკულ მუშაობაში დაუახლოვდნენ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს. 1900 წელს რკინიგზაზე გამოსვლის მოწყობაში სოციალ-დემოკრატებთან ერთად ნეონაროდნიკებიც მონაწილეობდნენ. შესაძლებელია, რომ ი. სვედენცოვის ნეონაროდნიკული ჯგუფის მონაწილეობა ნახსენებ გაფიცვაში დომინირებულ ხასიათს არ ატარებდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებისა და ნეონაროდნიკების ერთობლივი მუშაობის თვით ფაქტს კი ჩვენ მტკიცედ დადგენილად ვთვლით[12].

---

[10] ЦГИА ГССР, ф. 153, оп. 2, ед. хр. 258, л.л. 37-38.

[11] იქვე, ფ. 39—42.

[12] См. ЦГИА ГССР, ф. 153, оп. 2, ед. хр. 262, л. 241; ЦГИА ГССР, ф. 153, оп. 2, ед. хр. 258, л. 39—42; ЦГИА ГССР, ф. 153, оп. 2, ед. хр. 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900 წლის დასასრულიდან იწყება ყველა სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების ერთ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიად გაერთიანება. ამ მიზნით გაიმართა მოლაპარაკება ჟენევაში „სოციალისტ-რევოლუციონერთა ჩრდილოეთის კავშირთან“. უფრო ადრე მიღწეულ იქნა შეთანხმება „სოციალისტ-რევოლუციონერთა ჩრდილოეთის კავშირსა“ და „რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების მუშათა პარტიას“ შორის ამ ორგანიზაციების ერთიან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიად შერწყმის შესახებ.

ამ ორგანიზაციების გაერთიანების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ე. ბრეშკოვსკაიამ და გ. გერშუნმა, რომლებმაც 1901 წელს შემოიარეს ევროპული რუსეთის დიდი ნაწილი და ამიერკავკასია. მათ ადადგინეს ძველი კავშირები და შექმნეს ახალი ნეონაროდნიკული ჯგუფები.

1901 წლის თებერვალ-ნოემბერში თბილისში ჩამოვიდა გ. გერშუნი, სადაც მან მოახერხა „გაერთიანებინა დაყოფილი ჯგუფები და დაეთანხმებინა კავშირის თანამგრძნობი სოციალისტ-რევოლუციონერები „პარტიას“ მიმხრობოდნენ“[13]. ძირითადად ისინი იყვნენ ინტელიგენტთა წრის წარმომადგენლები, აგრეთვე „დაპატიმრებებს გადარჩენილი რამდენიმე წევრი „კავშირისა“... ტფილისში“[14]. აქ მხედველობაში გვაქვს მუშათა ნეონაროდნიკული ორგანიზაცია „მუშათა საქმის კავშირი“, წრე რომელიც 1887—1888 წლებში ფუნქციონირებდა თბილისში. ამასთან ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშა-ხარატი თ. გუზენკო გახდა ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის „საბრძოლო ორგანიზაციისა“ და 1906 წელს მონაწილეობდა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჯალათის — სე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულმა სტამბამ „ნინა“ დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის პროლეტარიატის ორგანიზაციასა და დარაზმვაში. მათი ინიციატივით შეიქმნა აგენტთა ქსელი არალეგალურ გზით „ისკრას“ ამიერკავკასიაში ტრანსპორტირებისა და გავრცელებისათვის.

1902 წელს ბაქოს ჟანდარმერიამ ორგანიზაციას მიაგნო. დაიწყო დაპატიმრებები. მაშინვე ჩავარდა თბილისის ჯგუფიც, ჟანდარმერიის სამმართველოს ცნობით, „თბილისის წრეს, რომელიც ნიკოლოზ პროსტოსერდოვმა ჩამოაყალიბა ეკუთვნოდნენ: ვლადიმერ დელიკინი, ნიკოლოზ პლატონოვი, ალექსანდრე ია ბიკოვი და სხვ[16].

მათთან მთავარ როლს ასრულებდა ა. გვათუა და იგივე ვ. დელიკინი. ბაქოს ჯგუფის მოქმედი წევრი იყო ა. შატილოვი გამომძიების მასალებიდან და დაპატიმრებულების რიგი პირადი საბუთებიდან, მათი მიმოწერებიდან და სხვა ჩვენ მიერ დადგენილია იმ პირთა წრე, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ არალეგალური ლიტერატურის გადაზიდვასა, დაბეჭდვასა და გავრცელებაში. მათ შორის იყვნენ სოციალისტ-რევოლუციონერები: ვ. დელიკინი, ნ. პროსტოსერდოვი, ა. ბალუევი, ი. გერგასი[17].

იმავე 1902 წელს თბილისში ჩამოვიდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ემისარი, მისი ცკ-ის წევრი მ. ნატანსონი („სედოი“), რომელიც შეეცადა ნაციონალური ნეონაროდნიკული ჯგუფები (ქართული და სომხური) სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასთან გაეერთიანებინა. ამავე დროს თბილისში ჩამოვიდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეორე გამოჩენილი მოღვაწე ა. გედეონოვსკი, რომელიც შეხვდა ა. არგუტინსკი-დოლგორუკოვს, ა. ალექსანდროვსკის და მ. ნატანსონს, აგრეთვე ნაციონალური ნეონაროდნიკული მიმართულების წარმომადგენლებს.

1901—1902 წლებიდან, ი. სვედენცოვის გარდაცვალებისა და ს. ბორიკოვის გამგზავრების შემდეგ საქართველოში სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფის ხელმძღვანელები გახდნენ: ძველი ნაროდნიკი და „ლავროველი“, ექიმი ნ. ხუდადოვი, მისი შვილი ვლადიმერ და ქალიშვილი მარიამი, ი. ჯაბადარი, ნაროდოვოლცი კუზმინების ვაჟიშვილი დ. კუზმინი, მ. კრასნინასკაია, რომელიც მიწურ-მოწურას ინარჩუნებდა ვ. ბურცევთან, ილია ქარცივაძესთან და ი. გერვასისთან.

1903—1904 წლებში თბილისში ჩამოვიდა რუსეთში ნაროდნიკული მოძრაობის პატრიარქი ნ. კულიაბკო-კორეცკი, რომელიც შეხვდა დასახელებულ პირებს.

ამრიგად, 1904 წელს ო. მინორის ჩამოსვლა თბილისში არ იყო დაკავშირებული საქართველოში სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფის შექმნასთან, რადგან ეს ჯგუფი ორგანიზაციულად უკვე 1901 წელს ჩამოყალიბდა.

ეს დასტურდება ქ. თბილისის ჟანდარმერიის სამმებრო განყოფილების მონაცემებით, რომლებიც გვამცნობს, რომ 1903 წლის დასაწყისში თბილისში

---

[16] Обзор важнейших дознаний за 1902 год., зд. 127.

[17] См. ЦГАОР СССР, Москва, ф. 102, ДП ОО, оп. 231, ед. хр. 2222 т. 4(1), л. 15.; ЦГИА ГССР, ф. 153, оп. 2. ед. хр. 314, л. 163.; ЦГИА ГССР, ф. 95, оп. 1, ед. хр. 37, л. 369.; Обзор за 1902 год и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ჯგუფი, 1904 წლის დასაწყისში კი ბათუმში შეიქმნა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კომიტეტი.

В. Г. ХВЕДЕЛИДЗЕ

НЕОНАРОДНИЧЕСКОЕ ДВИЖЕНИЕ В ГРУЗИИ В КОНЦЕ XIX — НАЧАЛЕ XX ВЕКА

Резюме

В статье освещены вопросы преемственности между неонароднические фракциями и группами в Грузии, их связи с общероссийскими центрами, их взаимоотношения с местными социал-демократическими организациями искровского направления. Рассмотрен вопрос об образовании групп партии социалистов-революционеров в Грузии, ранее неправильно освещенный в работах ряда историков.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. კეკელიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ქიქოძე

ნატურალური და ფულადი საზღაურის საკითხისათვის ვახტანგ VI-ის დროს

XVIII ს-ის I მეოთხედისათვის ქართლში ნატურალური საზღაურის[1] გვერდით ფართოვდებოდა საზღაურის ისეთი სახე, რომელიც სესხის, ვალის, სარგებლის, ჯარიმის და სისხლის დაურვების, ნატურალური ფორმის გარდა, ფულადი ფორმის სახეობასაც იძენს. ეს პროცესი ვახტანგ VI-ის დროს ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

მარტივი სასაქონლო წარმოების არსებობის გამო ნატურალური საზღაური კვლავ ძალაში რჩებოდა, იგი თავის მნიშვნელობას არ ჰკარგავდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, მის პარალელურად ფულადი საზღაურიც განაგრძობდა არსებობას და თანდათანობით უფრო გამოკვეთილ სახეს იღებდა.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „ფული XVIII ს-ში... სუსტად არის განვითარებული, როგორც გადახდის და მიმოქცევის საშუალება... ჩვეულებრივი მოვლენაა ნატურალური სესხი, მისი დაფარვა ნატურით, პროცენტების გასტუმრება ნატურით“ და ა. შ.[2].

პროფ. ნ. ქოიავას მიერ წარმოდგენილი სურათი მეტისმეტად მუქია და თანადროული ნარატიული თუ დოკუმენტური მასალა საშუალებას იძლევა გარკვეული კორექტივები შევიტანოთ მასში. ჩვენს ხელთ არსებული სამართლის ძეგლები — განჩინებისა და გარდაწყვეტილების წიგნები, თამასუქები და ვალის ბარათები, ხარჯის ნუსხები ცოტა სხვაგვარად სახავენ არსებულ ვითარებას.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის დროს, ვახტანგის საკანონმდებლო წიგნების მიხედვით, ფულის ბრუნვა შესულია მოქმედებაში. ფული ქცეულია, როგორც გაცვლის საყოველთაო ექვივალენტი და ფულის საშუალებით ხდება სამუშაო ძალის შეფასება. ფულის მეშვეობით დგინდება სამუშაო ძალის საფასური. შედარებით ფართოვდება ფულის მიმოქცევა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩნდება მარტივი სასაქონლო წარმოების გარკვეული ჩანასახები. ამის დადასტურებაა თუნდაც ის, რომ გარკვეულ შემთხვევაში ცოცხალი სამუშაო ძალა, ე. ი. ყმა-გლეხის მუშაობა ყალიბდება საქონლის სახეობად და იღებს საქონლის გარკვეულ ფორმას. ფულის მეშვეობითა და მონაწილეობით სამუშაო ძალა — ყმა-გლეხი თუ მისი საქონელი გირავდება, ფული ისესხება, პროცენტი ისაზღვრება, დამნაშავეც ფულით ჯარიმდება. ამრიგად, ვახტანგ VI-ის

---

1 საზღაური — ზღვევინების მონაცემი. ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 552.

2 ნ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში, თბ., 1963 გვ. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, სამეშაო ძალის გაცვლის პროცესში ფული მეტ-ნაკლებად ფიგურირებს.

ჯერ კიდევ ადრე, XVII საუკუნის 70-იანი წლების ფრანგი მოგზაური შარდენი მოგვითხრობდა რა საქართველოს შესახებ, აღწერდა ქართლის ეკონომიურ მდგომარეობას და ქართლის მაცხოვრებელთა ყოფა-ცხოვრებას, აღნიშნავდა, რომ მათ შეუძლიათ ფრანგ მისიონერებთან „ივაჭრონ, ფული სარგებლით გაასესხონ და ისესხონ“[3]. შარდენის ცნობას დასასტურებს დღეს ჩვენს ხელთ მყოფი ზოგიერთი დოკუმენტური მასალა.

ვახტანგ VI-ეს თავის სამართლის კანონებში ვალის სპეციალური თავი აქვს შედგენილი, სადაც იგი ვალისა და სარგებლის ზოგად სახეობებს ჩამოთვლის და აღნიშნავს სარგებლის ყველა სახესხვაობებს: ერთ თუმანში აღებულს 5 აბაზს, 4 აბაზს, 3 აბაზს, 10 შაურს, 2 აბაზს, 5 შაურს, აბაზს, 3 შაურს, 2 შაურს და მიუთითებს, რომ „ამაში დიად ბევრი გვარიც ქმნილა“-ო[4].

ცნობილია, რომ გარკვეული თანხის გასესხების დროს, სარგებლის პროცენტის დონე ისაზღვრებოდა ეკონომიური ვითარებით. როგორც ზევით ვნახეთ, ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ოფიციალური სახელმწიფოებრივი სამართალი საზღვრავს და აგენს პროცენტის ნორმას და საერთოდ ამჯობინებს პროცენტის აღებას ან არ აღებას, ზოგჯერ მცირის აღებას. ვახტანგის სამართალი ადგენდა, როგორც ვნახეთ, 12, 18, 24 და 30 პროცენტსაც. აქ მიღებულია მინიმუმი 12 პროცენტი და მაქსიმუმი 30 პროცენტი. ნ. ქოიავა წერს, რომ „30%, როგორც პროცენტის უდიდესი ნორმა, ძლიერ მაღალ ნორმად უნდა ჩაითვალოს“. იქვე განაგრძობს, „XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში კანონით გათვალისწინებული პროცენტის უდიდესი ნორმა არსად არ აღემატებოდა 10%-ს, მაგრამ იქაც სინამდვილეში, გაცილებით უფრო მაღალი იყო“[5].

გვინდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტური მასალის მიხედვით, საქართველოში 30% სარგებელი არ არის გავრცელებული სახე, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა სარგებელსა და სხვა პროცენტებთან ერთად. ამრიგად, ვახტანგის სამართალი არ ადგენს სარგებლის რაიმე ერთიან ნორმას, იგი ფიქსაციას ახდენს სარგებლის იმ განაკვეთებისას, რომელთაც სინამდვილეში ჰქონდათ ადგილი. ვახტანგ VI-მ კარგად იცის, რომ არ ხერხდება სარგებლის ნორმის ავტომატურად რეგულირება. სასაქონლო ფულად ურთიერთობაში კანონმდებლობის აქტიურ ჩარევას არ შეუძლია რაიმე ეფექტი მოგვცეს. ყოველ კერძო შემთხვევას თავისი გარკვეული ადგილი ეთმობა. ვახტანგის სამართალი და ყოველი ერთი ფაქტი კონკრეტულ შემთხვევას გულისხმობს და მისი განზოგადება ყოველთვის და ყველა შემთხვევაში შეუძლებელია. თითოეული კერძო ფაქტი, ზოგად კანონად ვერ გასაღდება. ერთი კი ცხადია, რომ ვახტანგის კანონმდებლობა კარგად იცნობს ფულადი სარგებლის ნაირსახეობებს და ყოველ გარკვეულ მომენტს უსადაგებს მათ. დგირავების დროს ისაზღვრებოდა გარკვეული პროცენტი არსებულ მოწოდებასთან თანაფარდობით და თუ ჭარბი იყო მოთხოვნა მოწოდებაზე, მაშინ იზრდებოდა პროცენტიც.

---

3 შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 95; თბ., 1975, გვ. 324.

4 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, § 116; ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963, ტ. I, I, გვ. 512.

8 ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგის მიერ მოცემული სარგებლის რაობათა სურათი, ისაზღვრებოდა იმ თამასუქებისა და ვალის ბარათებით, რომლებიც XVIII ს. I მეოთხედს განეკუთვნებოდნენ და სარგებლის გარკვეულ შემთხვევებს ასახავდნენ.

ამრიგად, ჩვენ არა მარტო სესხის ფულად გამოხატულებას, არამედ სარგებლისა და პროცენტის გარკვეული ნაირსახეობას ვხედავთ. ეს არ იყო მშრალი კანონი. ვფიქრობთ, ეს იყო ის ჭეშმარიტი და რეალური ვითარების ამსახველი კანონი, რომელიც XVIII საუკუნისათვის ქართლის ეკონომიურ ყოფაში შეინიშნა. მართალია, სამართლის წიგნში ვახტანგ VI ძირითადად ნატურალური სესხისა და ნატურალური სარგებლის ნიმუშებს იძლევა, მაგრამ არ არის დადგენილი რა ხასიათის ნატურალური ნორმაა ყველაზე უფრო გავრცელებული XVIII ს. I მეოთხედისათვის სარგებლის გადახდის შემთხვევაში.

„პურზე ერთი ორადაც გაცემული, ერთი სამადაც, ათი თხუთმეტადაც. ღვინო ერთი სამად, ერთი ორად, ერთნახევრადაც და ა. შ.“

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „გირაოს“ ანუ დაგირავების გარეშე ფულის გასესხება, როგორც წესი, ამ დროისათვის არ ხდებოდა. სწორედ „გირაო“ იძლეოდა პასუხს კრედიტორისათვის იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელი რაიმე მიზეზით დათქმულ ვადაში ან დათქმული პირობებით ვერ გადაიხდიდა ვალს.

როგორც აღვნიშნეთ, სარგებლით გასესხების მრავალი ფაქტია დამოწმებული. ხშირად გასესხებული ფულის სარგებელი ნატურით ნაზღაურდებოდა და ეს ნატურალური გამოსაღები კრედიტორს დაგირავებული ყმებისაგან უნდა აეღო. მაგ., როდესაც პაპუა ციცოშვილი ოთარაანთ პაატაშვილისაგან 26 მარჩილ თეთრს სესხად იღებდა, აგირავებდა მასთან თავის ყმას „თავისი მამულით, სახლ-კარით, ვენახით, სარწყავითა, ურწყავითა, ბაღობსტნით, თავისი წყლით, სასაფლაოთი, საწისქვილეთი, მთით თუ ბარით“. შეთანხმება ასეთი იყო, რომ პაატაშვილი მოიხმარდა ამ ყმას და ყველა გამოსაღებით ისარგებლებდა, სანამ ციცოშვილი მას თავს არ გადაუხდიდა. ციცოშვილს ფულადი სარგებელი ადარ მოეთხოვებოდა. სანამ ყმა-გლეხისაგან გამოსაღებს პაატაშვილი აიღებდა.[6] სესხის აღება ამ შემთხვევაში ციცოშვილის, ჩვენი ვარაუდით, გასავლის დაფარვას ხმარობდა. ხშირად, როგორც ნ. ქოიავა აღნიშნავს, „სესხის აღებას... თავადაზნაურობის მიერ ომი, სტიქიური უბედურებანი და გლეხის ვალდებულებების შეუსრულებლობანი იწვევდა“[7]. მართალია, ძირითადად სესხის აღება ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს ხდებოდა პირადი საჭიროებისათვის და არა მოგების მომტანი საჭიროებისათვის.

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა გირაოს ეკისრა სხვა ფუნქცია. კერძოდ, გირაო გამოიყენებოდა ვალის პროცენტის დასაფარავად. გირაოს გაყიდვის უფლება, ცხადია, აკრძალული იყო. იგი მხოლოდ იძულებით წესით მოხდებოდა, როცა მოვალე ვერ მოახერხებდა ვალის გადახდას. უპირატესი მდგომარეობა, ცხადია, გამსესხებელსა და მის ნათესავებს ჰქონდათ მოპოვებული. გირაოს ღირებულება, როგორც წესი, სწაგრძნობლად ჭარბობდა თავნს და შესაბამისად ეს ზედმეტი თანხა უბრუნდებოდა მოვალეს თავნის გადახდის შემდეგ. რაც

6 ხელნაწ. ინსტ. ფ. Qd, № 877.

7 ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეხება, იურიდიულ უფლებას, აქ აშკარად ფეოდალური კანონი მსესხებლის მხარეზე იყო, მას შეეძლო გაეყიდა თავდაპირველი გირაო, სამაგიერო გირაოს დადებით, მაშინ, როდესაც გამსესხებელი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაყიდდა მას. გირაო გამსესხებლის ხელში გადადიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტდა, რომ მოვალეს არ შეეძლო ვალის გადახდა. გირაო იძულების წესით იყიდებოდა, მით უმეტეს, რომ სულაც არ იყო საჭირო, რომ მაინცდამაინც გირაო გამსესხებელს ეყიდა. გიროს შესყიდვაში უპირატესობა გამსესხებელთა ნათესავებს ეკუთვნოდათ და თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდნენ გირაოს შესყიდვაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გირაო ეყიდა რომელიმე სხვა პირს. ამრიგად, გამსესხებელი გირაოზე მხოლოდ დროებით იძენდა იურიდიულ უფლებას, ვინაიდან მისი განსხვავება მას არ შეეძლო, რისი განმსაზღვრელიც თვით გიროს არსებული ფეოდალური სისტემა იყო. მსესხებელს გირაოზე არ გააჩნდა არავითარი იურიდიული უფლება, მისი უფლება მხოლოდ გიროს შემოსავლით განისაზღვრებოდა. მაგრამ ხდებოდა ისე, რომ XVIII ს. I მეოთხედისათვის სავაჭრო ან სავაჭრო კაპიტალი არ ინდობდა, როგორც უშუალო მწარმოებელს, ისე ფეოდალურ არისტოკრატიასაც. ეს უკანასკნელი ხშირად ვერ ახერხებდა ვალის დაფარვას თავისი სოციალურ-ეკონომიური დაკანონების გამო და იძულებული იყო გირაო (ძირითადად ყმა-მამული) გაეყიდა და ამით გაესტუმრებინა ვალი. თვითონ მსესხებელნი, დასაშვებია, რომ ვახტანგ VI-ის დროს დაინტერესებულნი ყოფილიყვნენ გიროს უკან დაბრუნებით, მისი შემდგომი ფეოდალური ექსპლოატაციის მიზნით. სავახშო ან სავაჭრო კაპიტალის ასეთი ხშირი ტენდენცია უფრო გვიან ხანაშია მოსალოდნელი, ვახტანგ VI-ის დროს კი მას შედარებით ნაკლებად ვხვდებით.

ხშირად გირავნობის ნატურალურ სახეობასთან გვაქვს საქმე; მაგ., როდესაც სვიმონ აბრამიშვილს თავისი ბიძაშვილისათვის 13 მარჩილი უსესხნია და გირაოდ „თავისი შესავალ-გასავალი“ დაუდვია[8]. სარგებლის მაგიერ გამსესხებელს ვენახის შემოსავლით უნდა ესარგებლნა. ოთხ თუმან ნახევარ თეთრში დაგირავებულა სამი კომლი ყმა. ფულად სარგებლისაგან განთავისუფლდა მოვალე და ყმებისაგან კისრებული გამოსაღების აღება კი კრედიტორს რგებია წილად.

როინ და ოთარ ჯავახიშვილების თამასუქიც ასეთსავე პირობაზე „შემდგარა“[9]. ამრიგად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ყმა-მამულზე სარგებლის ნატურით გადახდის შემთხვევასთან. ასეთი მაგალითები ჩვენთვის საკვლევ ხანაში ხშირია, სადაც მოვალენი პირდაპირ აცხადებენ: „სანამ შენ თეთრს მოგცემდე, ჩემ წილ გამოსაღებს შენ სჭამდე, თეთრის სარგებელს კი არა მთხოვდე“-ო[10].

სარგებლის ასეთსავე ნატურალურ სახეობას წარმოადგენდა ქირა, რომელზედაც დამგირავებელი უარს ამბობდა: „ამ სახლის ქირას არ გთხოვ და არც შენი თეთრის სარგებელს“-ო[11].

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან ჩანს, ხშირად სარგებელი ნატურალურ სახეს ატარებდა, მაგრამ სარგებლის, ამ გავრცელებული ე. წ.

---

8 ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, № 3823.

9 იქვე, ფ. Sd, № 129.

10 მასალები საქ. ეკ. ინსტ., გე. 14, № 8; ხელნ. ინსტ., ფ. Hd., № 3808.

11 ხელნაწ. ინსტ., Hd, № 15007.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტის ნატურით დაფარვის გვერდით, ვითარდებოდა სარგებლის ფულადი ფორმა.

გასესხების მთავარ მიზანს, ცხადია, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაშიც პროცენტის აღება წარმოადგენდა. კაპიტალი ამ შემთხვევაში, ძირითადად საკახშო ან საკვერო იყო, ხოლო კრედიტის შინაარსი კი მდგომარეობდა იმაში, რომ აღებული სესხი ძირითადად დაებანდა, არა როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი წყარო, არამედ, როგორც საარსებო ან კი დამატებითი ხარჯების გადახდის საშუალება. მაგრამ ეხვდებით შემთხვევებს, როცა ფულის გამსესხებლის ხელში ზოგჯერ სესხი იქცეოდა სავახშო კაპიტალად, რომელსაც ისევ გასცემდა. ამდენად, გამსესხებელი მევახშის როლში გამოდიოდა და პროცენტსაც თვითონ იღებდა. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს, ქართლის საძეფო მნიშვნელოვან ეკონომიურ აღმავლობას განიცდის. შეინიშნება მარტივი სასაქონლო წარმოების შემთხვევათა გაფართოება და წარმოებით წესზე გადასვლის ნიშნები (ხარაფხანის, სამღებროთა, სტამბის, არაყხანის, დაბახანის და სხვათა აქტიური მოქმედება), რომელნიც სახელმწიფოს მონოპოლიებს წარმოადგენდნენ და იჯარით გაიცემოდნენ. ფეოდალურ სახელმწიფოში პროცენტის ნაირსახეობა არსებულა. ძირითადად ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში პროცენტი თუ სარგებელი, რომელიც არსებულ ფულად სახეს ატარებდა, თითქმის გარკვეულ ნორმად იყო დაწესებული. უფრო ხშირად თვეში სარგებელი მერყეობდა თუმანზე აბაზიდან ორ შაურამდე. ამის მაგალითები ხშირია. მაგ., ზაქარია თურმანიძის 5 თუმნის ვალში, თუმნის სარგებელი თვეში ერთი აბაზი უნდა მიეცა[12], ასევე ხაალ თარხნიშვილს ამილახორ სასლთუხუცესის 11 თუმან ვალში სარგებელი თვეში ერთი აბაზის რაოდენობით უნდა ეხადა[13]. მამუკა მოურავისშვილი მოძღვარის ძმის წულის შოისაგან 15 თუმან ახალ თეთრში 1 აბაზ სარგებელს იხდის[14]. ასევე ხეჩუანთ მელქუას უნდა მიეღო თუმნის სარგებელი თვეში აბაზი[15]. შემდეგ კი ვხვდებით თუმნის სარგებელს თვეში სამ შაურს, რაც ყარამუდაშვილისა და სოლოლაშვილების შეთანხმებას მოჰყოლია[16]. ასევე ნიკოლოზ თუმანიშვილს ერთ თუმან თეთრში თვეში სამი შაური პროცენტი აუღია[17].

მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც კრედიტორი კიდევ უფრო მცირე სარგებელზეც თანხმდება. თუმნის სარგებელი თვის თავზე ორ შაურად დგინდება. მოქალაქე ჯალიბეგაშვილი ბეჟოა საქუაშვილს თუმნის სარგებელს თვეში 2 შაურს პირდება[18], ასევე ჩითახანთ გოგინაშვილი აოუთანა ფარემეზ ნაზიას 8 თუმან ნახევარ თავწინ, თუმანზე 2 შაურს უნაღდებს[19]. რამაზაშვილი ბეჟანა ხითარიშვილს თუმნის სარგებელს თვეში 2 შაურს აძლევს[20].

ამრიგად, მცირე პროცენტიანი სესხის არსებობა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს ქვეყანაში დაბალი კრედიტის გარკვეულ არსებობაზე მიგვითი-

---

12 მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. II, გვ. 9.

13 იქვე, გვ. 13, № 6; ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 3784.

14 იქვე, ფ. Hd, № 14886.

15 სცია., ფ. № 701.

16 მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, ტ. II, გვ. 13, № 17.

17 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, № 1009.

18 სცია., ფ. № 1448, № 4215.

19 იქვე, ფ. Ad, № 755; ფ. Sd, № 831.

20 იქვე, ფ. Qd, № 8664.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს. ნ. ᲭᲝᲘᲐᲕᲐᲡ მცირე პროცენტიანი სესხის არსებობაში ეᲭვი შეაᲭს და მის დოკუმენტურ მასალაში ასახავ შემდეგნაირად ხსნის: „საბუთებში ადგილი აᲭს პროცენტის განაკვეთის საეᲭვო დამოხᲬევას კანონით დაწᲬესებულ განაკვეთთან. არ უნდა დაგვიᲬყდეს, რომ ეს განაკვეთი ნაᲩვენებია ხელᲬერილში, რომელსაც ოფიციალური დოკუმენტის ხასიათი აᲭს და რომლის ჩავარდნა მოსამართლის, ე. ი. სახელმᲬიფო მოხელის ხელში გამორიცხული არ იყო. ფაᲭტური, ფასეული პროცენტი, უფრო მაღალი იᲭნებოდა, ვიდრე კანონით გათვალისᲬინებული და ხელშეკრულებაში ნაᲩვენები. უფრო მაღალ პროცენტი აიღებოდა ფასეულად“[21].

ვითვალისᲬინებთ რა ქართლის არასტაბილურ ეკონომიურ მდგომარეობას ვახტანგ VI-ის ხანაში, დასაᲬვებად მიგვაᲩნია ძვირფასიანი კრედიტის (30%-ის) არსებობა, მით უმეტეს, რომ ცალკეული მაგალითი Ჩვენს მიერ მოტანილიც არის. მაგრამ დოკუმენტური მასალა უპირატესად დაბალპროცენტიანი კრედიტის (10%-ის) გავრცელებას ადასტურებს. ნ. ᲭᲝᲘᲐᲕᲐᲡ მიერ გამოთქმულ მოსაᲖრებას კი დოკუმენტურ მასალაში სარგებლის დაბალი პროცენტის განᲖრახ Ჩვენების შესახებ, Ჩვენ ვერ გავიᲖიარებთ, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიᲨნეთ, ვახტანგ VI-ის სამართალში სამართლის მაᲭსიმალური ნორმა 30%-ით იყო აღიარებული და ვალის Წიგნებში მასᲖე დაბალი პროცენტის განᲖრახ Ჩვენება კრედიტორის ინტერესებში სულაც არ შედიოდა. ამრიგად, სავსებით სამართლიანად მიგვაᲩნია, რომ დოკუმენტური მასალა ᲭეᲥᲕᲔᲜᲘᲡ ეკონომიკის რეალურ ვითარებას ასახავს და მათი გათვალისᲬინებით შესაძლებელია ფაᲭტიური მდგომარეობის აღდგენა.

ვᲖვდებით ისეთ შემთხᲬევასაც, როდესაც იასე Ჭილაშვილი აგირავებს თავის ყმას და იღებს სესხად ორმოც ფლᲬსა (7 აბაᲖი) ანუ მანეთ ნახᲬევარი და ორ მინაᲬთᲬს თეთრს. შანაშვილი იძლევა სარგებელს თვეში 6 აბაᲖს, ხოლო თავისი დაᲭირავებული ყმის გამოსაღებს თვითონ იღებს. აგირავებს ყმას მხოლოდ თავᲬის გამო. მოვალე ისევ სესხად აძლევს დამᲭირავებელს დამატებით ორ თუმანს და აიძულებს მას უარი თᲥვას თავისი ყმის გამოსაღებᲖეც. „შენ თეთრს სარგებელი არ ᲭᲥონდეს“-ო.[22].

მეორე კიდევ ისეთი შემთხᲬევაა, როდესაც 12 თუმანში ავთანდილ თარხნიშვილი მდივანᲖეᲒ ერასტის 4 თუმანს თეთრს და „ერთ პატარა გოგოს“ აძლევს[23].

ნ. ᲭᲝᲘᲐᲕᲐᲡ მᲪიცებთ, ერთი მხრივ, თითქოს ფულადი ანუ ფასეული პროცენტის დაბალი განაკვეთის არსებობა ვახტანგ VI-ის დროს დასაᲪᲔᲕᲔᲚᲘᲐ, ᲐᲨᲘᲜ როდესაც გარდა ვახტანგ VI-ის კანონმდებლობისა, დოკუმენტური მასალაც იძლევა საᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ აღვნიᲨნოთ, რომ დაბალი პროცენტის მოᲭᲛᲔᲓᲔᲣᲚᲘᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲮᲨᲘᲠᲘᲐ იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, კი საინტერესოა, რომ 12 თუმᲐᲜ თეთრში სარგებელი 4 თუმანი გაიეᲪმოდ, ე. ი. 30 პროცენტი. ამრიგად, უმაღლესი ᲖᲔᲓᲕᲐᲠᲘ 30 პროცენტიც ყოფილა ᲖᲝᲒᲘᲒᲘᲠᲗ შემთხᲬევაში დადასტურᲔᲑᲣᲚᲘ[24], მაგრამ უფრო გავრცელებულ პროცენტად გვᲮᲕᲓᲔᲑᲐ 12 და 10 პროცენტი, თუმცა ᲖᲝᲒᲘᲒᲘᲠᲗ შემთხᲬევაში 30 პროცენტიც დასაᲨᲕᲔᲑᲐᲓ მიგვაᲩნია, ვინაიდან ამისი პრეᲪᲔᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲕᲔ ხელთაა. ამ შემთხᲬევაში პროცენტი გი-

---

21 ნ. ᲭᲝᲘᲐᲕᲐ, დასახ. ნაᲨრომი, გვ. 85—86.

22 სცია., ფ. № 1450, დ. 5, № 63.

23 ᲮᲔᲚᲜᲬ. ინსტ., ფ. Hd, № 13690, 1390.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავნობის ინსტიტუტთან არის დაკავშირებული და გირავნობის მთავარ ფუნქციასთან ერთად, პროცენტის დაფარვის საშუალებასაც ასრულებს. პროცენტის გასტუმრება ფულით, როგორც ვნახეთ, არც თუ ისე ოშვიათი შემთხვევაა ვახტანგ VI-ის მეფობის დროს და ფულადი საზღაური მაინც გვევლინება გადახდის ერთ-ერთ საშუალებად.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს გამესესხებელნი, რომელნიც სარგებლით ფულის გასესხებას აწარმოებდნენ, ახდენდნენ ამ ფაქტის სპეციალურ დოკუმენტურ გაფორმებას. დგებოდა ვალის ბარათი, სადაც კარგად ისახებოდა ფულის გასესხების და მისი ზრდის მთელი პროცედურა. 1709 წ. ვალის ნუსხაში პირდაპირ ჩამოთვლილია ერთი უცნობი პიროვნების ხელში მყოფი თამასუქები, სადაც განსაზღვრულია ფულის რაოდენობა და აღნიშნულია, თუ რომელ მევალეს რა რაოდენობის თამასუქი მიუცია მისთვის:

„ქაშხარაბეგის თამასუქი (4 თუმანი)
ელიზბარას თამასუქი გ (3 თუმანი).
ფირანისი თამასუქი ჭ (5 მინალთუნი)
შერგილის ოსეფასი თამასუქი და (ჭ) (5 თუმანი, 5 მინალთუნი
მამასახლისის ფარსადანისი თამასუქი ბ (2 თუმანი, 6 მინალთ.)
ყარაბუდაშვილის თამასუქი ა (1 თუმანი).
მირმანაანთ ოსეფას თამასუქი ა (1 თუმანი და 9 მილნათუნი)
იასეს თამასუქი 3

სულ 9 თამასუქია გაცემული დაახლოებით 18 თუმნის და 4 მინალთუნის ოდენობით[25].

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში თამასუქთა ნუსხის მფლობელს გარკვეული მევახშეობისათვის მიუყვია ხელი, რომელიც აწარმოებს ამ თამასუქთა აღრიცხვა-აღნუსხვას. რა ხასიათის სარგებელს იღებდა ეს მევახშე ამ შემთხვევაში, ან კი როგორ იყო მოპოვებული ეს თანხა არ ჩანს, მაგრამ ვფიქრობთ, იგი თამასუქს გასცემდა მევახშეობის მიზნით, რაც სჭირდებოდა იგი სავახშო კრედიტის გაზრდა-გაფართოების და შემდეგ შესაძლებელია, ისევ დაბანდებისათვის.

საინტერესო ცნობას იძლევა, აგრეთვე, ერთ-ერთი მევახშის ანგარიშის ნუსხა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მას 8 თვის მანძილზე მარტო სარგებელი 65 თუმანი აუღია. 65 თუმანი აუღია მევახშეს 162 თუმნის თავნის სარგებლად[26]. ამ შემთხვევაში ვალი ისევ ფულადი დაბანდების საშუალებას წარმოაადგენდა და საეარაუდებელია, ვახშის ზრდის წყაროს ქმნიდა. როგორც ვხედავთ, პროცენტის ხვედრითი წონა სინამდვილეშიც რამდენადმე მაღალი იყო. ვიდრე ეს ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფულადი პროცენტის ხვედრითი წონა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ

---

24 ხელნაწ. ინსტ. ფ.Sd, № 607, 1801.
25 ხელნაწ. ინსტ. ფ. Sd, № 1861.
26 ხელნაწ ინსტ. ფ. Sd, № 607.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმანზე ერთი აბაზითა და ან 2 შაურით. ზოგჯერ იგი თუმანზე 5 აბაზსაც იძლეოდა. ამ ზღვარს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თვითონ ვახტანგის სამართლის § 116-ადგენს. ასევე კარგად ჩანს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში. როცა ე. წ. „ვალის გარიგებაში“ ფულადი გირაოს ძირითადი ფუნქცია თავნის დფაარვის გარანტია იყო, ხოლო გირაოს ნივთიერი ფორმების (ყმა-მამული, საქონელი, ნივთი და ა. შ.) ღირებულება თავნზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში მევახშეობითა თუ ვაჭრობით გატაცებულნი თარხნიშვილები იყვნენ ეფექრობთ, მამულაშვილები, ეოგიჯახანაშვილები, ჯულაბაშვილები სესხს იღებენ თავიანთი საბრუნავი სახსრების შესავსებად, მაშინ, როცა საჭირო იყო საქონლის მეტი რაოდენობით დაგროვება. მარტო დავით თარხნიშვილი რამოდენიმე პიროვნებისაგან იღებს ვალს: ბენედიქტე წინამძღვრისაგან 10 თუმან თეთრს[27], ჩაუშლარ ქეამ დერვიშ-ბეგისაგან 6 თუმან თეთრს[28], თავისი ბიძა თარხნისაგან 16 თუმან „ახალ თეთრს“ და სხვ[29]. იგი ყველას უხდის კუთვნილ სარგებელს. სადავო არაფერია დუბიტორ კრედიტორთა შორის და რაც მთავარია, დავით თარხნიშვილი მოკლე ვადაში უბათილებს ყველს თამასუქებს, რადგან ვალები სრულიად აღარ რჩება. ცხადია, დავით თარხნშვილი გარკვეული საქონლის დაგროვების შედეგად ახერხებს ყველა ვალის პირნათლად და დროულად დაბრუნებას. გარკვეულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული მოკლე ვადით ფულის სესხების საჭიროება და შემდეგ მისი განაღდება. როგორც ჩანს, დავით თარხნიშვილს 2—3 წლის ვადაში თავნისა და სარგებლის დაბრუნება ნაყოფიერი ვაჭრობის შედეგად ან ინტენსიური მეურნეობის გაფართოებით მოუხერხებია. ვვარაუდობთ კიდ, რომ საქმე უნდა გვქონდეს სავაჭრო ან საეკონომიკო კაპიტალთან.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს, სარგებლის ფულადმა ანაზღაურებამ ქართულ ეკონომიკაში გარკვეული ადგილი მოიპოვა. ამის პირდაპირი ამსახველი ვახტანგის კანონმდებლობა იყო. მართალია, მან სარგებლის ნატურალური ფორმა ვერ განდევნა, მაგრამ თვითონ გარკვეულ მოქმედუნარიანი გახდა.

ზემოთჩამოთვლილი ფაქტებისა დ დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება ერთგვარი დასკვნა გაკეთდეს. ვახტანგ VI-ის დროს ფულადი პროცენტის ხვედრითი წონა ძირითადად მაღალი არ იყო, იგი დაახლოებით 10—12 პროცენტს უდრიდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში ორმაგად იზრდებოდა (დავით თარხნშვილის მაგალითი; ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საბუთი, ფ. S.I, № 607, 1961). სარგებელზე უპირატესად დაბალი პროცენტის გავრცელება ძირითად ქვეყნის ეკონომიკის გარკვეულ აღმავლობასა და განვითარებაზე მიგვანიშნებს და გარკვეულ მარტივ სასაქონლო ურთიერთობათა გაფართოებისაკენ იხრება, მაგრამ ამავე დროს, რაც შეეხება სავაჭრო კაპიტალს, ნ. ქოიავა აღნიშნავს, რომ „ფეოდალურ საზოგადოებაში... იგი არ ზოგავდა არც ფეოდალს, ხოლო უკანასკნელი არც გლეხს. ადგილი ჰქონდა გლეხობის, ხელოსნების, ვაჭრების და ფეოდალების განშრევებას“[30].

27 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 700; მას. საქ. ეკ. ისტ. ტ. II, № 13, გვ. 18.

28 მასალები საქ. ეკ. ისტ., ტ. II, № 13, გვ. 18.

29 იქვე, ტ. II, № 15, № 20, № 35; გვ. 10, 19, 35.

30 ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, თუ შევადარებთ ვახტანგის სამართლით წარმოსახულ სისტლის სამართლის დაურვების სისტემაში ფეოდალურ-სოციალური იერარქიის კიბეს ბეჭა-აღბუღას სამართალს, დავინახავთ, რომ XVIII საუკუნისათვის, მართლაც, მოხდა არსებულ სოციალურ ფენათა შორის განშრევება. ფეოდალთა ფენა თუ XIV ს. შესდგებოდა ერთი ხარისხის თავადისაგან, ვახტანგის სამართალში სამი ხარისხის თავადია დამოწმებული. აგრეთვე, აზნაურთა ფენაშიც მოხდა განშრევება. ვახტანგVI-ის დროს ორი ხარისხის აზნაურის მაგიერ 3 სახის აზნაური გაჩნდა. რაც შეეხება გლეხთა კატეგორიის განშრევებას, აქაც სოციალური დანაწევრება გამოიკვეთა. „ნასყიდი“ და „ბოგანო“ ელეჩმა სოციალური კატეგორიის ფუნქცია დაიმკვიდრა. ვფიქრობთ, ყოველივე ეს აისნება, ერთი მხრივ, ფეოდალიზმის გახანგრძლივებით, მისი დაჩიხულობით საქართველოში, ხოლო მეორე მხრივ, ერთგვარად, ფეოდალურ მარტივ სასაქონლო მეურნეობაში სავაზრო და სავაჭრო კაპიტალის შემრის ხარჯზეც.

რაც შეეხება, სარგებლისა და პროცენტის დადგენის ზუსტ მაგალითებს ვახტანგის სამართლისა და არსებული დოკუმენტური მასალის მიხედვით ვერ ვახერხებთ, ზოგადად კი, ისინი ზემოთქმულის მიხედვით სრულიად გარკვეულად არსებობდნენ. ზოგჯერ, როგორც ითქვა, მაღალი პროცენტის არსებობა ძირითადად ამ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიური დაქვეითების უტყუარი მიზეზი იყო. იმ გარეპოლიტიკური რთული სიტუაციის შედეგი, რომელიც ვახტანგ VI-ის დროინდელ ქართლში სამეფოს ირანისადმი დაქვემდებარებას, ლეკიანობას და შიდა ფეოდალურ ომებს უნდა მოჰყოლოდა. ეს ფაქტორები, თავის მხრივ, მაღალ პროცენტიან ვალის არსებობას განაპირობებდნენ და ხელს უშლიდნენ საერთოდ, როგორც კაპიტალის, ისე ვალის სოფლის მეურნეობასა, ვაჭრობასა და წარმოებაში ხშირ დაბანდებას, თუ არ გავითვალისწინებთ ცალკეულ შემთხვევებს.

მაგრამ ამ ცალკეულ შემთხვევათა არსებობა (თარხნიშვილების მაგალითები და ზემომოტანილი 2 შემთხვევა) მაინც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სავაჭრო და სავაზრო კაპიტალი მთლად უცხო არ იყო ამ დროისათვის. რაც შეეხება, კაპიტალის მასობრივ დაბანდებას XVIII ს. I მეოთხედის სოფლის მეურნეობასა და მით უმეტეს მრეწველობაში, ამისი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება და რის გამოც დაბეჯითებით ამ შესაძლებლობებს ვერც ვუშვებთ. როგორც დაბალ, ისე მაღალი პროცენტის შემთხვევებისათვის, ერთ-ერთ მიზეზად ცვალებად კონიუნქტურად, ანუ ნიშანთვისებათა ერთობლიობად უნდა ჩაითვალოს ის, რაც ვახტანგ VI-ის დროინდელ მარტივ სასაქონლო მეურნეობას ახასიათებდა, კერძოდ, ბოლომდე განუვითარებელ სასაქონლო ურთიერთობათა ზრდას.

ჩვენი დოკუმენტების საფუძველზე არ გვეძლევა საშუალება პროცენტის დადგენის დროს ფულადი და ნატურალური ფორმების ღირებულება შევფასდოთ ან შევაფასოთ. საამისო მასალა არ გაგვაჩნია. არ შეგვიძლია აგრეთვე, ერთი და იმავე ოდენობის ვალში გადახდილი ნატურა და ფული შეფასდეს თანაბარი ან განსხვავებული ღირებულებით. ყოველივე ამის საშუალებას ჩვენ არ გვაძლევს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროინდელი არსებული მასალა. ერთი კი ცხადია, რომ ნატურალური საზღაურის გვერდით ვითარდება ფულადი საზღაურის ფორმებიც და გარდა ამისა, ჩნდება სავაზრო და სავაჭრო კაპიტალის განვითარების ნიშნები. ფული იფართოებს მიმოქცევის საშუალებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. Г. КИКОДЗЕ

К ВОПРОСУ НАТУРАЛЬНОГО И ДЕНЕЖНОГО ВЗЫСКАНИЯ ПРИ ВАХТАНГЕ VI

Резюме

В I четверти XVIII века в Картли наряду с натуральным взысканием развивалась и денежная форма взыскания. Этот процесс при Вахтанге VI протекал медленным темпом. В этот период уровень процента взыскания в основном не высокий, равняется 10—12%, но иногда возрастает вдвое. Столь низкий процент при Вахтанге VI способствовал расширению простых торгово-денежных отношений. Несмотря на существование торгово-денежного и ростовщического капитала, в сельском хозяйстве и тем более в промышленности он широко не распространялся. Этому способствовали рассальная зависимость Картли от персидского государства, нашествие дагестанских захватчиков и феодальные войны между княжествами и картлийским центральным государственным управлением. Однако при Вахтанге VI зародились торгово-денежные отношения, и наряду с натуральным взысканием появились торгово-денежные и растовщические взаимоотношения. Деньги способствовали расширению средств обращения и приобретали объем обращения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ცინცაძე

იმერეთის გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის 10-იანი წლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა

მზარდი ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისის და გართულებული საგარეო ვითარების შედეგად გვიანფეოდალურ ხანაში ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მაგრამ ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლით მისი დეცენტრალიზაციის პროცესი ამაზე არ შეჩერებულა, ბატონყმურმა ურთიერთობამ საფუძველი ჩაუყარა სათავადოთა სისტემის წარმოქმნას. დიდებულებმა სამოხელეო ქვეყნები დაისაკუთრეს, ამ დიდმა სოციალურმა ძვრებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ძირეულად შეცვალა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება. საქართველოს პოლიტიკურ დაშლას ერისთავთა ინსტიტუტის თანდათანობითი მოშლა მოჰყვა, რამაც შესაბამისად საერისთავოთა გაუქმება გამოიწვია და ქვეყანა ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად — სადროშოებად დაყო. ჩვენ ქვეყანაში მიმდინარე ეს პროცესი საერთო იყო, მსგავს მოვლენებს დასავლეთ საქართველოშიც ჰქონდა ადგილი[1].

XVI—XVII საუკუნეებში იმერეთის სამეფო ოთხ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად — I, II, III და IV სადროშოებად იყოფოდა.

I სადროშოს შემადგენლობაში ყოფილი სამოქალაქოს საერისთავო (გვიანი შუა საუკუნეების ვაკე, საჩინო და სალომინაო) და ფერსათი (გვიან შუა საუკუნეების საჩხეიძო) შედიოდა.

II სადროშო, ყოფილი არგვეთის საერისთავო უდიდესი ნაწილის მომცველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო.

III სადროშო, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის — რაჭის მომცველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა.

IV სადროშოს ოკრიბა და ლეჩხუმი შეადგენდა, რომელიც ამავე დროს იმერეთის მეფის თანამდგომის სასარდლო იყო[2].

ასე წარმოგვიდგება ჩვენ იმერეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები — სადროშოები (მათი ტერიტორიული მოცულობის მიხედვით) XVI—XVII საუკუნეებში. მომდევნო ხანებში კი ვითარება ამ მხრივ საგრძნობლად შეიცვალა. XVII ს-ის მეორე ნახევარში ოდიშში გამთავრებულმა ლეჩხუმელმა ჩიქვანებმა, იმერეთის მეფეს ლეჩხუმი მისტაცეს და IV სადროშოს შემადგენლობაში მარტო ოკრიბა დარჩა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში სოლომონ I-მა გააუქმა რაჭის სასარდლო და იგი ზემო მხრის (ყოფილი II სადროშო) სასარდლოს შეუერთა. XVIII ს-ის დასასრულს და XIX ს-ის დასა-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 237, 238.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომორისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. გვ. 162—165.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყისში ვიდრე იმერეთის სამეფოს მეფის რუსეთი დაიპყრობდა, იგი სამ — ზემომხრის, ვაკის და ოკრიბის სასარდლოებად იყოფოდა[3].

იმერეთის სამეფოში ჩვენ ვერ ვხდებით ისეთ მსხვილ სამოურავოებს (იგულისხმება სახასო ქვეყნები), როგორც ეს ქართლ-კახეთში იყო.

გარკვეული ხასიათის ცნობები, იმერეთის სამეფოს XVIII ს-ის დასასრულისა და XIX ს-ის დასაწყისის ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ, დაცული არის კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების IV ტომში და 1859 წელს შედგენილ „Кавказский Календарь"-ში.

XIX ს-ის დასაწყისისათვის, ერთი ცნობის მიხედვით იმერეთის სამეფო სამოქალაქო მმართველობის მხრივ თითქმსდა ექვს — ვაკის, არგვეთის, საჩხერიძოს, ოკრიბის, ლეჩხუმის და რაჭის ოკრუგებად იყოფოდა[4].

თუ ეს ცნობა ზუსტია და იმდროინდელი მეფე სოლომონ II სამოქალაქო-ადმინისტრაციული ერთეულების შემქმნელად უნდა მივიჩნიოთ და მაშინ აქ ჩამოთვლილი ოკრუგები ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მომცველი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები ყოფილან.

ვაკის ოკრუგს — ალბათ ვაკე იმერეთი უნდა მოეცვა; ოკრიბის ოკრუგის შემადგენლობაში ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ოკრიბა შეივიდოდა. ასევე არგვეთის ოკრუგი, ისტორიული არგვეთის მიწა-წყლის უდიდესი ნაწილის შემცველი იქნებოდა. შესაძლებელია საჩხეიძოს ოკრუგმა ძველი ფერსათის ქვეყანა (ვეინი შუა საუკუნეების გაღმართი) მოიცვა; რაჭის ოკრუგმა კი ყოფილი რაჭის საერისთავო; ლეჩხუმის ოკრუგი, ლეჩხუმის პროვინციას მოიცავდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ცნობის მიხედვით, ამ ოკრუგებს ადმინისტრაციული მმართველობის მხრივ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ და ქვეყნის მართვა-გამგეობა სამოურავოებში იყო თავმოყრილი[5].

ჩვენი აზრითაც, ალბათ ამ ცნობის ავტორი გნილოსაროვი, ძველი ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს ასახელებს, რომლებიც იმ დროისათვის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს აღარ წარმოადგენდნენ.

არქეოგრაფიული კომისიის აქტების IV ტომში ჩამოთვლილია იმერეთის სამეფოს ოცდაექვსი სამოურავო: ქუთაისის, ჩხერის, ლომსიათხევის, ხანის, საპაიჭავოს, საჭილავოს, ფარცხნაყანევის, ქვიტირის, გეგუთის, რიონის, კვახჭირის, ვარციხის, სიმონეთის, მუხურის, საზანოს, კაცხის, საქარის, კვარას, მინდასტირის, ხიდიგრის, ჭიორას, ღუბის, გლოლას, ჭოდროთას და ჭყვიშის[6].

მოურავები მეფის კუთვნილ ციხეებში იმყოფებოდნენ ან ისეთ სოფელში. სადაც სახასო გლეხები ცხოვრობდნენ. გარდა მეფისა მოურავები ჰყავდათ აგრეთვე თავადებსაც და ეკლესიასაც.

სამეფო მოურავები, როგორც წესი, ერთი და იმავე გვარიდან ნიშნებოდნენ. იმერეთის სამეფოში მეფეს ეკუთვნოდა შემდეგი ციხეები: კვარაციხე, მინდაციხე, ჭყვიში, მუხური, ჩხერი, ჭოდროთა და ვარციხე[7].

---

[3] კ. ალბიძე, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა და სამხედრო ორგანიზაცია XVII—XVIII სს. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1982., გვ. 176.

[4] П. Гнилосаров, О царе Соломоне II и бывшем при нем управлении, Кавказский календарь, на 1859 г. Тифлис, 1858, გვ. 432.

[5] იქვე... გვ. 433.

[6] АКАК, ტ. IV, გვ. 432.

[7] П. Гнилосаров, დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსათუოდ ცდება ამ ცნობის ავტორი გლინოსაროვი, იმერეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად ზემოთ ჩამოთვლილი ოცდაექვსი სამოურავო რომ მიაჩნია. ეს სამოურავოები მეფის კუთვნილი სახასო სოფლები იყვნენ, რომლებთაც მეფის მოხელეები-მოურავები განაგებდნენ. ამ სახასო სოფლებში თავიანთი ყმები ჰყავდათ სამეფო სახლის სხვა წევრებს (დედოფალი, უფლისწულები), სხვადასხვა თავადური გვარეულობის წარმომადგენლებსა და ეკლესიასაც[8], რის გამოც ხსენებულ სამოურავოებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად ვერ ჩავთვლით.

XIX ს-ის 10-იანი წლების I-ნახევარში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შედეგად მეფის რუსეთმა იმერეთის სამეფო გააუქმა და იქ რუსული მმართველობა დამყარდა. 1811 წლის 19 აპრილის დებულებით ყოფილი იმერეთის სამეფო იმერეთის ოლქად გადაკეთდა, რომელიც ექვს ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად — ქუთაისის, ვაკის, რაჭის, საჩხერის, ჩხერისა და ბაღდადის ოკრუგებად დაყვეს. საოლქო ქალაქად ქუთაისი გამოცხადდა.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების I ტომში დაცული არის ერთი დოკუმენტი, რომელიც ყოფილი იმერეთის სამეფოს მიწა-წყლის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად — ოკრუგებად დაყოფის სისტემას შეეხება „Постановление об образовании внутренняго имеретинской области управления". დადგენილების ავტორების აზრით, იმერეთის ტერიტორიის ახალი ადმინისტრაციული დანაწილება ქვეყნის გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით უნდა მოწყობილიყო.

ხსენებული დოკუმენტის დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა დაგვედგინა ის ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები, რომლებიც ამა თუ იმ ოკრუგის შემადგენლობაში შევიდნენ.

ქუთაისის ოკრუგის შემადგენლობაში შევიდა მთლიანად ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ოკრიბა, ყოფილი არგვეთის საერისთავო დასავლეთი ნაწილი მდ. ყვირილამდე და ქ. ქუთაისის შემოგარენი სოფლებითურთ: ქვიტირი, მესხეთი, უკანეთი, გუგუთი, ოფშკვითი, ტყაჩირი.

ვაკის ოკრუგმა მდინარე რიონის დასავლეთით მდებარე ვაკე იმერეთი, „ფიცის კაცის" სოფლები და საჯავახო მოიცვა — თითქმის ყოფილი სამოქალაქოს საერისთავოს უდიდესი ნაწილი.

რაჭის ოკრუგი ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას — რაჭას დაემთხვა.

საჩხერის ოკრუგმა კაცხურას, ყვირილასა და ძირულას შორის მდებარე არგვეთის ნაწილი მოიცვა.

ჩხერის ოკრუგი ყოფილი არგვეთის საერისთავო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის, მდინარეების — ძირულასა და ჩხერიმელას აუზებს შეიცავდა.

ბაღდადის ოკრუგის შემადგენლობაში ისტორიული ფერსათის მომცველი მიწა-წყალი (გვიანი შუა საუკუნეების საჩხეიძო-სალომიანო და საჩინო) შევიდა.

რუსული მმართველობის მიერ ჩატარებული იმერეთის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიულ დანაწილებას ემთხვეოდა და არსებითად ძველ ქართულ, ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს იმეორებდა.

---

[8] АКАК, I, т. IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაკის ოკრუგი, რომლის შემადგენლობაში ცხენისწყალსა და რიონს შორის მოქცეული ტერიტორია შევიდა მცირე გამონაკლისის გარდა, ყოფილ სამოქალაქოს საერისთავოს დაემთხვა. მხოლოდ ვაკე იმერეთის კუთვნილი რამდენიმე სოფელი: ქვიტირი, პატრიკეთი, ტყაჩირი, მესხეთი, უკანეთი და ოფშკვითი არ შესულან ვაკის ოკრუგში.

ქუთაისის ოკრუგი ძირითადად რიონს, კაკუბურა-ყვირილასა და რაჭის ქედ! შორის მოქცეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომლის შემადგენლობაში ოკრიბა, ცენტრალური არგვეთი და ვაკე იმერეთის რამოდენიმე სოფელი შევიდა, შეიძლება ითქვას, რომ იგი გეოგრაფიულ ერთეულსაც წარმოადგენდა. ოკრიბა ქ. ქუთაისიზე მიკრულ მხარეს წარმოადგენს და ამდენად, მისი ქუთაისის გუბერნიაში შეყვანა რამდენადმე გამართლებული ჩანდა. ისტორიული არგვეთი ცენტრალური ნაწილის ქუთაისის ოკრუგში შეყვანა, შესაძლებელია იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ იგი ოკრიბაზე არის გადაბმული და გეოგრაფოსების მიერ ერთ გეოგრაფიულ არეალად განიხილება. ვაკე იმერეთის სოფლების — ქვიტირის, ბაკის-უბნის, მესხეთის, პატრიკეთის, გეგუთის და სხვათა ქუთაისის ოკრუგებში შეყვანა მათმა ქუთაისთან სიახლოვემ განაპირობა. ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი ქუთაისის ეკონომიკურ ქვეყაიონსაც წარმოადგენდნენ, ვინაიდან XIX საუკუნის 10-იანი წლების რუსულ წყაროებში ისინი ქუთაისის შემოგარენ სოფლად იწოდებოდნენ.

ასევე შეიძლება ითქვას ჩხერისა და საჩხერის ოკრუგების შესახებაც, რომლებიც მდ. ძირულას ხეობას (ჩხერის ოკრუგის) და ყვირილას ხეობას (საჩხერის ოკრუგი) მოიცავდნენ და ამდენად, გეოგრაფიულ ერთეულებსაც წარმოადგენდნენ.

ბაღდადის ოკრუგი, რომელიც დაემთხვა ისტორიულ გეოგრაფიულ პროვინცია — ფერსათს, სამხრეთ იმერეთის მთისწინეთის მომცველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო და შესაბამისად მკვეთრად გამოხატულ გეოგრაფიულ ერთეულსაც წარმოადგენდა.

საბოლოოდ ყველა იმის შედეგად, რაც ვთქვით, უნდა დავასკვნათ — რუსეთის ახალ მმართველობას თავისი ადმინისტრაციული რეფორმების გატარების დროს გაუთვალისწინებია მანამდე იმერეთის სამეფოში არსებული ვითარება და რუსული საოკრუგო სისტემა არსებითად ძველი ქართული ისტორიოგრაფიული ერთეულების საფუძველზე მოეწყვია.

1810 წლის ოქტომბერში აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. აფხაზეთის მთავარი გიორგი შერვაშიძე რუსეთის მთავრობის ხელდებული და მისი პოლიტიკის გამტარებელი მმართველი ხდებოდა. იგი მხოლოდ საშინაო თვითმმართველობას ინარჩუნებდა.

1811 წლის 8 აპრილს რუსეთის ჯარები გურიის სამთავროში შევიდნენ და გურიის მთავარი მამია გურიელი იმერეთის ოლქის მმართველის კონტროლს დაუქვემდებარეს.

ყოფილი იმერეთის სამეფოს 1811 წლის 19 აპრილის დებულებით დამტკიცებული მართვა-გამგეობაა არ მოყვანილა სისრულეში. ვინაიდან იმერეთის მოსახლეობა ვერ შეურიგდა ქვეყნის თვითმყოფობის დაკარგვას და აჯანყდა. საომარმა მოქმედებამ, რომელიც 1810 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე იმერეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, დიდად დააზარალა ეს ქვეყანა. 1811 და 1812 წლებში ყოველივე ამას ზედ დაერთო შავი ჭირი და წყალდიდობა. შავი ჭირი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ტორმასოვის ჯარებს გადმოჰყვა ახალციხის საფაშოდან, მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო და განსაკუთრებით იმერეთში მძვინვარებდა ომისაგან გამოწვეულმა სახალხო მეურნეობის მოშლამ, რომელსაც ზედ შავი ჭირი და წყალდიდობა დაერთო, იმერეთი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოწყდა, ნაწილი ჩამბალ ქვეყნებში (ქართლსა და აფხაზეთში) გაიხიზნა, ადგილზე მხოლოდ ძალზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა დარჩა და ისიც თავიანთ გაპარტახებულ საკარმიდამოში. მინდვრები და ვენახის ბაღები დაუმუშავებელი და სოფლების დიდი ნაწილი დაცლილი იყო, მდგომარეობა იმდენად საშიში შეიქმნა, რომ მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა, იმერეთის გლეხობისათვის დახმარების სახით გაეცა 10 000 მანეთის ვერცხლის ფული და აშდენივე მანეთის ღირებულების სიმინდი, რათა ის მცირეოდენი დარჩენილი მოსახლეობაც არ აყრილიყო. სწორედ აქ მოტანილი გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ 1810 წლის დებულება ცხოვრებაში ვერ გატარდა და იმერეთის საოლქო მმართველობის გახსნა გადაიდო. იმერეთის მცხოვრებთ დროებით მოეხსნათ ყოველგვარი გადასახადი. ამასობაში განვლო სამმა წელმა და აფხაზეთისა და ქართლში გახიზნულმა იმერელებმა ერუეს უკან დაბრუნება და თავიანთი გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას შეუდგნენ. ახლა კი იმერეთის მმართველმა სიმონოვიჩმა საჭიროდ ჩათვალა, ვითომცდა იმერეთის შემდგომი კეთილმოწყობისა და სამმართველო საქმეთა მოწესრიგებისათვის აქ ახალი საოლქო მმართველობა გახსნილიყო. სიმონოვიჩმა საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი გაგზავნილ რაპორტში იმერეთის მიწა-წყლის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დებულება წამოაყენა.

სიმონოვიჩის აზრით, ყოფილი იმერეთის სამეფოს 1810 წლის დებულების მიხედვით ჩატარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად — ოკრუგებად დაყოფა ნაკარნახევი იყო მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით[9]. ეხლანდელ ვითარებაში კი როდესაც იმერეთის მოსახლეობა შემცირებული იყო, რამაც ხაზინის შემოსავლის დაკლება გამოიწვია, იმერეთის დროებითმა მმართველმა წამოაყენა პროექტი, რომ იმერეთი ნაცვლად ექვსი ოკრუგისა — ოთხ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულად — ქუთაისის, ვაკის, შორაპნისა და რაჭის ოკრუგებად დაეყოთ[10].

1814 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა დებულება იმერეთის ახალი ადმინისტრაციული დანაწილების შესახებ. მოგვყავს ამ დებულების სრული ტექსტი: «Сообразно местоположению и обстоятельствам, Имеретия преобразуется ныне из 6-ти округов в четыре. 1-й Кутаисской, заключающий в себе город Кутаис, Квитири, Бакисубани, Месхети, Патрекети, Ткачири, Гегути, потом по левому берегу Риона, Гелати, Окрибу, Симонети, Чхари, Мухуру, Аргвети, с окружностью, Сакаро и все места по сию сторону речки Кацхури, также и по левому берегу Квирили, Квалити, Свири, Дими, Обчу, Кикневалети, Зегани и Хани с окружностью до границе Ахалцих, Багдади, Персати, Рикоти и Варцихе.

---

[9] 1810 წლის 9 აპრილის დებულებით იმერეთის ექვს — ქუთაისის, ვაკის, რაჭის, საჩხერის, ჩხერისა და ბაღდადის ოკრუგად დაყოფა იყო ნავარაუდევი.

[10] АКТЫ, т. V, гг. 474, 475, 476.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2-ой Вакинской, в коем Ваке, Маглаки, Бажи, Сакулия, Самтредия, Джихаиши, Сочилаво и другие места за рекою Цхенисцкали до границе мингрельских, Хони с окружностью, Матхожи, Пицискали и по левому берегу реки Риона. Саджавахо, Сапаичаво, Сачино, Двалишвилеби, Сакристо и прочие места до границы Гурии и Турции. 3-й Шорапанской или Земоурско, в коем часть Калцха по ту сторону речки Кацхури, Квацихе, Мгвиме, Цирквали, Сацеретло, Чала, Колбеури, Дзироани, Чиловани, Свери с окружностью Шрома, Шорапани и по левому берегу Квирили Самамукашвило, Чери с окружностью, Сачикоано, Берадзееби, Лоснатхеви и другие места до границы Ахалцихской и Грузии и 4-й Рачинской, которой заключаем в себе всю Рачинскую провинцию, всех Осетинцев, принадлежащих Имеретии и Сванскую деревню Ушкули до границы Грузии и Лечхуми» ქუთაისის ოკრუგის უფროსის ადგილსამყოფელი ქუთაისში დაინიშნა, ვაკისა — მარნში, შორაპანის — შორაპანში, რაჭის — სხვავაში[11].

ხსენებული დებულების გამოწვლილვითი ანალიზის შემდეგ ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა მოგვეხსნა ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები, რომლებიც ამა თუ იმ ოკრუგის შემადგენლობაში შევიდნენ და შემოგვეფარგლა ამ ოკრუგების სასაზღვრო ხაზები.

ქუთაისის ოკრუგის შემადგენლობაში შევიდა — მთლიანად ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ოკრიბა, ყოფილი არგვეთის საერისთავოს მნიშვნელოვანი ნაწილი მდ. ყვირილამდე და მდ. კაცხურამდე, ქუთაისის შემოგარენი სოფლებითურთ: ქვიტირი, მესხეთი, უკანეთი, გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჩირი ქუთაისის ოკრუგს შეუერთეს აგრეთვე მდ. ყვირილას სამხრეთით მდებარე ყოფილი ბაღდადის ოკრუგის აღმოსავლეთი ნაწილი სოფლებითურთ: კვალითი, სვირი, დიმი, ობჩა, კიკნაველეთი, ზეგანი, ხანი შემომაელილი, ფერსათი, ბაღდადი, როკითი და ვარციხე, ე. ი. გვიანი და შუა საუკუნეების საჩხეიძო.

ქუთაისის ოკრუგს აღმოსავლეთით შორაპნის ოკრუგი ესაზღვრებოდა. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა მდ. კაცხურის სათავიდან, შემდეგ გასდევდა მას ოდნავ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ვიდრე მდ. ყვირილას შესართავამდე. ამ ორი მდინარის შეერთების ადგილიდან საზღვრები კვლავ სამხრეთ-დასავლეთის მხრით მიემართებოდა და მიადგებოდა მდინარეების ყვირილასა და ძირულას შესართავს სოფ. საღვნესთან. აქედან საზღვრის ხაზი მკვეთრად უხვევდა დასავლეთის მიმართულებით და სოფლების კვალითისა და ცხრაწყაროს შუა გავლით მდ. აჯამურისწყლის გადევნებით მიემართებოდა სამხრეთის მიმართულებით ვიდრე მაღლარიანის ბორამდე.

სამხრეთის მხრით ქუთაისის ოკრუგს ახალციხის საფაშო საზღვრავდა და სასაზღვრო ხაზი მესხეთის ქედს გასდევდა.

დასავლეთით ამ ოკრუგს ვაკის ოკრუგი ესაზღვრებოდა. დასავლეთის საზღვრის ხაზი მის ჩრდილო მონაკვეთზე გასდევდა მდ. რიონს სამხრეთის მიმართულებით ქუთაისამდე, ქუთაისიდან მიუხედავად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მდ. ოწასკურის გადევნებით, შემოუვლიდა დასავლეთიდან ქვიტირს, მესხეთსა და ბაშს, გეგუთისა და საყულეს შუა გავლით ეშვებოდა

---

11 საქ. ცენტ. ისტორიული არქივი, ფ. 2, № 1, ს. 427, ფფ. 1—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონზე, აქედან სასაზღვრო ხაზი მკვეთრად უხვევდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და წაბლარის-ხევის, ქედ-ქედის, კვინისცის, ლამაზი გორასა და შუა-გორის გადევნებით მიადგებოდა ტაპელოვნის მთას.

ჩრდილოეთიდან ქუთაისის ოკრუგს ოდიშის სამთავროში შემავალი ლეჩხუმი და რაჭის ოკრუგი ესაზღვრებოდა, რომელთაგანაც ხვამლის მასივითა და რაჭის ქედის დასავლური განშტოებით იმიჯნებოდა.

შორაპნის ანუ „ზემოურის“ ოკრუგი საჩხერისა და ჩხერის ოკრუგებს გაერთიანების შედეგად შეიქმნა და ყოფილი არგვეთის საერისთავო აღმოსავლეთი ნაწილი ყვირილას, ძირულას, ჩხერიმელას ხეობები) მოიცვა.

აღმოსავლეთის მხრით ამ ოკრუგს გორის მაზრა ესაზღვრებოდა. სასაზღვრო ხაზი ლიხის ქედზე მდებარე სირხ-ლებერტას მწვერვალიდან იწყებოდა, შემდეგ პირდაპირი ხაზით მიემართებოდა სამხრეთით, გადაკვეთდა მდ. ყვირილას, გაივლიდა პერანგის მთას და კაპრების სსრს. მკვეთრად უხვევდა დასავლეთის მიმართულებით, ხევის-ჯვარისა და ხუნევის შუა გავლით ეშვებოდა მწვერვალ ტყემთაზე, შემდეგ გაუყვებოდა მდ. ბჟოლს-წყალს. და მიემართებოდა სამხრეთის მიმართულებით ვიდრე ლომის-მთამდე.

სამხრეთით ამ ოკრუგს ახალციხის საფაშო საზღვრავდა — მცირე ზოლში და მათი გამყოფი სასაზღვრო ხაზი მესხეთის ქედს (მონაკვეთი ლომის-მთიდან ნატბევამდე) გასდევდა.

დასავლეთით შორაპნის ოკრუგს ქუთაისის ოკრუგი ესაზღვრებოდა და სასაზღვრო ხაზი მდინარეებს კაცხურას, ყვირილას, აჯამურისწყალსა და მდინარეების საკაულასა და ჩხერიმელას წყალგამყოფ ქედს გასდევდა.

ჩრდილოეთიდან „ზემოურის“ ოკრუგს რაჭის ოკრუგი ემეზობლებოდა და ამათი გამყოფი სასაზღვრო ხაზი რაჭის ქედის აღმოსავლეთ მონაკვეთს გაუყვებოდა.

ვაკის ოკრუგმაა ძირითადად რიონის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი ვაკე, „ფიცისკაცის“ სოფლები[12], საჯავახო და ყოფილი ბაღდადის ოკრუგის დასავლეთი ნაწილი (საჩინო-სალომინავო) მოიცვა.

ვაკის ოკრუგს აღმოსავლეთით ქუთაისის ოკრუგი საზღვრავდა და საზღვრის ხაზი იგივე იყო, რაც ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ქუთაისის ოკრუგის დასავლეთი საზღვარი.

სამხრეთ დასავლეთით ამ ოკრუგს გურიის სამთავრო ემეზობლებოდა და მათი გამყოფი სასაზღვრო ხაზი ხევის-წყლისა და მის შენაკადს ქვაფათას გაუყვებოდა.

სამხრეთით ახალციხის საფაშო ესაზღვრებოდა, რომლისაგანაც მესხეთის ქედის დასავლურის განტოტებებით იმიჯნებოდა.

დასავლეთით სამეგრელოს სამთავრო ეკვროდა და სასაზღვრო ხაზი მდ. ცხენისწყალს გასდევდა.

ჩრდილოეთის მხრით ოდიშის სამთავროში შემავალი ლეჩხუმი ესაზღვრებოდა და მათი გამყოფი საზღვარის ხაზი გორმალას მთაზე გადიოდა.

---

12 „ფიცის კაცებად“ ითვლებოდა ქვემო იმერეთის მთა-გორიანი ზოლის სოფლების მოსახლეობა, რომლის ტერიტორიაც დაწყებული მდ. რიონიდან ვიდრე ოდიშის საზღვრებამდე იყო გადაჭიმული. (ქართული ხალხური სასტორიო სიტყვიერება, ტ. II, გვ. 162).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭის ოკრუგი ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას — რაჭას დაემთხვა. ამ დებულებით მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო აგრეთვე კუდარის ხეობის ოსური სოფლები და თავისუფალი სვანეთის თემის სოფელი უშგული[13].

ამ ოკრუგს აღმოსავლეთით გორის მაზრა ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფი საზღვრის ხაზი მწვერვალ ადაი-ხოხს, წეფეთასქედისა და ყაზიროხის, რალ-აზას, ზეკარისა და სირხ-ლებერტას მთაგრეხილებს გასდევდა.

სამხრეთით ქუთაისისა და შორაპნის ოკრუგები ესაზღვრებოდნენ, რომელთაგანაც რაჭის ქედით ისაზღვრებოდა.

დასავლეთით ოდიშის სამთავროში შემავალი ლეჩხუმი ქვემო და ზემო სვანეთი ესაზღვრებოდა და საზღვრის ხაზი თავშვეს მთას, ასკის წყალსა და ლეჩხუმის ქედს გასდევდა.

ჩრდილოეთით რაჭის ოკრუგს დიგორ-ბასიანის მხარე ემეზობლებოდა და საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედს გაუყვებოდა.

1811 წლის 19 აპრილის დებულებისაგან განსხვავებით, როდესაც ყოფილი იმერეთის სამეფოს მიწა-წყალი ექვს ნაწილად (ვაკის, ბაღდადის, ქუთაისის, ჩხერის, საჩხერის, რაჭის ოკრუგებად) დაყვეს, ახლა 1814 წლის დებულებით იმერეთის ოლქი ოთხ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულად — ვაკის, ქუთაისის, რაჭისა და შორაპნის ოკრუგებად დაანაწილეს. ადრე თუ „ზემო მხარი“ საჩხერისა და ჩხერის ოკრუგებად იყოფოდა, ახალი დაყოფით ისინი გაერთიანეს და მათგან ერთი მთლიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შორაპნის ოკრუგი შექმნეს. გაუქმდა ბაღდადის ოკრუგი და მისი ტერიტორია ქუთაისისა და ვაკის ოკრუგის აღმოსავლეთი მხარე საკრაულისა და ხანის წყლის ხეობებში შემოიერთა (გვიან შუა სუფკენების საჩხერეთ-სალომინაო), ხოლო ვაკის ოკრუგს ბაღდადის ოკრუგის დასავლეთი ნაწილი სულორის ხეობა (საჩინო) ეერგო. ერთი სიტყვით მოხდა ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვილება, რაც იმერეთის მოსახლეობის შემცირებამ და მასთან დაკავშირებულმა ფინანსურმა პრობლემამ განაპირობა.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ ყოფილი იმერეთის სამეფოს დაყოფის ვითარება 1814 წლის დებულების მიხედვით.

З. Ф. ЦИНЦАДЗЕ

АДМИНИСТРАТИВНО-ТЕРРИТОРИАЛЬНОЕ ДЕЛЕНИЕ ИМЕРЕТИ ПОЗДНЕГО СРЕДНЕВЕКОВЬЯ И В НАЧАЛЕ 10-Х ГОДОВ XIX ВЕКА

Резюме

В статье указано, что в основу нового административно-территориального деления, проведенного Кавказской администрацией в начале 10-х годов XIX века, было положено историко-географическое деление Имеретинского царства позднефеодального периода.

წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ.

---

13 ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ იმერეთის ოლქის რუსულ ხელისუფლებას იმ დროისათვის, თავის ძალაუფლება გაავრცელებინოს სვანეთის თავისუფალი თემის რომელიმე სოფელზე და ამიტომაც ჩვენ რაჭის ოკრუგის შემოსაზღვრისას უშგული ოკრუგის ფარგლებიდან გამოვრიცხეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროკლე აბაშიძე

ქართლის ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲსა"

„მოქცევაჲ ქართლისაჲ", როგორც სათაურიც მიგვითითებს, წარმოადგენს თხზულებას ქართლის გაქრისტიანების შესახებ. მისი პირველი ნაწილი ესაა ქართლის ისტორია[1], სადაც, მირიანის მეფობასთან დაკავშირებით, ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებაა მოთხრობილი[2] (ჩართულია ე. წ. „მოქცევაჲს" „მცირე ნინოს ცხოვრება"[3]). ამის გამო თხზულების ეს ნაწილი აშკარად გამოიყოფა დანარჩენი, გაცილებით უფრო ვრცელი ნაწილისაგან, რომელიც მთლიანად უშუალოდ ქართლის გაქრისტიანების ამბებს შეეხება. მაგრამ არ უნდა იყოს სწორი აზრი, რომლის თანახმად „მოქცევაჲს" ეს ორი ნაწილი ორ სხვადასხვა თხზულებადაა მიჩნეული:[4] თხზულების სათაური „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ხოლო მის ბოლოში (ე. წ. „მეორე ნაწილის" ბოლოში) აღნიშნულია: „წიგნი ესე ქართლისა მოქცევისა... შემდგომად მრავალთა ყამთა... ვპოვეთ", საიდანაც ცხადია, რომ ეს ორივე ნაწილი ერთი თხზულებადაა გააზრებული, ერთი ნაწარმოების ორ ნაწილს წარმოადგენს[5]. ამიტომ ბუნებრივი ჩანს ვარაუდი, რომ მ ქართლის მოკლე ისტორიის ფუნქცია ამ თხზულებაში ქართლის გაქრისტიანების ქართლის ისტორიაში ლოკალიზება უნდა იყოს[6].

---

[1] მოქცევაჲ ქართლისაჲ. — წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 81—97 „მოქცევაჲში" „ქართუს" ფართე — „ყოველ ქართლის" მნიშვნელობა აქვს. თხზულება სწორედ ქართული ქვეყნების ერთიანობის იდეას გამოხატავს (ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 167—188. ლიტერატურაც იხ. იქვე). ამიტომ მისი პირველი ნაწილიც ფაქტობრივად საქართველოს ისტორიას წარმოადგენს, ისევე, როგორც ქართლის მოქცევა აქ საქართველოს გაქრისტიანების ნიშნავს.

[2] იქვე, გვ. 83—90.

[3] „მოქცევაჲ ქართლისაჲში" „ნინოს ცხოვრების" ორი განსხვავებული რედაქციაა დაცული — ე. წ. „მცირე ნინოს ცხოვრება", რომელიც მის ქართლის ისტორიის ამსახველ მატიანეშია ჩართული, და ე. წ. „ვრცელი ნინოს ცხოვრება", რომელიც ერთეულ მატიანეს. ამის შესახებ, იხ. მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრება წმინდა ნინოსი", თბ., 1987, გვ. 8—9, შენ. 10.

[4] С. Какабадзе, Грузинские летописцы XI в., Тб., 1912, გვ. 32—36. ივ. ჯავახიშვილი „მოქცევაჲს" ორ ნაწილს ორ სხვადასხვა თხზულებად განიხილავს (იხ. მისი, ძველი ქართული სისტორიო მწერლობა. — თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., 1977, ტ. VIII, გვ. 103, 112).

[5] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები. — წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, გვ. 63—64. მეცნიერი დასაკვნის: „ეჭვიგაც, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება; პირველში მოკლედ მოთხრობილია, რომ მირიან მეფის დროს ნინომ მოაქცია ქართლი, მეორეში კი მოცემულია დაწვრილებითი ცნობები ამ ამბისა და ნინოს თავგადასავლისა" (იქვე, გვ. 64).

[6] ე. აბაშიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, საღპლომო ნაშრომი, თბ., 1984, გვ. 50. ეს აზრი გამოთქვა მ. ჩხარტიშვილმაც, რომელიც ამაგრებს მოსაზრებას „მოქცევაჲს" ორი ნაწილის მთლიანობის შესახებ, ხაზს უსვამს მათ შორის არსებულ შინაგან კავშირებს. მ. ჩხარტიშვილი, ქართული ისტორიული აზრის განვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოქცევაჲსა“ „პირველი ნაწილის“ შემდეგ თხზულება ვრცლად გადმოგვცემს „ნინოს ცხოვრებას“, რომელიც „შესავლიით“ იწყება[7]. ამის შემდეგ ნინოს ცხოვრება აქ სხვადასხვა ავტორთა პირითაა გადმოცემული — სალომე უჯარმელის, სიდონიას და იაკობის. როგორც შედარებამ გვიჩვენა, ნინოს ცხოვრების ბიზანტიური რედაქციებისათვის[8] დამახასიათებელ კონტრაპუნქტებს „მოქცევაჲსა“ „მეორე ნაწილის“ (ე. წ. „ვრცელი ნინოს ცხოვრების“) ის ნაწილი შესაბამება, რომელიც სიდონიას მიეწერება, და საკუთრივ ნინოს ცხოვრებას შეეხება[9] (სიდონიას „აღწერილის“ პირველი თავი[10] ნინოს ცხოვრებას არ ეხება). სიდონიას „აღწერილ“ ამ ნაწილში ნინოს მცხეთაში მოღვაწეობის სწორედ ის პერიოდია ძირითადად გადმოცემული — მისი მცხეთაში ჩამოსვლისა და დედოფლის მოქცევის შემდგომ, ბიზანტიიდან სამღვდელოების ჩამოსვლამდე — რომელსაც მოიცავს ბიზანტიური ვერსია. სიდონიას „აღწერილ“ ნაწილი მთლიანად და, რაც მნიშვნელოვანია, ძირითადად იმავე თანმიმდევრობით შეიცავს ბიზანტიური ვერსიის ცნობებს, თუმც გაცილებით უფრო ვრცელია მასზე. ამას გარდა, სიდონიას მონათხრობი საკუთრივ ნინოს შესახებ აქ აგრძელებს სალომე უჯარმელის მონათხრობს, ხოლო იაკობ მღვდელის მონათხრობი სიდონიას „თხზულებას“ აგრძელებს. საკუთრივ „ნინოს ცხოვრება“ „მოქცევაჲსა“, „მეორე ნაწილში“, გარდა „შესავლისა“, სალომე უჯარმელის, სიდონიას და იაკობის მიერ „აღწერილი“ თავებით არის გადმოცემული. მაგრამ თხრობის ძირითადი ხაზი აქ ორ ადგილას გაწყვეტილია. კერძოდ, სიდონიას „თხზულების“ პირველი თავის უდიდესი ნაწილი[11] ესაა ვრცელი ეკლესიური ქართლის ებრაელთა ისტორიაში (სადაც წყაროდ ამბითარია დასახელებული), ხოლო სიდონიას და იაკობის „თხზულებებს“ შორის ვხვდებით „ამბითარის თხზულებას“, ყოფილი „ჰეორითა მღვდელის“ ამბითარის გაქრისტიანების შესახებ[12]. იაკობის თხზულებაში ნინოს მცხეთაში მოღვაწეობის უკანასკნელ ხანაზე და მისი მცხეთიდან გამგზავრების შესახებაა თხრობა, ხოლო ნინოს ცხოვრების უკანასკნელ ხანაზე და გარდაცვალებაზე (დაბასაბოდს) „ვრცელი ნინოს ცხოვრების“ პირველივე — „შესავალი“ თავი მოგვითხრობს (ავტორის ან შემდგენელის პოზიციით — მესამე პირში). ამით ამოიწურება „ვრცელი ნინოს ცხოვრება“ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“.

შატბერდულ რედაქციაში მომდევნო თავია და, მაშასადამე, თხზულების მესამე ნაწილი „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ“[13]. ეს თავი, რომელიც

ბის ისტორიიდან („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). — მაცნე, ისტორიის სერია, 1985, № 3, გვ. 127, 128.; მ ი ს ი ვ ე, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, გვ. 19—20).

7 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 98. „შესავლის“ თხრობა ავტორისეულია, ანუ, თხზულებისაგე პოზიციით, შემდგენლის (მ. ჩ ხ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, გვ. 63, შენ. 2, შენ. 7).

8 იხ. გ ე ო რ გ ი კ ა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები, თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა., ტბ., 1961, ტ. I.

9 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 130—144.

10 იქვე, გვ. 124—130.

11 იქვე, გვ. 126—130. ამ თავის დასაწყისი ნაწილი (გვ. 124—126) წარმართული ქართლის მოქცევის ზოგად საკითხებს ეხება.

12 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 144—147.

13 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 153.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლარჯულ მრავალთავში ცალკე საკითხავადაა შეტანილი, ჭელიშურ რედაქციაში არ არის დაცული.

ამას მოსდევს (ჭელიშურ რედაქციაში კი პირდაპირ „აბიათარის თხზულებას“), „მირიანის წიგნი“[14]. „მოქცევაჲს“ ამ ნაწილის „დამოუკიდებლობას“ მიუთითებს მისი სათაურიც, რომლის თანახმად ის „აღწერა მირიან მეფემან და მისცა ძის ცოლსა თჳსსა სალომე უჯარმელსა“, სადაც ცხადია, რომ მხოლოდ ამ „წიგნხეა“ ლაპარაკი („მირიანის წიგნხე“)[15]. „მირიანის წიგნში“ გადმოცემული თხრობის დიდი ნაწილი მკითხველისათვის წონა თავვიდან უკვე ცნობილია, რადგან გარკვეულწილად ის ნინოს ცხოვრებასაც გადმოგვცემს და ამდენად, „ნინოს ცხოვრებისათვის“ დამახასიათებელი კონტრაპუნქტების ნაწილი აქაც დასტურდება, მაგრამ მხოლოდ გარკვეულწილად, რადგან „მოქცევაჲს“ ეს ნაწილი მირიანის ცხოვრებას ეხება (რომელიც გადაჯაჭვულია ქართლის მოქცევასთან და ნინოს ცხოვრებასთან).

„მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ ქართლის მოქცევა ყოველმხრივ არის გაშუქებული (ავტორის პოზიციით). ხაზგასმულია მისი ყველა უმთავრესი მომენტი (მრავალ დეტალთან ერთად): ნინოს მიერ ქართლის მოქცევა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართლის ცხოვრებაში („პირველი ნაწილი“). ამ მოვლენის ცენტრალური ფიგურა წმ. ნინოა. ქართლი მისი მოქცეულია („მცირე ნინოს ცხოვრება“, „ეროცელ ნინოს ცხოვრება“). ქართლის მოქცევის პრეისტორია უშუალოდ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იწყება, როდესაც ქართლში მცხოვრებ ებრაელებს ჩამოაქვთ მცხეთაში ქრისტეს კვართი („ქართლის ებრაელთა ცხოვრება“ ანუ სიდონიას „თხზულების“ პირველი თავი)[16]. განსაკუთრებული როლი მიუძღვის ქართლის მოქცევაში მცხეთის მკვიდრს, ყოფილ „ჳურიათა მღვდელს“ აბიათარს (ამით უნდა აიხსნას „აბიათარის მოქცევის“ ცალკე ნაწილად გამოყოფა „მოქცევაჲსი“ — მის „ეროცელ ნინოს ცხოვრებაში“) და ბიზანტიიდან ჩამოსულ სასულიერო პირებს („ნინოს ცხოვრების“ ერთი ნაწილი იაკობ მღვდელის მიერ არის წარმოდგენილი). ხაზგასმულია წმ. ნინოს მოწაფეთა, კერძოდ, აბიათარის ასულის სიდონიას და კიდევ ერთი ქალის — სალომე უჯარმელის ღვაწლი რაც იმითაა განხორციელებული, რომ იაკობთან ერთად, ნინოს ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებს ისინი მოუთხრობენ მკითხველს[17]. ცენტრალური ფიგურა ქართლის სამეფოში მეფეა, რომლის მოქცევაც ნიშნავს სიმბოლურად ქართლის მოქცევას. ქართლის მოქცევის (და ე. ი. ნინოს ცხოვრების) ცენტრალური ეპიზოდი მირიანის მოქცევაა (ეს ფაქტი ცალკე თავადაა გამოყოფილი „მოქცევაჲსი“, სიდონიას მიერ „აღწერილ“ ნაწილში)[18]. ბუნებ-

---

14 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 157.

15 ეს აღნიშნულია ლიტერატურაშიც: იხ. მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

16 „მოქცევაჲს“ (იაკობის „აღწერილის“) მიხედვით, გაქრისტიანებული აბიათარი, „რომელი არა დასცხებოდა დამე და დღე ქადაგებისა ქრისტესსა“ ჰერითა ბაგინისათვის „იძულებდა მეფისა, რათა არა შეძრან ნაწერები იგი მისი, არამედ რათა შესძინის აღშენება, რამეთუ ვიდრე არღა გამოჩენებულ იყო ახალი მადლი (ქრისტიანობა — ე. ა.) კუეყანასა ამას მუნ შინა იყო დიდებული სახელი საუკუნოჲსა მის ღმრთისაჲ. და ერრდა მეფე მისთა დღეთა და იყენეს მუნ შინა ელიოზის სათესავნი მღდელად ჰერითა ზედა“ (მოქცევაჲ, გვ. 152).

17 მ. ჩხარტიშვილის ვარაუდით, „ეროცელ ნინოს ცხოვრებაჲ“ ავტორი (თხზულების პოზიციით, შემდგენელი) სალომე უჯარმელია და „შესავალიც“ მას ეკუთვნის. იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 72—74.

18 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 134—137.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი ჩანს ამიტომ, რომ თხზულებაში მირიანის ცხოვრებას ცალკე ნაწილი ეთმობა (ე. წ. „მირიანის წიგნი“ „მირიანის ანდერძთან“ ერთად).

როგორც ჩანს, ასახვის ობიექტი — ქართლის მოქცევა, „მოქცევაჲ ქართლისაჲსი“ რამდენიმე უმთავრეს ასპექტშია წარმოჩენილი — ქართლის მოქცევა და ქართლის ცხოვრება (პირველ ნაწილში), ქართლის მოქცევა და ნინოს ცხოვრება; ქართლის მოქცევა და მცხეთის ებრაელთა დიასპორა (ცენტრალურ ნაწილში ანუ „ერცელ ნინოს ცხოვრებაში“); ქართლის მოქცევა და მეფე მირიანი („მირიანის წიგნში“).

ამ ნიშნით (და არამარტო ამ ნიშნით) აშკარად იკვეთება, კ. კეკელიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ზედმეტობა“ „მოქცევაჲს“ იმ ნაწილისა, რომელიც დასათაურებელია, როგორც „აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ მცხეთასა...“[19] ეს თავი გვიანდელი შენაზარდი ჩანს თხზულებაში, რაც არაერთხელ აღნიშნულ[20]. ამით ხსნიან იმ გარემოებასაც, რომ ეს თავი ჭელიშვრი რედაქციას საერთოდ არ მოეპოვება და რომ ის ცალკე საკითხად („მოქცევაჲსაგან“ დამოუკიდებლად!) გვხვდება კლარჯულ მრავალთავებში[21].

თუ ასეა, „მოქცევაჲს“ თავდაპირველი რედაქცია ტრიპტიხად წარმოგვიდგება, როშლის სამივე ნაწილი (მატიანე, „ერცელი ნინოს ცხოვრება“ და „მირიანის ცხოვრება“) თავის მხრივ რთული შედგენილობის ნაწილებია. განსაკუთრებით თხზულების ცენტრალური ნაწილი — „ერცელი ნინოს ცხოვრება“, რომელიც შენაზარდი თავის გამოკლებით ხუთ ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს, რომელთაც წინ კიდევ „შესავალი“ ნაწილი უძღვის. ამ ხუთი ნაწილიდან (რომლებიც მიეწერებათ თვითმხილველებს) ცენტრალური ნაწილია (როგორც „ერცელი ნინოს ცხოვრების“, ასე მთლიანად მთელი თხზულებისა) ნინოს მცხეთაში მოღვაწეობის და ე. ი. საკუთრივ ქართლის მოქცევის ამსახველი ნაწილი (რაც სიმბოლურად მეფისა და მისი ოჯახის მოქცევაში გამოიხატება), რომელიც სიდონიას მიეწერება და „ნინოს ცხოვრების“ ბიზანტიურ ვერსიას ემთხვევა. ამ ნაწილის წინა და მომდევნო ნაწილები (ე. ი. მეორე და მეოთხე ნაწილი) ქართლის ებრაელთა დიასპორას შეეხება: ერთი — მათი ქრისტიანული ნაწილის ისტორიას ჯვარცმის შემდგომ (რაც ამავე დროს ქართლის მოქცევის პრეისტორიაც არის[22] — სიდონიას „აღწერის“ პირველი

---

19 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

20 ვ. ჩ ხ ა რ ტ ა შ ვ ი ლ ი ამ თავს არ განიხილავს „მოქცევაჲს“ ნაწილად, აღნიშნავს რა, რომ „იაკობის მოგონებას კრებულში მოსდევს მირიანის „წიგნი“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 71), რადგანაც ის „აშკარად ზედმეტი ჩანს და შემდგომი დროის შენაზარდი უნდა იყოს“ (იქვე, შენ. 40). ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშვრი რედაქცია, თსუ შრომები, 1940, XII, გვ. 96, სქოლიო 1.

21 კ. კეკელიძის, თუმცა აშკარად ფრთხილი ვარაუდი სიდონიას „აღწერილის“ პირველი თავის „მოქცევაჲში“ მოგვიანებით ჩართვის შესახებ, ვფიქრობთ, არ მართლდება, რადგან, გარდა იმისა, რომ ის „მიზნად ისახავს გაგვითვალისწინოს ებრაელთა დიასპორის მდგომარეობა მცხეთაში და მისი ურთიერთობა პალესტინასთან“, ქართლის მოქცევის პრეისტორიას გადმოგვცემს და ამდენად, თხზულების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. საყურადღებოა ამ წყაროზე, ამბათარის დასახელებაც, რაც თხზულების დანარჩენ ნაწილთან (ცერძოდ, ამბათარის „აღწერილთან“) მის შინაგან კავშირადაც შეიძლება ჩაითვალოს (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64).

22 რამდენადაც თხზულებაში ყველაფერი ქართლის მოქცევასთან არის დაკავშირებული, ყოველივე ის, რაც უსწრებს ამ მოვლენას, მის პრეისტორიას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ქართლის მოქცევის პრეისტორიაა როგორც ქართლის ქრისტიან ებრაელთა აღნიშნული ისტორია, ასევე ნინოს ცხოვრება მცხეთაში ჩამოსვლამდე და ქართლის სამეფოს ისტორია მირიანამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი), მეორე — ქართლის მოქცევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწის — ყოფილი „ჴურიათა მღვდლის“ ამბითარის მოქცევას. პირველი ნაწილი („შესავლის“ ზემდე) ესაა „ნინოს ცხოვრება“ მცხეთაში ჩამოსვლამდე (და ე. ი. ქართლის მოქცევამდე), რომელიც სალომე უჯარმელს მიეწერება. ბოლო — მეხუთე ნაწილი (რომელიც ამბითარის „წიგნს“ მოსდევს და იაკობს მიეწერება), ნინოს მცხეთაში მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს შეეხება უკვე მოქცეულ ქართლში. რითაც სრულდება „მოქცევაჲს“ „ვრცელი ნინოს ცხოვრება“ — თხზულების ცენტრალური ნაწილი.

თხზულების აღნიშნულ ძალზე არაერთგვაროვანი ცალკეული ნაწილების მთლიანობას (როგორც მისი სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილისა, ასე მათ-ცალკეული ნაწილების), რომელთაც ხშირად არავითარი პირდაპირი კავშირი არ გააჩნიათ — ერთი შეხედვით არც კი ჩანს მათი ერთ თხზულებაში გაერთიანების საფუძველი (ქართლის ისტორიის ამსახველი მატიანე, ამბითარის „წიგნი“, „ნინოს ცხოვრება“, „ქართლის ქრისტიან ებრაელთა ისტორია“, მირიანის „წიგნი“) — ასახვის რთული ობიექტი — ქართლის მოქცევა განაპირობებს, რაც ორიგინალურად, თხზულების რთული კომპოზიციის საშუალებით (არაერთგვაროვანი ნაწილების თხზულებაში განლაგებით) მაღალი მხატვრული ოსტატობით არის განხორციელებული[23].

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართლის ისტორიის ამსახველ ნაწილს „მოქცევაჲში“ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. ის ტრიპტიხის პირველ ნაწილად უნდა ყოფილიყო გააზრებული და თხზულების მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს წარმოაჩენს — გვაჩვენებს ქართლის მოქცევას ქართლის ისტორიაში.

„მოქცევაჲს“ მატიანეში ქართლის ისტორია ძვ. წ. IV ს-ის დასასრულიდან ახ. წ. IX ს-ის დასასრულამდეა გადმოცემული. მაგრამ, განსხვავებით მისი ძირითადი ტექსტისაგან, რომელიც VII ს-ის II ნახევრამდე მოდის, ვიდრე IX ს-ის დასასრულამდე მოწვეული ნაწილი, მმართველთა და კათალიკოსთა მხოლოდ მშრალი სიით არის წარმოდგენილი, ისიც ცალ-ცალკე — ჯერ მხოლოდ მმართველთა, შემდეგ კათალიკოსთა სიით. ამით მატიანის ეს ნაწილი — სტეფანოზ II-ის ერისთავობის შემდეგ, ვიდრე IX ს-ის დასასრულამდე, გამოიყოფა ძირითადი ტექსტიდან (რომელიც კომპოზიციურად შეკრულ ერთ მთლიან ნაწარმოებს წარმოადგენს) და აშკარად გვიან მიმატებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომ ფიქრობენ, რომ ის გვიანდელ — IX ს-ის რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს[24]. ამაში „მოქცევაჲს“ მატიანის კომპოზიციაც გვარწმუნებს.

„მოქცევაჲს“ მატიანეში (აღნიშნულ საზღვრებში) ხუთი ძირითადი ნაწილი შეიძლება გამოიყოს. აქედან ცენტრალური ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ამბავი („მცირე ნინოს ცხოვრება“), რომელიც მატიანის შუაში, შესაფერის ქრონოლოგიურ ადგილსაა ჩართული. ეს ნაწილი მოცულობით მთელი მატიანის ტოლია.

---

23 უდავოდ თხზულების გამოლანგვას ემსახურება აქ არსებული შინაგანი კავშირებიც, მაგრამ განმსაზღვრელი მნიშვნელობა მათ არ უნდა ჰქონდეთ, მით უმეტეს, რომ აქ ზოგიერთი წინააღმდეგობაც არსებობს, რაც ვერ არღვევს თხზულების მთლიანობას.

24 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 97. ამ განსხვავებას მატიანის ტექსტში შენიშნავს ყველა მკვლევარი და ამიტომ თხზულების VII ს-ით დათარიღება, რაც ე. თაყაიშვილიდან მომდინარეობს (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890, გვ. XCIII—XCIV), მეტწილად გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. განსხვავებული აზრისაა მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, რომელიც VII და IX სს. თხზულების რედაქტორების ხანად მიიჩნევს, ხოლო მის შექმნას V ს-ის II ნახევარში ვარაუდობს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81—89).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყოფა მატიანის დასაწყისი და ბოლო ნაწილებიც — ალექსანდრე მაკედონელისა და ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა ამსახველი ეპიზოდები, რომელთაც მატიანეში საგრძნობლად დიდი ადგილი აქვთ დათმობილი. მათი მოცულობა კი ერთმანეთის ტოლია. მატიანის მეორე (ალექსანდრეს შემდეგ, ნიოსი მიერ ქართლის მოქცევამდე) და მეოთხე (ნინოს მიერ ქართლის მოქცევიდან ჰერაკლეს ლაშქრობამდე) ნაწილები ქართლის „რიგით" ისტორიას ეთმობა. ამასთანავე წარმართული ნინოს ისტორიის ამსახველი ნაწილი („მცირე ნინოს ცხოვრებამდე") სამჯერ უფრო მოკლეა ქრისტიანული ნინოს ისტორიასე, რითაც ხაზგასმული უნდა იყოს ავტორის დამოკიდებულება ქართლის ისტორიის ამ პერიოდისადმი (თუმცა ქრისტიანული ნინოს ისტორია, როგორც საერთო, ისე სასულიერო მმართველობით არის წარმოდგენილი).

მატიანეში აშკარად პრობიზანტიული ორიენტაციაა გატარებული — მისი გამოყოფილი ნაწილები — დასაწყისი, ცენტრალური და ბოლო — „საბერძნეთდან" მოვლენილი პირების და ქართლის ისტორიაში მათი განსაკუთრებული როლის შესახებ. მოგვითხრობენ: ალექსანდრე ქართლის განმწმენდელია ეკლესიური ხალხებისაგან და ის ქართლის სამეფოს მამამთავრად გვეკლინება. ნინო ქართლის მოქცეველია. ჰერაკლე კეისარი ქართლის განმათავისუფლებელი და „ჯუალის განწმენდილი". ასეთი როლი ქართლის ისტორიაში სნეულ ირავის გააჩნია და თხზულებაში ეს ხაზგასმულია: ნინოს მოღვაწეობას მატიანეში ქართლის მთელი ისტორიისათვის დათმობილი ადგილის ტოლი მოცულობა ეთმობა (რაც ბუნებრივია ამ თხზულებისათვის, რომელიც სწორედ ქართლის მოქცევის შესახებაა). ალექსანდრესა და ჰერაკლეს შესახებ თხრობა კი მნიშვნელოვნად აღემატება ქართლის ყველა მმართველისათვის დათმობილ ადგილს, თუმცა ვახტანგ გორგასალი „დიდის" ეპითეტითაც მოიხსენიება.

„მოქცევაის" მატიანის ყოველი ნაწილი მკაცრად გაზრებულ კომპოზიციასთან სრულ შესაბამისობაშია და მას ზემოთ უკვე აღნიშნული ფუნქციის გარდა — გვაჩვენოს ქართლის მოქცევა ქართლის ისტორიაში, კიდევ ერთი, სრულიად გარკვეული მიზანი და დანიშნულება აქვს, რომელიც, ვფიქრობთ, სწორედ VII ს-ის შუა ხანებში, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის შემდგომ შექმნილი ისტორიული ვითარების შედეგი უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, ოთხქმის მთელი VI ს-ის მანძილზე ირანის პოლიტიკური ჰეგემონის შედეგად, ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, ქართლის ოფიციალურ სარწმუნოებად კარგა ხნით მონოფიზიტობა დამკვიდრდა, თუმცა ქართლის სამეფოს ამ ხნის გამავლობაში ახასიათებს პრობიზანტიური; და, მაშასადამე, ანტიმონოფიზიტური ტენდენცია[25].

VII ს-ის დამდეგს კირონ ქართლის კათალიკოსის მიერ აღებული ანტიმონოფიზიტური კურსი 608 წ. ქართლისა და სომხეთის ეკლესიების განხეთქილებით დამთავრდა, რაც საგარეო ორიენტაციის გამოხატულება იყო — აღმოსავლეთის ქრისტიან ქვეყნებში ერთადერთია ქართლი, რომელიც ბიზანტიის მხარეს გადაჭრით დგება სწორედ მაშინ, როცა სპარსეთის უპირატესობა აშკარაა[26]. მაგრამ ირანის შაჰის ხოსროვ II-ის მიერ 614 (616) წელს იერუსალი-

---

[25] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 349; ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 119; ა. ბოგვერაძე, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1978, გვ. 276.

[26] ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 05, 186—188 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის აღების შემდეგ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე საგანგებოდ დადგინდა, რომ შაჰის მორჩილებაში მყოფ ყველა ქრისტიან ერს „სომეხთა სარწმუნოება“ (ე. ი. მონოფიზიტობა) უნდა ეღიარებინა, რის შედეგადაც კირონის მიერ წამოწყებულ იდეოლოგიურ ბრძოლას უდავო მარცხი უნდა განეცადა. ქართლში კვლავ პროირანული მმართველობა დამკვიდრდა.

ასეთ ვითარებაში გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ქართლის მმართველი ფენის პრობიზანტიურად განწყობილი ნაწილისათვის ჰერაკლეკეისრის გამარჯვებას ირანზე და, კერძოდ, მის ქართლში ლაშქრობას, რის შედეგადაც მთელ ამიერკავკასიაში, მათ შორის ქართლში, ბიზანტიის პოლიტიკური ჰეგემონია დამყარდა. ჰერაკლემ „განწყმინდა ჩჯული ქრისტესი და წარვიდა“.

„მოქცევაჲ“ VII ს-ის შუა ხანების ქართლის სამეფოს საგარეო ორიენტაციის, კერძოდ, პრობიზანტიური ორიენტაციის გამოხატველია. როდესაც ბიზანტიის ირანზე გამარჯვების შედეგად ქართლში ირანის ნაცვლად ბიზანტიის პოლიტიკური ჰეგემონია დამყარდა და ქეყანა, ბიზანტიის იმპერიასთან ერთად, ახალი, მანამდე სრულიად უცნობი საფრთხის — არაბი დამპყრობლების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. რადგან VII—IX სს. ქართლის საერო და სასულიერო მმართველთა სია გვიანდელი რედაქციის შედეგია, სხვა ვარაუდისათვის, ვფიქრობთ, აღარ რჩება საფუძველი, რადგან ქართლის მოქცევის ფაქტის შემდგომი მოვლენების გადმოცემას (სხვა ფუნქციებთან ერთად) ამ ფაქტის თანამედროვეობასთან (იგულისხმება ავტორის ეპოქა) მიმართების ჩვენება აქვს მიზნად[27].

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“, კერძოდ მისი მატიანის წყაროს ძიებასთან დაკავშირებით პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ეს „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი წყაროს საკითხთან არის გადაჯაჭვული.

„მოქცევაჲს“ მატიანისა და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების მსგავსებაც და განსხვავებაც ცნობილია. ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი გაცილებით ვრცელია „მოქცევაჲს“ მატიანის ტექსტზე „მოქცევაჲს“ მატიანის უკვე აღნიშნულ საზღვრებშიც, და, უმთავრესი განსხვავება მათ შორის პირველ რიგში სწორედ ამაში მდგომარეობს. ამ ორი ტექსტის აშკარად საერთო, ერთიერთდამოკიდებულ ადგილებზე (ალეგესანდრე მაკედონელის ლაშქრობით დაწყებული მირიანის გამეფებამდე და მირიანის მეფობის შემდგომ, სტეფანოზ II-ის მმართველობის ჩათვლით), მოკლედ შეიძლება აღინიშნოს ის, რომ ძირითადად, ცალკეულ, ხშირად მხოლოდ რედაქციულ განსხვავებებს გარდა, ისინი ემთხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ქართლის ცხოვრების ტექსტის მოცულობა მაინც უფრო დიდი (რაც ზოგ შემთხვევაში ძირითადად მხოლოდ მრავალსიტყვიანობაში გამოიხატება).

27 ვ. ჩ ხ ა ტ ა ნ შ ვ ი ლ ი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, გვ. 22. როგორც ჩანს, „მოქცევაჲს“ შექმნა საქართველოში დაახლოებით იმავე მიზეზებს უნდა განეპირობებინა, რამაც განაპირობა ამავე ეპოქაში (ცოტა ადრე) ირანში „ხოდაინამაკის“ შექმნა. საინტერესოა, რომ თუ „ხოდაი-ნამაკის“ „ფურცლებზე მელანმა შეშრობა ვერ მოასწრო“, რომ ქეყანა არაბებმა დაიპყრეს (Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1960, გვ. 193—194). „მოქცევაჲ ქართლისაჲმ“ შესრულა თავისი ფუნქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოქცევაჲს“ პირველი ნაწილისა და ქართლის ცხოვრების ტექსტების აღნიშნული ნაწილები, ეჭვგარეშეა, რომ საერთო წარმომავლობის უნდა იყოს: ან ქართლის ცხოვრება ავრცობს, სხვა წყაროებით ამდიდრებს და ზოგ შემთხვევაში რედაქციულად ცვლის „მოქცევაჲს“ აღნიშნული ნაწილის ტექსტს, ან ორივე ეს თხზულება საერთო წყაროდან მომდინარეობს და, შესაბამისად, ორივე თავისი მიზნით იყენებს მას (სხვა შესაძლებლობა აქ გამორიცხება, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი „მოქცევაზე“ გვიანდელია). სადღესასწაულო და გავრცელებული მოსაზრებით, როდესაც გაბათილებულია ამ მეორე შესაძლებლობის დამცველი არგუმენტები, „მოქცევაჲს“ მატიანე (მისი „უკეთესი ვარიანტი“) „ქართლის ცხოვრების“ ძირითად წყაროდაა მიჩნეული[28], ხოლო „მოქცევაჲს“ მატიანის („მოქცევაჲს“ „პირველი ნაწილის“ ან „ქრონიკის“) წყაროდ „ერთგვარი „საკმშენებლო მატიანის“ ხასიათის მასალა“ იკარუდება[29].

ვფიქრობთ, ძნელი სათქმელია რა ხასიათის ცნობებზე უნდა ყოფილიყო გამახვილებული ყურადღება „მოქცევაჲს“ ამ სავარაუდო წყაროში და, მაშასადამე, რამდენად ზუსტად შეესაბამება ეს, თუნდაც პირობითი სათაური მას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ის ქართლის სამეფოს ისტორიას ასახავდა (ამიტომ იქნება უმჯობესი იყოს აქ, ცხადია, ასევე პირობითად, მაგრამ უფრო ზოგადად, „ქართლის სამეფოს ისტორიის ამსახველი მასალა“ ვუწოდოთ მას).

აქვე უნდა გავსვას ხაზი იმ წინააღმდეგობასაც, რომელიც შეინიშნება ტრადიციულ თვალსაზრისსა და სადღესასწაულო ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ თვალსაზრისს შორის „ქართლის ცხოვრების“ წყაროს შესახებ, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული ისტორია, ე. წ. ჯუანშერის მინაწერი, ჯუანშერის მიერ შექმნილი თხზულების — „ქართველთა ცხოვრების.“ წყაროდ, ისევ და ისევ უფრო ადრე არსებულ „ქართველთა ცხოვრებას“ ასახელებს[30].

ვფიქრობთ, უსაფუძვლო იქნებოდა დაგვეშვა ვარაუდი, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტრადიციული ისტორია (რომელიც უყოყმანოდ იყო გაზიარებული მთელი შუა საუკუნეების მანძილზე), „ქართველთა ცხოვრების“ ქვეშ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გულისხმობს (ქართლის სამეფოს ისტორია „მოქცევაჲს“ მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია, ისევე როგორც „ნინოს ცხოვრების“ „მცირე“ და „ვრცელი“ რედაქციები, „ქართლის ეპრაელთა ისტორია“, „აბიათარის მოქცევა“, „მირიანის ცხოვრება“). „მოქცევაჲს“ მატიანის „ქართველთა ცხოვრებასთან“ გაიგივება, ვფიქრობთ, იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ „მოქცევაჲს“ მატიანის არსებობას „მოქცევისაგან“ დამოუკიდებლად ვიკარაუდებთ. მაგრამ, რადგანაც ეს ვარაუდი არ მართლდება, ვფიქრობთ, მეთოდოლოგიურად გამართლებულია დასკვნა, რომ „ქართლის ცხოვრების“ წყაროდ ჩათვალოთ არა „მოქცევაჲს“ ქრონიკის „უკეთესი ვარიანტი“, არამედ მისი მსგავსი, მასთან ახლო მდგომი თხზულება, რომელიც ასევე ასახავდა ქართლის ისტორიას („მოქცევაჲს“ ქრონიკის „მოქცევისაგან“ დამოუკიდებელი არსებობის ვარაუდის დაშვების შემ-

---

28 ვ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 57—60.

29 იქვე, გვ. 48—49.

30 „ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, ტ. I, გვ. 248.

თხზველაშიც მას თუნდაც პირობითად „მოქცევაჲ“ „ქრონიკა“ ადარ შეიძლება ეწოდოს). ამგვარი საკარაუდო თხზულება კი („მოქცევაჲ“ მატიანის მსგავსი, მისგან დამოუკიდებელი), ცხადია, დასაშვებია და ბუნებრივიც, რომ „ქართველთა ცხოვრებასთან“ გაიგივდეს და „ქართლის ცხოვრების“ წყაროდ ჩაითვალოს.

ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, ყველაზე რეალურია ვიფიქროთ, რომ „მოქცევაჲ“ იტორს თავის თხზულებისათვის მის დროს არსებული ქართლის სამეფოს ისტორიის ამსახველი ის თხზულება უნდა გამოეყენებინა, რომლის არსებობაზე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ქართლის ცხოვრების დასაწყისი ნაწილის ტრადიციული ისტორიაც მიუთითებს („ქართველთა ცხოვრება“, რომელიც შემდგ — VIII ს-ში ჯუანშერმა განაკრცო და რომელიც დღეს „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს) და ჩვენს ისტორიოგრაფიაშიც ივარაუდება („საეკლესიო მატიანის“ პირობითი სახელწოდებით).

ვფიქრობთ, ამგვარი შესაძლებლობა არაფრით არ არის გამორიცხული, მაგრამ, ცხადია, ამ საკითხს მხოლოდ „მოქცევაჲ“ მატიანისა და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების შედარებითი შესწავლით უნდა მოეფინოს შუქი[31].

Э. Г. АБАШИДЗЕ

ИСТОРИЯ ГРУЗИИ В «ОБРАЩЕНИИ ГРУЗИИ»

Резюме

В статье рассматривается структура исторического сочинения раннефеодальной эпохи «Обращение Грузии». Предполагается, что его первоначальная редакция должна была возникнуть в виде триптиха, первая часть которого и есть собственно история Грузии (т. н. «Историческая хроника»). Его функция сводится к локализации факта христианизации Грузии. Центральной частью триптиха следует считать т. н. «Пространное житие св. Нино». Третьей частью — т. н. «Книгу Мириана». Указанные части «Обращения» являются, в свою очередь, сложными по составу.

Предполагается, что источником первой части «Обращения» — истории Грузии (как и «Картлис цховреба»), является «Житие грузин» („ქართველთა ცხოვრება“), упомянутое в истории «Картлис цховреба» в т. н. «Приписке Джуаншера».

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის განყოფილებამ

---

31 ქართლის ცხოვრების „მოქცევაჲ“ მატიანიდან (თუნდაც მისი უკეთესი ვარიანტიდან) მომდინარობა, ვფიქრობთ, არ დასტურდება ვარაზბაკურის მეფობის ქართლის ცხოვრებისა და „მოქცევაჲ“ მატიანის პარალელური ადგილების წყაროთმცოდნეობითი შესწავლით. საფიქრებელია, რომ ქართლის ცხოვრების ეპიზოდი კი არ წარმოადგენს „მოქცევაჲ“ გაცილებით ლაკონური შესაბამისი ადგილის განვრცობას (როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო), არამედ პირიქით, „მოქცევაჲ“ ეპიზოდი უნდა იყოს ქართლის ცხოვრებაში დაცული ამ ადგილის შემოკლების შედეგი (იხ. ე. აბაშიძე, „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ტექსტების შედარებითი შესწავლის საკითხისათვის, — ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელა მიქაიაშვილი

ომან ხერხეულიძის შემოქმედების შესწავლის ისტორიიდან

XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსის ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას 1722—1787 წლებში. თხზულების ერთი, შედარებით მცირე ნაწყვეტი პირველად 1832 წელს გამოაქვეყნა სოლომონ დოდაშვილმა წერილში „მეფობა ირაკლი მეორისა“[1]. წერილი იწყება ერეკლეს მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით, სადაც ქრონოლოგიურ შეცდომებსაც ვხვდებით (მაგალითად, ერეკლეს დაბადების თარიღად ნაჩვენებია 1716 წელი, ნაცვლად 1720 წლისა). ამას მოსდევს ომან ხერხეულიძის თხზულების ტექსტის ნაწილი, რომელშიც თხრობა იწყება 1736 წლიდან, როცა ნადირშაჰმა ყანდაარს მყოფ თეიმურაზს განთავისუფლების პირობად ერეკლეს ჩამოყვანა მოსთხოვა, და წყდება ერეკლესა და ახატ-ხანს შორის გარნაჩაისთან მომხდარი ბრძოლის აღწერით[2]. ტექსტის ბოლოს მოთავსებულ შენიშვნაში ს. დოდაშვილი წერს: „შემდგომი მეფის ირაკლის ისტორია დასასრულამდე იქმნების დაბეჭდილი სხვა დროს“. ვინაადან წერილში თხზულების ავტორი არ არის ნახსენები, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ს. დოდაშვილს ხელთ არ ჰქონია რაიმე ცნობა მისი ვინაობის შესახებ.

აღნიშნული წერილი თავის დროზე შეაფასა მკვლევარმა მაქს. ბერძნიშვილმა, რომელიც წერს: „ნაწარმოები მეორე აბზაციდან ბოლომდე წარმოადგენს ისტორიკოს ომან ხერხეულიძის (გარდ. 1805 წ. ივნისის დამლევს) თხზულების შემოკლებულსა და თავისუფალ (ნაწილობრივად) თხრობას. ეს ნათლად ჩანს იმ ორიოდე შენიშვნითაც, ტექსტს რომ აქა-იქ დაერთო სქოლიოთა სახით. მაგრამ არის ავტორიზებული ადგილებიც, მაგალითად, ომანის მიხედვით, ახატ-ხანთან ბრძოლის წინ ირაკლი ეტყვის ქართველ ჯარს: „.... თქვენ ჩემის გაწბილიერებისა და ჩემის გულისათვის იხოცებით...“ სოლ. დოდაშვილი კი ირაკლის ათქმევინებს წინაუკმოს: „ნუ ჰგონებთ, რომელ მე სისხლსა თქვენსა ვღვრიდე განძლიერებისათვის შემძლებელობისა ჩემისა!“... სოლ. დოდაშვილის ენა ომანთან შედარებით მძიმეა“[3]. ასეა თუ ისე, ს. დოდაშვილის ნაწარმოებთა კრებულის რედაქტორებმა საჭიროდ მიჩინეს ამ კრებულში ხელმეორედ გამოექვეყნებინათ ომან ხერხეულიძის თხზულების შესაბამისი ნაწყვეტი[4].

---

[1] „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832, № 3, გვ. 49—58; № 4, გვ. 73—80.

[2] შდრ. ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, — წიგნში: ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. მეორე, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. 477—486.

[3] მ. ბერძნიშვილი, შენიშვნები, სალიტერატურო მემკვიდრეობა, — წიგნში: ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 377.

4. იქვე, გვ. 204—214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეფობა ირაკლი მეორისა“ რუსულად ითარგმნა და 1851 წელს გაზ. „კავკაზში“ დაიბეჭდა სათაურით „Летопись о царе Ираклие II“[5].

ტექსტის დასაწყისში მოთავსებულია რედაქტორის შენიშვნა[6], საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერის ქართული ტექსტი, გადაწერილი თავრიზში უცნობი პირის მიერ, გორის მაზრაში მცხოვრები ნახუცრიშვილის ოჯახში უპოვნია ვინმე მეღვინეთხუცესშვილს[7]. რედაქტორის თხოვნით, აღნიშნული ტექსტი რუსულად უთარგმნია ს. დოდაშვილს ვაჟს, ივანე დოდაშვილ-მაღაროელს. როგორც ტექსტის მთარგმნელს, ისე რედაქტორისათვის, თხზულების ავტორის ვინაობა უცნობი ყოფილა.

ომან ხერხეულიძის თხზულებამ 29 ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე. მათ შორის არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფრაგმენტული ნუსხა, A — 1224, რომელიც 2 ფურცლისაგან შედგება[8]. შემორჩენილი ტექსტიდან ირკვევა, რომ რედაქციულად ეს ნუსხა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული E — 66 ნუსხის მსგავსია[9]. A — 1224 ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს: „ქ. წელსა 1820, მ(ორონ)კ(ონ)ს ფს, გადაიწერა წიგნი ესე და ანბავი მეფის თეიმურაზისა, მეფის ირაკლისა თავრიზს, ძველს კოპიოდამ, არც მეტი, არც ნაკლები. ეს წიგნი ზაალ ნახუცროვისა არის“ (ფ. 2r). როგორც ჩანს, გაზ. „კავკაზში“ მოხსენიებული ხელნაწერის მფლობელი „ნახუცროშვილი“ და A — 1224 ნუსხის ანდერძში დასახელებული ზაალ ნახუცროვი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. ამავე დროს, როგორც ვნახეთ, ხელნაწერის გადაწერის ადგილად ორივე შემთხვევაში დასახელებულია თავრიზი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, გაზ. „კავკაზის“ რედაქციაში თავის დროზე მოხვედრილი ხელნაწერი ომან ხერხეულიძის თხზულებისა სწორედ A — 1224-ია. ამ ფრაგმენტის შემორჩენილი ტექსტის შესწავლის შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, გაირკვა, რომ ის E — 66 ნუსხის ტიპისაა.

ომან ხერხეულიძის თხზულების ი. დოდაშვილისეული რუსული თარგმანის დასაწყისი ნაწილი თითქმის ზუსტად მიყვება ქართულ დედანს, მომდევნო ნაწილში კი შეიმჩნევა თავისუფალი და შემოკლებული თარგმნა. მაგალითად,

---

[5] „Кавказ“, 1851, № 20, 21, 26.

[6] „Летопись эта найдена г. Мегвинетхуцесовым в Горийском уезде у дворянина Нахуцерашвили. Написана она неизвестным лицом в Тавризе, вероятно, кем-нибудь из грузин, состоявших в свите Ираклия. Считая этот документ довольно интересным и важным для истории Грузии, мы просили г. Додаева — Магарского перевести его по-русски. г. Додаев с благородною готовностью согласился“ („Кавказ“), 1851, № 20).

[7] ეს მეღვინეთხუცესშვილი, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთხუცესშვილი (1815—1878), ისტორიკოსი და მწერალი, რომელიც მ. ბროსესთან ერთად ეწეოდა საქმიანობას ქართული წერილობითი ძეგლების შეკრება-გამოქვეყნების დარგში. მის შესახებ იხ. მაქს. ბერძენიშვილი, მასალები ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, 11. თბ., 102—103; შ. ხანთაძე, მეღვინეთხუცესშვილი დიმიტრი კონსტანტინეს ძე, — ჟსე, ტ. 6, გვ. 635.

[8] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტ. IV. შედგენილ ჰქონ. შარაშიძემ. თბ., 1954.

[9] ხელნაწერი გადანუსხულია 1838 წელს პეტერბურგში სეიმონ ტაბიძის მიერ მ. ბროსესთვის. დედნად გადამწერს გამოუყენებია ირაკლი მუხრანსკის კუთვნილი ნუსხა, რომელიც ამჟამად ლენინი (Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, I. М.—Л., 1956, გვ. 25—26).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერია ნათქვამი მირზა გურგინას მოღვაწეობაზე, მორიგე ჯარის შექმნაზე, ძალიან შემოკლებულად არის გადმოცემული ცნობები ტოტლებენის მიერ ჩატარებული საბრძოლო ოპერაციებისა და, საერთოდ, საქართველოში მისი მოღვაწეობის შესახებ. გარდა ამისა, თარგმანში გადაადგილებულია დედნისეულ ეპიზოდები ლეონ ბატონიშვილის შესახებ, აგრეთვე ერეკლეს მიერ გამარჯვული ვერცხლის სამადოების შესახებ. შეცდომით არის მითითებული ერეკლეს მიერ აღდგენილ და განახლებულ ციხე-სიმაგრეთა რაოდენობა — ეს სამოცის ნაცვლად დასახელებულია სამოცი, და სხვ. ყველაფერი ეს ძალზე მოკლედ არის შეჯამებული ტექსტის ბოლოს და თხრობა მთავრდება შემდეგნაირად: „Ираклий в свое царствование построил до 60 крепостей, возобновил—Горийскую, Телавскую, Боджормскую, Джеотскую, Суварельскую, Саубскую, Эргнетскую. Тедскую, Патардзеульскую и Нарийскую. Открыл серебряныя руды в Сомхетии и призывал из Греции мастеров для обработки их; установил правительственныя лица в городах и деревнях, что много способствовало к благоденствию народа. Но под конец своей жизни он лишился любимого сына Леона и обстоятельство это разстроило все его планы и будущия надежды возрастающего царства“.

გარდა ამისა, რომ თარგმანში დარღვეულია თხრობის დედნისეული თანმიმდევრობანი, ვხვდებით ქრონოლოგიურ უზუსტობებსაც. მაგალითად, ყვარლის ციხის ალყის თარიღად დასახელებულია 1753 წ., ნაცვლად 1755 წლისა, ჩონჩოლმუსას თავდასხმის თარიღად კი 1755 წ., ნაცვლად 1759 წლისა და სხვ.

აღნიშნული თარგმანის გარდა ივანე დოდაშვილმა იმავე გაზეთ „კავკაზში“ 1854 წელს გამოქვეყნა კიდევ ერთი ნარკვევი ერეკლეს ახალგაზრდობის წლების შესახებ[10]. ამ ნაშრომში გადმოცემულია ომან ხერხეულიძის თხზულების ის ეპიზოდი, სადაც საუბარია ირანს მყოფი თეიმურაზის მიერ გამოგზავნილ წერილზე, რომელშიც თეიმურაზი ნადირ-შაჰის ბრძანებას აცნობს ერეკლეს და ირანის სატახტო ქალაქში უხმობს მას. აქვე საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი ნადირ-შაჰის მიერ წამოწყებულ სინდეთის ლაშქრობაში ერეკლეს სიმარჯვისა და გონებამახვილობის ამბავი ისე, როგორც ეს გადმოცემულია ხერხეულიძის თხზულების ზოგიერთ ხელნაწერში. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული A — 1244, H—1383, H—960, H—631 და H—1308 ნუსხები[11], რომლებიც XIX ს-ის პირველ ნახევარშია გადაწერილი. ომან ხერხეულიძის თხზულების ტექსტი ამ ნუსხებში შევსებულია რამოდენიმე საინტერესო ეპიზოდით, რომელთა შორის არის სინდეთის ლაშქრობაში ერეკლეს მიერ გამოჩენილი გონებამახვილობის ამბავიც. რამდენადაც ადრე გამოქვეყნებულ რუსულ თარგმანში ი. დოდაშვილს ეს ეპიზოდი არ შეუტანია, ხოლო ის ფაქტი, რომ ეს მასალა ომან ხერხეულიძის თხზულებიდან არის ამოღებული, უდავოა, ეფიქრობთ, რომ ავტორს მოგვიანებით ხელთ ჩაუვარდა თხზულების შევსებული რედაქციის შემცველი ნუსხა. წინაადგდგ შემთხვევაში, მას რომ თავიდანვე ხელთ ჰქონდა ორივე რედაქციის ტექსტი, ეს ეპიზოდი 1851 წელს გამოქვეყნებულ თარგმანშიც აისახე-

[10] И. Додаев-Магарский. Юность грузинского царя Ираклия II-го, „Кавказ“, 1854, № 27, გვ. 106—108.

[11] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. II. თბ., 1951; ტ. III. თბ., 1948; A კოლექცია, ტ. IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა. ი. დდდამვილის იგივე წერილი რამდენიმე წლის შემდეგ ჯურნალ „ცისკარშიც“ გამოქვეყნდა ქართულ ენაზე[12].

„მეფობა ირაკლი მეორისა“ ორჯერ არის გამოქვეყნებული ქართულ ენაზე. პირველად ის დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა პეტერბურგში „ქართლის ცხოვრების“ შემადგენლობაში[13]. როგორც ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების შესწავლით გამოირკვა, დ. ჩუბინაშვილს ამ გამოცემის დედნად ჰქონია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული E — 66 ნუსხა, როგორც, როგორც ითქვა, სვ. ტაბიძის მიერ არის გადაწერილი. ქართული გამოცემის ეს ტექსტი 1913 წელს უცვლელად გაიმეორა ზ. ჭიჭინაძემ[41].

ომან ხერხეულიძის თხზულების ვრცელი ნაწილი სათაურით: „ირაკლი II-ის მეფობა საქართველოში“ ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა 1862 წელს[15]. ეს ტექსტი E — 66 ნუსხის ტიპისაა, მიყვება დ. ჩუბინაშვილის გამოცემის 474—495 გვერდებს და მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ხოლო ესვითარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისაგან უანგარიშონი არიან და ამად ყოველნივე ვერ მოვიხსენეთ, არამედ იგი აღვრიცხეთ, რომელი ღირსად ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალნი წვრილნი გამარჯვებები დავიდუმეთ“. პუბლიკაციაში მითითებული არ არის არც თხზულების ავტორი და არც გამომცემლის ვინაობა. ასევე ავტორის დაუსახელებლად არის მოყვანილი ომან ხერხეულიძის თხზულების შესაბამისი ნაწილი გაზეთ „ივერიაში“ ცნობილი მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის თ. დ. ყორდანიას მიერ „ეგრის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში: „სა-მაგალითო ომი მეფე ერეკლისი სპარსეთის შაჰ ახთ-ხანთან ერევნის ახლო გარნაჩაიზე 1752 წ. ივნისში“[16]. ამავე გაზეთში რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა მ. ჯანაშვილის გამოკვლევა „მეფე ერეკლე“, რომლის ბოლოს მოთავსებულ შენიშვნაში ავტორი წერს: „რაც შეეხება მეფე ერეკლეს ლაშქრობას, ამის ამბავი, მოთხრობილი ომან მდივნის მიერ, ცალკე დაიბეჭდება“[17].

1892 წელს ა. გარსევანიშვილმა „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი — „ყარათაფის ომი 1750 წ.“ ერთ შენიშვნაში ავტორი მიუთითებს: „იხილე: 1. პაპუნა ორბელიანის ქრონიკა, 2. ომან ხერხეულიძე, ერეკლე მეორის ცხოვ., და 3. Прибавление к СПб ведомостям. 1753, 23 ნოემბერი“[18].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ „მეფობა ირაკლი მეორისა“ ჯერ კიდევ 1854 წელს გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა სრული სახით. XIX ს-ის ქართულ პრესაში მხოლოდ 90-იანი წლებ-სათვის გვხვდება ცნობები ომან ხერხეულიძის ავტორის შესახებ.

---

12 ი. დ ო დ ა ე ვ-მ ა ღ ა რ ი ე ლ ი, სიუპპუკე საქართველოს მეფის ირაკლი ბ-სა. „ცისკარი“, 1859, № 10, გვ. 151—160.

13 ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. მეორე, სპბ., 1854, გვ. 475—500.

14 საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფ., 1913.

15 „ცისკარი“, 1862, № 1—2, გვ. 1—27; 105—152.

16 „ივერია“, 1886, № 108.

17 „ივერია“, 1890, № 110.

18 „ივერია“, 1892, № 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს აგრეთვე თხზულების ფრანგული თარგმანი, შესრულებული მარი ბროსეს მიერ[19]. აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებულ გამოცემებთან შედარებით ეს თარგმანი უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას. მაგალითად, ქართული გამოცემისაგან განსხვავებით, მ. ბროსეს ნაშრომის წინასიტყვაობაში გარკვევით არის მითთებული ის ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო თარგმანს. მ. ბროსეს განმარტებით, აღნიშნული ხელნაწერი მისთვის იულონ ერეკლეს ძის ვაეს, ლუარსაბს გადაუცია[20]. ომან ხერხეულიძის თხზულების ნუსხებს შორის, მართლაც, აღმოჩნდა ხელნაწერი S—3677, რომლის ანდერძი გვამცნობს: „აღვჰსწერე ისტორია ესე მეფის ერეკლე მეორისა მე სჯ̓ეონ ტაბიძემან ბრძანებითა ბატონიშვილის იულონის ძის ლუარსაბისათა, წელსა 1845-სა, თვესა თებერვალსა 5-სა დღესა, სანკტ-პეტერბურღსა შინა“[21]. ამ ხელნაწერისა და ბროსეულები ფრანგული თარგმანის ტექსტების შეჯერებით დადგინდა, რომ ფრანგ მეცნიერს სწორედ ეს ნუსხა ჰქონია ხელთ. გარდა ამისა, მას გამოუყენებია გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული რუსული თარგმანიც, რაზედაც მიუთითებს ფრანგულ თარგმანში მეტანილი ეპიზოდი ნადირ-შაჰის სინდოეთში ლაშქრობის შესახებ[22].

ასეთია მოკლედ ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“-ს გამოცემებისა და თარგმანების ისტორია.

Л. В. МИКИАШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ ТВОРЧЕСТВА ИСТОРИКА ОМАНА ХЕРХЕУЛИДЗЕ

Резюме

«История Ираклия II» видного грузинского историка Омана Херхеулидзе, повествующая о событиях 1722—1787 гг., занимает важное место в источниковой базе истории средневековой Грузии. Изучение и издание исторического сочинения О. Херхеулидзе началось еще в 30-х годах XIX в. В начале 50-х гг. появился и русский его перевод. В 1854 г. в составе второго тома «Картлис цховреба» в Петербурге был издан полный грузинский текст «Истории Ираклия II» (Д. Чубинашвили), а в 1857 г.—и комментированный французский перевод сочинения (М. Броссе). Несмотря на это, в грузинской периодической печати только с 90-х гг. XIX в. появляются сведения об авторстве Омана Херхеулидзе.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

---

[19] Histoire de la Géorgie. Trad. du georgien par M. Brosset, II partie, II livr. SPb. 1857, გვ. 204—227.

[20] იქვე, გვ. 203—204.

[21] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ. V. შეადგინეს თ. ბრეგვაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჯანკიევმა, თბ., 1967.

[22] ამ გამოცემის ტექსტის გაცნობაში დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ ფრანგული ენის სპეციალისტს ქეთევან ჯაფარაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგი მეტრეველი

კონფესიური თემები ლიბანში

ლიბანს თავისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემის წყალობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არაბულ სამყაროში. ის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფო მმართველობა აგებულია კონფესიურ სისტემაზე. ლიბანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას, რომელიც განასხვავებს მას სხვა არაბული ქვეყნებისაგან, წარმოადგენს მოსახლეობის რთული რელიგიური შემადგენლობა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მოსახლეობა ამ ქვეყანაში დაჯგუფებულია არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნის მიხედვით, მსხვილ რელიგიურ თემებად.

ლიბანის რელიგიურ თემთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: მარონიტულ, სუნიტურ, შიიტურ, ბერძნულ-მართლმადიდებლურ, ბერძნულ-კათოლიკურ და დრუზულ თემებს. მიუხედავად იმისა, რომ ლიბანის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (გამონაკლისია სომხური თემი) ეთნიკური თვალსაზრისით საკმაოდ ერთგვაროვანია, სარგებლობს არაბული ენის ლიბანური დიალექტიკით და მიეკუთვნება ერთ ეთნოსს — ლიბანელ არაბებს, მათ შორის არსებული ტრადიციული კონფესიური განსხვავებები საშუალებას გვაძლევს დავუშვათ ერთი ეთნოსის ფარგლებში რამდენიმე ჯგუფის არსებობა, რომლებიც განცალკევებული არიან კონფესიური ფაქტორის გავლენით. ასეთ ჯგუფებს ჩვენ ვუსადაგებთ ტერმინს „ეთნოკონფესიური გაერთიანებები“ ანდა „ეთნოკონფესიური ჯგუფები“[1].

ლიბანის ეთნოკონფესიურ ჯგუფებს აქვთ თითოეული მათთანისათვის დამახასიათებელი სოციალური ორგანიზაციის თავისებურებანი, მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტები, მორალურ-ეთიკური ნორმები და სხვა სპეციფიკური თვისებები, რომლებიც მათ ჩამოუყალიბდათ კონკრეტული საზოგადოებრივ-ისტორიული და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გავლენით. რელიგიური თემების განცალკევებას ხელი შეუწყო კონფესიურმა კერჩაკეტილობამ (აქ სხვა ფაქტორებთან ერთად იგულისხმება მკაცრი თემობრივი ენდოგამიაც), რამაც საბოლოოდ განაპირობა ლიბანის საზოგადოების მოზაიკურობა.

საუკუნეთა განმავლობაში თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, იმდროინდელ მისადგომი მთიანი რელიეფის წყალობით, ლიბანი სხვადასხვა

---

1 ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ ბრუკის, ჩებოკსაროვის, ჩესნოვისა და როდიონოვის მიერ ხმარებულ ტერმინს (Брук С. И., Чебоксаров Н. Н, Чеснов Я. В. Проблемы этнического развития стран Зарубежной Азии — „Вопросы истории“, 1969, №1; Родионов М. А. Марониты. Из этноконфессиональной истории Восточного Средиземноморья, М., 1982).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგიის წარმომადგენლებისათვის თავშესაფარად გადაიქცა. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს ჩვენ აქ ვხვდებით ქრისტიანული რწმენის თითქმის ყველა მიმდინარეობას. ლიბანში შემორჩენილია ცალკეული დასახლებული პუნქტები და მთელი რაიონებიც კი, რომელთა მცხოვრებნი გაერთიანებული არიან ერთ რომელიმე რელიგიურ თემში. ასეთ თემთა რიცხვს პირველ რიგში მიეკუთვნებიან: მარონიტების, დრუზების, მართლმადიდებლების, მეტუალების (შიიტები) და უნიატების გაერთიანებები.

ტერმინ „ღმერთკაცთან“ დაკავშირებულმა დოგმატიკურმა კამათმა ბიზანტიაში ორთოდოქსალური — მართლმადიდებლური დოქტრინის გვერდით საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანობაში ისეთ საღვთისმეტყველო მოძღვრებათა შექმნას, როგორიც იყო ნესტორიანობა, მონოფელიტობა და მონოფიზიტობა. ნესტორიანული მიმდინარეობა, რომელმაც თავისი სახელწოდება მიიღო კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნესტორის (V ს.) სახელის მიხედვით, აღიარებდა ქრისტეში ორი ბუნების არსებობას, მაშინ როდესაც მონოფიზიტური რწმენა მასში ხედავდა მხოლოდ ერთს — ღვთიურ ბუნებას. მონოფიზიტები ქრისტეში აღიარებდნენ არა „ადამიანურ სუბსტანციას“, არამედ მხოლოდ „ადამიანური ნიშნებს“ სინთეზს. სირიულ მონოფიზიტურ ეკლესიას მისი დამაარსებელის, ედესის ეპისკოპოსის იაკობ ბარადაიას (VI ს.) სახელის მიხედვით ეწოდა „იაკობიტური“. მონოფიზიტებთან შემრიგებლური პოლიტიკის გატარების მიზნით, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა სერგიმ (VII ს.) ქრისტეში ორი ბუნების არსებობასთან ერთად აღიარა ერთიანი ნებაც. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ახალი ღვთისმეტყველური მოძღვრების-მონოფელიტობის შექმნას, რომელიც მალე დაგმო ბიზანტიის ოფიციალურმა ეკლესიამ და გამოაცხადა ერესად[2].

ბიზანტიელ ხელისუფალთა მიერ დევნილი, სხვადასხვა მიმდინარეობის მიმდევარი ქრისტიანები თავშესაფარს პოულობდნენ ლიბანის მთებში, არაბთა დაპყრობების პერიოდისათვის (635—640 წწ.) აქ დამკვიდრდნენ, როგორც ნესტორიანები, მონოფელიტები და მონოფიზიტ-იაკობიტელები, ისე მართლმადიდებლები, რომლებიც აღიარებდნენ ბიზანტიის იმპერიის ოფიციალურ დოქტრინას, რის გამოც მათ მოგვიანებით ეწოდათ „მელქიტები“, ე. ი. „მეფის მიმდევრები“.

VII ს-ის დასასრულს შიდა სირიიდან ჩრდილოეთ ლიბანის მთებში გადასახლება დაიწყეს მარონიტებმა — ესენი იყვნენ დასაწყისში ქრისტიანობის მონოფელიტური მიმდინარეობის მიმდევრები, რომელთაც თავისი სახელწოდება მიღებული ჰქონდათ ნახევრადლეგენდარული სირიელი ასკეტის, მარონის (მარონის) საპატივსაცემოდ. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში დასახლდნენ მუსლიმი შიიტები. XI ს-ში შიიტური მიმდინარეობის ერთმა განშტოებამ, ლიბანის სამხრეთ ნაწილში დასახლებულმა ისმაილიტებმა, ჩამოაყალიბეს დრუზების თემი. ეს თემი XI ს-ში პროზელიტებისათვის გამოცხადდა დახურულად, მაგრამ მასში ახლადმოქცეულთა მიღება დაახლოებით XVII ს-მდე გრძელდებოდა.

განსაკუთრებით გაიზარდა რელიგიურ თემთა რაოდენობა ლიბანში რომის კურიის გავლენის გაძლიერების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად

---

[2] Spuler B., Le christianisme chez les Arabes.—Medieval and Middle Eastern Studies, Leiden, 1972, გვ. 359—366.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის ხანგრძლივი ცდებისა, პაპის უმაღლესი ავტორიტეტი აღიარა აღმოსავლური ეკლესიების ღვთელმსახურთა მხოლოდ ნაწილმა. ნესტორიანულ ეკლესიას გამოეყვნენ უნიატები (1552 წ.) და მიიღეს „ქალდაველთა“ სახელწოდება; ხოლო ისინი, ვინც დარჩნენ ნესტორიანებად თავის ეკლესიას უწოდეს „აღმოსავლურ სირიული“. მოგვიანებით, XIX ს-ში პროტესტანტი მისიონერების მცდელობის შედეგად, ნესტორიანობას გამოეყო ახალი პროტესტანტული მიმდინარეობა, „სირიული ამერიკული სამიციქულო ეკლესია“. იაკობიტელებს, ანდა, როგორც მათ უწოდებენ „სირიელ მართლმადიდებელთ, ჩამოცილდა სირიული უნიატური თემი (1662 წ.), უნია ზიიღო ბერძნელმა მართლმადიდებლურმა (მელქიტების) მრევლმაც (1709 წ.) და სომხური ეკლესიის ნაწილმა (1740 წ.). იმისათვის, რომ ხაზი გაესვათ რომთან კავშირისათვის, უნიატური მიმდინარეობის ეკლესიებს ხშირად ემატებოდა სიტყვა „კათოლიკე“. ასე მაგალითად, ქალდეველი კათოლიკე, სირიელი კათოლიკე, სომეხი კათოლიკე, ბერძენი კათოლიკე. იმ ბერძენმა კათოლიკებმა, რომლებიც ადრე მართლმადიდებლობას აღიარებდნენ უნიის მიღების შემდეგ, თავიანთი ადრე არსებული თემის სახელწოდება — „მელქიტები“ დაიტოვეს (ეს სახელწოდება XIX ს-ის მეორე ნახევრიდან იხმარება მხოლოდ უნიატების მიმართ). სხვა აღმოსავლურ-ქრისტიანული თემებისაგან განსხვავებით მარონიტები არ დაიყენენ ძველ და ახალ მიმდინარეობებად, რადგანაც ამ ეკლესიის ყველა წარმომადგენელმა აღიარა რომის პაპის უმაღლესი ხელისუფლება.

ამგვარად, ლიბანში თავს იყრის აღმოსავლური ქრისტიანული ეკლესიის მიმდევართა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ესენი არიან ერთი მხრივ, ბერძენი მართლმადიდებლები, ნესტორიანები (ძველი სირიელები), იაკობიტელები (სირიელი მართლმადიდებლები) და სომეხი გრიგორიანელები, მეორე მხრივ, ეკლესიები, რომლებმაც უნია დადეს ვატიკანთან: მარონიტები, ბერძენი კათოლიკები (მელქიტები), ქალდეველები (უნიატები ნესტორიანთაგან), სირიელი კათოლიკები (უნიატები იაკობინელთაგან) და სომეხი კათოლიკები. ლიბანში მოქმედებს აგრეთვე მართალია მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ გავლენიანი პროტესტანტული თემიც. ისლამის რელიგია აქ წარმოდგენილია: სუნიტების, შიიტების (მეტუალები), ნუსაირიტების (ალავიტები) და დრუზების რელიგიური თემებით. ლიბანში ჩვენ ასევე ვხვდებით იუდეველთა, ბეჰაიტელთა და სხვა რელიგიების წარმომადგენლებსაც.

მახლობელ აღმოსავლეთში ეთნოკონფესიური ჯგუფების განკერძოებისაკენ მისწრაფებამ თავისი „კლასიკური“ გამოხატულება პოვა ავტონომიური რელიგიური თემების — მილეთების სისტემაში, რომელთა მეთაურებიც განაგებდნენ, როგორც სასულიერო საქმეს, ისე თავისი თემის წევრების კერძო საკითხების სტატუსს. მილეთების სისტემა საბოლოოდ გაფორმდა ოსმალეთის გამგებლობის ხანაში, როდესაც მილეთების იერარქიის სათავეში მოექცა სუნიტური თემი.

ავტონომიურ თემთა (მილეთების) ოფიციალური სტატუსი, რომლითაც ჯერ კიდევ იმპერიის ჩამოყალიბების პერიოდიდან სარგებლობდნენ: მართლმადიდებლები, სომეხი გრიგორიანელები და იუდეველები, ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ მიანიჭა ქრისტიან უნიატებსაც, ბერძენ კათოლიკეებს (1848 წ.), ქალდეველებს (1861 წ.), სირიელ კათოლიკეებს (1886 წ.), სომეხ კათოლიკეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1831 წ.), მარონიტებს (1841 წ.) და ამერიკელი მისიონერების მიერ დაარსებულ პროტესტანტულ თემს (1850 წ.).

რელიგიური დოქტრინების მრავალფეროვნების მიუხედავად, მილეთები აგებული იყო ერთმანეთის მსგავსი სოციალური სქემით. მილეთების სახოგადოებრივ-ეკონომიკური კარჩაკეტილობას ხელს უწყობდა, როგორც ყოფაცხოვრებითი, ისე საწარმოო-სამეწარმეო ურთიერთობებიც. მახლობელი აღმოსავლეთის ღვთისმსახურნი მილეთს წარმოგვიდგენდნენ ერთგვარ უნიკალურ ინსტიტუტად, სადაც შერწყმული იყო სოციალურ-ეკონომიკური, სამოქალაქო და რელიგიური ფუნქციები. მილეთებს ამგვარი მრავალფუნქციურობა გამოხატული იყო ტერმინოლოგიურადაც. ერთ-ერთი ასეთი ტერმინი (თურქული „მილეთი“, არაბული „მილა“) ნიშნავს ავტონომიურ, რელიგიურ თემს, სადაც რელიგიური კავშირები გაიგივებულია ეთნიკურთან. მეორე (არაბული „ტაიფა“) მიუთითებს თემის კონკრეტულ სოციალურ ფუნქციაზე. მესამე ტერმინი (არაბული „უმა“) ხაზს უსვამს რელიგიური ერთიანობის იდეოლოგიურ ასპექტს. თანამედროვე არაბულ პოლიტიკურ ლექსიკონში სიტყვა „უმა“ გამოხატავს „ერის“ (ნაცია) გაგებასაც.

ეთნიკური კავშირების რელიგიურით შეცვლამ საფუძველი მისცა გარკვეული იდეოლოგიური წარმოდგენების შექმნას ე. წ. „რელიგიურ ერზე“, რამაც თავისი მხრით ხელი შეუწყო ეთნიკური გრძნობების განვითარების შეფერხებას მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში.

ლიბანის მარონიტული და დრუზული თემები წარმოადგენენ ეთნოკონფესიურ ჯგუფებს, რომლებიც არსებობენ ერთი ძირითადი ეთნოსის (ლიბანელი არაბების) ფარგლებში და განცალკევებული არიან რელიგიური ნიშნით.

დრუზებისა და მარონიტების მდგომარეობა არაბულ სამყაროში, მათთვის დამახასიათებელი მთელი რიგი რელიგიური, ეთნოგრაფიული თუ ყოფითი თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებენ მათ მუსლიმური თუ ქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობების მიმდევარი სხვა არაბებისაგან, საფუძველი მისცეს პსევდომეცნიერული ვერსიების შექმნას დრუზებისა და მარონიტების ვითომდა არაარაბული წარმოშობის შესახებ. მსგავს თეორიებს შესაძლოა არ ჰქონოდათ ასეთი ფართო გავრცელება, ისინი რომ არ პასუხობდნენ ევროპული სახელმწიფოების კოლონიალურ ინტერესებს და ლიბანელთა გარკვეული ნაწილის ნაციონალისტურ მისწრაფებებს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სახელმწიფოები და ლიბანის ნაციონალისტური წრეები თავის სასარგებლოდ იყენებენ დრუზებისა და მარონიტების სწრაფვას საკუთარი თემობრივ-რელიგიური თავისთავადობის შენარჩუნებისათვის, რათა ამის საფუძველზე შექმნან საკუთარი სოციალური და პოლიტიკური დასაყრდენი.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მრავალი ჰიპოთეზა დრუზებისა და მარონიტების ეთნიკურ წარმოშობასთან დაკავშირებით. ლიბანელმა ნაციონალისტებმა (რომელთა დასაყრდენს წარმოადგენს XVII—XVIII სს. ისტორიკოსის ისტიფან ად-დუვაიჰის შემოქმედება) წამოაყენეს მეცნიერულად დაუსაბუთებელი თეზისი მარონიტების მარდაიტული წარმოშობისა და მათი „თავდაპირველადი მართლმორწმუნეობის“ შესახებ. დებულებამ ლიბანის ფინიკიური წარმოშობის შესახებ, რომელსაც საფუძვლად ედო, ერთი მხრით, მარონიტების, ხოლო მეორე მხრით. დრუზების ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალბი გაიგივება, ხელი შეუწყო იდეალისტური წარმოდგენების შექმნას, განსაკუთრებული ერების (ფრანგული la nation, არაბული — უმა) არსებობის შესახებ[3]. თანამედროვე ლიბანელი ნაციონალისტები ეყრდნობიან ჯერ კიდევ შიპაბთა გამგებლობის პერიოდში (ამ დროს მარონიტებით დასახლებული ჩრდილოეთი ლიბანი შევიდა შიჰაბთა საემიროს ფარგლებში) ჩამოყალიბებულ არისტოკრატიულ დებულებას ლიბანის საზოგადოების უწყვეტი განვითარების შესახებ ფინიკიური ქალაქი სახელმწიფოებიდან მოყოლებული ლიბანის საემიროს ავტონომიის გამოცხადებამდე[4].

ამგვარი ყალბი გენეალოგიების შექმნა, რომელიც მიზნად ისახავდა ცალკეული ეთნოკონფესიური ჯგუფების რელიგიური თვითმყოფადობის გამყარებას საერთო წარმოშობით, მათში ხშირად იწვევდა სხვა ეთნოსთან თვითგამთანაბრების მისწრაფებას, რის შედეგადაც ან სუსტდებოდა, ანადა მთლიანად იშლებოდა ადრე არსებული ეთნიკური კავშირები.

ნაციონალისტური იდეოლოგიური კონცეპციიდან გამომდინარე, მარონიტები და დრუზები გვევლინებიან ე. წ. „რელიგიურ ერებად", რომელთაც გააჩნიათ: მარონიტებს — საერთო ფინიკურ-მარადაიტული წრმოშობა, ასირიული ენა, განსაზღვრული ტერიტორია (ჩრდილოეთი ლიბანი)[5]; დრუზებს — იდეალობრივი წარმოშობა, ყოფისა და რელიგიური სისტემის თავისებურებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავებდნენ მათ ისლამის სხვა მიმდინარეობებისაგან, არაბული ენის ლიბანური დიალექტი და საკუთარი ტერიტორია (მთიანი ლიბანი).

ვიდრე ეთნონიმ „არაბს" ლიბანის გარკვეული ნაწილისათვის კონფესიური (მუსლიმური) მნიშვნელობა აქვს, გარკვეული წრეები ცდილობენ დაამტკიცონ მარონიტებისა და დრუზების „არაარაბული წარმოშობა". მაგრამ ამ ტერმინის სეკულარიზაციის პროცესთან დაკავშირებით, ზოგიერთი მარონიტი და დრუზი პოლიტიკური მოდვაწე ალიარებს ლიბანის არაბულ ხასიათს და მის კავშირს საერთო არაბულ კულტურასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოკონფესიური თემები ჩამოყალიბდნენ კონკრეტული საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გავლენით. ეთნოკონფესიური თემისათვის, მისი, როგორც სოციალური ჯგუფის არსებობისთვის, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თემობრივი თვითშეგნება. სწორედ ტრადიციული თემობრივი თვითშეგნება შეადგენდა მარონიტებისა და დრუზების სულიერი კულტურის ძირითად ელემენტს. ტრადიციულ შეხედულებათა მთელი კომპლექსი, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში შემოინახა დრუზებისა და მარონიტების თემები, ლიბანის მოსახლეობის დაყოფა კონფესიურ ჯგუფებად, ჩვენს დრომ-

---

[3] ამ მხრით საყურადღებოა ნაშრომი „მარონიტული ერის წარმოშობის ისტორია და მისი დამოკიდებულება სიურანგთან, დრუზების ერი და ლიბანის მთის მოსახლეობა". Murad N. Notice historique sur l'origine de la nation maronite et sur ses rapports evec la France, sur la nation druze et sur les diverses papulations du Mont Liban, Paris, 1844.

[4] Harik I. Politics and Change in a Traditional Society: Lebanon, 1711—1845, Princeton, 1968, გვ. 141—147; Guys H. Voyage en Syrie; Peinture des Moeurs Musulmanes, Chretiennes et Israe'lites. Paris, 1855, გვ. 23.

[5] Малышева Д. Б. Религия и общественно-политическое развитие арабских и африканских стран в 70—80-е годы, М., 1986, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე შემორჩენილი ენდოგამია და სხვა სოციალური ბარიერები, ხელს უშლიან ლიბანის საზოგადოების კონსოლიდაციის პროცესს.

პარიზის კონფერენციაზე (1919—1920 წწ.) ლიბანის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ლიბანის სახელმწიფოს შექმნის გეგმას საფრანგეთის დროებითი პროტექტორატის ქვეშ. 1920 წ. საფრანგეთის სამანდატო მმართველობამ მუთასარიფის დროს არსებულ ტერიტორიას — ქალაქები სური, საიდა, ბეირუთი, ტრიპოლი, ბექაა დაბლობი და ჯებელ ამილი — მიუერთა მუსლიმებით (სუნნიტებითა და შიიტებით) დასახლებული ვრცელი რაიონი და გააერთიანა „დიადი ლიბანის“ სახელწოდების ქვეშ.

მუსლიმური მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიის შემოერთებამ შეაცვალა რელიგიურ თემთა წარმომადგენლების რიცხობრივი შეფარდება ლიბანში, რის შედეგადაც მარონიტებმა დაკარგეს თავისი დომინირებული მდგომარეობა. თუ ადრე ლიბანში მარონიტები შეადგენდნენ ქრისტიანული მოსახლეობის დაახლოებით 74,4% და ლიბანის მთელი მოსახლეობის 58,5%, „დიადი ლიბანის“ შექმნის შემდეგ მათი შეფარდებითი რაოდენობა დაეცა 57,9 და 28,7%. ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის გეგმამ, ახალ ლიბანში დაკარგა ყოველგვარი საფუძველი.

1932 წლის აღწერის შემდეგ მოხდა ლიბანის მოსახლეობის ხელახალი გადანაწილება კონფესიური ნიშნის მიხედვით. ახალი აღწერის შედეგად გამოვლინდა, რომ შვიდი ძირითადი კონფესიური თემიდან (მარონიტების, ბერძენი მართლმადიდებლების, ბერძენი კათოლიკების, სუნნიტების, შიიტების, დრუზებისა და სომეხი გრიგორიანელების) არც ერთს არ შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა აბსოლუტურ სიჭარბეზე. არამყარ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქრისტიანულ- და მუსლიმური მოსახლეობის რაოდენობრივი შეფარდებაც. დრუზები, რომლებიც თავისი დოქტრინით ახლოს იდგნენ შიიზმის უკიდურეს მიმართულებასთან, აღმოჩნდნენ ცალკე, როგორც მუსლიმებისაგან, ისე ქრისტიანებისაგან. რაც შეეხება სომეხ გრიგორიანელებს და სომეხ კათოლიკეებს, ისინი არ იყვნენ ლიბანის მკვიდრი მოსახლენი. სომხები ამ ქვეყანაში გამოჩნდნენ ჯერ კიდევ ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდიდან. მათი გადასახლება ლიბანში განსაკუთრებით გააქტიურდა 1835—1922 წწ., მაშინ როდესაც თურქეთის მმართველობა სომხთა მასობრივი გადასახლების და განადგურების პოლიტიკას ატარებდა. სომეხი ლტოლვილების უკანასკნელ მნიშვნელოვან მიგრაციას ადგილი ჰქონდა 1939 წ. ალექსანდრიის სანჯაყის რაიონებიდან, რომელიც გამოეყო სირიას და მიეერთა თურქეთს. ამასთანავე ლიბანში ცხოვრობდა ათასობით ქრისტიანი ემიგრანტი, რომელთაც მუდმივ კავშირი ჰქონდათ შენარჩუნებული სამშობლოსთან ამ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ლიბანისათვის, რადგანაც საფრანგეთის მანდატის პერიოდში პრაქტიკულად ტარდებოდა რელიგიური თემების პროპორციული წარმოდგენა სახელმწიფო-სამმართველო აპარატში, რომელიც ჯერ კიდევ ემირ ბეშირ III დივანმა და მუთასარიფის ადმინისტრაციულმა საბჭომ დანერგა.

ერთობ ნეგატიურად განიხილავდნენ ლიბანში ქრისტიანულ-მუსლიმური სახელმწიფოს შექმნის იდეას მუსლიმური თემის ლიდერები. ისინი თვლიდნენ, რომ ამგვარი ღონისძიებების გატარების შედეგად ძალაუფლება ქრისტიანული ბურჟუაზიისა და მარონიტი ფეოდალების ხელში გადავიდოდა, ხოლო ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა არაბული ერის გათიშვას და ფრანგული კოლონია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზმის „ქრისტიანული ჰეგემონიის“ დამკვიდრებას[6]. ამ მიზეზით მუსლიმთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარი განაცხადა ქრისტიანებთან თანამშრომლობაზე, რასაც 1919—1920 წწ. მოჰყვა შეიარაღებული გამოსვლები მუსლიმთა მხრიდან.

რაც შეეხება ლიბანის ქრისტიანული თემების ხელმძღვანელებს, ისინი მოითხოვდნენ მხოლოდ ქრისტიანული ლიბანის შექმნას. ზოგიერთი ექსტრემისტი ლიდერი იმდენად შორს მიდიოდა, რომ უარს აცხადებდა ლიბანის მუსლიმურ რაიონებზე და ქრისტიანულ ლიბანს წარმოადგენდა ოსმალეთის გამგებლობის პერიოდში არსებული მთიანი ლიბანის ფარგლებში[7].

1928 წლის ზაფხულში, გამოჩენილმა ლიბანელმა მუსლიმმა საზოგადო მოღვაწეებმა სირიის მთავრობას სთხოვეს სირიის კონსტიტუციაში (რომელიც იმ პერიოდში მუშავდებოდა) შეეტანათ დამატებითი პარაგრაფი ლიბანის მუსლიმური რაიონების სირიასთან შეერთების შესახებ. მაგრამ მუსლიმურ თემთა ლიდერების ყოველგვარი ცდები უშედეგოდ დასრულდა და ისინი იძულებული გახდნენ ქრისტიანებთან „ისტორიულ კომპრომისზე“ წასულიყვნენ, რაც გამოიხატა იმაში, რომ 1932 წ. მათ პრეზიდენტის არჩევნებზე წამოაყენეს თავისი კანდიდატური (მანამდე მუსლიმები არ იღებდნენ მონაწილეობას ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში).

უნდა აღინიშნოს, რომ ლიბანში თავს იყრიდა მონასტრების დიდი რაოდენობა, რომელთა ხელშიც აღმოჩნდა ქვეყნის ვრცელი ტერიტორია (დამუშავებული მიწების თითქმის მეოთხედი[8]), რომელიც მარონიტულ სამღვდელოებას საკმაოდ მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა[9]. ეს ეკონომიკური საკითხი გახდა 30-იანი წლების შუა ხანებში მარონიტულ ხელმძღვანელობასა და მარონიტულ ეკლესიას შორის ურთიერთობის გამაფაფრების მიზეზი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მარონიტულმა ბურჟუაზიამ თავის ხელში მოაქცია ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა ადმინისტრაციულ აპარატში 1936—1938 წწ. საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ლიბანში, გამოაქვეყნა დეკრეტი, სადაც ოფიციალურად აღიარებული და განსაზღვრული იყო რელიგიურ თემთა ტრადიციული უფლებები და მათი ფუნქციები, რომლებიც თავისი სტატუსით ახლოს იდგნენ დღე არსებულ მილეთებთან[10].

1941 წ. ნოემბერში „თავისუფალმა საფრანგეთმა“ ლიბანი დამოუკიდებელ ქვეყანად გამოაცხადა. 1943 წ. გამოქვეყნდა ლიბანის კონსტიტუცია გარკვეული ცვლილებებით. კონსტიტუციაში შეცვლილ იქნა ყველა ის მუხლი, რომელიც არ შეესაბამებოდა სუვერენული სახელმწიფოს სტატუსს. იმავე წელს დაიღო ე. წ. „ეროვნული პაქტი“ — ზეპირი შეთანხმება, რომელსაც ხელს აწერდა ორი წამყვანი რელიგიური თემის პოლიტიკური მოღვაწე, მარონიტი ბიშარ ალ-ჰური და სუნნი მუსლიმი — რიად ას-სალჰი. ამ შეთანხმების წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს. ვარაუდობენ, რომ ის წარმოადგენს

---

[6] L'Islam et l'etat dans le monde d'aujurd'hui, Paris, 1982, გვ. 37.

[7] Sharabi H., Governments and Polities of the Middle East Eastin the Twentieth Century, Princeton—New Jersey—Toronto—London—New York, 1962, გვ. 137—138.

[8] Rabbath E., L'evolution politique de la Syrie sous mandat, Paris, 1928, გვ. 209.

[9] Серегин Н. И., Петров С. Н. Ливан, М., 1969, გვ. 15.

[10] Vaumas E. d. La repartition confessionelle au Liban—„Revue de géographic alpine“. 1955, t. 43, fasc. 3. გვ. 592—597.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1943 წ. 7 ოქტომბრის მინისტრთა დეკლარაციის ტექსტის კოდიფიკაციას[11]. შეთანხმების საფუძველზე ორივე მხარე აღიარებდა ლიბანის არაბულ ხასიათს და ამ ქვეყნის „თავისებურ სპეციფიკას[12], რაც საფუძველს აძლევდა თავისი კულტურული კავშირი შეენარჩუნებინა დასავლეთის ქვეყნებთან[13]. დეკლარაცია საგარეო პოლიტიკაში იცავდა ნეიტრალიტეტს.

„ეროვნულ პაქტში“ შევიდა 30-იან წლებში მიღებული ტრადიცია (რომელიც შეადგენს სუნიტმა პუბლიცისტმა ჰეირადდინ ანდაბმა[14]), რომლის მიხედვითაც ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტად ინიშნებოდა ქრისტიანი მარონიტი, პრემიერმინისტრის პოსტზე სუნიტი მუსლიმი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარედ ირჩევდნენ შიიტ მუსლიმს. ამ დადგენილების საფუძველზე სხვა რელიგიური თემებიც იღებდნენ გარკვეულ გარანტიებს წარმომადგენლობაზე პარლამენტში. ლიბანში დღემდე მოქმედებს ჯერ კიდევ მანდატის პერიოდში დადგენილი ნორმები ადმინისტრაციულ აპარატში რელიგიურ თემთა წარმომადგენლობაზე:[15] მარონიტები 38%, სუნიტები — 20%, შიიტები — 18%, ბერძენი მართლმადიდებლები — 10%, ბერძენი კათოლიკები და დრუზები თითოეული — 6%, დანარჩენი 10% ნაწილდება სომეხ გრიგორიანელებზე, სომეხ კათოლიკებზე და სხვა რელიგიურ „უმცირესობათა“ წარმომადგენლებზე (იაკობიტელები, სირიელი კათოლიკეები, ნესტორიანელები და სხვა).

ამგვარად, კონფესიური სისტემა, რომელიც ლიბანის კონსტიტუციის 95 მუხლის მიხედვით, წარმოადგენდა დროებით ღონისძიებას, ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის გახდა სოციალური პრობლემების რთული კომპლექსის მნიშვნელოვანი საფუძველი.

ლიბანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ყველა მოქალაქეს აქვს ერთნაირი პირადსტატუსი, აქ ძირითადად მოქმედებს ორი სტატუსი: მთელი რიგი საკითხებისა, ეროვნულობა, საცხოვრებელი ადგილი და სხვა, ექცევა სამოქალაქო კნონმდებლობის სფეროში, ხოლო ისეთი საკითხები, როგორიცაა ოჯახი, ქორწინება-განქორწინება, ისაზღვრება სხვადასხვა რელიგიური ნორმებით. ამას გარდა, იმის გამო, რომ ლიბანში არსებობს ბევრი რელიგიური თემი, ნორმები, რომლებიც აწარმოებდნენ მოქალაქეთა პირად სტატუსს, სახეს იცვლიან თითოეულ მათგანში. უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული (სამოქალაქო და სასჯელის სამართლის) და ადმინისტრაციულ სასამართლოებთან ერთად, ლიბანში მოქმედებს მრავალრიცხოვანი რელიგიური სასამართლოები, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობენ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სწორედ ამან განაპირობა სასამართლო ორგანოების სტრუქტურის სირთულე ამ ქვეყანაში.

ლიბანში ფუნქციონირებს ჯერ კიდევ საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლების დროს მიღებული რელიგიურ სასამართლოთა იურისდიქცია პირად სტატუსთან დაკავშირებით. რელიგიურ სასამართლოთა უფლებებში მოქცე-

---

[11] Dahdah N. Evolation historique du Liban, Beyrouth, 1968, გვ. 264.

[12] L'Islam et l'etat dans le monde d'oujourd'hui, Paris, 1982, გვ. 37.

[13] Мельников Е. Н. Политический и государственный строй Ливана, М., 1974, გვ. 65.

[14] Rondot P. Quelques réflexions sur les structures du Liban—„Orient“, 1958, № 6, გვ. 256.

[15] Конституции государств Ближнего и Среднего Востока, М., 1956, გვ. 222.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ქორწინება, განქორწინება, ქორწინების კონტრაქტების შედგენა, სადაც ისაზღვრება მზითვის ოდენობა, „გასათხოვარი ქალის გამოსასყიდი“ და განქორწინების შემთხვევაში დადგენილი ალიმენტისა და პენსიონის ოდენობა. აქვე ირჩევა ანდერძის, აპეკუნობის, ქონების განაწილებისა და ვაკუფებზე ზედამხედველობის საკითხები. რელიგიური სასამართლოები არაკანონიერად თვლიან ქორწინებას ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის, ამასთანავე, ისინი არ სცნობენ სამოქალაქო ქორწინებას.

ამერიკელი პროფესორი შარაბი, რელიგიურ სასამართლოებთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: 1936 და 1938 წწ. ამ სასამართლოებმა მიიღეს სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების ოფიციალური მნიშვნელობა. ამ ღონისძიებას შედეგად მოჰყვა რელიგიურ ლიდერთა პოზიციების გაძლიერება, როგორც ქვეყნის სასულიერო, ისე სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში“[15]. უმაღლესი რელიგიური სასამართლოების გადწყვეტილება ითვლება საბოლოოდ და სამოქალაქო სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დიდ გავლენას ახდენენ რელიგიურ თემთა ლიდერები საზოგადოებრივ მოღვაწეთა ორიენტაციასა და ქვეყნის პოლიტიკური ხაზის გატარებაზე. არსებობს მრავალი ფაქტი, რომელიც ადასტურებს ეკლესიის ზემოქმედებას საპარლამენტო არჩევნებზე[17].

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ლიბანის „ეთნიკური შემადგენლობის“ ნაირგვარობას თან სდევს რთული რელიგიური სიტუაცია, რაც გამოიხატა სოციალურ წინააღმდეგობებში რელიგიური ფორმით. ცალკეულ კონფესიურ ჯგუფებში არსებული სოციალური ყოფისა და რელიგიური სისტემის თავისებურებები, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგს, დასახლების კომპაქტურობა და მყარი სოციალური და რელიგიური ორგანიზაცია, ხელს უწყობენ ცალკეული თემების თანდათანობით გადაქცევას მნიშვნელოვან ფაქტორად ამ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო რაც შეეხება ცალკეული კონფესიური ჯგუფების (კერძოდ, მარონიტებისა და დრუზების ეთნოკონფესიური ჯგუფების) პრობლემას, ის დღემდე რჩება აქტუალურ და მწვავე საკითხად მახლობელ აღმოსავლეთში.

ლიბანის მოსახლეობის „ეთნიკური პრობლემა“ გამოწვეულია იმპერიალისტური წრეების ცდებით, გამოიყენოს ცალკეული კონფესიური ჯგუფები თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის, რათა გათიშოს არაბული ქვეყნების ერთიანი ფრონტი და განამტკიცოს თავისი პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში.

М. Г. МЕТРЕВЕЛИ

КОНФЕССИОНАЛЬНЫЕ ОБЩИНЫ ЛИВАНА

Резюме

Пестроте этнического состава Ливана сопутствует сложная религиозная ситуация, что выражается в социальных противоречиях в религиозной форме.

[16] Sharabi H., Goverments and Politics of the Middle East in the Twentieth Century, Princeton—New Jersey—Toronto—London—New York, 1962, გვ. 136.

[17] Rirk Ch. Le régime politique lebanais, Paris, 1966, გვ. 143. Rondot P. Les institutions politiques du Liban. Des communaute's traditionnelles a' L'Etat moderne, Paris,

ეროვნული ბიბლიოთეკა

Особенности социального быта и религиозной системы отдельных конфессиональных групп, которые представляют результат длительного процесса исторического развития, компактность населения и прочность социальной и религиозной организации способствовали постепенному превращению отдельных общин в важный фактор общественно-политической жизни Ливана. А что касается проблемы отдельных конфессиональных групп, в частности этноконфессиональных общностей маронитов и друзов, которые отличаются от основного этноса специфическим сочетанием архаики и новации, имеет развитое самосознание и устойчивую традицию, объединены особым религиозным учением, идеализированным прошлым и определенным географическим районом, и по сей день остается злободневной и актуальной.

Подмена этнических связей религиозными привела к возникновению идеологических представлений об «особом религиозном народе», которые задерживали развитие этнического сознания у населения Ливана. Острота «этнической проблемы» населения этой страны была обусловлена попытками империалистических кругов использовать отдельные конфессиональные группы в своих корыстных политических целях, чтобы разобщить единый фронт арабских стран и упрочить свои позиции на Ближнем Востоке.

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

1947, ვვ. 115. Suleiman M. W. Political Parties in Lebanon, New York, 1967, ვვ. 305. „Ан—Нахар". 3. XII. 1969; Politics in Lebanon", New York—London, Sydney, 1966, ვვ. 151—152.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა კვაჭანტირაძე

წყაროების დამოწმების წესი ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“

ძველი სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია XIII ს-ის ავტორი ვარდან არეველცი, მას ეკუთვნის ნაშრომები სომეხი ხალხის ისტორიის, სომხეთის გეოგრაფიის, სომხური ენისა და გრამატიკის, ფილოსოფიის, კოსმოგრაფიისა და მეცნიერებისა და კულტურის სხვა დარგების შესახებ[1]. მაგრამ უმთავრესი ადგილი მის შემოქმედებაში „მსოფლიო ისტორიასა“ და „გეოგრაფიას“ უჭირავს.

„მსოფლიო ისტორია“ იწყება ქვეყნის დასაბამიდან და მთავრდება 1267 წლით, როცა გარდაიცვალა კათალიკოსი კონსტანტინე I. იგი სტეფანე ტარონეცის (ასოღიკის) თხზულების შემდეგ (XI ს.) მსოფლიოს ისტორიის ტიპის მეორე ნაწარმოებია სომხურ ისტორიოგრაფიაში[2]. ვარდანი ამ თხზულებაში თავს უყრის მთელ თავის ისტორიულ ცოდნას. „მსოფლიო ისტორიაში“ სომხეთის გარდა მოთხრობილია რომის, პართიის, ეგვიპტის, ბიზანტიის, პალესტინის, ინდოეთის, სპარსეთის, არაბეთის, საქართველოს, ალბანეთის ისტორია[3].

შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შემოქმედებითი მეთოდის დახასიათებისათვის უთუოდ საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ესა თუ ის ისტორიკოსი, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა მათი შერჩევისა და გამოყენების დროს და როდის მიაჩნდა საჭიროდ წყაროების დასახელება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საინტერესო პრობლემას უკვე მიექცა ყურადღება. საგანგებოდ არის შესწავლილი არაერთი ძველი ქართველი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ქართული თუ უცხოური წყაროები. დამუშავდა აგრეთვე წყაროების მითითების წესები ლეონტი მროველისა და ყამთაღმწერლის თხზულებებში[4].

XIII საუკუნისათვის, როდესაც შეიქმნა ვარდანის „მსოფლიო ისტორია“, სომხურ ენაზე საკმაოდ მდიდარი ისტორიული ლიტერატურა არსებობდა. უეჭველია, ვარდანი იცნობდა ამ ისტორიულ თხზულებებს და იყენებდა საკუთარი ნაშრომისათვის[5], განსაკუთრებით იმ მოვლენათა აღწერისას, რომელთა ოვითმხილველი და თანადამბდური არ იყო ჩვენი ისტორიკოსი.

ვარდანის მიერ გამოყენებულ წყაროთა მიგნებას ართულებს ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში მიღებული წესის შესაბამისად ავტორი იშვიათ

---

[1] *Ლ. Վարդան Արեւելցի — „Իսկզբան Ամսոյրա“*, 1921, № 7—12, გვ. 459.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 133.

[3] *Փ. Անթապյան, Վարդան Արեւելցի — „Պատմա-Բանասիրական Իսկզբան“*, 1972, № 4, გვ. 60—62.

[4] ვ. ჩხარტიშვილი, წყაროების მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში. — მაცნე, ისტორიის სერია, 1982, № 2; ყამთაღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 21—25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში იმოწმებს გამოყენებულ წყაროებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ ვარდანი სულ სხვადასხვა პრინციპით იღებს წყაროდან თავისი თხზულებისათვის საჭირო მასალას: ზოგ შემთხვევაში ის მისთვის საინტერესო ამბის თუ მოვლენის მოკლე შინაარსს გადმოსცემს, ხშირად თავისებურად იაზრებს მასალას და მხოლოდ იშვიათად იმეორებს უცვლელად თავის წინამორბედ მემატიანეთა ცნობებს.

ვარდან არეველცის იმ ავტორთაგან, ვისი თხზულებებითაც მას უსარგებლია, სახელდებით დასახელებული ჰყავს: ასოღიკი (XI ს), მხითარ ანეცი (XII ს), ვარდაპეტი ვანაკანი (XIII ს), ვაჰრამი (XIII ს) და კირაკოს განძაკეცი (XIII ს). მართალია, სხვა წყაროების გამოყენებაზე „მსოფლო ისტორიაში" არაფერია ნათქვამი, მაგრამ სამაგიეროდ ხშირად გვხვდება გამოთქმები — „ჩვენ წაგვიკითხავს და მოგვისმენია", „ამის ნახვა შეიძლება დაწერილებით ისტორიებში", „ამას ვნახავთ ისტორიკოსების დაწერილებით მონათხრობში", „ამის შესახებ დაწერილებით წერდნენ ისტორიკოსები"[6] და სხვ. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში ივარაუდება სწორედ ის ზეპირი და წერილობითი დაუსახელებელი წყაროები, რომელთა ცნობებით უხვად უსარგებლია ვარდანს.

როგორც ვნახეთ, ვარდანი მხოლოდ ხუთი სომეხი ავტორის თხზულებას ასახელებს კონკრეტულად. ეს ძალზე ცოტაა იმასთან შედარებით, რასაც ისტორიკოსი იყენებს. წყაროების მითითება მთელ შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობაში საერთოდ შედარებით იშვიათია. ამდენად, საინტერესოა გარკვევა, თუ რა შემთხვევაში ასახელებს ვარდანი გამოყენებულ წყაროებს.

ვაჰრამს და მხითარ ანეცის ვარდანი უთითებს სელჩუკიანი ამირის თოღრულ-ბეგის შესახებ თხრობისას, ავტორს მოჰყავს ვაჰრამის ციტატა თოღრულ-ბეგის სულთნად კაცდომის შესახებ და აღნიშნავს: „ასე მოგვითხრობს ვაჰრამი, ტიგრანის ვაჟი"[7], შემდეგ აგრძელებს: „მაგრამ მხითარ ანეცი, რომლის ხსოვნაც დაე დარჩეს სიცოცხლის წიგნში, ამბობს ასე..."[8] და მოჰყავს ვრცელი თხრობა ამავე თოღრულ-ბეგის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ვარდანი, რომელიც საერთოდ იშვიათად უთითებს წყაროებს, აქ ერთი და იმავე ამბის აღწერისას ორ წყაროს ასახელებს. ამ შემთხვევაში ვარდანი ერთმანეთს უპირისპირებს ორი სხვადასხვა ავტორის ცნობებს და ჩვეულებრივ სთავაზობს, თვითონ გაერკვევა, რომელია მათგან უფრო სარწმუნო.

მეფე იოანესა და მისი ძმის აშოტის შესახებ საუბრისას ვარდანი კიდევ ერთხელ ასახელებს მხითარ ანეცის, ისევ ციტირების დროს[9].

ასევეა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ქართველთა წარმომავლობის შესახებ თხრობისას ვარდანი წერს: „ქართველთა მეფობის დასაბამის-

---

[5] M. Brosset, Additions, St. Peterburg, 1851; J. Muyldermans, La domination arabe, Paris, 1927; D. Kouymjian, Mxitar of ani, Paris, 1969; *ф. Անթապ-ետյան, Վարդան Աճեմեանի, Երեւան*, 1987

[6] *Մխիթար Վարդանայ Բարձրբերդեցի, Պատմութիւն տիեզերական, Մոսկվա*, 1861, გვ. 46, 76, 147, 198 (ქვემოთ: ვარდანი).

[7] ვარდანი, გვ. 127.

[8] იქვე.

[9] იქვე, გვ. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ წერია მათ წიგნებში, რომ თარგამოსი რვა შვილით მოვიდა არარატის მხარეში დიდი წარღვნის შემდეგ...“, შემდგომ გადმოგვცემს მათი განსახლების ისტორიას და ბოლოს დასძენს: „ეს მხითარ ანეცის მონათხრობით“[10].

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ვარდან არეველცი წყაროებს უთითებს, როდესაც ახდენს ციტირებას, თანაც ასახელებს არა ერთ, არამედ ორ-ორ ავტორს. ვფიქრობთ, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ვარდანმა მის მიერ მოთხრობილი ამბების შესახებ თვითონ დაწერილებით ბევრი არაფერი იცის, ამიტომ მოაქვს ფაქტები წყაროებიდან, რომლებსაც არ თავიისებს და დასახელებულ მოვლენებს ამაგრებს რამდენიმე ავტორის მონაცემებით. პირველ შემთხვევაში თოღრულ-ბეგის შესახებ საუბრისას, ეპპრამის თხზულებიდან მოტანილი ცნობა მწერია, სამაგიეროდ იგი იქვე შევსებულია მხითარ ანეცის ვრცელი მონათხრობით. მეორე შემთხვევაშიც, ქართველთა წარმომავლობის შესახებ თხრობისას ვარდანი, საფექრებელია, „ქართლის ცხოვრებას“ იყენებს და იქვე აფსებს მის ცნობებს მხითარ ანეცის ისტორიით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მხითარ ანეცის თხზულებით სარგებლობა ვარდანის „მსოფლიო ისტორიის“ კომპილაციურ ნაწილსაც წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს, რამეთუ მხითარ ანეცის ნაშრომის „სელჩუკების, ივერიელებისა და სომხების ისტორია“ უდიდესი ნაწილი, კერძოდ, II და III კარი, დაკარგულია და მისი შინაარსის აღდგენა მხოლოდ ვარდანის თხზულებითა შესაძლებელი.

ვარდანი ასოღიკსაც ციტირების დროს ასახელებს. V საუკუნის II ნახევარში, სპარსეთის მეფის იაზდიგერდ II-ის წინააღმდეგ სარწმუნოებრივი ბრძოლის შესახებ თხრობისას ვარდანი წერს: „იაზდიგერდის მეფობის მე-16 წელს ვარდაზოს თვის 1230 თანამოსაქმესთან ერთად მიიღო მოწამებრივი სიკვდილი“[11]. შემდეგ ჩამოთვლის ზუსტ თარიღებს (თვისა და რიცხვის აღნიშვნით) და პიროვნებებს, რომლებიც მოწამებრივი სიკვდილით აღესრულენ ქრისტესათვის. ამის შემდეგ მოჰყავს ასოღიკის ციტატა: „მეფეთა წლების შემოწმებისას ჩვენ დავადგინეთ, რომ ეს მოხდა იაზდიგერდის მე-16 წელს“[12]. ე. ი. ასოღიკი იძლევა იმავე თარიღს, რასაც ვარდანი. ამ შემთხვევაში, ვარდანი როგორც ჩანს, უკვე თვის მოსაზრებას ამყარებს ასოღიკის ცნობით.

ვარდანის „მსოფლიო ისტორიაში“ დასტურდება წყაროების მითითების მეორე პრინციპიც. როდესაც ვარდანი მონღოლთა შესახებ იწყებს თხრობას, დასძენს, რომ მას აღარ სურს გაიმეოროს ვარდაპეტ ვანაკანისა და კირაკოს განძაკეცის მიერ ადრე მოთხრობილი ამბები: „685 (1236) წლიდან 714 (1265) წლამდე სომეხთა წელთაღრიცხვით, რომელშიც ვართ ჩვენ, რაც კი მოიმოქმედა მოისართა ტომმა, მთავართა და სამთავროთა მიმართ, დიდი ზღვის აქეთა მხარეს: სპარსეთს, ალბანეთს, სომხეთს, საქართველოსა და რომად წოდებულ ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ სომხები, ასურელები, ბერძნები, ტაჯიკები და თურქმანები, დაწერილებით აღწერეს ღვთის წმინდანებთან ერთად კურთხეულმა ჩვენმა მამამ, მოძღვარმა ვანაკანმა და მოძღვარმა კირაკოსმა. ასე რომ, ჩვენ მესამედ აღარ ვითავეთ გაგვემეორებინა მათი მონათხრობი ან ამის შესახებ საუბარი გაგვეგრძელებინა. ქრონოლოგიური კავშირისათვის ჩვენ საჭიროდ ჩავ-

10 ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 124.

11 იქვე, გვ. 76.

12 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალეთ მოკლედ მოგვეხსენებინა ღირსშესანშნავი მოვლენები და ფაქტები"[13]. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, წყაროები — ვანაკანისა და კირაკოს განძაკეცის თხზულებები — დასახელებულია იქ, სადაც ავტორი ამოკლებს თავის თხრობას და აღარ იმეორებს თავის წინამორბედ ისტორიკოსთა მონათხრობს. იმისათვის, რომ მკითხველს აუხსნას თავის თხზულებაში მონღოლთა დროინდელი ამბების შემოკლებული სახით გადმოცემის მიზეზი, ვარდანი ასახელებს წყაროებს, სადაც ვრცლადაა მოთხრობილი ამის შესახებ. ამგვარად, ერთი მხრივ, აქ შეიძლება ჩანდეს ერთგვარი თავის მართლება, მაგრამ ამავე დროს წყაროთა დასახელება შეიძლება იახსნას მკითხველისათვის საჭირო ცნობების მიწოდების აუცილებლობით. ისტორიკოსს სურს, რომ მკითხველმა შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია მიიღოს და უთითებს კიდეც შესაბამის ნაშრომებს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ვარდანის მიერ წყაროების მითითებას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ა) ის განმარტებას იძლევა აღნიშნული მოვლენების შემოკლებული სახით გადმოცემის გამო; ბ) დაინტერესებულ მკითხველს უსახელებს დამატებითი ინფორმაციის წყაროს.

ამრიგად, გამოვლინდა ვარდან არეველცის მიერ წყაროების. დასახელების ორი წესი: 1) როცა ახდენს ციტირებას; 2) როცა აღარ იმეორებს სხვა ისტორიკოსთა მონათხრობს და შემოკლებით გადმოსცემენ ეპიზოდებს.

ვარდანის თხზულებაში XII—XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ საკმაოდ მდიდარი ფაქტობრივი მასალაა დაცული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „მსოფლიო ისტორიაში" ვარდანი იხსენიებს „ქართველთა წიგნს"[14] ან „ქართველ მეფეთა წიგნს"[15], რომელშიც მოთხრობილია ქართველთა წარმომავლობის შესახებ და რომლის მიხედვითაც იგი მოგვითხრობს ამ მოვლენების შესახებ. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვარდანი სარგებლობს ქართული წყაროებითაც, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებით". პ. ანთაპიანი თავის მონოგრაფიაში ვარდან არეველცის მოღვაწეობის შესახებ ამ საკითხსაც ეხება და ფიქრობს, რომ ვარდანს საქართველოს შესახებ ცნობები უმეტესად სომხური წყაროებიდან უნდა ამოეკრიბა, ანდა მას გენილი და ნანახი მოვლენები გადმოუცია, უშუალოდ ქართული მატიანეებით კი არ უსარგებლია"[16]. ვარდანის მიერ ქართული წყაროების გამოყენების გადაჭრით მტკიცება არ ხერხდება, რადგანაც ზემოთ მოხსენიებული ერთი შემთხვევის გარდა, იგი ქართულ წყაროებს არ იხსენიებს, არც ის ჩანს ფლობდა თუ არა ვარდანი ქართულ ენას.

XII საუკუნე და XIII საუკუნის დამდეგი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ხანაა. ქვეყანა გათავისუფლდა თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან. უფრო მეტიც, საქართველოს სამხედრო ძალებმა დაიწყეს ბრძოლა მეზობელი სომხეთის და განსაკუთრებით მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის გასათავისუფლებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თამარ მეფის დროს, როცა სახელმწიფო თავისი ძლიერების მწვერვალზე ავიდა. საქართველომ დაიწყო ბრძოლა განძის, ანისის, დვინის

---

13 ვარდანი, გვ. 192.

14 იქვე, გვ. 124.

15 *Հավաքումն պատմութիւնն Վարդանայ Վարդապետի, աշխատասիրեալ թղթմբ Պ. Ալիշանի, Վենետիկ*, 1862, გვ. 91

16 *Փ. Անթապյան*; დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სელჩუკიანთა სხვა საამიროების წინააღმდეგ. ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სელჩუკთაგან გაწმინდა ანბერდი, ბიჯნისი, არარატისა და შირაქის ველები, ანისი, დვინი, ყარსი, სუნიქი, სურმარინი, ბაგრევანდი. ჩრდილო-აღმოსავლეთი სომხეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა[17]. სწორედ ამ პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვარდან არეველცი ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისათვის „ქართლის ცხოვრება“ უკვე თარგმნილი იყო სომხურ ენაზე. თარგმანი შესრულდა XII საუკუნის II ნახევარში[18].

ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ვარდანს, თავისი დროის განათლებულსა და განსწავლულ ადამიანს, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ მხარეში მოღვაწეს, სცოდნოდა ქართული წყაროები, კერძოდ, „ქართლის ცხოვრება“ და გამოეყენებინა ის თავისი თხზულებისათვის.

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ სხვა წყაროებთან შედარებისას ირკვევა, რომ მისი მონაცემები ძირითადად სანდოა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს სომხეთისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად.

Э. Г. КВАЧАНТИРАДЗЕ

ПРИЕМЫ ССЫЛКИ НА ИСТОЧНИКИ ВО «ВСЕМИРНОЙ ИСТОРИИ» ВАРДАНА АРЕВЕЛЦИ

Важное место в творческом наследии видного представителя древнеармянской историографии Вардана Аревелци (XIII в.) занимает «Всеобщая история», описание событий в которой начинается от сотворения мира и заканчивается 1267 годом.

В настоящей статье изучены приемы ссылки на источники в историческом сочинении Вардана. По принятому в средневековой историографии обычаю историк редко ссылается на используемые им источники. Из авторов, произведениями которых он руководствовался при составлении своего труда, конкретно названы: Асохик (XI в.), Мхитар Анеци (XII в.), Вардапет Ванакан (XIII в.), Вахрам (XIII в.) и Киракос Гандзакеци (XIII в.). В работе показано, что Вардан называет свои источники в двух случаях: при цитировании и при сокращении используемого материала. В последнем случае можно различить две причины ссылки на источники: а) автор разъясняет причину сокращенного изложения данных источника; б) он называет источники, содержащие дополнительную по какому-либо конкретному вопросу информацию.

Во «Всемирной истории» Вардан Аревелци упоминает «Книгу грузин» или «Книгу грузинских царей», опираясь на которую он рассказывает о происхождении грузин.

На основе этого сообщения можно предположить, что Вардан пользовался и грузинскими источниками, в частности, летописным сводом «Картлис цховреба».

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის განყოფილებამ

[17] Հայ ժողովրդի Պատմութիւն, Երևան, 1972, էջ. 240—241.

[18] ი. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. თბ., 1953, გვ. 020.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი მანჯგალაძე

სამთავროს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიისათვის[1]

სამთავრო, როგორც დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი, ცნობილი გახდა XIX ს-ის 70-იან წლებში, ხოლო მისი გეგმაზომიერი, სტაციონარული გათხრა და მეცნიერული შესწავლა დაიწყო ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც შეიქმნა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია.

1938 წლის შემდეგ (1938—1986 წწ.) სამთავროზე ჩატარდა 22 საველე კომპანია: 1938—1941 წწ., 1946—1948 წწ., 1957—1959 წწ., 1961 წ. ამის შემდეგ სამაროვანზე 14 წლით შეწყდა გათხრები. სამთავროზე სამუშაოები განახლდა 1976 წლიდან. მთლიანად 1938—1986 წლებში, გამოვლინდა 2432 სამარხი, ძვ. I-ახ. წ. VIII ს-ებისა.

სამთავროს მასალაზე მუშაობის პროცესში, თანდათან თავი იჩინა, შეუსაბამობებმა, აუხსნელმა ფაქტებმა, რომლებიც დათარიღების პრობლემას შეეხებოდა. მათ შორის ძირითადი იყო ის, რომ შეუძლებელად მიგვაჩნდა გვიანანტიკური ხანის მასალების ერთდროული დათარიღება ცალკე I, II ან III ს-ით და ზოგადად I—III ს-ებით, რადგან ცალკე საუკუნეებით დათარიღებისას მასალა განსხვავებული. ერთი მეორის მომდევნო უნდა ყოფილიყო, ხოლო I—III ს-ებით დათარიღებისას კი ისეთი ერთნაირი, რომ განსხვავება არ უნდა შეგვძლებოდა. უნდა ყოფილიყო ან ერთი ან მეორე.

მ. ივაშჩენკომ, რომელიც 1938—41 წლებში სამთავროს ერთ-ერთი გამთხრელი იყო ალ. კალანდაძესთან ერთად, გვიანანტიკური ხანის სამაროვანი მთლიანად დაათარიღა ახ. წ. I—III ს-ებით. ამით მან საფუძველი ჩაუყარა არა მარტო სამთავროს, არამედ მთლიანად საქართველოს გვიანანტიკური ხანის მასალების შედარებით ქრონოლოგიას, რომელიც დღესაც გაზიარებულია. იგი დათარიღებისათვის იყენებდა მონეტებს. სამთავროს ძველი მონაპოვრის 90 მონეტიდან, რომელიც 26 სამარხში იყო აღმოჩენილი, მან დამათარიღებლად 12 მათგანი შეარჩია, დანარჩენები კი დათარიღებისათვის უვარგისად ჩათვალა შემდეგი მიზეზების გამო: I. ძვ. წ. I ს-ის ერთი მონეტა: ფრაატ III (70—57) კრამტსამარხი 7. 39—№, რომელიც წინარე პერიოდისათვის (ქვევრსამარხებისათვის) იყო დამახასიათებელი; II. ავგუსტესა და გოტარზეს სახელით მოჭრილი მონეტები, რადგან ისინი მ. ივაშჩენკოს დაკვირვებით, გვიანანტიკური ხანის მასალაში, სამთავროზეც და სხვაგანაც, II და III ს-ების მონეტებთან ერთად გვხვდებოდნენ.

დათარიღებისათვის ვარგისი 12 მონეტიდან: ექვსი ახ. წ. I ს-სა იყო: ტიბერიუსი (14—37), ვოლოგეზ I (51—78) (2), დომიციანი (81—96) (3). ხუთი ახ. წ. II ს-სა: ტრაიანე (98—117), ადრიანე (117—137) (2), ანტონინე I პიუსი

---

[1] სტატია წარმოადგენს ავტორის ვრცელი გამოკვლევის „სამთავროს მატერიალური კულტურა ძვ. წ. I—ახ. წ. IV სს-ებში" შემოკლებულ ვარიანტს, რომელშიც ჩამოყალიბებულია. კვლევის ძირითადი შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(138—161), ფაუსტინა უფროსი (141). ერთიც ახ. წ. III ს-სა: შაბურ (242—272).

იმის გამო რომ ზოგ სამარხში ორი ერთნაირი მონეტა იყო, ზოგში კიდევ ახალგაზრდა მონეტამ გამორიცხა როგორც დამთარიღებელი, ძველი, 12 მონეტით მხოლოდ 9 სამარხი დათარიღდა. კიდევ 27 სამარხი, მონეტიან სამარხებში აღმოჩენილი მძივების, სხვა სამარხებში პარალელიზაციის გზით დაათარიღა[2].

მ. ივაშჩენკოს ყურადღება არ გაუმახვილებია მასალის ფორმალურ-ტიპოლოგიურ ევოლუციაზე — მის ცვალებადობაზე დროში. ამიტომ მოხდა ერთი დროისა ე. ი. მუდამ ერთმანეთთან კანონზომიერად ურთიერთშეხვედრი ნივთების შემცველი სამარხეული კომპლექსების ხელოვნური დათარიღება სხვადასხვა საუკუნეებით, მონეტების საშუალებით. ეხედველობაში არ იყო მიღებული ის ფაქტი, რომ განსხვავება საუკუნეების მიხედვით, ნიშნავს ერთი მასალის როგორც წინამორბედის, განსხვავებას, მეორე მასალისაგან როგორც მომდევნოსაგან. ამის შემდეგ სამივე საუკუნის მონეტების შემცველი სამარხები საყრდენ კომპლექსებად იქცნენ. შეიქმნა და განსტკიცდა შთაბეჭდილება, რომ გვიანანტიკური ხანის ნივთები სამივე საუკუნეში იყო გავრცელებული.

მ. ივაშჩენკოს შემდეგ, იყო ცდები სამთავროს ცალკეული სამარხების ან სამარხთა მთელი ჯგუფის გადათარიღებისა (მ. მაქსიმოვა, მ. ლორთქიფანიძე, ო. ტყეშელაშვილი, ნ. უგრელიძე, ო. ლორთქიფანიძე, ქ. რამიშვილი) ხშირად რამოდენიმეჯერაც კი. მხოლოდ შედარებითი ქრონოლოგია დარჩა უცვლელი.

გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მონაპოვრის შესწავლის შედეგად, ჩამოყალიბდა ახალი დათარიღების თეორიული საფუძვლები, რომელიც შემდეგ ძირითად საკითხებს შეიცავს: 1. სამარხებში ნივთების ურთიერთშეხვედრა; 2. დათარიღების საყრდენი ობიექტი და მონეტების ურთიერთობა ნივთებთან; 3. გვიანრომაული ხანის მასალების დამათარიღებელი მონეტები; 4. საქართველოს გვიანრომაული ხანის მასალების საყრდენი კომპლექსები და სამთავროს სამაროვნის იმავე დროის სამარხების დათარიღება.

სამარხეულ კომპლექსებში ნივთების ურთიერთშეხვედრა, ზოგადი, ისტორიული კანონზომიერებაა და რომელიმე პერიოდისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალის, სამარხებში განაწილების პრინციპს წარმოადგენს. ურთიერთშეხვედრას სამი ფაზა აქვს: ა) ურთიერთშეხვედრა, სამარხებში, ორი მომიჯნავე პერიოდის ნივთებისა, ჩვენთვის საინტერესო და წინა პერიოდისა; ბ) ურთიერთშეხვედრა მხოლოდ ერთი პერიოდის ნივთებისა; გ) ურთიერთშეხვედრა ორი მომიჯნავე პერიოდის ნივთებისა, ჩვენთვის საინტერესო და მომდევნო პერიოდისა. ურთიერთშეხვედრის წყალობით ხდება პერიოდების ერთმანეთთან გამიჯნვა. ურთიერთშეხვედრა დათარიღების შემოწმების საშუალებაა. ურთიერთშეხვედრა დათარიღების საფუძველია. დათარიღება, ურთიერთშეხვედრის დროში დამაგრებაა.

სამთავროს გვიანრომაული ხანის მასალების დათარიღება და ნივთების ურთიერთშეხვედრა იყო წინაათმდეგობაში. არსებული დათარიღების (I—III) მიხედვით, თითოეული მომდევნო საუკუნის მასალა უნდა იყოს წინას განვითარება, მისგან განსხვავებული და არ უნდა ხვდებოდეს მას სამარხებში (მხო-

[2] М. М. Иващенко. Самтаврские погребения первых трёх веков н. э. მეხეთა III, თბ., 1980, გვ. 10—13, 95—98, 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ შესაძლებელია სულ რამოდენიმე ნივთის არსებობა, როგორც წინა ისე მომდევნო პერიოდებისა, თანაც ამ პერიოდებზე გადასვლის დროს), ხოლო ნივთების ურთიერთშეხვედრის მიხედვით, რომელიც ისტორიულად არსებულია, ყველა ის ნივთები, რომლებიც ცნობილია ამ პერიოდში, ურთიერთ-ხვდებიან ერთმანეთს სამარხებში და ერთი დროის მასალას წარმოადგენენ, ამიტომ მათი დათარიღება ცალკე საუკუნეებით, მონეტების საშუალებით, ხელოვნურია.

ამასთან ერთად უნდა დათარიღდეს არა ნივთი, რომელიც გარდა ერთი პერიოდისა შეიძლება წინამორბედი პერიოდის კომპლექსში იყოს (იმის გამო, რომ ნივთიერი მასალის ცვალებადობა თანდათანობითია), არამედ ნივთების ის ჯგუფი, რომელიც თანადროულია და ამ თანადროულობის დანახვა მხოლოდ მათი ურთიერთშეხვედრით შეიძლება. ხოლო დათარიღება ანუ ურთი-ერთშეხვედრის დროში დამაგრება ყველაზე რთული პროცესია, რომელიც არქეოლოგიური მასალის ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებაში გამოიხა-ტება. ამ კავშირის დამყარება ნებისმიერ პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებე-ლია. ამ მხრივ რომელიმე პერიოდად ერთი მყარი საყრდენის მოძიებაც კი, საშუა-ლებას იძლევა, რომ მატერიალური კულტურის ნიმუშების ცვალებადობის გრძელი ჯაჭვის დროში ათვლის საშუალება მოგვეცეს. ჩვენ ასეთ დამაკავში-რებლად, გვიანანტიკური ხანის ზოგი მონეტა მივიჩნიეთ (იხილეთ ქვემოთ), რომელზე დაყრდნობითაც შემდეგ ნივთების სამარხებში ურთიერთშეხვედრის სამი ფაზის გათვალისწინებით „აშენდა" მატერიალური კულტურის განვითა-რების ჯაჭვი ძვ. წ. II ს-ის საწყის პერიოდამდე.

დღეისათვის გვიანრომაული ხანის სამარხეული კომპლექსების დასათარი-ღებლად ხმარობენ: მონეტებს, მინის, თიხის და ლითონის ჭურჭელს, გემებს, ბეჭედებს, ფიბულებს და ა. შ. მათ შორის მონეტები ერთგვარად უპირისპირდე-ბიან დანარჩენებს, იმით, რომ მონეტები (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ გვიან-ანტიკური ხანის ზოგ ცალს), მათთვის დამახასიათებელი იკონოგრაფიის გამო, თავის თავში, შეიცავენ ერთგვარ აბსოლიტურად ჭეშმარიტ, ისტორიულად არსებულ ინფორმაციას, რაღაც გარკვეულ თარიღს, რასაც მოკლებულნი არიან, სხვა დამათარიღებლები და ზოგი მონეტაც, მაგ., კოლხური, რადგან ისინი ჯერ თვითონ თარიღდებიან (რომლის ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად ცალკე კვლე-ვა-ძიების ჩატარებაა საჭირო) და მერე ათარიღებენ მასალას. ამიტომ ასეთი არათანაბარი ძალების მქონე დამათარიღებელი ობიექტები, ბუნებრივია ერთ-დროულად დათარიღებისათვის საყრდენად ვერ გამოდგებიან, ამის გამო სა-ბოლოო პრიორიტეტი, როგორც დამათარიღებელ საყრდენს ამ მასალაში მონეტას ეკუთვნის. მაგრამ მონეტებით დათარიღების ხერხი ხომ ერთ-ერთი უძველესია, ასე ათარიღებდნენ მაგალითად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ სამარხებს ჯერ კიდევ XIX ს-ში დათარიღების ამავე წესს იყე-ნებდა მ. ივაშჩენკოც და იგი დღესაც ხმარებაშია. მონეტა მიუხედავად ზემოთ აღნიშნული თვისებისა უსუსურია, თუ ვერ იქნება სწორად გაგე-ბული და განსაზღვრული, არქეოლოგიურ კომპლექსებთან მისი ურთიერთობ-ების საკითხი. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ დათარიღების საყრდენად ჩვენც მონეტას ვიყენებთ, განსხვავება მხოლოდ მონეტების ნივთებთან ურთიერთობის სხვადვარ გაგებაშია. მონეტებით დათარიღების დროს, ჩვენ ვემორჩილებით ნივთების ურთიერთშეხვედრის პრინციპს, წინაღმდეგ შემთხვევაში მონეტა ათარიღებს სხვადასხვა საუკუნეებით, ერთი დროის სხვადასხვა სამარხეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსებს, ხოლო ეს უკანასკნელნი შემდეგ სხვა სამარხების დამათარიღებლად იქცევიან.

ჩვენ მოვიძიეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის მონეტიანი სამარხები, ძირითადად გამოქვეყნებულები. შეძლებისდაგვარად განვიხილეთ გამოქვეყნებული მასალაც და მათში მონეტების ურთიერთშეჯერების შედეგად გაირკვა შემდეგი: იმ პირობით რომ ამ სამარხებში აღმოჩენილი ნივთები მუდმივად ურთიერთშეხვედრაში არიან, ე. ი. ასეთი კომპლექსები ერთ დროს არსებობდნენ: ზოგ სამარხში I ს-ის მონეტები ხვდებოდნენ II ს-ის მონეტებს (სამარხში ახალგაზრდა მონეტა გამორიცხავს ძველს როგორც დამათარიღებელს), ზოგ სამარხში II ს-ის მონეტები ხვდებოდნენ III ს-ის მონეტებს, ასეთ შემთხვევაში იმ I ს-ის მონეტის სამარხში არსებობის დრო, III ს-ის მონეტის პერიოდია. ზოგ სამარხში გვხვდებოდა მხოლოდ I და III ს-ის მონეტები. ჯერჯერობით გამოქვეყნებული სამარხებიდან ერთადერთია ზღუდერის სამაროვნის № I ის სარკოფაგი, სადაც სამივე საუკუნის მონეტები ერთადაა: ავგუსტი (ძვ. წ. 27—ახ. წ. 14 წწ), გოტარზე (40—51), მარკუს ავრელიუსი (175—176), კარაკალა (204), ელაგაბალი (218—219) და (220—226) და ალექსანდრე სევერი (226)[3]. აქედან გამოდის რომ ამ ერთიან მასალაში, ყველაზე ახალგაზრდაა III ს-ის მონეტა, ამიტომ იგი უნდა ყოფილიყო დამათარიღებელი, რადგან მასზედ უფრო ახალგაზრდა მონეტას არ ხვდებოდა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოაჩინა 1928 წ. ვათხრილ თიხის სარკოფაგში) III ს-ის მონეტა შეხვედა IV ს-სას (ნუმერიანი 283—284 და კონსტანტინე დიდი 306—337) ამ სამარხში ნივთები უკვე გვიანდელი იყო, IV ს-ისა[4]. ამრიგად, დადასტურდა რომ, III ს-ის მონეტა ყველაზე ახალგაზრდაა გვიანანტიკური ხანის მასალების პირველ ჯგუფში, ხოლო ოდნავ მოგვიანონი კი — IV ს-ის მონეტა. ეს კი ნიშნავს, რომ გვიანანტიკური ხანის მასალას, I და II ს-ის მონეტები, როგორც წესი, იმავე საუკუნეებით ვერ დაათარიღებენ.

თუ გვიანანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსების წინამორბედ მასალაში (რომელიც განსხვავებული ნივთების ურთიერთშეხვედრებით ხასიათდება, ვგულისხმობთ ქვევრსამარხებს) აღმოჩნდებოდა ზემოხსენებული I ან II ს-ის მონეტები, მაშინ ჩაითვლებოდა, რომ ისინი ჯერ მიმოქცევაში იყვნენ „თავის დროს“ — ე. ი. I და II ს-ებში და შემდეგ გააგრძელეს არსებობა III ს-ის მონეტებთან ერთად, უფრო გვიან III ს-ში, მაგრამ ქვევრსამარხების მასალაში ასეთი მონეტები არ გვხვდება. მაშინ რჩება ერთი გზა, რომელსაც მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სამივე საუკუნის მონეტა ერთადაა შემოსული III ს-ში. არის გამონაკლისი: ავგუსტესა და გოტარზეს სახელით მოჭრილი თითო მონეტა, დადასტურდა III ს-ზე უფრო ძველ მასალაში[5], რომელიც ჩვენ მიერ სამთავროს

---

[3] გ. ნ ე მ ს ა ძ ე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, სსმე 1965—1967 წლების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 45—46. К. В. Г о л е н к о, Д. Г. К а п а н а д з е, Монеты найденные в селении Згудери (Грузинская ССР) в 1964—1965 г. ВДИ, № 1, М., 1968 გვ. 161.

[4] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფ. საკობილანში, დაბლა გომში და ალიანქში, სსმ, ტ. XI—B, თბ., 1941, გვ. 90.

[5] გოტარზეს (40—51) მონეტა აღმოჩნდა 1978 წ. საყარაულო სერის სამაროვნის № 3 ქვევრსამარხში. გ. ჯ ინ ჯ ი ხ ა შ ვ ი ლ ი, ძვ. წ. I და ახ. წ. I ს-ის ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 42—58, ავგუსტის (ძვ. წ. 2—ახ. წ. 4 წწ.) მონეტა აღმოჩნდა 1986 წელს მცხეთაში, წიწამური III სამაროვნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვევრსამარხებისათვის გამოყოფილი მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის (I და II ს. ს.) ანალოგიურ ნივთებს შეიცავს. მასალების მიხედვით ამ ორი მონეტის გამოჩენა სამარხებში თითქმის ერთდროულია და რადგან ისინი მასიურად III ს-ის კომპლექსებშია გავრცელებული (ჩვენი ქრონოლოგიით), ამიტომ მათი პირველი გამოჩენა მასიური გავრცელებიდან ახლო ხანებში, ე. ი. ახ. წ. II ს. მიწურულში ვივარაუდეთ.

ნუმიზმატიკური კვლევის მეთოდი ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგოა: აქ საკითხი გადაწყვეტილია ძალზედ მარტივად, რომლის არსი შემდეგშია: სამონეტო მიმოქცევაში გამოყოფილია პერიოდები: I ს-სა, II ს-სა III ს-სა და ა. შ. რადგან ნაპოვნია I ს-ის მონეტა, ის მიმოქცევაში უნდა ყოფილიყო I ს-ში, II ს-ის მონეტა — II ს-ში, III ს-ის მონეტა — III ს-ში და ა. შ. საკმარისია მხოლოდ არსებობდეს მონეტა, რომელიმე საუკუნისა, რომ იგი გამოცხადებულია მიმოქცევაში მყოფ მონეტად ქვეყანაში, სწორედ იმ პერიოდში. საკითხი გაცილებით უფრო რთულია და სამონეტო მიმოქცევის დახასიათება ქვეყანაში, მოითხოვს უპირველეს ყოვლისა, რამოდენიმე მომიჯნავე არქეოლოგიური კულტურის ძირფესვიან შესწავლას, რომელიც როგორც ზემოთაც დავინახეთ სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა.

ამის შემდეგ გამოიყო საქართველოს გვიანანტიკური ხანის მასალების საყრდენი კომპლექსები, I ჯგუფისა — III ს-ის მონეტების შემცველი და II ჯგუფისა — IV ს-ის მონეტებიანი. სულ დღეისათვის ცნობილია 45 კომპლექსი. გამოქვეყნებულია 25. არმაზისხევი: ქვაყუთები 2 (III ს), 3 (III ს), 43 (IV ს). ურეკი (III ს). ფიანჩა, ორმოსამარხი 35 (III ს). წაბელდა, სამარხი 1 (III ს), სამარხი 2 (III ს), სამარხი 9 (III ს), სამარხი 14 (III ს). ახიაცარახუ სამარხი 14 (III ს). აღაიანი თიხის სარკოფაგი (IV ს). ყოლათთ, ორმოსამარხი 10 (III ს), მოდინახე სამარხები 9, 10, 17, 36. (IV ს). ზღუდერი, ხის სარკოფაგი 1 და 2 (III ს). ახალი ენეფალი, ორმოსამარხი 5 (III ს). არაგვისპირი, ორმოსამარხი 13 (III ს). ერწო ორფერდაკრამიტსახურავიანი ორმოსამარხი 1 (III ს), დანგრეული კრამტისამარხი 2 (III ს), დანგრეული ორმოსამარხი 3 (III ს), ორმოსამარხი 8 (IV ს). მცხეთა, სვეტიცხოველი, ქვაყუთი 25 (III ს). გამოქვეყნებული მასალა: სამთავრო, ორმოსამარხი 89. 39—S (III ს). ცხინვალი, 1939, შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი (III ს). ოკამი, 1975, აკლდამა IV ს. ენეფალის სამაროვანი, 1983, ორმოსამარხი 526 (IV ს). ციხისძირის სამაროვანი, 1984, ორმოსამარხი 73 (III ს). ბიჭვინტის სამარხოვანზე ცნობილია 15 მესამე და ორიც IV ს-ის მონეტიანი კომპლექსი[6].

ამის შემდეგ ჩვენ საშუალება გვქონდა დაგვეთარიღებინა სამთავრო-ს გვიანანტიკური ხანის სამარხები. მთელი მასალა დავყავით სამ დასათარიღებელ ჯგუფად: 1. III ს-ის მონეტიანი სამარხი, ორმოსამარხი 89. 39 — S, თვითონ ერთ-ერთი საყრდენი კომპლექსია. 2. I და II ს-ის მონეტების შემცველი სამარხები. 3. უმონეტო კომპლექსები.

I ჯგუფის საყრდენი კომპლექსები III ს-ით ათარიღებენ არა მარტო ამ სამარხებში შემავალ ნივთებს (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნივთი, წინა-

---

24-ე სამარხში. სამარხი გათხარა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წიწამურის რაზმმა, ხელმძღვანელი გ. ნარიმანიშვილი. მასალა ინახება მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

6 გ. მანჯგალაძე, სამთავროს მატერიალური კულტურა ძვ. წ. I—ახ. წ. IV ს-ებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1987. გამოუქვეყნებელი მასალის გაცნობისათვის მადლობას მოვახსენებ: რ. რამიშვილს, ვ. ჩიხლაძეს, გ. ლორთქიფანიძეს, ნ. ინანიშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორბედ ნივთებიან სამარხებში არ აღმოჩნდა, მაშინ ის III ს-ზე უფრო ძველი იქნება. ასეთი ნივთები გამონაკლისია, ისინი პირველად ჩნდებიან წონა-მორბედი პერიოდის სამარხებში), არამედ I და II ს-ის დასახელებულ მონეტებსაც. ამიტომ თუ მასალა გვიანანტიკურია (ვამოწმებთ საყრდენი კომპლექსების მიხედვით, ან შეხვედრებით ამ ნივთებთან) და შეგვხვდა შიგ I ან II ს-ის მონეტა, აქ უკვე აზრი აღარ აქვს სპეციალურ მსჯელობას: დადასტურებულია, რომ I და II ს-ის მონეტები ყოველთვის III ს-ის ან მისი დროის კომპლექსებშია, ე. ი. დათარიღებულია III ს-ით.

რაც შეეხება უმონეტო კომპლექსებს, ჩვენ ისინი დავათარიღეთ უბრალო პარალელიზაციის საშუალებით, საყრდენი კომპლექსების ნივთებთან და III ს-ის მონეტებით დათარიღებულ I და II ს-ის მონეტებიანი სამარხების ნივთებთან: კრამიტსამარხი. 134. 39—S (სურ. 1).



სურ. 1

სამთავროს ქვევრსამარხების დათარიღებისათვის

სამთავროს ქვევრსამარხები მ. ივაშჩენკომ ძვ. წ. I ს-ით დათარიღა, ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში[7]. 60-იან წლებში სამთავროს ქვევრსამარხების ქრონო-

[7] М. М. Иващенко, Кувшинные погребения Грузии, თბ., 1942, ხელნაწერი (233 გვერდი). ქვევრსამარხები ავტორმა გვიანანტიკური ხანის სამარხების მსგავსად დათარიღა; 5 ქვევრსამარხი დათარიღა შიგ აღმოჩენილი ძვ. წ. I ს-ის მონეტებით, დანარჩენი კი ამ მომენტებიან სამარხებში აღმოჩენილი მძივების საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგია დაძველდა: ძვ. წ. III—I ს-ები[8]. 1980 წელს გამოსულ ნაშრომში იმავე ავტორმა შედარებით გააახალგაზრდავა ისინი — ძვ. წ. II—I სს[9].

სამთავროს გვიანანტიკური ხანის სამარხების ქრონოლოგიის შემუშავებისათვის, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, სამთავროს ძველი განათხარის შემდეგ აღმოჩენილ მასალებს.

სამთავროს ქვევრსამარხები ქრონოლოგიური ეტალონურობის გაცილებით მეტი ხარისხით ხასიათდებოდნენ. ამას ხელს უწყობდა ანტიკური ხანისათვის არსებული ქრონოლოგიის გავლენით შემუშავებული სტერეოტიპი, რომლის მიხედვით: ქვევრსამარხები, როგორც კრამიტსამარხების, აგურსამარხების და ქვაყუთების წინამორბედნი, ითვლებოდნენ ახ. წ. I ს-ზე უფრო ძველ ძეგლებად, რადგან გვიანანტიკური ხანის სამარხები ახ. წ. პირველი საუკუნეებით თარიღდებოდნენ. ხოლო არსებულ ტიპოლოგიურ დანაწევრებას, რომლის მიზანი ქრონოლოგიის შემუშავება იყო, არავითარი რეალური საყრდენი არ გააჩნდა.



სურ. 2

ამიტომ, როდესაც მეტ-ნაკლები საყრდენი გაუჩნდათ გვიანანტიკური ხანის სამთავროს მასალებს (III—IV სს), ქვევრსამარხების მასალის (როგორც მისი უხარვეზო წინამორბედის) თარიღიც გადასასინჯი შეიქნა.

[8] ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III—I სს-ებში (ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში), მსკა, ტ. III, თბ., გვ. 152—153.

[9] ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები), თბ., 1980, გვ. 47—56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო ერთადერთი ამოსავალი სამთავროს ქვევრსამარხების ქრონოლოგიური შესწავლისა, ისევ სამთავროს მასალებიდან უნდა ყოფილიყო გამომდინარე, ხოლო პარალელიზაცია შესაძლებელი გახდა ბოლოს და გამოიხატებოდა მხოლოდ შედარებაში პარალელური ძეგლებისათვის, სხვადასხვა ნივთების ერთმანეთთან ურთიერთშეხვედრის კანონზომიერებათა დასადგენად. დასაწყისში მოიხსნა ყველა არსებული თარიღი და სამარხული კომპლექსები, თავიანთი ბუნებრივი განვითარების მიხედვით დალაგდა.

გამოიყო სამი ჯგუფი: 1. სამთავროს ქვევრსამარხების ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფის სამარხები, ჩვენ მიერ ახ. წ. III ს-ით დათარიღებული სამარხების ანალოგიურ ნივთებს შეიცავდნენ: ქვევრსამარხები: 19. 39—№ და 8. 39—№. (სურ. 2.).

შემდეგ ჯგუფში (ყველაზე ძველში) გაერთიანდა ისეთი კომპლექსები, რომლებიც განსხვავდებოდნენ ახალგაზრდა ჯგუფისაგან და მათ შორის გენეტიკური კავშირის დამყარება, კიდევ რაღაც შუალედურ რგოლს მოითხოვდა: ქვევრსამარხი 6. 38—№(სურ. 3).



სურ. 3

მესამე ჯგუფის შერეული მასალა დამაკავშირებელი იყო ამ ორივე ჯგუფისა, რადგან უმეტეს შემთხვევაში შეიცავდა ან ისეთ სახეშეცვლილ ნივთებს, რომლებიც მესამე ჯგუფის ნივთების პროტოტიპებს წარმოადგენდნენ და არ გვხვდებოდნენ I ჯგუფის კომპლექსებში, ან უფრო იშვიათად, III ჯგუფში ფართოდ ცნობილ ნივთებს სახეშეუცვლელად (ამ ნივთების პირველი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენა). გარდა ამისა, ამ ჯგუფის მასალაში თითო-ოროლა ძველი ჯგუფის ნივთებიც გამოერეოდა ხოლმე: ქვევრსამარხი 32, 39—S (სურ. 4).



სურ. 4

ზემოჩამოთვლილი სამი ჯგუფი შემდეგნაირად დათარიღდა: იმის გამო რომ ყველაზე ახალგაზრდა სამარხები, შეიცავდნენ ახ. წ. III ს-ის კომპლექსთა ანალოგიურ მასალას, ეს სამი ქვევრსამარხი ახ. წ. III ს-ით დათარიღდა.

შვიდი პართული მონეტის (სინეთრუქი 77—70), (I). ფრაატ III (70—57), (3) ოროდ II (57—37), (3). შემცველი სამარხები, ზემოჩამოთვლილ შემდეგ ჯგუფებში მოხვდნენ: ამ მონეტათა შორის ყველაზე ძველები: სინეთრუქი (ქვევრსამარხი 209. 39—S) და ფრაატ III (ქვევრსამარხი 110. 39—S) აღმოჩნდა შუა ჯგუფის კომპლექსებში. ერთი ფრაატ. III აღმოჩნდა ყველაზე ახალგაზრდა, III ს-ით დათარიღებულ სამარხში (ქვევრსამარხი 10. 39—№). მონეტებს შორის ყველაზე ახალგაზრდა, ოროდ II კი აღმოჩნდა სამთავროს ქვევრსამარხების ბუნებრივი განვითარების მიხედვით გამოყოფილ ყველაზე ძველ კომპლექსებში: ქვევრსამარხი 6. 38—№. და ორმოსამარხი 120. 39—№ (ამ სამარხში მას ახლდა უფრო ძველი მონეტა ფრაატ III-სა) და შეძლო მათი დათარიღება ძვ. წ. I ს-ით. სამთავროს ქვევრსამარხების შუა ჯგუფის სამარხების თარიღი აქედან ბუნებრივად გამომდინარეობდა ახ. წ. I—II ს-ები.

სამთავროს ქვევრსამარხების ერთი ჯგუფი (20 ქვევრსამარხი და I ორმოსამარხი), ვერ მივაკუთვნეთ ჩვენ მიერ გამოყოფილი I და II ქრონოლოგიური ჯგუფიდან რომელიმეს, იმის გამო, რომ ამ სამარხებში შეგვხვდა ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთები, რომლებიც ერთნაირი არიან ამ ორ ქრონოლოგიურ ჯგუფში: ეუეურო ან ყურიანი ქოთნები, ზურგშეზნექილი სამაჯურები, სადა საყურე რგოლები, მძივები. ამის გამო სამარხთა ეს ჯგუფი, ზოგადად ძვ. წ. I — ახ. წ. II ს-ებით დათარიღდა.

ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდა ამ სამ ქრონოლოგიურ ჯგუფში შეპაკული ნივთების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

ამრიგად, ჩამოყალიბდა სამთავროს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების ახალი ქრონოლოგია: ნაშრომში გამოყენებული სამთავროს 261 იინვენტარიანი სამარხიდან, ადრერომაული ხანის ჯგუფში (ძვ. წ. I — ახ. წ. II) გაერთიანდა 76 სამარხი: 71 ქვევრსამარხი, 3 ორმოსამარხი, 2 კრამტსამარხი.

გვიანრომაული ხანის ჯგუფისაა (ახ. წ. III—IV) 185 სამარხი: 3 ქვევრსამარხი, 44 კრამტსამარხი, 34 ორმოსამარხი, 73 ქვაყუთი, 23 აგურსამარხი, 3 ქვაადგურსამარხი, 1 ქვაკრამტსამარხი, 3 ქვათლილებით ნაგები სამარხი, 1 თიხის სარკოფაგი.

სამთავროს რომაული ხანის სამაროვანზე, დადასტურდა დაკრძალვის სამი წესი: 1. ხელფეხმოკეცილი — გვერდზე. 2. გულაღმა გაშოტილი; 3. გულაღმა, ფეხები გვერდზე მოკეცილი. ადრერომაული ხანის სამარხებში (ძვ. წ. I — ახ. წ. II) მთლიანადაა გაბატონებული ხელფეხმოკეცილი დაკრძალვა. ეს წესი შედარებით მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი ახ. წ. III ს-ის სამარხებში, მხოლოდ მიცვალებული აქ ნაკლებად მკვეთრადაა მოხრილი, ვიდრე წინა პერიოდის სამარხებში.

გვიანრომაული ხანის სამარხებში (III—IV), ძალზედ მომძლავრებულია გულაღმა გაშოტილი პოზაში დაკრძალვა (დაკრძალულთა სამი მეოთხედი ნაწილი), თითო-ოროლა გვხვდება გულაღმა, ფეხები გვერდზე მოკეცილი. ძველი ქრონოლოგიით დაკრძალვის გაშოტილი პოზა ჩვენში ჩნდება საუკუნეთა მიჯნიდან.

სამთავროზე ჯერჯერობით არ გათხრილა, ჩვენი ქრონოლოგიით II—III ს-ების სამარხები. დაკრძალვის წესის თვალსაზრისით ეს ის პერიოდია, რომელშიც თანდათანობით უნდა მომხდარიყო (თუ ეს მართალია თანდათანობით მოხდა) გულაღმა გაშოტილი პოზის დამკვიდრება, თორემ იმ მასალების მიხედვით, რაც დღეისათვის სამთავროზე გვაქვს, სურათი არასრულია: ერთი მხრივ გვაქვს ახ. წ. II ს-ის კომპლექსები, სადაც მთლიანად ხელფეხმოკეცილი დაკრძალვაა და მეორე მხრივ III ს-ის კომპლექსები, სადაც დაკრძალვის ეს პოზა თითქმის მთლიანადაა გაბატონებული, ყოველ შემთხვევაში მცხეთა-სამთავროში.

გულაღმა გაშოტილად დაკრძალული მიცვალებულები, დამხრობილი არიან თავით O და W-კენ, დაახლოებით თანაბარი რაოდენობით. გვაქვს ოშვიათი შემთხვევები ერთ სამარხში, გულაღმა გაშოტილი, ორივე მხარეს დამხრობილი მიცვალებულებისა. თუ დაუშვებთ, რომ დაკრძალვის ეს პოზა ქრისტიანულია, მაშინ ზოგი ფაქტი (ერთ სამარხში მიცვალებულთა დაკრძალვა ორი სხვადასხვა დამხრობით, სხვადასხვა სამარხებში სხვადასხვა დამხრობით (O და W) დაკრძალულ მიცვალებულებზე, ერთი და იმავე ქრისტიანული სიმბოლოს: ღუზა და ორი თევზი, დადასტურება), გვიფიქრებინებს, რომ გულაღმა გაშოტილი დაკრძალვა O და W-კენ, ორივე ქრისტიანული უნდა იყოს. საინტერესოა, რომ თუ გვიანანტიკურ ხანაში (III—IV) მცხეთა-სამთავროში, გაშოტილი მიცვალებულები იკრძალებიან თავით O და W-კენ, დაახლოებით თანაბარი რაოდენობით, ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში, დაახლოებით IV ს-ის მიწურუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდან (ზუსტი თარიღის განსაზღვრა დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს) სამთავროზე მოლიანდაა გაბატონებული დაკრძალვა გაშოტილ პოზაში თაით O-კენ (თითო ოროლა ქრისტიანული სიმბოლოებითაც: მაგ., მინის თასი ფარშევანგის გამოსახულებითა და ბერძნული წარწერით „შესვი იოცხლე“ და ბრინჯაოს ბეჭედი, ფარაკზე ქრისტიანული შინაარსის ბერძნული წარწერით „ღვთისა“), ხოლო მის გარშემო სამაროვნებზე ვხედავთ, მიცვალებულთა დაკრძალვას თაით W-კენ.

ჩვენი აზრით, სამთავროს ანტიკური ხანის ძეგლების აქ წარმოდგენილი ქრონოლოგია, საშუალებას მოგვცემს ახლებურად გავიაზროთ ანტიკური ხანის ქართლში მიმდინარე ისტორიული პროცესები.

Г. Н. МАНДЖГАЛАДЗЕ

К ХРОНОЛОГИИ АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ПАМЯТНИКОВ АНТИЧНОЙ ЭПОХИ САМТАВРСКОГО МОГИЛЬНИКА

Резюме

Данная статья является кратким содержанием большой работы автора «Материальная культура Самтавро, I в. до н. э. — IV в. н. э.», посвященной новой хронологии античных памятников Самтаврского могильника.

В статье рассмотрены основы и критерии новой хронологии; подобраны основные датирующие объекты; определены реперные комплексы позднеримских археологических памятников; предложен новый метод датировки Самтаврских погребений.

Кувшинные погребения датированы I в. до н. э. — III в. н. э. (вместо I в. до н. э.); черепичные, плинфовые, грунтовые погребения и каменные ящики — III—IV в. н. э. (вместо I—III в. н. э.).

წარმოადგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

З. Г. КИКНАДЗЕ

СИМВОЛ ЧАШИ В МИФЕ О КУЛЬТУРЕ

Диоген Лаертский в своей книге «О жизни, учениях и изречениях знаменитых философов» среди прочих анекдотов из жизни прославленного киника Диогена Синопского рассказывает следующее: «Увидев однажды, как мальчик пил воду из горсти, он выбросил из сумы свою чашу, промолвив: «Мальчик превзошел меня простотой жизни» [1, с. 245].

Диоген Синопский прославил себя тем, что довел до крайности идеи своего учителя Антисфена, философию отрицания культуры и цивилизации и всю свою долгую жизнь посвятил осуществлению этих идей на деле, став живым олицетворением кинической практической философии. «Он решительно отвергал все блага цивилизации и требовал, чтобы человек вернулся в первобытное состояние или даже вел жизнь животного. Всю культуру он объявлял насилием над человеческим существом, отвергал государство... Свое безразличие к моральной и общественной жизни Диоген Синопский доводил до циничного бесстыдства и полного равнодушия к любым неудобствам жизни... [2, с, 18]. Представитель практического кинизма, Диоген считал высшим идеалом человечества жить сообразно с природой, подобно животному, собаке, чем и можно было оправдать название школы (kynikós от kyōn «собака»). На слова Александра Македонского: «Я — великий царь Александр», киник якобы ответил с достоинством: «А я собака Диоген» [1, с. 253]. По преданию, на его мегильном памятнике была изображена собака [1, с. 259].

Для Диогена все, что исходит от природы, есть благо; что идет от человеческих постановлений есть зло, отдаление от природного состояния. Ясно, что в вышеприведенном изречении Диогена «Мальчик превзошел меня простотой жизни» и в его поступке чаша представляется символом человеческих постановлений, закона, в противоположность природе; и хотя чаша в своем генезисе не что иное, как «горсть», т. е. живая часть самой природы, она могла быть, по мысли кинического философа, началом деградации естественного человека. И Диоген, поняв это, выбросил чашу. Чаша в его сознании явилась знаком цивилизации, от которой человек должен отказаться во имя естественного т. е. подлинного человека.

Представляется неслучайным, что у того же Диогена Лаертского в эпизоде анекдотического спора киника с Платоном об идеях чаша вместе со столом берется в качестве примера. На слова Диогена. что он видит «чашу» и «стол», но не видит «чашности» (kyathotēs) и «стольности» (trapezotēs), Платон отвечает: «Чтобы видеть стол и чашу, у тебя есть глаза, а чтобы видеть стольность и чашность, у тебя нет разума» [1, с. 251]. Действительно, отрицанием номиналь-

ного существования чаши, т. е. чашности, Диоген лишает чашу смысла, разума (nóos), объявляя тем самым ее несостоятельность и в онтологическом плане.

Если Диоген, отбросив чашу, снимает с себя бремя человеческой культуры и порывает последнюю связь с культурным человечеством, каковым являлась его родина, то оставленный на необитаемом острове Лемносе Филоктет, чтобы сохранить связь с культурным человечеством, с Элладой, изготавливает собственными руками деревянную чашу, которая вызывает ироническое замечание Одиссея, назвавшего ее «сокровищем» (Софокл, Филоктет, 35—37). Действительно, эта чаша, хоть изготовлена она «из грубого дерева», является сокровищем для одинокого героя, знаком его принадлежности человечеству — эллинскому миру. Можно сказать, что Филоктет с чашей в руке олицетворяет присутствие культуры на пустынном острове.

Для Филоктета эта чаша олицетворяет человеческую культуру, саму человечность, приобретенную его предками многих поколений. Благодаря чаше получеловек Энкиду, герой Эпоса о Гильгамеше, приобщается к культуре, Урукской цивилизации. Энкиду в прежней своей жизни не умел пользоваться не только чашей, но даже горстью, так что он был проще, естественнее мальчика; превзошедшего Диогена «простотой жизни». Энкиду ближе к идеалу киника Диогена, в тексте эпоса подчеркивается, что он

Вместе со зверьем к водопою теснится,
Со скотом водой веселит сердце [3, с. 9].

Энкиду не связан узами человеческих отношений и законов; он тот, который «ни людей, ни мира не ведает», существо без роду, без племени, воплощение идеала Диогена, с гордостью называвшего себя «непринадлежащим никакому полису» («бесполисным» apolos) бездомным, лишенным отечества, неимущим, скитальцем» [1, с. 245]; он первый среди людей во всей человеческой истории) дерзновенно назвавший себя гражданином мира» (kosmopolitēs). «Я гражданин мира», говорил он, и на вопрос, откуда он явился, отвечал: «Отовсюду».

Энкиду же, герой антропогонического мифа о первочеловеке, пришедший «отовсюду», должен по необходимости рока покинуть безграничные степи и найти родину в «огражденном Уруке». На пути преображения, очеловечения его ожидает чаша.

Дикий человек (луллу-амелу), который «со скотом водой веселил сердце» и «питью сикеры обучен не был», приобщается к человечеству через чашу, предложенную женщиной, служительницей культа:

Ешь хлеб, Энкиду, — то свойственно жизни,
Сикеры пей, — суждено то миру!
Досыта хлеба ел Энкиду,
Сикеры испил он семь кувшинов.

За этим актом непосредственно следует его очеловечение — зарождение в нем человеческого самосознания и приобщение к человеческому образу жизни:

Взыграла душа его, разгулялась,
Его сердце веселилось, лицо сияло.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Он ощущал свое волосатое тело, —
Умастился елеем, уподобился людям,
Одеждой оделся, стал похож на мужа [3, с. 16].

Число «семь», указывающее на количество испитых чаш, придает чаше сакральный характер в этом решающем моменте преображения Энкиду. «Семь» совершенное число и его совершенство подчеркивается в параллельных строках, цитированных выше:

Досыта хлеба ел Энкиду,
Сикеры испил он семь кувшинов.
(ikul aklam enkidu adi sibêšu
šikaram ištiam sibû assammim),

где «досыта» adi sibêşu* и «семь» sibû являются семантическими вариантами общей идеи «завершенности», «полноты», близкой по существу и смыслу древнегреческому термину teleté (от télos «завершение») в значении «посвящения в таинства».

Чаша, которую Энкиду семикратно подносит к своим губам, представляется нам сосудом посвящения в тайны цивилизации. Через чашу Энкиду постигает «судьбу (человеческого) мира» šimti mati); «Сикеру пей, это судьба мира» (в переводе И. М. Дьяконова «суждено то миру»). Тут чаша, возвышаясь над бытовым уровнем, превращается в символ инициации.

Инициаторская роль чаши засвидетельствована в мифологических сюжетах. Золотая чаша Геракла, которая, по рассказу Геродота (IV, 10), перешла в наследство к его сыну Скифу — родоначальнику скифских царей, представляется главным, если не единственным, атрибутом царской власти в самом ее генезисе и вместе с тем проводником культуры от эллинов к варварам.

По другому, скифскому же, рассказу Геродота (IV, 5), упавшая с неба вместе с другими предметами (плуг с ярмом и секира) чаша символизирует не только царскую власть вместе с сакральными функциями жреца, но и культуру, предвещая ее зарождение на «пустынной тогда земле»**.

Но чаша, как символ, может подняться еще выше, совершенно освободившись от своей непосредственной, первоначальной функции. Диоген Лаертский в своей книге передает древнегреческую легенду, по-видимому, малоазиатского происхождения, о семи мудрецах и чаше, где она предстает перед нами в качестве символа божественной мудрости в человеке.

«Некий аркадянин Бафикл оставил чашу, завещав: отдать ее тому, кто в мудрецах лучший. Ее поднесли Фалесу, она обошла всех и вернулась к Фалесу, а он отослал ее Аполлону Дидимейскому, написав при этом, по словам Каллимаха, так:

Принес царю Нелеевых мужей, Фебу,
Меня Фалес, по чести заслужив дважды;

---

* adi sibêsu можно понять и как «до семи раз» (устное сообщение И. М. Дьяконова).

** В иранской средневековой литературе чаша считается вещественным проявлением царской сущности — «фарны» [4, с. 42].

ОЛИГОСФЕРА
ЗОЛОТОЙ ВЕК

в прозе же так: «Фалес Милетский, сын Эксамия, — Аполлону Дельфинийскому свою дважды заслуженную меж эллинов награду». А носил эту чашу от мудреца к мудрецу Фирион, сын Бафикла» [1, с. 71—72].

Чаша прошла через семь мудрецов и, засвидетельствовав в каждом из них наличие мудрости, была посвящена своему истинному хозяину. Легенда находит источник мудрости в Аполлоне и вместе с тем удостоверяет гармонию между семью прославленными родоначальниками греческой духовной культуры и их равенство перед мудростью, символом которой выступает чаша.

ЛИТЕРАТУРА

1. Диоген Лаертский, О жизни, учениях и изречениях знаменитых философов, М., 1979.
2. Лосев А. Диоген Синопский, в кн.: Философская энциклопедия, М., 1970, т. 5.
3. Эпос о Гильгамеше, пер. с аккадского И. М. Дьяконова, М.—Л., 1961.
4. Литвинский Б. А. «Золотые люди» в древних погребениях центральной Азии, «Советская этнография», 1982, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა სხირტლაძე

ფრესკის ფრაგმენტი ფიას წმ. თევდორეს ეკლესიის საკურთხეველში

1. ეს მცირე ზომის, დარბაზული ტიპის ეკლესია ჯავახეთის ერთ-ერთ წარმტაც კუთხეში, ნასოფლარ ფიაში დგას. იგი ძეგლთა იმ რიგს მიეკუთვნება, რომლებიც სომშენებლო წარწერის მიხედვით ზუსტად თარიღდება — ტრაპეზის ქვაზე ამოღარული ასომთავრული ტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ წმ. თევდორეს ეკლესია 995 წელს აუგიათ: **„ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთისაჲ)თა მე ჩქ(ა)რმან და ძმ(ა)თა ჩემთა დავდგით ესე ეკლეს(ია)ჲ, ქ(ო)რ(ონი)კ(ო)ნი იყო სე“**[1].

ეკლესიის ხუროთმოძღვრულ თავისებურებათა თაობაზე კარგახანია რაც დაიწერა[2], მის ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტი კი შესწავლილი არ ყოფილა. გ. გაფრინდაშვილის წერილში მოტანილი ცნობის თანახმად, ძეგლი თ. ვირსალაძეს უნახავს და იგი X საუკუნისად მიუჩნევია[3]. ფრაგმენტის ფოტოს მიხედვით შესრულებული გრაფიკული მონახაზი გამოქვეყნებულია ტ. შევიაკოვას ალბომში, სადაც, ტაბულის ანოტაციაში, მხატვრობის თარიღად ასევე X საუკუნე არის დასახელებული[4].

2. საკურთხევლის კონქის ცენტრი ფიას ეკლესიაში საყდარზე მჯდომი უფლის გამოსახულებას უკავია. ეს ფიგურა თითქმის მთლიანად ავსებს არეს სარკმლის თაღიდან (მისგან 20 სმ-ის დაშორებით) კონქის საჭეშამდე. ქრისტეს მარჯვენა მკერდს წინ აქვს კურთხევის ნიშნად აღმართული, მეორე ხელით კი მარცხენა მუხლზე დადებული გადაშლილი წიგნი უჭირავს (ნახ. 1).

ნალესობა საკურთხევლის კონქში მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩა[5]; ფერწერული ფენა მასზე ცეცხლისაგან ერთიანად არის გამუქებული, სახეცვლილი. ამის გამო საკუთრივ გამოსახულებაც საგრძნობლად დაზიანებულია — აღარ არსებობს უფლის ჰიმატიონით დაფარული მარცხენა ფეხი, წარხოცილია სახის მარჯვენა ზედა ნაწილი, ფრესკაზე აღარ ჩაირჩევა საყდრის გამოსახულება; აქ არც კვარცხლბეკის მარჯვენა ნახევარი შემორჩა.

---

[1] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, 995 წ. ხუროთმოძღვრების ძეგლი ნასოფლარ ფიაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 8, 1956, გვ. 763; ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, აღმოსავლეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 269—270.

[2] გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 761—768.

[3] იქვე, გვ. 761.

[4] Т. С. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб., 1983, ტაბ. 111.

[5] ბათქაშის ფენა საკურთხევლის კონქში არათანაბარი სისქისაა; ამის მიზეზი კი ისაა, რომ ბაზალტის კვაღრებს წყობა ეკლესიის აფსიდში რამდენადმე არასწორ ზედაპირს ჰქმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს ფიშა ეკლესიის ფრესკაზე დიდი ზომის ჯვრული შარავანდი ადგას. მისი მოჩარჩოვება „მარგალიტებითაა“ შემკული. ყურადღებას იქცევს უფლის სახე დიდი ზომის თვალებით, სწორი, თხელი ცხვირითა და ასევე თხელი, მობდენილი ბაგეებით. ოვალი სახისა ფართოა, ყვრიმალებს ქვემოთ საგრძნობლად დავიწროვებული. მოკლე, მომრგვალებული ფორმის წვერი გამოსახულებაზე ბოლოში ოდნავაა ორად გაყოფილი. ტალღური თმები ფიგურას გრძელ კულულებად ეფინება მხრებზე.

უფლის ჰიმატიონი ცისფერია; იგი, ისევე როგორც კვართი, პატიოსანი თვლებით ყოფილა უხვად მოოქვილი. ფიგურის მარჯვენა მხარს ჩამოყოლებული ზოლი (ჩანს, მოლურჯო ფერისა) ოვალური ფორმის შედარებით მსხვილი ქვებითა და „მარგალიტებით“ გაუფორმებიათ. „მარგალიტთა“ წყობა შემოუყვება კვართის გულისპირსა და ყოშსაც მარჯვენა ხელის მაჯაზე. ასეთივე ზოლი ჰკევთს კვართს ქრისტეს მკერდზე და იგი შესამოსელს მარჯვენა, მაკურთხეველ, ხელზე ჩამოშვებული ჰიმატიონის კალთებამდე გასდევს. მიჯნით მიწყობილი იმავე ქვების თითო რიგი ამკობდა აქეთ-იქით კვარცხლბეკის კონტურსაც.

სამწუხაროდ, დღეისათვის ვერას ვიტყვით კონქის კომპოზიციის ფონის საღებავის აწ გამუქებული ფენა შემორჩა. ეს ტერფის შესრულებისას დადებული ძირა ფერი — სარჩული უნდა იყოს.

სამწუხაროდ, დღეისათვის ვერას ვიტყვით კონქის კომპოზიციის ფონის თაობაზე. მისი მოხრდილი ფრაგმენტები შედარებით სრულად ქრისტეს ფიგურის მარცხნივ შემორჩა (განსაკუთრებით მისი მხრისა და თავის გასწვრივ, ასევე კვარცხლბეკთან). აქ „დიდების“ შარავანდის — მინდორლის კვალი არ ჩანს.

ქრისტეს გადაშლილ წიგნზე (მას სამი ზორტი აქვს) მსხვილი ასომთავრულით შესრულებული ტექსტი შედარებით სრულადაა შემორჩენილი. ესაა ტრადიციული ციტატა ოთხთავიდან (იოანე — VIII, 12)[6]:

verso	recto
1. ᲐᲜᲐ	6. ᲐᲮᲜᲔᲛ
2. ᲩᲐᲩ	7. ᲐᲥᲐᲜ
3. ᲩᲘᲜᲔ	8. ᲪᲚᲘᲡᲐᲨ
4. ᲜᲔᲛ	9. [. . .]
5. ᲜᲘᲜᲔᲪ	

მე ვ|[2]არ ნ|[3]ათელ|[4]ი ს(ო)ფ|[5]ლისაჲ, ||[6]რ(ომე)ლი შე|[7]მომ|[8]დგეს მე,|[9] [არა ვიდოდის ბნელსა].

---

6 წარწერა პირველად გამოსცა გ. გაფრინდაშვილმა, ხოლო მოგვიანოდ, 1983 წელს — ვ. სილოგავამ (გ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 761; ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, საბრძოლ საქართველოს წარწერების შესწავლა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიული ექსპედიციის მიერ, «მრავალთავი», X, 1983, გვ. 269, სურ. 5). ვ. სილოგავას მითითებით, წარწერა უფლის წიგნზე თეთრი ფერის საღებავითაა დატანილი (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 268); სინამდვილეში ეს საღებავის ჩამოცვენის შედეგად ბათქაშზე დარჩენილი თეთრი კვალია.

ამ წარწერაში გრაფემების პალეოგრაფიულ თავისებურებათა თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღინიშნა[7]. სწორედ მათ საფუძველზე იქნა გამოთქმული მოსაზრება, რომ სამხრეთ საქართველოს ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ ძეგლთა შორის დღეისათვის ცნობილი ეს უადრესი ნიმუში ფრესკული ეპიგრაფიკისა X საუკუნის დასასრულით ან XI საუკუნით უნდა დათარიღდეს[8].

იყო თუ არა რაიმე გამოსახულება კონქს ქვემოთ, საკურთხეველს კედლებზე, ახლა უცნობია. ნაღსობა დღეისათვის მხოლოდ სარკმელშია შემორჩენილი, თუმცა ფერწერული ფენის კვალი აქ არ ჩანს. ბათქაშის ძალზე მცირე, ორიოდე ფრაგმენტი შემოინახა ეკლესიის დარბაზშიც. ამას გარდა დასავლეთ კედლის ცენტრში, უშუალოდ ქვის კვადრზე წოიელი ფერის საღებავით მოგრძო პროპორციების მქონე ჯვარი გამოუსახავთ.

3. ფიას ეკლესიის კონქის ფერწერული შემკულობის ფრაგმენტულობის გამო ახლა შეუძლებელია გადაჭრით რაიმეს თქმა იმის თაობაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო საყდრზე მჯდომი უფლის აქეთ-იქით წარმოდგენილი: ქრისტეს გამოსახულების გვერდით კონქის კიდეებამდე დარჩენილი არეების სიმცირის გამო აქ ანგელოზთა ან ღმრთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ფიგურები ვერ განთავსდებოდა. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, ეს მრავალფრთოდთა (სერაბინთა, ქერაბინთა ან ოთხხატდთა) გამოსახულებებია. საკურთხეველს მოხატულობის მსავსი სქემა, ერთი შეხედვით, საკმაოდ უჩვეულო უნდა იყოს, თუმცა კი ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს თავად ქართულ კედლის მხატვრობაში დადასტურებული მაგალითები გვაძლევს. ესაა კატაულას და იფხის მოხატულობები — ორივე X ს-ის მიწურულისა. კატაულას ეკლესიაში[9] კონქი წრიულ „ციდებაში“ მოქცეული უფლის გამოსახულებას სჭერია (მისგან ახლა მხოლოდ მცირე ნაშთებიღა დარჩა; ნაღსობა კონქის კიდეებზე ერთიანად არის ჩამოშლილი და, ამდენად, უცნობია იყო თუ არა აქ მრავალფრთოდთა გამოსახულებები განლაგებული); ქვემოთ, საკურთხეველის კედლებზე კი, ერთადერთი სარკმლის აქეთ-იქით, ღმრთისმშობლისა და იოანე წინამორბედის, აგრეთვე მათს უკან, ანგელოზის თითო გამოსახულებაა წარმოდგენილი. იფხის ეკლესიის საკურთხეველს კონქში[10] საყდარზე მჯდომი ქრისტე, ფიას მხატვრობის მსგავსად, მანდორლის გარეშეა გამოსახული; მისი საყრდის ქვედა ნაწილში (კონქის ჭუსლის დონეზე), აქეთ-იქით, მთავარანგელოზის მცირე ზომის ფიგურა გამოუსახავთ, უფრო ქვემოთ, საკურთხეველის სარკმლის კიდეებზე (მასთან მიჯრით) კი ღმრთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ასევე მცირე ზომის გამოსახულებებია შესრულებული.

ორივე ეს ძეგლი „ვედრების“ კომპოზიციის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, „ისტორიული თეოფანისა“ და „ვედრების“ თემათა შერწყმის მეტად საგულისხმო მაგალითია და უთუოდ მნიშვნელოვანია ადრეშუასაუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში „ვედრების“ იკონოგრაფიული თემის თანდათანობითი ჩასახვა-განვითარების შესახებ მსჯელობისათვის. ამასთან ერთად, ისინი სა-

---

[7] ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 268—269.

[8] იქვე, გვ. 269.

[9] ეს ძეგლი ჯერ კიდევ არ გამხდარა სავანგებო კვლევის ობიექტი. მითითება მის შესახებ (თარგლოთურთ) იხ. Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980, გვ. 160.

[10] Т. С. Шевякова, დასახ. ნაშრომი, გვ. 20—21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებას იძლევა გამოითქვას ვარაუდი — ხომ არ იყო მსგავსი სქემა, ე. ი. „ვედრების“ გარდამავალი ტიპის კომპოზიცია წარმოდგენილი ფიაში? სამწუხაროდ, ამის თაობაზე გადაჭრით რაიმეს თქმა უკვე შეუძლებელია, თუმცა არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ფიასა და ზემოთ დასახელებული ორი ძეგლის შექმნის ერთსა და იმავე პერიოდს (ხანას, რომელიც „ვედრების“ თემის ჩამოყალიბებისა და ფართო გავრცელების ეტაპადაა მიჩნეული)[11].

ფიას ეკლესიის საკურთხევლის კონქის მხატვრობაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საყდარზე მჯდომი ქრისტე ნათლის შარავანდის — მანდორლის გარშემო წარმოდგენილი. უფლის ამგვარად გამოსახვა უფრო მეტად „ვედრების“ კომპოზიციისათვისაა დამახასიათებელი (ამის მაგალითად თუნდაც დასახელებული თემის უადრესი ნიმუშები — სვიფის ეკლესიის პირველი ფენის IX-X სს. მოხატულობა[12], აგრეთვე გარეჯის წამებულის მონასტრის მცირე ეკლესიის საკურთხევლის X ს-ის ფრესკა[13] იკმარებდა), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ე. წ. „ისტორიული თეოფანიის“ ქართულ რედაქციათა ერთ ნაწილშიც ასევე არ გვხვდება. ესაა სპერეების V, VI და VIII ეკლესიათა IX-X სს. მოხატულობები[14], აგრეთვე ნეზგუნის ეკლესიის აფსიდის თავდაპირველი შემკულობა, სამეცნიერო ლიტერატურაში X საუკუნით დათარიღებული[15].

მიუხედავად იმისა, რომ ფიას ეკლესიის საკურთხევლის ფერწერული შემკულობის იკონოგრაფიული სქემის თავდაპირველი სახით აღდგენა ანდა შეუძლებელია, იგი უთუოდ საყურადღებოა და ფასეული ზემოხსენებულ თავისებურებათა გამო. ფრესკის ეს ფრაგმენტი ისტორიული სამხრეთ საქართველოს კედლის მხატვრობის ძეგლთა საკურთხევლის მოხატულობის პროგრამების შესახებ მსჯელობისათვის თუმცა მცირე, მაგრამ მაინც საგულისხმო ნიმუშს წარმოადგენს.

4. ზემოთ აღწერილი გამოსახულების ფრაგმენტულობა, ფერწერული ფენის საგრძნობი დაზიანება, ართულებს მისი მხატვრული თავისებურებების ვრცლად განხილვას. ამის მიუხედავად, ფრესკისათვის ნიშანდობლივი ცალკეული თავისებურებები მისი შესრულების სავარაუდო პერიოდის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ფიას ეკლესიის საკურთხეველში შემორჩენილი ფრაგმენტი ფერწერული შემკულობისა პირველყოვლისა იმ მხრივაა საყურადღებო, რომ იგი თავისი ხასიათითა და შესრულების მანერით საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციის — ტაო-კლარჯეთის კედლის მხატვრობის ძეგლთა წრისთვის (ოთხთა ეკლესია — X ს-ის დასასრული, ტბეთი, იშხანი, ხახული — სამივე XI

---

[11] И. Мысливец, Происхождение „Деисуса“, в сб.: „Византия, Южные славяне и Древняя Русь, Западная Европа, Искусство и культура“, Сборник в честь В. Н. Лазарева, М., 1973, გვ. 59—63.

[12] Т. С. Шевякова, დასახ. ნაშრომი, გვ. 22—23 (აეტორი პირველი ფენის მხატვრობას ეკლესიაში XI ს-ის დასაწყისით ათარიღებს).

[13] А. И. Вольская, Ранние росписи Гареджи, „IУ Международный симпозиум по грузинскому искусству“, Тб., 1983, გვ. 5.

[14] იქვე, გვ. 4,5.

[15] Н. А. Аладашвили, Композиция алтарной конхи в церквах Сванетии, „IУ Международный симпозиум по грузинскому искусству“, Тб., 1983, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს-ის დასაწყისისა, ოშკი — 1036 წ.) ნიშანდობლივ მხატვრულ თავისებურებებთან ამყოფავნებს გარკვეულ სიახლოვეს. ცხადია, ტაოს X-XI სს. მიჯნის დიდ ფერწერულ ანსამბლთა და ფიას ფრესკას შორის შესრულების პროფესიული დონის მხრივ სხვათა აშკარაა და უთუოდ ანგარიშგასაწევი, თუმც თვალშისაცემია მსგავსებაც — ფრესკის ზემოთ აღწერილი ფრაგმენტი ამ მხრივ უთუოდ საგულისხმო ნიმუშს წარმოადგენს.

საყდარზე მჯდომი უფლის ფიგურა ფიას საკურთხევლის ფრესკაზე, ისევე როგორც ტაოს ფერწერულ ანსამბლთა საკურთხევლის კომპოზიციებში, პირველყოვლისა თავისი მონუმენტურობით არის შთამბეჭდავი. გამოსახულება აფსიდისა და, სახელდობრ, კონქის ზომებთან შედარებით პროპორციულად რამდენადმე დიდია; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძლიერი, საყდარზე მყარად მჯდომი ფიგურა ქრისტესი აქ თითქმის მთლიანად ავსებს კონქის არეს. ფიასაგან განსხვავებით, ტაოს ძეგლთა ვრცელ, რეპრეზენტაციული ხასიათის კომპოზიციებში უფალი სხვადასხვა ფიგურებით (ანგელოზთა დასებით, მრავალფრთედთა წყვილებით, სხვა ამოკალიფსური სიმბოლოებით) არის გარემოცული[16], თუმცა კი იქაც მისი გამოსახულება იმდენად დიდია კონქის დანარჩენ გამოსახულებებთან შედარებით, რომ იგი მკაფიოდ გამოიყოფა საკურთხევლის თეკლს ფერწერულ შემკულობაში; უფლის ფიგურა ამ შემთხვევაში აფსიდალური პროგრამის მხოლოდ აზრობრივ და მხატვრულ დომინანტად როდი გვევლინება — იგი თითქმისდა იტვირთავს ფრესკული შემკულობის მთლიანობისა და მონუმენტურობის განმსაზღვრელის ფუნქციას.

ფიას გამოსახულების მონუმენტურობას თავად ფიგურის გადაწყვეტაც განაპირობებს — უფლის მძლავრი, პროპორციული აღნაგობის სხეული იმთავითვე იპყრობს ყურადღებას ფართო, დაქანებული მხრებით (ამას განსაკუთრებით უსვამს ხაზს განზე საგრძნობლად გაწეული მარცხენა ხელი, რომლის კონტური ფაქტობრივად აგრძელებს მხრის ფორმას), ფართოდ გადგმული მუხლებით. მიუხედავად იმისა, რომ ფრესკაზე ამყამად საყდრის გამოსახულება არ ჩანს, მჯდომარე ფიგურის ოსტატური დაყენების წყალობით ეს ფაქტობრივად არც კი შეიმჩნევა.

ფიას ფრესკაზე ყურადღებას ხაზისა და ნახატის ხასიათი იპყრობს. უფლის შესამოსელის დრაპირების მომწიშნავი ხაზი აქ ძლიერია და დრეკადი; არტისტულად არის მოხაზული სხეულის კონტური, ნაკვთები, სამოსის ცალკეული დეტალები. ნაკეცთა ხაზები. დინამიკური ნახატი ოსტატურად შემოსწერს ფორმას. ფიგურის ზედატანზე დრაპირების ნახატი რამდენადმე უფრო დეტალიზებულია; ხშირი, თხელი და პლასტიკური, არათანაბარი სისქის ნოჭები გარკვეულწილად მისდევს სხეულის ფორმებს, ამასთან საგრძნობლად ანაწევრებს შესამოსელის (ჰიმატიონის) ზედაპირს. ამ მხრივ ფიას ეკლესიის ფრესკა ბევრად გვაგონებს ოთხთა ეკლესიის მოხატულობას, სადაც ფერადოვანი სილუეტების სახით მოცემული დიდ ზომის მონუმენტური ფიგურების შესამოსელი გულმოდგინედაა დამუშავებული დრაპირების ხშირი, რამდენადმე დაწვრილმანებული, პლასტიკური, სხეულის ნაკვთების მიმყოლი ნახატით[17];

---

[16] N. Thierry, Peintures du Xe siècle en Géorgie Méridionale et leurs rapports avec la peinture byzantine d'Asie Mineure, «Cahiers Archéologiques», XXIV, 1975, გვ. 76.

[17] იქვე, სურ. 6—8, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ფიაშიცა და ოთხთა ეკლესიაშიც არ არღვევს ფიგურათა სილუეტების მთლიანობას.

ზედატანის ამგვარი დამუშავების გვერდით უფლის კვართისა და ჰიმატიონის ქვედა ნახევარი რამდენადმე უფრო სქემატურად გამოიყურება. დრაპირება ჰიმატიონზე გრძელი, ფაქტობრივად თანაბარი სისქის და თითქმის პარალელური ხაზებითაა გადმოცემული. დიდი ზომის სამკუთხა ნაკეცებად დაშვებული ქობა მოსასხამისა პლასტიკურობასაა მოკლებული და რამდენადმე უფრო პირობითია (შდრ. შესამოსელის ნოჭთა მსგავსი ნახატი საბერეების VIII ეკლესიისა და ნეზგუნის მოხატულობებში)[18]. იგივე ითქმის კვართის ქვედა კალთის დრაპირების შესახებაც — აქ ნახატი მსხვილი, სწორი ხაზებით გადმოიცემა, რომლებიც ზოგჯერ სამკუთხა, წრეწვის ფორმის შვერილებითაა გაფორმებული; სხვა შემთხვევაში თავად დრაპირების ხაზებს აქვთ წაწვეტებული ფორმა.

ჩაცმულობის შემამკობელი მარგალიტების წყებით (ზოლები კვართის გულისპირის გაყოლებით, მარჯვენა მხრის ჩამოსწვრივ, აგრეთვე ზედატანის შუაში და მაკურთხეველი მარჯვენის ქვემოთ) ქრისტეს სამოსი ფიაში დეკორაციულადაა გაფორმებული; ფრესკაზე საგრძნობ დეკორაციულ აქცენტს წარმოადგენს უფლის გადაშლილ წიგნზე დატანილი მსხვილი ასომთავრული წარწერაც ლამაზი, მოხდენილი ფორმის მრგვლოვანი ასოებით, აგრეთვე მარგალიტებითა და პატიოსანი თვლებით გამშვენებული მისი შარავანდი.

არტისტიზმისა და დახვეწილობის საერთო იერი გამოარჩევს ქრისტეს შთამბეჭდავ, რაფინირებულ სახეს დიდი ზომის, ფართოდ გახელილი თვალებით, თხელი და სწორი ცხვირით, მოხდენილი ფორმის ბაგეებით. გრძელი, მხრებზე ტალღებად დაცემული თმა და შედარებით მოკლე, ნიკაპთან ოდნავ გაყოფილი, მრგვალი წვერი არამარტო შემოსწვრს უფლის ფართო სახის ოვალს გამოყოფილი ყურმალებითა და თხელი ლოყებით, არამედ საგრძნობლად განაპირობებს მის გამომსახველობას.

სამწუხაროდ, ვერას ვიტყვით ფრესკის კოლორიტული გადაწყვეტის თაობაზე; ფერწერული ფენის ის ნაშთები, დღეისათვის რომ შემოგვრჩა, არ იძლევა საკმაო მასალას მოხატულობის ამ მხარის შესახებ თუნდაც ზოგადი მსჯელობისათვის. უფლის შესამოსელის ძირითადი ტონი — ცისფერი, — როგორც ჩანს, საკურთხეველის ფერწერული შემკულობის ერთ-ერთი უმთავრესი ფერადოვანი აქცენტი უნდა ყოფილიყო.

ფიას ეკლესიის საკურთხეველის მოხატულობის ფრაგმენტის იკონოგრაფიულ თავისებურებათა კონსტატაციისას მასთან ახლო მდგომ ძეგლთა ქრონოლოგიური წრე X ს-ის (resp. X ს.-ის მეორე ნახევრისა ან მიწურულის) ნიმუშთა რიგით შემოიფარგლა. ფრესკისათვის დამახასიათებელ მხატვრულ-სტილისტურ ნიშნათა გათვალისწინება მის ადგილს სწორედ დასახელებული პერიოდის მოხატულობათა წრეში განსაზღვრავს. თუკი გავითვალისწინებთ თავად ნაგებობის აშენების თარიღს — 995 წ., ფიას ეკლესიის ფრესკის შესრულების ქრონოლოგიური საზღვრები შესაძლოა X-XI სს. მიჯნით შემოიფარგლოს. ეს თაეის მხრივ, ადასტურებს თ. ვირსალაძის და ტ. შევიაკოვის მიერ გამოთქმულ

---

[18] Т. С. Шевякова, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 41, 45, 63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრებას მხატვრობის ამ ფრაგმენტის შესრულების სავარაუდო პერიოდის თაობაზე.

ტაოური კედლის მხატვრობის ნაკადი X-XI სს. მიჯნის ქართულ სახვითხელოვნებაში იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი გავლენა ქვეყნის ამ სამხრეთი ისტორიული პროვინციის გარეთაც ჭარბად შეინიშნება. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს მანგლისის ტაძრის გუმბათის მოხატულობა წარმოადგენს; მისი კავშირი ტაო-კლარჯეთის მონუმენტური ფერწერის ძეგლებთან სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდაა მითითებული[19]. ფიას ეკლესიის ფრესკა ამ მხრივ რამდენადმე გამორჩეულადაც კი დგას — კუმურდოს ტაძრის საკურთხევლის მოხატულობასთან ერთად იგი ფაქტიურად ისტორიული ტაო-კლარჯეთის საზღვრებში შემავალი ძეგლია და, ამდენად, დასახელებული რეგიონის მონუმენტური ფერწერის ნიმუშთა წრისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები აქ შედარებით უფრო თვალსაჩინოა, ხელშესახები. სწორედ ამიტომაა, რომ ამჟამად საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციების ეკლესია-მონასტრთა მიუდგომლობის პირობებში, ფიას წმ. თევდორეს ეკლესიის საკურთხევლის ფრესკა, ფრაგმენტულობისა და სიმცირის მიუხედავად, საყურადღებო წყაროდ გვევლინება ტაო-კლარჯული კედლის მხატრობის შესწავლისათვის.

З. Н. СХИРТЛАДЗЕ

ФРАГМЕНТ ФРЕСКИ В АЛТАРЕ ЦЕРКВИ СВ. ФЕДОРА В ПИА

Резюме

На основе сравнительного иконографического и стилистического анализа фрагмента алтарной росписи церкви 995 г. в Пиа в исторической Джавахети, высказано предположение о наличии в алтаре церкви одной из разновидностей композиции на тему «Славы Христа». Фреска датируется рубежом X—XI вв.

Выявлено наличие определенной общности фрески в Пиа с кругом росписей X—XI вв. исторической южной провинции Грузии — Тао-Кларджети.

წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კავკასიოლოგიის კაბინეტმა.

[19] Т. Б. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, „II Международный симпозиум по грузинскому искусству", Тб., 1977, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЭДИШЭР ХОШТАРИА-ЗАРОЦЕ

თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი კრებულების მეთოდოლოგიური ასპექტები

ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკვანძო პრობლემების კვლევაში უკანასკნელი ორი ათეული წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები შეჯამდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" II—IV ტომებში (1973—1979 წწ.). გარდა ამისა, გამოქვეყნდა მთელი რიგი მონოგრაფიებისა, რომელნიც მიეძღვნა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების შესწავლას, გამოიცა რამდენიმე თემატური კრებულიც, მათ შორის საგანგებოდ ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისადმი მიძღვნილი. მაგრამ ბევრ საკითხში, მათ შორის პერიოდიზაციაზედაც, ჩვენს ისტორიაში აზრთა დიდი სხვაობაცაა. კერძოდ, სადავოდაა ქცეული ადრეფეოდალურიდან განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლის დრო და ვითარება, ამ პერიოდის საზოგადოებრივ ძალთა რაობა და თანაშეფარდება[1].

დასმული პრობლემების გადაჭრა ქართული მედიევისტიკის ერთ-ერთი ძირითადი და საშური ამოცანაა, რომელიც საფუძვლიან კომპლექსურ განხილვასა და დასაბუთებას საჭიროებს, წინამდებარე წერილში კი ჩვენ გვინდა შევეხოთ პრობლემის მხოლოდ რამდენიმე საკითხს, უპირატესად მეთოდოლოგიურ ასპექტში, რასაც, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანის გარკვევაში. კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ საკითხად გვესახება „მსახურთა" ფენის თუ წოდების სტატუსის განსაზღვრა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მთელ სიგრძეზე. ამ საკითხზეც უკანასკნელ დროს აზრთა დიდი შეუთანხმებლობა სუფევს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საკამათოდ არის ქცეული — მსახურნი ფეოდალურ კლასს მიეკუთვნებიან თუ გლეხებად გვევლინებიან[2].

---

[1] ჩვენი თვალსაზრისი ამ პრობლემაზე სათანადო ლიტერატურაზე მითითებით გამოთქმული გვაქვს ნაშრომებში: „ე. ხოშტარია (ბროსე), ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისთვის (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენილობის შესახებ), „მაცნე", ისტორიის სერია, 1979, № 4. იხ. აგრეთვე საგანგებო თავი — „ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგიერთი საკითხი", წიგნში: ე. ხოშტარია-ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მოისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984.

[2] საკითხის ისტორიოგრაფია და ამ მიმართულებით კვლევის შეჯამების ცდა მოცემულია გ. აკოფაშვილის წერილში: „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში", კრებულში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1986.„ ამიტომ ისტორიოგრაფიული მიმოხილვისგან აქ ჩვენ თავს ვიკავებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მსახურთა საკითხისადმი საგანგებოდ მიძღვნილ უკანასკნელ ნაშრომში გამოქვეყნებულ ლიტერატურაში (გ. აკოფაშვილი, ზ. რატიანი, ქ. ჩხატარაიშვილი, მ. სანაძე და სხვები) დიდძალი ფაქტობრივი მასალა არის მოხმობილი (თუმცა სხვადასხვა კუთხით გააზრებული), ჩვენ აქ ამ მასალის განხილვას არ შევუდგებით, მხოლოდ ყურადღებას გავამახვილებთ საკითხის დაყენების მეთოდოლოგიურ მხარეზე. ჩვენი აზრით, მსახურთა სტატუსის გარკვევა შეუძლებელია, თუ კვლევას საფუძვლად არ დავდებთ ისტორიზმის პრინციპად, ე. ი. არ გავმიჯნავთ ერთმანეთისაგან ადრეული ნანის და გვიანი პერიოდის მსახურთა მდგომარეობას. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა დროს (ადრეფეოდალურ ნანაში და განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში) მსახურთა კონტიგენტს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენები იძლეოდნენ. ბუნებრივია, თუკი მივიღებთ თვალსაზრისს ადრეფეოდალურ ნანაში თავისუფალ მოლაშქრე საზოგადოების („მდაბიორ-მოლაშქრეთა“, იგივე „ერის“) არსებობის შესახებ, რომელიც მეფისა თუ დიდებულთა ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა („ყმები“) და ამდენად, „პატრონყმურ“ ურთიერთობაში იყო ჩაბმული (ნ. ბერძენიშვილი)*, მაშინ მსახურთა სტატუსის საკითხიც ამ პეროდში ბუნებრივად გადაწყდება: მსახურნი იგივე „ერისგანნი“ იყვნენ, ე. ი. განეკუთვნებოდნენ არაპრივილეგირებულ თავისუფალ საზოგადოებრივ ფენას. მათ „პატრონები“ განსაკუთრებული სამსახურისათვის იყენებდნენ (ამალაში ხლება, სასახლის სამსახური). სამეფო სასახლეში ესენი იყვნენ ე. წ. „ტაძრეულნი“ (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი).

ამდენად, ჩვენ არასწორად გვეჩვენება გ. აკოფაშვილის დასკვნა, თითქოს მსახურნი „თავიანთი წარმოშობით ეკუთვნიან სხვადასხვა სოციალურ ფენას. მაღალ თანამდებობაზე, საფიქრებელია, ძირითადად აზნაურთა და სხვა თავისუფალი ფენებიდან არიან შერჩეულნი, მსახურთა ძირითადი მასა კი სხვადასხვა სოციალური წარმოშობისაა — წვრილი ერისგანნი, გააზატებულ მონათაგანი, შესაძლოა , გლეხთაგანნიც. ცხოვრობენ ძირითადად ბატონის ხარჯზე ბატონის კარზე, ანდა მის სიახლოვეს, სამხედროვალდებულები არ ჩანან (ადრეფეოდალურ ნანაში სამხედროვალდებულ მსახურთა „ტაძრეულები“ ეწოდებათ, ისინი ფეოდალის პირად სამხედრო რაზმს შეადგენენ“[3].

ჩვენ არამართებულად გვეჩვენება საერთოდ მსახურთა აზნაურთა წოდებიდან გამოყვანა, რადგან აზნაურობა თავისთავად პრივილეგირებული (ფეოდალური) წოდება იყო. ხოლო თუ კი, კერძოდ, ადრეფეოდალურ ურთიერთობათა ნანას ავიღებთ — იმ ნანაც არც გლეხთა წრიდან იქნებოდნენ ისინი გამოსულნი (ამას გვიანდელ ვითარებაში ჰქონდა ადგილი, რასაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით).

ერთი სიტყვით, მსახურთა კონტიგენტს ადრეფეოდალურ ნანაში არა სხვადასხვა სოციალური ფენები, არამედ ძირითადად „ერი“ („მდაბიორ-მოლაშ-

---

* ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია სუმბატ დავითის-ძესთან პატრონყმურ ურთიერთობაში მყოფ პირისა თუ წრის გამომხატველი ტერმინების („უფალი“, „ერი“) დადასტურება მოთხრობაში ანტ კურპალატის მოკვლასთან დაკავშირებით: „ხოლო ესმა რა ესე ერსა მისსა... ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი ანტუ... წარვიდეს დღლისყანით და დევნა უყეს მკვლელთა მათ უფლისა თესისა“ (ქ. ც. I, გვ. 377). „ერი თესი“ ანუ იგივე „ლაშქარი თესი“ (ე. ი. ანტის) ტექსტში ნახსენებია უფრო ადრეც.

[3] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრენი“) იძლეოდა (ს. ჯანაშიას თანახმად „წვრილი ერი“, მისივე აზრით, „ზოგჯერ ისინი შესაძლოა გაეხატებელი მონებიც ყოფილიყვნენ“).

სხვა საკითხია, თუ როდემდის გრძელდებოდა ჩვენში ადრეფეოდალური ურთიერთობანი. ამ საკითხზე არსებული განსხვავებული მოსაზრებანი ჩვენ სხვაგან განვიხილეთ (იხ. ზემოთ დასახელებული ჩვენი ნაშრომები), ხოლო აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის მკვლევართა უმრავლესობა ტრადიციულად განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობაზე გადასვლას X ს. მიწურულიდან თუ XI საუკუნიდან გულისხმობს[4]. ჩვენ არამართებულად გვეჩვენება აზრი, თითქოს VIII ს. შუახანებისათვის (თუნდაც IX საუკუნეშიც) ბარად ბატონყმური უღელში (крепостичество) შებმულმა გლეხობამ საბოლოოდ დაიკავა „ერის („მდაბიორ-მოლაშქრეთა“) ადგილი. ამის საწინააღმდეგოდ თუნდაც ის მეტყველებს, რომ თუმცა ფეოდალის მიწაზე მიმაგრებული დაბეგრილი მიწის მოქმედის აღმნიშვნელი საგანგებო ტერმინი „გლეხი“ VIII-IX საუკუნეებიდან გვხვდება, მაგრამ მას თავიდანვე არ ჰქონია მარტო ასეთი ვიწრო მნიშვნელობა და საერთოდ დაბალი ფენის წარმომადგენლებს აღნიშნავდა („გლახაკნი“), უშუალო მწარმოებელთა ეს კატეგორია, როგორც ადრე, ასევე შემდგომაც მშრომელის გამომხატველი ზოგადი ტერმინით „შუშაკითაც“ აღინიშნება. ამ მხრივ საყურადღებოა არა მარტო ადრეეულ ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში მიწის მშრომელის მნიშვნელობით „მუშაკის“ ხმარება[5], არამედ „მუშაკისა“ და „ერისგანის“ ანუ მეომრის შინაარსობრივი ურთიერთდაპირისპირებაც. მაგალითად, ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიაში I ეზრას! მე-4 თავის მე-6 მუხლში ვკითხულობთ: „„და არა ხოლო თუ ერისგანნი მოღუაწენი, არამედ მუშაკნიცა, რომელნი ქვეყანასა იქმედ, რაჟამს დასთესიან და მკიან, ნაყოფი იგი თჳსი მოართჳან მეფესა“. ხოლო იქვე მე-16 მუხლში აღნიშნულია: „...მუშაკნი, რომელთა დაასხეს ვენაჯი, ვინაჲ, იყოფის ღჳნოჲ“. ბუნებრივია დაისმის საკითხი, თუ რატომ დასჭირდა ბიბლიის ქართველ მთარგმნელს მიწის მშრომელის (ჩანს, დაბეგრილის) მნიშვნელობით („ὁ γεωργός“), „მუშაკის“ ხმარება, თუ კი მას სხვა ტერმინი ეგულებოდა? ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, რომ ეს ტერმინი უპირისპირდება „ერისგანს“ („ὁ στρατιώτης“), ე. ი. სულ სხვა წრის წარმომადგენელს, რომელიც მეომართა საზოგადოებას ქმნიდა. მართალია, თანდათან დაბეგრილი მიწის მოქმედის მნიშვნელობით „გლეხი“ იკიდებს ფეხს, მაგრამ ერთბაშად არც „ერი“, „ერისგანი“ ქრება. ამ საზოგადოების სამხედრო ფუნქციის დაკარგვა, გაგლეხება ბარში XII—XIII საუკუნემდეც კი გრძელდება. ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერდა: „XII საუკუნის მიწურულს მდაბიორ-მოლაშქრეთა საზოგადოებრივ ფენას კრიტიკული ხანა უდგა...

მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა, მისი გლეხობაში გადასვლა იყო ყველაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც

---

[4] შეად. მ. ბერძენიშვილი, მეთრამეტე საუკუნის ქართული სისტორიო წყაროების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ („ნიკორწმინდელის დაწერილი“), თბ., 1979, გვ. 79—84. ი. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 218—229.

[5] იხ. ე. ხოშტარია-ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984, გვ. 36—37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ფეოდალურმა ურთიერთობამ კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების გზით განიცადა. XII საუკუნის მიწურულისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებული იყო"[6].

„ერის („ზდაბიორ-მოლაშქრეთა") ფენის გამძლეობა ქვეყნის ფეოდალიზაციის ინტენსიური პროცესის პირობებში იმით უნდა აიხსნას, რომ მასზე საჭიროება არსებობდა, როგორც ქვეყნის ძირითად სამხედრო ძალაზე. ბუნებრივია, რომ მეფისა და მსხვილ ფეოდალთა პირადი სამხედრო რაზმები (მოლაშქრე-მსახურთა და აზნაურთა სახით) ვერ დაუპირისპირებდნენ აღმოსავლეთის აგრესიული სახელმწიფოების ათეულობით ათასიან ლაშქარს. ამიტომ, შემთხვევით არ იყო, რომ დავით აღმაშენებელმა ქვეყნის ფეოდალიზაციის პირობებში ძირითადი სამხედრო ძალის — „ერის" შემცირების კომპენსაციის მიზნით ყივჩაღთა ჩამოსახლებით სცადა ხელოვნურად შეექმნა მეომართა შესაბამისი კონტიგენტი, რამაც 40 ათასი მოლაშქრე მისცა. მაგრამ, დასაწყისში წარმატებით განხორციელებულმა ამ ღონისძიებამ, საბოლოოდ მაინც ვერ უშველა საქმეს. „ერის" საჭიროება კი ამ დროსაც და მერეც დიდი იყო. ამიტომაც „ერის" გარკვეული ნაწილი — პროფესიონალ მოლაშქრეებად („სპა") ქცეული გამუდმებული ლაშქრობების პირობებში გვიანობამდე ინახავს თავს[7]. ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ მხოლოდ XIII—XIV საუკუნეებში ბეკასა და აღპეღას სამართალში დასტურდება „ყმისა" და „გლეხის" შორის ზღვარის წამშლელი ტენდენცია (ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი) და აგრეთვე ისიც, რომ XIII ს. მეორე ნახევრის დოკუმენტებში („სარჩელი სისლისა") „ყმა" და „გლეხი" ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ჯერ კიდევ ცალ-ცალკე გვხვდება. ამასთან, აქ „ყმა" მსახურს ნიშნავს[8] (იგივე მნიშვნელობით აქ გვხვდება „კაცი", „კაცნი"). არც ისაა შემთხვევითი, რომ საკმაოდ დიდხანს სახეზე გვაქვს „ერის" წვრილი მიწათმფლობელობის ნაშთები, რომელნიც, მართალია, გაქრობის საფრთხეში არიან, მაგრამ, გამძლეობასაც იჩენენ[9]. ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს საქართველოს ბარში ისეთი სასოფლო-სამეხრბლო თემების საკმაოდ დიდხანს არსებობა, რომლებიც სახელმწიფოს და აზნაურთა პატრონყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ მოქცეულნი და სულ უფრო და უფრო მეტად ხდებოდნენ ფეოდალების და ეკლესია-მონასტრების მემამულურ ინტერესებს დაქვემდებარებული თემებად. სადაც სპატონყმო ურთიერთობაც იკიდებდა ფეხს. და თუ „IX ს-დან დიდი ტეხილი მოხდა სასოფლო თემების ანუ ოდესღაც თავისუფალი დაბების არსებობაში — ისინი აზნაურ-ფეოდალების მფლობელობაში მოექცნენ და საბოლოოდ ამ ვითარების შესაბამისად მათ „სოფლები" ეწოდათ"[10], ეს პროცესი,

---

[6] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1973, გვ. 55, 60.

[7] იხ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 73.

[8] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები, IX—XIII სს. თბ., 1984, გვ. 188.

[9] იხ. მ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, ე. ხოშტარია-ბრონსე, ძველი ქართული სისტორიო წყაროების ტერმინთა „ერის" და „წვრილი ერის" მნიშვნელობისა და შესაბამისი სოციალური ფენების ადგილის შესახებ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 120, № 2, 1985., გვ. 434.

[10] ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—165.

ბუნებრივია, ამ დროს არ დასრულებულა და ამ ტეხილის შემდეგაც გრძელდება. კერძოდ, ქართლის „სოფელ“ მისი „აგარაებით“ XI—XII სს. დოკუმენტებშიც კვლავ წარმოგვიდგება „პატრონის“ წინაშე კოლექტიური ვალდებულების გამსტუმრებლად („აგარისა სოფელმა ერთი ტაიში შეგდენიხოს თორმეტითა რემითა“... — გიორგი II-ის 1170 წ. სიგელი), თუმცა ამ „სოფელში“ უკვე გლეხია ძირითადი შწარმოებელი საზოგადოება — „ტყითა, წყლითა, ველითა, საჭმარითა და უჭმარითა“ (იქვე). ასე რომ ფეოდალური მეურნეობის და მსხვილი მიწისმფლობელობის განუხრელი ზრდის პირობებში „ერის“ წვრილი მიწისმფლობელობის არსებობას და გამძლეობასაც არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში.

ეჭვი არ არის, რომ აღებული ხანისათვის „ერმა“ (ანუ „მდაბიორ-მოლაშქრეთა“ საზოგადოებამ) არსებითი ცვლილებები განიცადა. XI—XII სს. გამუდმებულმა ომებმა, ჯერ თავდაცვითმა, ხოლო შემდგომ წარმატებულმა საგარეო ლაშქრობებმა გამოიწვიეს მოლაშქრე საზოგადოების მეურნეობისაგან ფაქტობრივი მოწყვეტა, „ერის“ პროფესიონალ მოლაშქრეებად გადაქცევა. იქმნება შუმდივ მოლაშქრე „სპათა“, „მზედართ“ კონტიგენტი, რომლის ძირითად ბირთვს („აზნაურებთან“ ერთად) სწორედ ძველი „ერისგანნი“ ქმნიდნენ. მეორე მხრივ, „ერის“ რიგებს ადრიდანვე დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესი ამცირებდა. „ერისგანნი“, რომელიც ვერ შეასრულებდა მოლაშქრის ფუნქციას (ცხენით, სამხედრო აღჭურვილობით, სათანადო სახსრებით თავის უზრუნველყოფა), ვლეხდებოდა. ყოველივე ეს კი ბაში „ერის“ გადაშენებას იწვევდა. ამით საბოლოოდ იზღუდებოდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი, რაც ქართული სამხედრო ორგანიზაციის კრიზისს მოასწავებდა. ამან ჯერ ჯალალ-ედ-ინთან ბრძოლაში, ხოლო შემდგომ კი მონღოლებთან დაპირისპირების პირობებში იჩინა თავი. ჯერ წარმატებული საგარეო ლაშქრობების შეწყვეტამ და ბოლოს მონღოლებთან დამარცხებამ და მონღოლთა ბატონობამ შექმნა პირობები „ერის“ („მდაბიორ-მოლაშქრეთა“) საბოლოოდ გადასაშენებლად — გაგლეხების გარდა მისგან დეკლასირებული ელემენტების („მეკობრენი“ და სხვა) მისაღებად. ქვეყანაში სხვა მოლაშქრე რომ აღარავინ იყო, მონღოლებმა სალაშქრო მოვალეობა გლეხობას დაკისრეს.

ერთი სიტყვით, XI—XIII სს. საქართველოში ღრმა სოციალური ძვრების ეპოქაა. ამ დროს ძირეული გარდატეხა ხდება ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრებაში ძველის კვდომისა და ახლის დადგინების თვალსაზრისით. ისპობა ძველი საზოგადოებრივი ნაშთები, „ერის“ სახით. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ დროს სიტყვები „ერისგანნი“ „ერისკაცი“ მეომრის მნიშვნელობას კარგავს და ზოგადად საერო პირის აღმნიშვნელად იქცევა, ხოლო „საერო“ საერთო-სახალხოს და ამასთანავე საეკლესიო-სასულიეროს საპირისპირო მნიშვნელობას იღებს (ამის შესახებ საგანგებოდ სხვაგან გვექნება მსჯელობა).

ძველი „ერის“ („მდაბიორ-მოლაშქრეთა“) ანუ „ერისგანთა“ სოციალური წრის დავიწროებას, პროფესიონალ მეომრებად, „მზედრებად“ გადაქცევას მოყვა საბოლოოდ მათი „ყმებად“ (კონკრეტული სოციალური მნიშვნელობით) და მოლაშქრე „მსახურებად“ გაიზრება[11], რამაც ბექასა და აღბუღას სამართალში მკაფიოდ იჩინა თავი. ამ სამართლის ძეგლის მიხედვით, „მსახური“ ქარ-

[11] შეად. ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205—215, 229; გ. მამულია, პატრონყმობა, თბ., 1987, გვ. 18—26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ფენაა, გლეხსა და აზნაურს შორის მდგომი, რომელსაც უპირატესად სამხედრო სარბიელზე თავის გამოჩენისათვის სოციალური დაწინაურების, გააზნაურების საშუალებაც აქვს. ამ დროს „მსახური", როგორც ძველ „ერთან" გენეტიკურად დაკავშირებული საზოგადოებრივი წრე, პირადი თავისუფლების მქონე ვასალია, რის თქმაც არ შეიძლება გვიანდელი — XVII-XVIII სს. მსახურების შესახებ, რომლებიც ყმა-გლეხთა წრიდან იყვნენ გამოსულნი და ამდენად, პირადად თავისუფლად ვერ განიხილებიან.

ბუნებრივია, რომ „ერიდან" გამოსული ძველი მსახურთა ფენა ზემოაღნიშნულ ძვრებს გადაჰყვა თან. მაგრამ ფეოდალური საზოგადოება ხომ ასეთი მსახურეული წრის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა და გამოსავალიც მოიძებნა: ისევე როგორც მოლაშქრეობა, მსახურთა ფუნქციების შესრულებაც ახალ პირობებში გლეხობას დაეკისრა. ამიტომაც არის, რომ XV-XVIII სს. საბუთები და სხვა საისტორიო წყაროები მსახურებს უკვე გლეხთა ფენაში გულისხმობენ, როცა ტერმინ „გლეხი" ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი, ხოლო „მსახური" „გლეხის" პარალელურად მაშინ იხსენიება, როდესაც უკანასკნელი ტერმინი ვიწრო გაგებით, მხოლოდ მებეგრე გლეხობას აღნიშნავს. განსხვავება მსახურსა და მებეგრე გლეხს შორის მხოლოდ ის იყო, რომ პირველს სპპატიო სამსახური — ბატონის ხლება, თუ მე ქაზნე სამსახური ევალებოდა, რის სანაცვლოდაც საგლეხო ბეგარისაგან და მუშაობისაგან თავისნობას აღწევდა[12]. ცხადია, მსახურის განსაკუთრებული დამსახურება მეფის წინაშე შესაძლოა ამ დროსაც გამხდარიყო საფუძველი მისი სოციალური დაწინაურებისა და აზნაურთა წრიდებში გადასვლისაც. სწორედ ამ გაგებით განიხილებიან კვლავ მსახურნი, როგორც გარდამავალი საზოგადოებრივი ფენა, მაგრამ როგორც ადრე „ერიდან" გამოსულ მსახურთა პირადი თავისუფლება არ არის საკმარისი მათი პრივილეგირებული ფეოდალური კლასისადმი — აზნაურობისადმი მიკუთვნებისა, ასევე გვიან მათი გლეხთა წრისადმი კუთვნილება არ გამიდგება საბუთად ადრე მათი გლეხებად განხილვისათვის.

ყოველივე ზემოთქმულთან უშუალო კავშირშია მსახურთა სალაშქრო ფუნქციის საკითხიც. ბოლო დროს ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებობს ტენდენცია ფეოდალური ხანის მთელ სიგრძეზე ქართული ლაშქრის ძირითად ძალად მიჩნეული იქნან მსახურნი, ამასთან, ეს უკანასკნელნი ევროპულ მინისტერიალებთან არიან გათანაბრებულნი (ქ. ჩხატარაშვილი). მართალია, საკითხის ასეთი დასმის შესახებ ჩვენ ადრე უკვე გვქონდა გამოთქმული კრიტიკული თვალსაზრისი[13], მაგრამ აქ საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ გავუსვამ ხაზი იმას, რომ სამხედრო ორგანიზაციის თვალსაზრისით საქართველოს და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სრული ანალოგიის ძიება უმართებულოა, თუმცა გარკვეული სიახლოვის დანახვის წინააღმდეგი არც ჩვენ ვართ. ძირითადი სხვაობა კი ევროპესსა და ქართულ ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციაში ის უნდა ყოფილიყო, რომ თუ კი პირველისათვის დამახასიათებელი

[12] იხ. ე. ხოშტარია, გლეხობის სოციალური მდგომარეობის საკითხისათვის XVII—XVIII სს. ქართლში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. I, თბ., 1960, გვ. 100—103.

[13] ე. ხოშტარია (ბროსე), ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენილობის შესახებ), „მაცნე", ისტორიის სერია, 1979, № 4.

იყო რაინდული ლაშქარი (რომელიც როდენობრივად შედარებით შეზღუდული იყო) და მინისტერიალთა რაზმები, რომლებიც უფრო ფეოდალთა ამალას შეადგენდნენ, ქართული ლაშქარი ადრე ძირითადად „ერისაგანთაგან" შედგებოდა (რომელიც გაცილებით უფრო ფართო საზოგადოებრივი ფენა იყო, ვიდრე ევროპული „მინისტერიალები"), გვიან კი წარმოადგენდა მსახურთა და აზნაურთა ცხენოსანი გუნდებისა და უპირატესად ფეხოსანი გლეხური რაზმების ერთობლიობას, რომელთაც საველდებულო სამხედრო მოვალეობა „ლაშქარ-ნადირობა" ეკისრათ და ამა თუ იმ საფრთხის მიეკუთვნებოდნენ. ეს არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ადრეც და გვიანაც საკუთრივ საქართველოს მთის მოსახლეობის მონაწილეობას ლაშქარში და აგრეთვე დაქირავებულ (უპირატესად ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა) რაზმების გამოყენებასაც.

მსახურთა სალაშქრო ფუნქციის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ისტორიოგრაფიაში კვლავ ვხვდებით „მდაბიორ-მოლაშქრეთა" ფენის შესახებ ნ. ბერძენიშვილისეული კონცეფციის კრიტიკას. კერძოდ, ქ. ჩხატარაიშვილი თავის სადოქტორო სადისერტაციო შრომაში შემდეგს ამტკიცებს: „Если учесть факт существования привилегированного сословия мсахуров и после XII века, вплоть до конца феодальной эпохи и отсутствие в памятниках эпохи раннего феодализма упоминания о социальном слое свободных воинов—поселян, то становится очевидной несостоятельность концепции о существовании слоя „мдабиор—молашкре" в эпоху развитого феодализма. Для такого слоя в социальной структуре населения равнинной части Грузии IX—XIX веков просто нет места."[14].

ეს დებულება რამდენიმე კითხვას ბადებს. ჯერ ერთი, რა საფუძველზე თელის ავტორი „მსახურებს" პრივილეგირებულ ფენად XII ს. შემდეგ, ფეოდალური ეპოქის დასასრულამდე? ამ დროს მსახურნი კლეხთა წოდებიდან გამოდიოდნენ და მათი „პრივილეგია" ბატონის ხლებისა და სასახლის სამსახურისათვის მხოლოდ ნატურალური ბეგარისაგან გათავისუფლებაში გამოიხატება, მეორეც — ვინ ამტკიცებს „მდაბიორ-მოლაშქრეთა" ფენის არსებობას განვითარებული ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე XIX საუკუნემდე? სხვა სიტყვა ის, რომ ამ ფენის (იგივე „ერის") არსებობა დასტურდება არამცოუ IX, და X—XI საუკუნეებში, არამედ გადმონამთის სახით (პროფესიონალი მეომრები — „ბეგედრები", მოლაშქრე „ყაჩა" — „მსახურნი") XII—XIII საუკუნეებშიც. ეს არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ეს ეპოქა მიგიჩნიოთ განვითარებული ფეოდალიზმის ამ საფეხურად, როდესაც ადრინდელი საზოგადოებრივი ძალები ჯერ კიდევ ასრულებენ გარკვეულ როლს, თუმცა თანდათან ჩამოდიან საზოგადოებრივ სარბიელიდან და ადგილს სამოლოოდ უთმობენ ახალ სოციალურ ძალებს, რაც გულისხმობს განვითარების ახალ ხარისხს. მაგრამ ამ პროცესის XIX საუკუნემდე ვაჭიმვაც არავის უცდია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ გაუგებრობის შედეგად მიგვაჩნია ნ. ბერძენიშვილის „კონცეფციის" დასარღვევად ქ. ჩხატარიშვილის მიერ სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში წარმოდგენილი არგუმენტაცია, რომე-

[14] К. А. Чхатарайшвили. Социальная сущность военной организации феодальной Грузии, Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тб., 1987, გვ. 37—38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მიზნად ისახავს აღმოაჩინოს წინააღმდეგობა მეცნიერის შემდეგ დებულებებში: 1. „მდაბიორ-მოლაშქრეთა“ ფენა წარმოადგენდა ადრეფეოდალურ ურთიერთობათა (ვასალური დამოკიდებულების) საფუძველს, 2. X ს-ის დასასრულისათვის საქართველოში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი დარღვეულ და ქვეყანა ფეოდალიზმის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა და 3. „მდაბიორ-მოლაშქრეთა“ ფენის გაქრობამ და მათმა გადასვლამ ვლეხობაში მიგვიყვანა ბატონყმობის ეპოქის დადგომამდე XII ს-ის დასასრულ.

ამ დებულებათა შეპირისპირების შემდეგ, ქ. ჩხატარაიშვილი გაკვრით შენიშნავს: „ამგვარად გამოდის, რომ ის საზოგადოებრივი ფენა, რომელიც ადრეფეოდალურ ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენდა, განაგრძობს არსებობას განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაშიც“.

როგორც ვხედავთ, ქ. ჩხატარაიშვილს აქაც გამორიცხულად მიაჩნია განვითარებულ ფეოდალიზმში ხარისხობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული ეტაპები დაინახოს. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან მისი თვალსაზრისით საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების განვითარებაში VIII საუკუნიდან მოკიდებული XIX საუკუნემდე არსებითი ხასიათის ცვლილება არ მომხდარა, რაც ისტორიზმის პრინციპის აშკარა უგულვებელყოფაა.

რაც შეეხება მტკიცებას იმის შესახებ, რომ XVI—XVIII საუკუნეებში ქართულ ლაშქარს მხოლოდ აზნაურნი და მსახურნი შეადგენდნენ, ხოლო გლეხებს სამხედრო მოვალეობა არ ეკისრათ და ისინი მტრის შემოსევების დროს თუ იღებდნენ იარაღს ხელში თავის დასაცავად, ესეც არაფრით არ დასტურდება. პირიქით, უმრავი საბუთი ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. მაგალითისათვის კვლავ მოვიტანთ თეიმურაზ II-ის მიერ 1749 წ. ქართლის კათალიკოზ ანტონისადმი მიცემულ სიგელს, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „მთელ ქართლში „...მთასა თუ ბარს, რასაც ალაგს სვეტიცხოველს ყმა ეყოს და ესახლოს, არა სხვას სარდლებს ჯელი არა აქვსო, თვისი დარბაისელი აზნაურიშვილი, მსახური და გლეხი, დიდნი და მცირენი, ყოველნი თავისს ადგილადამ ბატონს ყოველად სანატრელს კათალიკოზს. იახლეს ბოდნენ და შემოეყრებოდნენ, ლაშქრობასა და ნადირობაში ჩვენს დროშაზე იქნებოდნენ“.[20], როგორც ვხედავთ, საეკლესიო გლეხები აზნაურებსა და მსახურებთან ერთად ითვლებოდნენ მოლაშქრეებად; მით უმეტეს, ეს ეხებოდა საერო ფეოდალთა გლეხებს.

ამრიგად, არც ადრეფეოდალურ ხანაში და არც გვიან, მსახურნი არ წარმოადგენდნენ ქვეყნის ძირითად სამხედრო ძალას; ასევე, ადრეც და გვიანაც ისინი სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეს მიეკუთვნებოდნენ (ადრე — „ერს“, გვიან — გლეხობას). რაც განაპირობებდა სხვადასხვა დროს სხვაობას მათ სოციალურ სტატუსში. ადრეული და გვიანი ხანის „მსახურს“ შორის სოციალური წარმომავლობის თვალსაზრისით სხვაობის არდანახვა იგივეა, რაც სხვაობის წაშლა ადრეულ და გვიანდელ „აზნაურს“ შორის: ადრე ხომ ეს ტერმინი თავისუფალ-ს ან მერე ზოგადად გაბატონებული ფეოდალური საზოგადოების აღმნიშვნელი იყო, გვიან კი ამ წრის მხოლოდ ერთი, ვასალურად დამოკიდებული ნაწილისა. იგივე ითქმის „ერისთავის“ ადრინდელ და გვიან-

[20] იხ. ა. ყლიმიაშვილი, საეკლესიო ლაშქრის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 108 (Hd—13658).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ მნიშვნელობაზე: ადრინდელ საქვეყნოდ გამრიგე მოხელე ერისთავს ადარაფერი საერთო არა აქვს თავადის რანგში ასულ რაჭის, ქსნისა თუ არაგვის ერისთავებთან, რომელთა წოდება გვიოსახელადაც კი იქცევა. ყოველივე ამის არდანახვა კი ისევ ისტორიზმის პრინციპის იგნორირებაა, რასაც მიეყვართ ფეოდალურ ურთიერთობის განვითარების ხხვადასხვა საფეხურზე სოციალურ ძალთა რაობისა და განწყობილების არასწორ გაგებამდე. ეს კი თავს იჩენს ფეოდალიზმის პერიოდიზაციის საკითხშიც.

ცხადია, ფეოდალიზმის განვითარება რთული პროცესი იყო და ძნელია მკვეთრი მიჯნების დადება მის ამა თუ იმ საფეხურს შორის, კერძოდ, ადრეფეოდალურიდან განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლის დროის ზუსტად განსაზღვრა. ამისი მომასწავებელი ნიშნების დანახვა ცოტა უფრო ადრეც შეიძლება და ცოტა უფრო გვიანაც, რაც საზოგადოების გარდამავალი საფეხურისათვის უჩვეულო არ არის, მაგრამ არსებითი ხასიათის ძვრების თვალის მიდევნება მაინც უნდა მოხერხდეს. ეს ძვრები კი კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური ასპექტების ერთობლიობაში გათვალისწინებით. ასეთი მიდგომითაა შემუშავებული ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის დღეისათვის მიღებული პერიოდიზაცია. მაგრამ, ცხადია, მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელებას და გაღრმავებას საჭიროებს, ისევე კომპლექსური მეთოდის გამოყენებით და, რაც მთავარია, ისტორიზმის პრინციპის მტკიცე დაცვით, როგორც კონკრეტული ფაქტების, ასევე ზოგადი ხასიათის მოვლენების შესწავლაში.

Е. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ

МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМ СОВРЕМЕННОЙ ГРУЗИНСКОЙ МЕДИЕВИСТИКИ

Резюме

В статье на примере раскрытия содержания термина «мсахури» («служилый») и показа принадлежности (по происхождению) этой социальной прослойки в разное время к разным общественным слоям — «эри» («народ», «народ-войско») в раннефеодальную эпоху и к крестьянству («глехи» в эпоху развитого феодализма), прослеживается изменение в социальном статусе «мсахури» в процессе развития феодализма в стране. В этой связи подчеркивается необходимость применения историзма как в конкретном случае рассмотрения статуса «мсахури», так и вообще при разработке вопросов периодизации истории средневековой Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. М. ГАПРИНДАШВИЛИ. ГАРЕДЖИ. «Издательство Сабчота Сакартвело», Тбилиси, 1987.

В 20-х годах Г. Н. Чубинашвили организовал комплексную экспедицию в Гареджи, в которую вошли художники копиисты фресковых росписей Гареджийской художественной школы, искусствоведы, фотографы и архитекторы-обмерщики скальных комплексов. Но обширные материалы этой экспедиции и исследование он издал лишь только в 1948 году. В монографии обрисована историческая жизнь пустынь-монастырей, начиная со времени Давида и Лукиана, т. е. с VI стол. и до XVIII стол. включительно; параллельно заострено внимание на дальнейшем изучении проблем архитектуры скальных комплексов и прогрессивно погибающих фресковых росписей Гареджийской живописной школы.

При Музее Грузии АН ГССР в 1966 году организована Спелеистическая лаборатория, которая приступила к изучению скальных объектов по Грузии, в том числе к систематическому изучению многочисленных пустынь-монастырей в Гареджийском многогорье — производились археологические работы, архитектурно-аналитические обмеры скальных помещений и копирование художниками Нино Китовани, Тамар Гагошидзе и Татьяной Шевяковой фресковых росписей, орнаментов, надписей и записей паломников.

На 2-ой Международный симпозиум по грузинскому искусству в 1977 году Г. Гаприндашвили представил доклад «Скальные купольные памятники Гареджи», а в 1982 году в Тбилиси на Международный симпозиум по пещерным комплексам Крыма, Грузии, Армении и Ближнего Востока Г. Гаприндашвили и Т. Сакварелидзе представили обширную выставку хронологического развития и функционального назначения скальных объектов Грузии, в том числе особо многочисленные графические материалы и, конечно, фотографии по скальным крестово-купольным храмам V—VII стол. Гареджи.

И вот теперь все эти апробированные материалы получили публикацию в книге Гиви Гаприндашвили «Гареджи».

Из спелеистических терминов особого внимания заслуживают поставленные Г. Гаприндашвили в центре исследования два основных понятия: «кваби», т. е. «убежище» и «удабно», т. е. «пустынь», которые автор связывает со скальными объектами и, осмыслив, дает важное их понимание. «Кваби» — убежище именно отшельника, а не как известно по словарям только как «пещера», и «удабно» — пустынь, не в качестве географического термина, но как ряд скальных помещений отшельников.

Использованием этих терминов, тем более в применении к известным объектам, выявлено грузинское «пустынничество» именно как отдельной, начальной ступени монашеского движения, которое как раз предшествовало «монастырской жизни», т. е. второй ступени монашеского движения.

Согласно исследованиям автора, вторая ступень монашеского движения вообще связана с ансамблями сооружений, сложенных из камня на известняковом растворе и, в частности, подразумевает преобразование «удабно»-«пустынь» в монастырские ансамбли пристройкой сооружений.

Для таких примеров автор дает термин «удабно-монастыри», т. е. пустынь-монастырь, что означает единый ансамбль пещерных убежищ и сооружений из камня; именно такие объекты нам известны в Гареджи.

Это исследование в целом приобретает важное значение вообще для христианских стран, в особенности Востока, а не только для Картли и христианского Закавказья.

Надо отметить, что, несомненно, монашескому пустынничеству сопутствовала миссионерская деятельность и, естественно, оно оказывало свое влияние как на развитие христианского вероучения, так и на формирование строения церковной структуры, что раскрывается в тезисах автора.

Из нескольких поставленных в книге проблем стержневая — это происхождение грузинской купольной церкви, особенно вопрос генезиса безбарабанного купола. Здесь автор находит твердый фундамент в местной почве — проблеме происхождения грузинского купольного храма от «дарбазно-гвиргвинного» грузинского жилища — идея эта была высказана акад. Г. Н. Чубинашвили. Но это обобщенное понимание практически не имело «промежуточных объектов», а теперь разыскания и анализ Г. Гаприндашвили дали нам не один, а несколько «промежуточных примеров», подтверждающих эту теорию. Это важное достижение в исследовании генезиса христианской церкви, в частности, купольного храма.

Автор выявил и «сасантле-ниши» — свечные ниши и ниши-алтари; признавая, таким образом, «гвиргвини» начальной ступенью в образовании церковного купола, а «сасантле-ниши» и нишу-алтарь — как основу создания полноценного алтаря в храме.

Согласно изложению, проблема форм грузинской купольной церкви осмысляется как объединение на основе крестового плана этих отдельных элементов в единую органическую тектонически-архитектурную композицию.

Осмыслением этого явления автор показывает, что композиция крестово-купольного храма связана не с каким-нибудь одним «центром», что, казалось бы, можно получить на основе этого нового грузинского материала, но в корне отвергает теорию исходных «центров» и указывает, что каждая страна — Грузия и, в том числе, Армения также на национальной основе осмысляет, создает и развивает культовые объекты — крестово-купольные храмы.

На скальных примерах таких памятников ясно видно, что все эти материалы скальных строений предшествуют церковным сооружениям из камня для удовлетворения запросов светской части населения.

Автор вопрос генезиса купольной церкви в манашеской и светской жизни рассматривает в единых явлениях внутренней жизни страны.

Новейшие материалы гареджийских пустынь-монастырей хорошо демонстрируют, как они сформировались в краткие сроки — начиная

ეროვნული ბიბლიოთეკა

от зачаточной формы купольной церкви второй половины IV стол. в Натлис-мцемели (рис. на с. 20) и зачаточной формы крестово-купольной церкви типа «эрдо» начала V стол. в Квабеби (рис. на с. 30); затем дальше развилась крестово-гвиргвинного типа церковь V стол. в Коцахура (рис. на с. 22), в Сабереебн V стол. церковная группа № 1 (рис. на с. 24), V—VI стол. в Цамебули (рис. на с. 21) и в Веран-Гареджи (рис. на с. 23) и, наконец, это поступательное развитие получает структуру крестово-купольного храма с безбарабанным куполом — церковь, построенная соратником Давида Гареджели — Додо в середине или во второй половине VI стол. (рис. на с. 12) и вслед за тем — в Сабереебн VI стол. с безбарабанным куполом на конховых тромпах церковная группа № 6 (рис. на с. 26), церковь № 7 и церковная группа № 8 (рис. на с. 27).

Одновременно с купольными храмами в Гареджи зарождается и тип зальной церкви в «сасантле-нишах», например, в Натлис-мцемели второй половины IV стол. (рис. на с. 20), в Мартирии Берт-убани (рис. на с. 19) — в нишах-алтарях, например, Цамебули V—VI стол. (рис. на с. 21) и затем развивается и получает структуру зальной церкви, например, в Беребис-сери пустынь № 3 V—VI стол. (рис. на с. 29) и Беребис-сери пустынь № 4 VI—VII стол. (рис. на с. 30).

Автор одновременно обсуждает проблему зарождения и развития монастырской жизни, которая в научной литературе представляет пока не решенный вопрос. Где зародилась монастырская жизнь? В светской жизни или в монашеской среде? По мысли автора, монастырская жизнь в Грузии зародилась в недрах отшельничества и, по его терминологии, монахами-отшельниками создаются пустынь-монастыри.

Необходимо отметить и вопрос о настенных росписях Гареджи. Опубликованные в книге копии фресок представляют материалы спелеистических экспедиций Гиви Гаприндашвили. Среди этих материалов большинство представляют копии, но есть и реконструкции примерно наполовину поврежденных изображений, например, Сабереебн — церковная группа № 8 «Прославление Богоматери» IX стол. (рис. на с. 78), Берт-убани — фрески «Собор св. Мучеников» X стол. в Мартирии (рис. на с. 76—77) и Берт-убани — «Богоматерь с Младенцем» X стол. в Мартирии (рис. на с. 79).

На последней странице обложки книги «Гареджи» изображен архангел. Г. Гаприндашвили надпись читает, как «св. Уриэл». Здесь звук «у», как в древности, обозначен двумя буквами «О» и «В»-нин, т. е. имеем имя «Уриэл», а не «Ориэл», как с большим сомнением читает Э. Привалова.

Не один год остро стоит вопрос об улучшении организации изучения скальных архитектурных памятников Грузии. Хорошо известно, какой непоправимый вред нанес делу изучения скальных объектов и исследованию скального грандиозного ансамбля Вардзиа вывод в 1959 году «Музея-заповедника Вардзиа» из системы АН ГССР, чем было подорвано систематическое изучение памятника, содержащего национальную гордость — фресковые портреты Георгия III и Тамар.

С того времени, как основана Спелеистическая лаборатория в 1966 году, не удается укрепить этот центр исследовательских работ по скальным объектам, хотя имеется не одно постановление

правительства по этому актуальному вопросу, где, в частности, говорится о необходимости устройства на местах специальных показательных выставок.

Эти большого значения объекты — скальные музеи-заповедники: Вардзиа, Гареджи, Уплис-цихе, Ванис-кваби и др. достойны быть включены в систему АН ГССР. Отношение к этим исключительным объектам иллюстрирует Правительственное постановление, которым в 1986 году отмечено 800-летие создания Вардзиа, однако, так как изучение Вардзиа с 1959 года не продвинулось, в дни юбилея не демонстрировалась стационарная итоговая выставка, об устройстве которой говорилось в постановлении.

Много лет при Президиуме АН ГССР существует Спелеологический Совет, который успешно координирует на всей территории Грузии изучение естественных пещер, представляющих сферу деятельности спелеологии и искусственных пещер, входящих в сферу исследовательских работ спелеистики.

Можно подать мысль о включении в состав Совета организационно объединенных скальных музеев-заповедников со Спелеистической лабораторией для поднятия на более высокий и современный уровень научно-исследовательские работы по устройству стационарных выставок и изданию монографий.

НИКО ЧУБИНАШВИЛИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ХАЛФИН Н. А. | ЗАРЯ СВОБОДЫ НАД КАБУЛОМ — М., «НАУКА», 1985, 320 с.

XX век принес миру много удивительных потрясений. Эхо российских революций отзывалось в разных частях света зарождением идей свободы и независимости. И вот уже целые регионы земного шара объяты брожением умов и заражаются неподдающейся излечению «болезнью» протестантских идей и бунтарских настроений. Азия поднималась на борьбу за элементарные права, и уже ничем нельзя было остановить неумолимую поступь исторического развития явлений. Не остался в стороне и Афганистан, имевший богатый опыт вековой борьбы с британскими захватчиками. Об этом героическом противостоянии афганского народа империалистической Англии рассказывает трилогия Н. А. Халфина[1].

Последняя часть трилогии посвящена событиям, происходившим в Афганистане в первой четверти нынешнего столетия. То было трудное время, когда Афганистан едва начал выходить из затянувшегося для него средневекового застоя, и сам этот выход, мучительный и долгий, был сопряжен с превеликими трудностями общественно-социального и политического характера. В стране все еще сильна была власть вековых устоев, но они уже столкнулись с ростками нового, упрямо пробивавшимися сквозь толщу привычных традиций. Впервые в истории Афганистана поднимались силы, в большинстве своем представлявшие разночинную массу, передовых представителей знати и зарождавшейся интеллигенции, открыто требовавшие полной независимости Афганистана от Англии.

Перед автором рецензируемой книги стояла нелегкая задача — осветить «изнутри» все аспекты общественно-политического развития Афганистана, и в то же время облечь «ситуационный анализ» в форму художественного изложения. Удалось ли это сделать Н. А. Халфину, ученому-востоковеду, известному своими научными трудами? Уже в первой его книге, положившей начало трилогии, блеснула новая грань таланта автора, выступившего в качестве писателя. Будучи великолепным знатоком архивных материалов, превосходно разбираясь в тончайших политических коллизиях и всевозможных местных реалиях, автору легко удалось «обуздать» обширный материал, в котором нетрудно было и увязнуть. Опыт исследователя, большой научный багаж и яркое художественное дарование позволили Н. А. Халфину проделать тщательный отсев материала и, сосредоточившись на главном, направить развитие повести в русло исторической достоверности.

Написанная красочно и увлекательно, повесть не может оставить равнодушным читателя, не искушенного в премудростях ориенталистики. Автор словно берет его за руку и ведет в мир гор и пустынь, знакомит с обычаями и бытом кочевых племен, рассказывает о жизни земледельцев и их каждодневном труде. Пред

[1] «Возмездие ожидает в Джагдалаке». — Л., 1973; «Победные трубы Майванда». — М., 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ними картина афганского общества в его социальном разрезе: — крестьяне и ремесленники, купцы и духовенство, сордары, дворец эмира и его обитатели...

Герои повести — сыновья и внуки героев первых двух книг автора, и в этой преемственности заложен глубокий смысл. Поэтому столь притягателен и убедителен образ одного из центральных персонажей повести — Гафура. Он переходит из книги в книгу, олицетворяя собой несломленное достоинство, честь и будущее своего народа. Выходец из народных масс, сын героя Майванда, Гафур еще ребенком получил суровую закалку. Выросший в среде отважных воинов-патриотов, он с детских лет прикоснулся к самым заветным и чистым категориям человеческого бытия.

Гафур — вовсе не бунтарь-романтик, влекомый возвышенной мечтой. Он твердо стоит на земле и безо всяких прекраснодушных иллюзий знает, что свободу и независимость можно обрести, лишь подняв на борьбу народ. Именно с такого угла зрения, — что полностью соответствовало исторической логике, строится повесть Н. А. Халфина. Автор проводит своих героев сквозь многотрудные испытания и показывает, как приходит к ним гражданская зрелость, как они, расставшись с последними иллюзиями, вплотную подходят к современному осмыслению политических событий и судеб своей родины. Гафур, Зирак и их товарищи и боевые соратники — предтеча будущих членов «Виш Зальмиан», — «Пробудившейся молодежи». Это те, на которых опирались крупнейший просветитель своего времени Махмуд-бек Тарзи и эмир-реформатор Аманулла-хан. Пожалуй, масштабы деятельности руководителей «младоафганского движения» оказались бы намного скромней без помощи этой молодой поросли.

Британские империалистические круги были серьезно обеспокоены, видя, что в Афганистане появилось поколение афганцев, требовавших своего Майванда. Да и сам эмир Хабибулла не прочь был установить дружественные отношения с Россией, чтобы ослабить английскую опеку, а то и вовсе избавиться от британской зависимости. Поэтому британские империалистические круги немедленно привели в движение весь свой арсенал испытанных средств и методов. Тут были и дворцовые интриги, с участием брата эмира — Насруллы-хана, и других царедворцев, подкупы и посулы. Нам неизвестно, кто именно убил эмира Хабибуллу, однако версия, предложенная автором, кажется вполне убедительной, ибо она полностью соответствует исторической правде.

Между тем убийство эмира Хабибуллы-хана в 1919 году не дало тех результатов, на которые надеялись британские империалисты и их пособники из реакционных кругов афганского общества. В то же время невыгодно сложившаяся в Афганистане ситуация для англичан осложнялась стремительным развитием событий в Советской России. На устах трудовых людей появилось имя «Ленин», все чаще и чаще правоверные мусульмане, жившие к западу от британских владений в Индии, обсуждали неведомо как просочившиеся в Афганистан вести о большевиках, об их декретах о мире и земле. Но, пожалуй, наиболее сильный резонанс среди населения Афганистана вызвало знаменитое «Обращение ко всем мусульманам России и Востока». Британским властям в Индии нелегко было противостоять неудержимому потоку новых идей и веяний, захлестнувших эту британскую полуколонию. И тогда «пришла третья война, пришла вслед за первой и за второй, как наказание за строптивость и неукротимый дух, жаждущий только одного — чтоб

ეროვნული ბიბლიოთეკა

страну оставили в покое, чтоб она была независима и самостоятельна».

В повести содержится большой фактологический материал, обусловивший ее многоплановость и масштабность. Перед нами проходит вереница исторических лиц, состоящих на службе британского империализма. У каждого из них свое лицо, свой почерк. Это — и вице-короли Индии лорды Керзон и Челмсфорд, каратели и усмирители народных выступлений в Индии; здесь и авантюристы, а то и просто сброд, спешивший в Индию за богатой наживой, и многие другие.

Автор показывает, как в начале века Афганистан становится объектом пристального внимания молодого империалистического хищника — Германии. Подготовленная и оснащенная по всем правилам военного искусства, Германия выходит на свой разбойный промысел, успев задурить головы своим обывателям обещаниями уготовленной для них райской жизни за чужой счет. Она имеет свои далеко идущие планы. Поэтому уже тогда в Цоссенских лагерях немецкие инструкторы формируют из пленных мусульман стотысячную «Исламскую армию». Ее назначение — проложить кайзеровской державе путь в страны Востока. Той же цели служила миссия фон Хентига и фон Нидермайера к эмиру Хабибулле.

Перед читателем проходят события исключительной важности. Одна из них — день 20-го августа 1819 года, когда в Кабуле, на площади перед Идгах-мечетью собрались тысячи людей. Здесь Аманулла-хан провозгласил самостоятельность Афганистана. В то же время автор показывает, какую роль сыграла поддержка Афганистана молодой советской республикой. 28 февраля 1921 года в Москве был подписан первый советско-афганский договор. Это был первый равноправный договор, заключенный отныне свободным и независимым Афганистаном. И сразу же после этого для Афганистана пришла «полоса признаний», когда страна заключила такие же равноправные договоры с рядом государств — Ираном, Турцией, Францией, Италией. Британские государственные деятели начали привыкать к понятию «Независимый Афганистан». Отныне для передовых людей афганского общества открылись иные горизонты, что придало их словам и действиям еще большую масштабность и уверенность. Один из представителей прогрессивных афганских кругов, во время пребывания афганской миссии в Лондоне, с гордостью отметил: «Мы ... убеждены, что викторианский подход к нашим проблемам безнадежно устарел. Имперская колониальная политика — пройденный этап».

Автору превосходно удалось сочетать элементы приключенческого романа и исторического повествования, и увязать их с актуально-злободневными вопросами общественно-политической жизни Афганистана в наши дни.

Заря свободы над Кабулом все еще занимается. Предстоит многотрудный отрезок пути, одно из важнейших и решающих звеньев которого составляет национальное примирение.

Л. Х. БААЗОВА

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა ენუქიძის ხსოვნას

ქართულ ისტორიულ მეცნიერებას კიდევ ერთი ფრიად სასარგებლო მუშაკი დაკარგა. 1988 წლის 18 მაისს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მკვლევარი თინა პარმენის ასული ენუქიძე, რომელმაც მთელი 45 წლის მანძილზე თავდადებით და ნაყოფიერად იღვაწა ქართული კულტურის ასპარეზზე.

თინა ენუქიძე დაიბადა 1922 წლის 25 მაისს. თბილისის მე-4—5 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1944 წელს დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, რომლის ბაზაზე 1958 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. მეოთხედი საუკუნე იმუშავა თ. ენუქიძემ ქართული კულტურის ამ შესანიშნავ კერაში, ღრმად ჩაწვდა ძველ ხელნაწერთა საიდუმლოებას და მათი დიდი გულშემატკივარსა და მოამაგის სახელი დაიმსახურა.

მკვლევრის საქმიანობა იმთავითვე რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევის შედგენაში (1951 წ.). მისი თანაავტორობით მომზადდა და გამოიცა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის რამდენიმე ტომი. მანვე აღწერა პროფ. ვ. დონდუას პირად არქივში დაცული ძველი ხელნაწერები.

კვლევითი საქმიანობის პირველი წლებიდანვე თ. ენუქიძე საგანგებოდ დაინტერესდა ქართული სამართლის ისტორიის მასალებით, ქართული სამოხელეო წყობის ისტორიით. ამ საკითხებს მიუძღვნა მან საკანდიდატო დისერტაცია (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, 1955) და რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი ყორჩიბაშის სარგოსა და სახელის, სამდივანბეგო სასამართლოს, ვახტანგის სამართლისა და დასტურლამალის წყაროების შესახებ და სხვ. წარმატებით იკვლევდა თ. ენუქიძე ქართული მეზეგნობრობის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს. მან შეისწავლა, კერძოდ, ცნობილი მესტამბისა და გადამწერის სვიმონ ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, დაადგინა აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი და ა. შ.

1968 წელს თ. ენუქიძე სამუშაოდ გადავიდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში, თუმცა სოცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუწყვეტია კავშირი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტთან. ახალ პირობებში სრულიად ახალი შესაძლებლობები გადაშალა მკვლევრის წინაშე. შედარებით მოკლე დროში მან საინტერესო მოსაზრებები წაიკითხა რამდენსამე სამეცნიერო სესიაზე, გამოაქვეყნა არაერთი საყურადღებო გამოკვლევა, მაღალ დონეზე გამოსცა რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლის ტექსტი გამოკვლევებთა და სამეცნიერო აპარატით

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბაგრატიონის ისტორია, 1972; ტბეთის სულთა მატიანე, 1977).

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თ. ენტალაძემ ქართული დიპლომატიის განვითარებაში. როგორც საქართველოს ქალაქების, ისე მოსკოვისა და ლენინგრადის სიძველეთსაცავებში მან მოიძია მრავალი ქართული დოკუმენტი, მოახდინა მათი სისტემატიზაცია, დაამუშავა და აღწერა ისინი; მონაწილეობდა ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში **მოხსენიებულ პირთა** ანოტირებული ლექსიკონის შედგენაში. მან გამოაქვეყნა არაერთი ისტორიული სამეთი, რითაც საგრძნობლად გაამდიდრა შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის წყაროთა ბაზა. დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა გაარკვია საქართველოს ისტორიის ბევრი საინტერესო საკითხი. კერძოდ, თ. ენტალაძემ დადგინა, რომ XIII ს-ის მეორე ნახევარში ჩვენში არსებობდა მეფის მოხელე „ფესაყოვჩაყე“, რომელსაც ევალებოდა საყივჩაყო გადასახადის აღება.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსზე მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე თ. ენტალაძე იყო კოლეტივის ერთ-ერთი ყველაზე მხნე, გამრჯე და იმედიანი წევრი, აქტიურად მონაწილეობდა კორპუსის **სტრუქტურისა** და გამოცემის წესების შემუშავებაში. მისი ცოდნისა და ენერგიის, სულიერი და ფიზიკური ძალების სრული დაძაბვის წყალობით გამოიცა კორპუსის პირველი ტომი (1984 წ.). წიგნში გამოქვეყნებული IX—XIII სს. 46 საბუთიდან 43 თ. ენტალაძემ მომზადა ნ. ფოშიაშვილთან ერთად. მანვე შეადგინა ტომის მეტად რთული და შრომატევადი სამეცნიერო აპარატი. მისივე მონაწილეობით მომზადდა კორპუსის მეორე (წარმოშობაშია) და მესამე ტომები, რომლებშიც XIV—XV სს. საბუთები ქვეყნდება.

თ. ენტალაძემ კარგად იცოდა კოლეტიური შრომის ფასი. რამდენიმე ძეგლი მან სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობით გამოსცა, და, უნდა ითქვას, რომ მისი წელი სამეშაო (არქეოგრაფიული აღწერა, პალეოგრაფიული ანალიზი, ტექსტის მომზადება), ისევე როგორც მთლიანად პუბლიკაციები, ყოველთვის უზადოდ და მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული. (ვახტანგ VI. წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, 1981., იოანე ბაგრატიონი. ქართულ-კახეთის აღწერა, 1986; იოანე ბაგრატიონი. საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, 1986).

„ქართული ცხოვრების“ შესწავლაშიც შეიტანა თავისი წვლილი თ. ენტალაძემ. სიცოცხლის ბოლო წლებში გამოსაცემად ამზადებდა კრებული ვ. წ. თეიმურაზისეულ ნუსხას, რომლის ტექსტი მხოლოდ სანახევროდ არის რედაქტირებული ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ მიერ. მრავალი დაკვირვებიდან მხოლოდ ერთი ნაშრომის გამოქვეყნება მოასწრო ამ საკითხზე მკვლევარმა...

საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა ქალბატონ თინას, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სულ ბოლო დრომდეც კი უსათვალოდ კითხულობდა გაცრეცილ ხელნაწერებს და ხედავდა ამას, რასაც სხვები ზოგჯერ გამადიდებელი შუშით ვერ ამჩნევდნენ. ამას ემატებოდა უტყუარი მეცნიერული ალღო, იშვიათი შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება და თავდადება. დიდ გულისხმიერებას იჩენდა თანატოლი თუ ახალგაზრდა კოლეგების მიმართ, ხშირად ეხმარებოდა მათ რთული ტექსტების ამოკითხვაში, დაუზარებლად უზიარებდა თავის დიდ გამოცდილებას.

მუდმივ ძიებაში მყოფ არც ერთ შემოქმედს არ უწერია ყველა თავისი ჩანფიქრის განხორციელება. ეერც თინა ენტალაძემ შეძლო ეს. მას გაეცალებათ მეტი შეეძლო გაეკეთებინა ქართული ისტორიული მეცნიერების სარბიელზე. მაგრამ, რისი გაკეთებაც მოასწრო ამ ამაგდარმა მოღვაწემ, სრულ საფუძველს იძლევა ითქვას, რომ მის გულმოდგინე შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. მისი მაღალხარისხოვანი პუბლიკაციები მრავალი წლის მანძილზე გაუწევენ სამსახურს ქართველ მკვლევართა თაობებს და თინა ენტალაძის სახელიც მათთან ერთად იცოცხლებს.

რევაზ კიკნაძე

622/212

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასი 1 მან. 30 კაპ. ინდექსი 76197